



თამთა ტაბატაძე

სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალის მოთხოვნის გამორიცხვა და შეზღუდვა

წარმოდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
თბილისი, 0159, საქართველო
2024 წელი

საავტორო უფლება © 2024 წელი, თამთა ტაბატაძე

რეზიუმე

ნაშრომის ძირითად არსს და დანიშნულებას წარმოადგენს, ხელშეკრულების თავისუფლებისა და კერძო ავტონომიის ფარგლებში, ხელშემკვრელ მხარეთა ურთიერთმფარავი ნება თავისუფლად დადონ რა ხელშეკრულებები და თავად განსაზღვრონ მათი შინაარსი კანონისმიერ, ლეგიტიმურ ჩარჩოში მოექცეს. ამ შესაძლებლობას კი მხოლოდ გამართული საკანონმდებლო ბაზა ქმნის.

ნაშრომში დასმული და განხილული პრობლემური საკითხი ძირითადად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 410-ე მუხლს უკავშირდება, რომელიც ხელშემკვრელ მხარეებს წინასწარი შეთანხმებით პასუხისმგებლობის შეზღუდვის ან/და გამორიცხვის შესაძლებლობას ანიჭებს.

უნდა აღინიშნოს, რომ მოხმობილი ნორმა ამ რედაქციით, საკანონმდებლო ცვლილების შედეგად, 2009 წლის 4 დეკემბერს ჩამოყალიბდა. ნორმის ძველი შინაარსი, მსგავს შეთანხმებებს იმთავითვე ბათილად აცხადებდა. ამიტომ ხსენებული საკანონმდებლო ცვლილება თანამედროვე დოქტრინის არაერთგვაროვანი მიდგომის, დისკუსიის საგანი გახდა და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია იმ თვალსაზრისით, რომ, ასეთმა შეთანხმებებმა, შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ხელშეკრულების საფუძველს და წინააღმდეგობაში მოვიდეს ისეთ ფუნდამენტურ პრინციპთან, როგორცაა „pacta sunt servanda” – „ხელშეკრულება უნდა შესრულდეს.“

ცხადია, ხელშეკრულების არსი და მიზანი მის შესრულებაშია, რასაც კონტრაპირების მბოჭავი ძალა განაპირობებს. ამიტომ, როდესაც საუბარია სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის შემზღუდავ და გამომრიცხავ გარემოებებზე, მას ყოველთვის თან სდევს მეორე ხელშემკვრელი მხარის ინტერესების უგულებელყოფის საფრთხე, რადგან ეს გარემოებები განსაზღვრავს საკანონმდებლო მოწესრიგებისგან განსხვავებულ წესებს. ეს კი ცხადყოფს საკითხის პრობლემატურობას და მიუთითებს მისი საფუძვლიანი სამართლებრივი კვლევის საჭიროებაზე. კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს გაირკვეს ხომ არ ქმნის აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება სახელშეკრულებო სამართლიანობის, კონტრაპენტთა ინტერესთა ბალანსის შენარჩუნების უგულებელყოფის საფრთხეს. უნდა დაუბრუნდეს თუ არა მოხმობილი ნორმის (სსკ-ის 410-ე მუხლის) შინაარსი ძველ რედაქციას თუ ცვლილების შედეგად მიღებული დეფინიცია დაიხვეწოს და სრულყოფილ იქნას.

პრობლემის სრულყოფილი კვლევისათვის ნაშრომში შესწავლილია პრობლემის ირგვლივ არსებული საკითხები შესაბამისი ლიტერატურის მოხმობისა და გაანალიზების შედეგად. განხილულია როგორც ეროვნული, ასევე სხვა ქვეყნების კანონმდებლობაზე დაყრდნობით. საკმაოდ დიდი

ადგილი აქვს დათმობილი სასამართლო პრაქტიკის განხილვას, იმ თავისებურებებს და შეუსაბამობებს, რომლებიც სახელშეკრულებო ურთიერთობებში პასუხისმგებლობის შერაცხვისას გვხვდება. კვლევაში გაანალიზებულია სასამართლო პრაქტიკიდან მოყვანილი მაგალითები, რომლებიც კვეთაშია სადისერტაციო თემასთან – სახელშეკრულებო ზიანის მოთხოვნის გამორიცხვასა და შეზღუდვასთან, და რაც დაგვეხმარება შემდგომში მსგავს კატეგორიათა საქმეებზე სწორი, ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებასა და სრულყოფაში.

სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, 4 თავის, დასკვნის და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისგან, სულ კომპიუტერზე ნაბეჭდი A4 ფორმატის 170 გვერდი. შესავალში დასაბუთებულია საკვლევი პრობლემის აქტუალობა, მისი სამოქალაქოსამართლებრივ ნორმებთან ჰარმონიზაციაში მოყვანის აუცილებლობა.

პირველ თავში მიმოხილულია პასუხისმგებლობის შემზღუდავი და გამომრიცხავი გარემოებების პირველი ჩანასახები რომის სამართალში, რომელიც იმ ეპოქისთვის სახელშეკრულებო ვალდებულებას მეტად ცივილურ სახეს სძენს და მეტყველებს მის მაღალ სამართლებრივ მნიშვნელობაზე.

მეორე თავი შეეხება პასუხისმგებლობის შემზღუდავი და გამომრიცხავი გარემოებების მოწესრიგებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით საკანონმდებლო ცვლილებამდე და ცვლილების შემდეგ განხილულია საკანონმდებლო ცვლილების მიზეზი და მიზანი, რომელმაც საკვლევი სამართლებრივი ნორმა თანამედროვე რედაქციით წარმოადგინა. მსჯელობა მოიცავს ცვლილების მნიშვნელობას და მიუთითებს მისი დახვეწის საჭიროებაზე. ამავე თავში განხილულია სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობისათვის მახასიათებელი პასუხისმგებლობის ფორმათა გრადაცია – მკაცრი, ბრალეული, მსუბუქი. გაანალიზებულია როგორც ანგლოამერიკული, ისე გერმანული სამართლებრივი ოჯახების ურთიერთმიმართება საკვლევ თემასთან. ეს თავი ასევე მოიცავს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის განხილვას პასუხისმგებლობის შემზღუდავ და გამომრიცხავ გარემოებებთან მიმართებაში.

მესამე თავში განხილულია შეუძლებელი შესრულების გარემოებები, რომლებიც ქმნიან პასუხისმგებლობის შეზღუდვის ან მისგან გათავისუფლების აბსოლუტურ საფუძვლებს, ვინაიდან ასეთი გარემოებების დროს, ვალდებულების შეუსრულებლობა არ შეიძლება იყოს მიჩნეული დარღვევად. მაგ;-ფორსმაჟორი, შესრულების შეუძლებლობა, შესრულების ამაოების დოქტრინა და ა.შ. ასევე ნამსჯელია ტერმინების – „ვალდებულების დარღვევისა“ და „ვალდებულების შეუსრულებლობას“ შორის ზღვრის

გავლების შესაძლებლობაზე, როგორც პასუხისმგებლობის წარმოშობა – არწარმოშობის ძირითად ასპექტზე.

მეოთხე თავი აყალიბებს საკვლევი თემის შემხებლობას და ურთიერთმიმართებას სხვა სამართლებრივ დარგებთან და ინსტიტუტებთან. ასე, მაგ., საუბარია კეთილსინდისიერების პრინციპის გავლენაზე პასუხისმგებლობის შემზღუდავ და გამომრიცხავ გარემოებებთან; ეხება ხელშეკრულების სტანდარტულ პირობების განხილვას საკვლევ პრობლემასთან მიმართებაში, სადაც ზედმიწევნითაა შესწავლილი სტანდარტული პირობების ბათილობის საფუძვლები პასუხისმგებლობის შემზღუდავ და გამომრიცხავ გარემოებებთან მიმართებით; აგრეთვე, განხილულია საკვლევი თემის მიმართება სამოქალაქო საპროცესო სამართალთან, გარიგების ნამდვილობასთან, სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ნორმებთან, ვალის პატიებასთან... სადისერტაციო ნაშრომის აღნიშნული თავი ასევე მოიცავს სახელშეკრულებო ზიანს და მის ურთიერთმიმართებას პასუხისმგებლობის შემზღუდავ და გამომრიცხავ გარემოებებთან. აქვე განხილულია ის კანონისმიერი დათქმები პასუხისმგებლობის შეზღუდვის თაობაზე, რომლების გაბნეულია ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილის ცალკეულ ხელშეკრულებებში.

დასასრულს, ნაშრომის დასკვნით დებულებებში წარმოდგენილია კვლევის შედეგები და შემუშავებულია კონკრეტული საკანონმდებლო წინადადებები, რომელთა მიზანია სახელშეკრულებო ურთიერთობებში პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი ნორმების სრულყოფა, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს დახვეწილი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

Abstract

The basic essence and purpose of the work is the mutual desire of the contracting parties to freely conclude agreements within the scopes of freedom of contract and private autonomy and to ensure that their content is brought within a legal and legitimate framework. Only a solid legal framework creates this possibility.

The problematic issue raised and discussed in the article is mainly related to the Article 410 of the Civil Code, which provides contracting parties with the possibility of limiting and/or excluding liability by prior agreement.

It should be noted that the said norm was formed in this version on December 4, 2009 as a result of changes in legislation. The old content of the norm recognized such agreements as invalid, therefore, the mentioned legal change has become the subject of non-uniform approach of modern doctrine and discussion and has caused a divergence of opinions from the point of view that such agreements may threaten the basis of the agreement and contradict the fundamental principle "pacta sunt servanda" - "Agreements Must be Kept".

Obviously, the essence and purpose of an agreement is its performance, which is stipulated by the binding force of contracting. Therefore, when it comes to limiting and excluding circumstances of contractual liability, it is always accompanied by the danger of neglecting the interests of the other contracting party, since these circumstances determine rules different from legal regulation. This reveals the problematic nature of the issue and indicates the need for its fundamental legal research. The main purpose of the research is to find out whether the mentioned legislative change creates a danger of neglecting contractual fairness, preserving the balance of interests of contracting parties, should the content of the proposed norm (Article 410 of the Civil Code) be returned to the old version or should the definition obtained as a result of the change be clarified and improved?

To fully investigate the problem, the paper explores the issues surrounding the problem by referring to and analyzing the relevant literature. It examines both national legislation and legislation of other countries. A fair amount of space is given to the discussion of judicial practice, peculiarities and inconsistencies that are encountered in imposing liability in contractual relations. The paper analyzes the examples from the judicial practice, which intersect with the topic of the dissertation - exclusion and limitation of the claim for contractual damages, and which will help us in the future to establish and improve the correct, uniform practice in similar categories of cases.

The dissertation consists of introduction, conclusion and 4 chapters 170 The introduction substantiates the relevance of the research problem, the need for its harmonization with the norms of civil law.

The first chapter deals with the first rudiments of limiting and excluding circumstances of liability in Roman law, which gives the contractual obligation a more civilized form for that era and speaks of its high legal significance.

The second chapter deals with the regulation of limiting and excluding circumstances of liability under the Civil Code of Georgia before and after the legislative change, it reviews the reason and purpose of the legislative change, which presented the legal norm under research in the modern version. The justification indicates the significance of the change and points out the need for its clarification. In the same chapter, the gradation of forms of liability characteristic of civil liability - strict, culpable, and light - is examined, also the relationship between Anglo-American and German legal families with the research topic are analyzed. This chapter also discusses the principle of freedom of contract in relation to limiting and excluding circumstances of liability.

The third chapter discusses the circumstances, in the presence of which non-fulfillment of obligation is not considered as a breach and creates absolute grounds for limitation of liability or exemption from it, for example: circumstances of force majeure, impossibility of fulfillment, doctrine of futility of obligation, etc. There is also a judgment about the possibility of crossing the boundary between the terms - "breach of obligations" and "non-performance of obligations" as the emergence of liability - the basic aspect of non-emergence.

The fourth chapter establishes the relevance of the research topic and its relationship to other legal areas and institutions. For example, it deals with the influence of the principle of good faith in limiting and excluding circumstances of liability; the review of standard terms of an agreement in relation to the research problem, in which the grounds for invalidity of standard terms in relation to circumstances limiting and excluding liability are scrutinized; it also considers the relationship of the research topic to civil procedure law, validity of a transaction, contractual and non-contractual rules, debt release... Contractual damages and their relationship to limiting and excluding circumstances are also included in the said chapter of the thesis. The legal reservations regarding limitation of liability, which are scattered throughout the individual contracts of the private part of the law of obligation, are also discussed in the paper.

Finally, the article concludes by outlining the results of the research and developing specific legislative proposals that aim to improve the norms governing liability in contractual relations, which, in turn, leads to the formation of sophisticated judicial practice.

გამოყენებული აბრევიატურები

ქართულენოვანი აბრევიატურები:

და ა.შ.	და ასე შემდეგ
აბზ.	აბზაცი
ანალოგ.	ანალოგიურად
ე.ი.	ესე იგი
ე.წ.	ეგრეთ წოდებული
თხზ.	თხზულება
მაგ.	მაგალითად
მთარგ.	მთარგმნელი
მდგ.	მდგომარეობით
მით.	მითითებულია
ნაწ.	ნაწილი
პროფ.	პროფესორი
ჟურ.	ჟურნალი
რედ.	რედაქტორი/რედაქცია
სხვ.	სხვა
სსკ.	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
ტ.	ტომი
ქ.	ქალაქი
შდრ.	შეადარე
წინად.	წინადადება

უცხოენოვანი აბრევიატურები:

ABGB	Allgemeines Bürgerliches	ავსტრიის ზოგადი სამოქალაქო
Art.	Artikel	მუხლი
B.	Band	ტომი
BGH	Bundesgerichtshof	გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო
bzw	Beziehungsweise	შესაბამისად
Cass.	Cour de cassation	საკასაციო სასამართლო
Diss.	Dissertation	დისერტაცია

DCFR	Definitions and Model Rules of European Private Law	ევროპული კერძო სამართლის უნიფიკაცია
Hrsg.	Herausgeber	რედაქტორი
MüKo	Münchener Kommentar	მიუნხენის კომენტარი
NJW	Neue juristische Wochenschrift	ახალი ყოველკვირეული იურიდიული ჟურნალი
Nr.	Nummer/-n	ნომერი
PECL	Principles of European Contract Law (d.h. Grundregeln des Europäischen Vertragsrechts)	ევროპული სახელმეკრულებო სამართლის პრინციპები
Rn	Randnummer/-n	გვერდითი ველი/ნომერი
UNIDROIT	International Institute for the Unification of Private Law	კერძო სამართლის უნიფიცირების საერთაშორისო ინსტიტუტი
Univ	Universität	უნივერსიტეტი
вып.	Выпуск	გამოცემა
гл.	Глава	თავი
к.	Книга	წიგნი
Л.	Ленинград	ლენინგრადი
М.	Москва	მოსკოვი
МГУ	Московский государственный университет	მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი
отв.	Ответственный	პასუხისმგებელი
пер.	Перевод	თარგმანი
ред.	Редактор	რედაქტორი
СПб.	Санкт-Петербург	სანქტ-პეტერბურგი
ст.	Статья	სტატია
т.	Том	ტომი
ч.	Часть	ნაწილი

სარჩევი

შესავალი	12
ლიტერატურის მიმოხილვა	17
თავი I პასუხისმგებლობის გამორიცხვისა და შეზღუდვის პრინციპის პირველი ისტორიული ჩანასახები	19
1.1 რომის სამართალი, როგორც პასუხისმგებლობის შემზღუდავ გარემოებათა სათავე.....	19
1.2 ხელშეკრულება, როგორც მხარეთა შორის პასუხისმგებლობის განსაზღვრის საფუძველი.....	21
თავი II პასუხისმგებლობის შემზღუდავი და გამომრიცხავი გარემოებების მოწესრიგება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით	25
2.1 პასუხისმგებლობის შემზღუდავი და გამომრიცხავი გარემოებების მოწესრიგება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით საკანონმდებლო ცვლილებამდე და ცვლილების შემდეგ	25
2.1.1 საკანონმდებლო ცვლილების მიზეზი და მიზანი.....	25
2.1.2 საკანონმდებლო ცვლილების მიზეზი და მიზანი.....	27
2.2 „მკაცრი“, „ბრალეული“ და „რბილი“ პასუხისმგებლობა სახელშეკრულებო სამართალში	29
2.3 ხელშეკრულების თავისუფლება და პასუხისმგებლობის შემზღუდავ და გამომრიცხავ გარემოებათა ფარგლები	36
თავი III. პასუხისმგებლობის გამომრიცხავი და შემამსუბუქებელი გარემოებების რეგულირება ფორსმაჟორის, შესრულების გართულების და შესრულების შეუძლებლობისას.....	47
3.1 „დარღვევა“ თუ „შესრულებლობა“	47
3.2 ფორსმაჟორი, როგორც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველი.....	50
3.2.1 ფორსმაჟორი პრეიუდიციული ფაქტი, რომელიც არ საჭიროებს მტკიცებას, თუ მოვალის მტკიცების ტვირთი	56
3.3 შესრულების შეუძლებლობა	58
3.4 შესრულების შეუძლებლობის სახეები.....	62
3.4.1 საწყისი და შემდგომი შეუძლებლობა.....	62
3.4.2 დროებითი და საბოლოო შეუძლებლობა	69
3.4.3 სუბიექტური და ობიექტური შეუძლებლობა	71

3.4.4 შესრულების ეკონომიკური შეუძლებლობა	72
3.5 ხელშეკრულების ამაოების დოქტრინა და მისი მიმართება სსკ-ის 410-ე მუხლთან	74
3.6 შეცვლილ გარემოებებთან ხელშეკრულების მისადაგება.....	79
თავი IV პასუხისმგებლობის შეზღუდვისა და გამორიცხვის მიმართება სახელშეკრულებო ზიანთან და სამართლის სხვა დარგებთან და ინსტიტუტებთან	85
4.1 კეთილსინდისიერების პრინციპის მიმართება პასუხისმგებლობის შეზღუდვასთან	85
4.2 პასუხისმგებლობის შემზღუდავი და გამომრიცხავი გარემოებანი	98
ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებთან მიმართებაში.....	98
4.2.1 ხელშეკრულების სტანდარტული პირობების არსი და მომხმარებლის	98
„სუსტი“ სამართლებრივი პოზიციები.....	98
4.2.2 კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვა და სტანდარტული პირობების შინაარსის კონტროლი „სუსტი“ მხარის სამართლებრივი პოზიციების გასამყარებლად	102
4.2.3 პასუხისმგებლობის შემზღუდავი და გამომრიცხავი გარემოებები ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში.....	105
4.3 წინასწარი შეთანხმება პასუხისმგებლობის შეზღუდვისა და გამორიცხვის თაობაზე და სამოქალაქო საპროცესო სამართლის მიმართება მის მოწესრიგებასთან	111
4.4 წინასწარი შეთანხმება სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის შეზღუდვის და გამორიცხვის თაობაზე – ნამდვილი თუ ბათილი გარიგება? (სსკ-ის 410-ე მუხლის მიმართება გარიგების ნამდვილობის საკითხთან).....	114
4.4.1 კანონსაწინააღმდეგო გარიგებები.....	114
4.4.2 საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო გარიგებები	118
4.4.3 ზნეობრივი ნორმების საწინააღმდეგო გარიგებები	120
4.5 პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის მიმართება სახელშეკრულებო (რელატიურ) და არასახელშეკრულებო (დელიქტურ) სამართლებრივ ნორმებთან	121
4.6 პასუხისმგებლობის შეზღუდვისა და გამომრიცხავი გარემოებების მიმართება ვალის პატიებასთან	125

4.7 სახელშეკრულებო ზიანის მიმართება პასუხისმგებლობის შემზღუდავ და გამომრიცხავ გარემოებებთან	129
4.8 ზიანის შერაცხვის წინაპირობები (ელემენტები).....	135
4.8.1 მართლწინააღმდეგობა	135
4.8.2 მიზეზობრივი კავშირი	140
4.8.3 ბრალი.....	142
4.8.4 კანონისმიერი დათქმები პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ	147
დასკვნა	156

შესავალი

თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე უპირველესი და აქტუალური გამოწვევაა სამართლის უნიფიკაცია-ჰარმონიზაცია. მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკურ ცვლილებათა ფონზე, საბაზრო ურთიერთობების მართვის ეფექტურობა შეუძლებელია სამოქალაქო სამართლის შესაბამისი, რელევანტური, ფეხაწყობილი ზრდა-განვითარების გარეშე. მძლავრი საკანონმდებლო მექანიზმებით შესაძლებელია მიღწეულ იქნეს ხელშემკვრელ მხარეთა ინტერესთა ბალანსის, წონასწორობის შენარჩუნება, სახელშეკრულებო სამართლიანობის აღსრულება, ეკონომიკური განვითარებისა და სამართლებრივი პრინციპების განხორციელება.

ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით, სამოქალაქო სამართალი პიროვნებისა და თავისუფლების სამართლებრივი საფუძველია. იგი სიმდიდრის შექმნის სამართალია და შესაძლებლობას აძლევს ყველას თავისი უნარისა და ნიჭის შესაბამისად მონაწილეობა მიიღოს სიმდიდრის შექმნაში და თავადაც გამდიდრდეს. ხოლო სიმდიდრის შექმნასთან დაკავშირებული ურთიერთობები, უპირატესად, ხელშეკრულების დადების თავისუფლებაში ვლინდება.¹

ვალდებულებით-სახელშეკრულებო ურთიერთობისას კონტრაქტთა თავისუფლების განმსაზღვრელია კერძო ავტონომია, რომელსაც სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი აღიარებს და სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილეებს ფართო შესაძლებლობებს სთავაზობს, ანიჭებს რა მათ კანონით აუკრძალავი ნებისმიერი მოქმედების განხორციელების საშუალებას.

ხელშეკრულების თავისუფლებისა და კერძო ავტონომიის ყველაზე მეტ გამოხატულებას ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლად განსაზღვრის შესაძლებლობა წარმოადგენს. ანუ, კონტრაქტთა შესაძლებლობა, მათი ურთიერთმფარავი ნების შესაბამისად და კანონის ფარგლებში, თავისუფლად შეთანხმდნენ ნებისმიერ პირობაზე იმის მიხედვით, თუ რა მიზნის მიღწევა სურთ მხარეებს ამ გარიგებით. ამასთან, მათ შეუძლიათ გაითვალისწინონ მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგები ხელშეკრულების შესრულების შესაძლო გართულების, არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში. დათქვან პასუხისმგებლობის შერაცხვის პირობები. უფრო მეტიც, ცალკეულ შემთხვევებში, გამორიცხონ ან შეზღუდონ საკუთარი პასუხისმგებლობა ხელშეკრულების შეუსრულებლობისას.

წინასწარი შეთანხმებით პასუხისმგებლობის შეზღუდვის ან/და გამორიცხვის შესაძლებლობას ხელშემკვრელ მხარეებს სსკ-ის 410-ე მუხლი

¹ ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 2011, გვ. 3.

ანიჭებს, რომლის შესაბამისად „ვალდებულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურებაზე წინასწარ უარის თქმა დაიშვება, თუ ეს გათვალისწინებულია კანონით, ან მხარეთა შეთანხმებით“.

უნდა აღინიშნოს, რომ მოხმობილი ნორმა ამ რედაქციით, საკანონმდებლო ცვლილების შედეგად, 2009 წლის 4 დეკემბერს ჩამოყალიბდა. ნორმის ძველი შინაარსი, მსგავს შეთანხმებას იმთავითვე ბათილად აცხადებდა. ამიტომ ხსენებული საკანონმდებლო ცვლილება თანამედროვე დოქტრინის არაერთგვაროვანი მიდგომის, დისკუსიის საგანი გახდა და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია იმ თვალსაზრისით, რომ, ასეთმა შეთანხმებებმა, შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ხელშეკრულების საფუძველს და წინააღმდეგობაში მოვიდეს ისეთ ფუნდამენტურ პრინციპთან, როგორცაა „pacta sunt servanda“ – „ხელშეკრულება უნდა შესრულდეს.“

ცხადია, ხელშეკრულების არსი და მიზანი მის შესრულებაშია, რასაც კონტრაქტების მბოჭავი ძალა განაპირობებს. ამიტომ, როდესაც საუბარია სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის შემზღუდავ და გამომრიცხავ გარემოებებზე, მას ყოველთვის თან სდევს მეორე ხელშემკვრელი მხარის ინტერესების უგულებელყოფის საფრთხე, რადგან ეს გარემოებები განსაზღვრავს საკანონმდებლო მოწესრიგებისგან განსხვავებულ წესებს, განსხვავებული ფორმატის შექმნის თვალსაზრისით. ზღვრის გავლება პასუხისმგებლობის შემზღუდავი გარემოებებისას კონტრაქტთა უფლებრივი ბალანსის შესანარჩუნებლად ძალიან საფრთხილო საკითხია. ეს ერთგვარად ჰგავს ვიწრო ბილიკზე სვლას ისე, რომ ერთმა სამართლებრივად არასწორმა ნაბიჯმა შესაძლოა განაპირობოს მხარეთა უფლებების რღვევა - ერთი მხრივ, მოვალე მხარის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებამ არ უნდა გამოიწვიოს მეორე კონტრაქტის უფლების უგულებელყოფა, იმის მიუხედავად, კრედიტორმა თავად განაცხადა თუ არა თანხმობა ასეთ დათქმაზე.

ზემოთქმულიდან იკვეთება, რომ საკითხი პრობლემატურია და საჭიროებს საფუძვლიან სამართლებრივ კვლევას, რათა გაირკვეს ხომ არ ქმნის აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება სახელშეკრულებო სამართლიანობის, კონტრაქტთა ინტერესთა ბალანსისა და წონასწორობის შენარჩუნების უგულებელყოფის საფრთხეს. უნდა დაუბრუნდეს თუ არა მოხმობილი ნორმის (სსკ-ის 410-ე მუხლის) შინაარსი ძველ რედაქციას თუ ცვლილების შედეგად მიღებული დეფინიცია დაიხვეწოს და სრულყოფილ იქნას.

საკითხის ასე დაყენება უფრო მეტად ლეგიტიმურ და აუცილებელ ხასიათს იღებს, რადგან სამოქალაქო კოდექსში გაბნეული, მთელი რიგი ცალკეულ ხელშეკრულებათა მომწესრიგებელი ნორმები პასუხისმგებლობის შეზღუდვისა და გამომრიცხვის შესაძლებლობას უშვებს, (მაგ., ქირავნობის

ხელშეკრულებაში 539-ე მუხ., რომელიც მხოლოდ განზრახი ბრალის არსებობის შემთხვევაში აწესებს პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ შეთანხმების ბათილობას. ასევე ტურიზმის ხელშეკრულებაში 664-ე მუხ., სადაც მოგზაურობის მომწყობს ტურისტთან შეთანხმებით შეუძლია შეზღუდოს თავისი პასუხისმგებლობა... და ა. შ.), რაც უცილობლად თანხვედრაში უნდა იყოს ზოგადი ხასიათის ვალდებულებითსამართლებრივ ნორმებთან.

ამდენად, ცალკეული შემთხვევების თავისებურებათა გათვალისწინებით, მიზანშეწონილია აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა - სრულყოფა, რომელიც ერთიან პრინციპს და წესს განსაზღვრავს პასუხისმგებლობის შეზღუდვისა და გამორიცხვის შესახებ შეთანხმებებთან დაკავშირებით. ხოლო მხარეთა პასუხისმგებლობის ფარგლების დადგენა, საკვლევი ნორმის გამოყენების სპეციფიკის განსაზღვრა, მნიშვნელოვნად უკავშირდება ხელშეკრულების სრულად და განუხრელად შესრულების საკითხს. სწორედ ეს წარმოადგენს ნაშრომის ძირითად **მიზანსა და ამოცანას**: - სრულყოფილი, დახვეწილი სახით ჩამოყალიბდეს თემაში განხილული პრობლემური სამართლებრივი ნორმები, რაც განაპირობებს ჰარმონიულ თანაარსებობას როგორც ვიწრო სამართლებრივ სივრცეში არსებულ ცალკეულ ინსტიტუტებთან, ასევე მომიჯნავე და სხვა სამართლის დარგებთან.

სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის გამორიცხვისა და შეზღუდვის პრობლემატიკის შესწავლა პირდაპირ მიემართება ვალდებულებითი სამართლის ცენტრალური მნიშვნელობის ისეთ ფუნდამენტურ კატეგორიებთან, როგორცაა: ვალდებულების წარმოშობა (ხელშეკრულების საფუძველზე), ვალდებულების შესრულება, ვალდებულებათა დარღვევა და თანმდევი მეორადი მოთხოვნები. აღნიშნული კი იმთავითვე განაპირობებს ნაშრომის მეცნიერულ და პრაქტიკულ ღირებულებას.

თემის აქტუალობა განსაკუთრებით იმაში ვლინდება, რომ მოცემული პრობლემა ჯერ კიდევ სადავოა როგორც იურიდიულ დოქტრინაში, ასევე სასამართლო პრაქტიკაში, რადგან ნათლად არაა განსაზღვრული სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის შერაცხვის მექანიზმები, ზიანის განსაზღვის ფარგლები... უფრო მეტიც, ქართულ სასამართლო პრაქტიკაში დღეისათვის ძალზედ მცირე დოზით მოიპოვება იმ სამართლებრივ ნორმათა განმარტებები, რომელიც შეეხება პასუხისმგებლობის შემზღუდავ და გამომრიცხავ გარემოებს, რაც ართულებს პრობლემის შესწავლას, თუმცა, მეორეს მხრივ, კიდევ უფრო მეტ აქტუალობას სძენს საკვლევ თემატიკას და განაპირობებს თემის კვლევის აუცილებლობას.

რაც შეეხება კვლევის მეთოდებს, ნაშრომში გამოყენებულია ისტორიული, შედარებითსამართლებრივი, ნორმატიული, ლოგიკური

კვლევის მეთოდები. გაანალიზებულია სასამართლო პრაქტიკა საკვლევ თემასთან მიმართებაში. შედარებითი კვლევის საფუძველზე განხილულია როგორც ქართული სამართლებრივი ნორმების ურთიერთმიმართება საკვლევ თემასთან, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლებრივი აქტები და მათი შედარებითი ანალიზი. კვლევა წარმოებულია უმეტესად გერმანულ სამართალთან მიმართებაში. ასევე ევროკავშირის დირექტივებთან. განხილულია უნიდროას პრინციპები, საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებების შესახებ კანონი და ა. შ.

ნაშრომის სტრუქტურა შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული: – თემა შედგება შესავლის, 4 თავის, დასკვნის და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისგან, სულ კომპიუტერზე ნაბეჭდი ა4 ფორმატის 170 გვერდი. შესავალში დასაბუთებულია საკვლევი პრობლემის აქტუალობა, მისი სამოქალაქოსამართლებრივ ნორმებთან ჰარმონიზაციაში მოყვანის აუცილებლობა.

პირველ თავში მიმოხილულია პასუხისმგებლობის შემზღუდავი და გამომრიცხავი გარემოებების პირველი ჩანასახები რომის სამართალში, რომელიც იმ ეპოქისთვის სახელშეკრულებო ვალდებულებას მეტად ცივილურ სახეს სძენს და მეტყველებს მის მაღალ სამართლებრივ მნიშვნელობაზე.

მეორე თავი შეეხება პასუხისმგებლობის შემზღუდავი და გამომრიცხავი გარემოებების მოწესრიგებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით საკანონმდებლო ცვლილებამდე და ცვლილების შემდეგ. განხილულია საკანონმდებლო ცვლილების მიზეზი და მიზანი, რომელმაც საკვლევი სამართლებრივი ნორმა თანამედროვე რედაქციით წარმოადგინა. მსჯელობა მოიცავს ცვლილების მნიშვნელობას და მიუთითებს მისი დახვეწის საჭიროებაზე. ამავე თავში განხილულია სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობისათვის მახასიათებელი პასუხისმგებლობის ფორმათა გრადაცია – მკაცრი, ბრალეული, მსუბუქი. გაანალიზებულია როგორც ანგლოამერიკული, ისე გერმანული სამართლებრივი ოჯახების ურთიერთმიმართება საკვლევ თემასთან. ეს თავი ასევე მოიცავს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის განხილვას პასუხისმგებლობის შემზღუდავ და გამომრიცხავ გარემოებებთან მიმართებაში.

მესამე თავში განხილულია შეუძლებელი შესრულების გარემოებები, რომლებიც ქმნიან პასუხისმგებლობის შეზღუდვის ან მისგან გათავისუფლების აბსოლუტურ საფუძველებს, ვინაიდან ასეთი გარემოებების დროს, ვალდებულების შეუსრულებლობა არ შეიძლება იყოს მიჩნეული დარღვევად. მაგ;-ფორსმაჟორი, შესრულების შეუძლებლობა, შესრულების ამაოების დოქტრინა და ა.შ. ასევე ნამსჯელია ტერმინების –„ვალდებულების

დარღვევისა“ და „ვალდებულების შეუსრულებლობას“ შორის ზღვრის გავლების შესაძლებლობაზე, როგორც პასუხისმგებლობის წარმოშობა – არწარმოშობის ძირითად ასპექტზე.

მეოთხე თავი აყალიბებს საკვლევი თემის შემხებლობას და ურთიერთმიმართებას სხვა სამართლებრივ დარგებთან და ინსტიტუტებთან. ასე, მაგ., საუბარია კეთილსინდისიერების პრინციპის გავლენაზე პასუხისმგებლობის შემზღუდავ და გამომრიცხავ გარემოებებთან; ეხება ხელშეკრულების სტანდარტულ პირობების განხილვას საკვლევი პრობლემასთან მიმართებაში, სადაც ზედმიწევნითაა შესწავლილი სტანდარტული პირობების ბათილობის საფუძვლები პასუხისმგებლობის შემზღუდავ და გამომრიცხავ გარემოებებთან მიმართებით; აგრეთვე, განხილულია საკვლევი თემის მიმართება სამოქალაქო საპროცესო სამართალთან, გარიგების ნამდვილობასთან, სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ნორმებთან, ვალის პატიებასთან... სადისერტაციო ნაშრომის აღნიშნული თავი ასევე მოიცავს სახელშეკრულებო ზიანს და მის ურთიერთმიმართებას პასუხისმგებლობის შემზღუდავ და გამომრიცხავ გარემოებებთან. აქვე განხილულია ის კანონისმიერი დათქმები პასუხისმგებლობის შეზღუდვის თაობაზე, რომლების გაბნეულია ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილის ცალკეულ ხელშეკრულებებში.

დასასრულს, ნაშრომის დასკვნით დებულებებში წარმოდგენილია კვლევის შედეგები და შემუშავებულია კონკრეტული საკანონმდებლო წინადადებები, რომელთა მიზანია სახელშეკრულებო ურთიერთობებში პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი ნორმების სრულყოფა, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს დახვეწილი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

ლიტერატურის მიმოხილვა

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი და განხილულია საკვლევ თემასთან დაკავშირებული ლიტერატურა, მის ირგვლივ არსებული სამართლებრივი წყაროები, რომლებიც უზრუნველყოფენ დასმული პრობლემის საფუძვლიან კვლევას.

საკვლევი პრობლემა გაანალიზებულია როგორც ეროვნული, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობაზე დაყრდნობით. საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი სასამართლო პრაქტიკის განხილვას, იმ თავისებურებებს და შეუსაბამობებს, რომლებიც სახელშეკრულებო ურთიერთობებში პასუხისმგებლობის შერაცხვისას გვხვდება. კვლევაში გაანალიზებულია სასამართლო პრაქტიკიდან მოყვანილი მაგალითები, რომლებიც კვეთაშია სადისერტაციო თემასთან- სახელშეკრულებო ზიანის მოთხოვნის გამორიცხვასა და შეზღუდვასთან, და რაც დაგვეხმარება შემდგომში მსგავს კატეგორიათა საქმეებზე სწორი, ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებასა და სრულყოფაში.

სადისერტაციო ნაშრომი აგებულია ძირითადად ქართული და გერმანული კანონმდებლობისა და ლიტერატურის შედარებითსამართლებრივ კვლევაზე. მასში სათანადოდაა შესწავლილი შესაბამისი ლიტერატურა, როგორცაა: კ. ცვაიგერტისა და ჰ. კოტცის „შედარებითი სამართალმცდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში,“ ა. ჰარკამპის „სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები“ ევროპული და შედარებითი სამართლის თარგმანები, ქართული სამართლის მიმოხილვა“, იან კროპჰოლერის გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, ბესარიონ ზოიძის „ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში“, ნუნუ კვანტალიანის „პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქოსამართლებრივი საფუძვლები“, ჭანტურია ლ, ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ. და სხვათა „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი“, ზურაბ ძლიერიშვილის „ვალდებულების შესრულება“. ასევე საკვლევ თემასთან დაკავშირებული უახლოეს პერიოდში დაცული დისერტაციები, როგორებიცაა: – ნინო ხუნაშვილის „კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში“, სერგი ჯორბენაძის „ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში“, სოფიო ჩაჩავას „მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში“, ნათია ჩიტაშვილის „შეცვლილი გარემოებების მისადაგება ვალდებულების შესრულებისა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე“. ასევე ამ და სხვა წამყვანი იურისტების სტატიები და მრავალი სხვ. ერთ-ერთი წამყვანი როლი დაეკისრა უნიდროას სახელშეკრულებო პრინციპებს, სადაც განსაკუთრებული თავისებურებებითაა

გადმოცემული სახელშეკრულებო ურთიერთობებში პასუხისმგებლობის შემზღვევად და გამომრიცხავ გარემოებათა რეგულირება.

კვლევაში ყურადღებაა გამახვილებული როგორც შედარებით ადრეული პერიოდის, ასევე მიმდინარე სამეცნიერო ნაშრომებსა და სტატიებზე. აღნიშნული ლიტერატურის განხილვით ნამსჯელია საკვლევ თემასთან დაკავშირებული ისტორიული ჩანასახების გავლენაზე მის თანამედროვე მოწესრიგებასთან.

სადისერტაციო ნაშრომში განხილულია საკვლევ თემასთან დაკავშირებული თითქმის ყველა ძირითადი წყარო და სამართლებრივი აქტი, ასევე წამყვანი სახელმწიფოების სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომებსა თუ კომენტარებში ასახული შეფასებები, რომლებმაც კვლევის ამ ფორმით ჩამოყალიბებაში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს.

თავი I პასუხისმგებლობის გამორიცხვისა და შეზღუდვის პრინციპის პირველი ისტორიული ჩანასახები

1.1 რომის სამართალი, როგორც პასუხისმგებლობის შემზღუდავ გარემოებათა სათავე

სამოქალაქო სამართლის თითქმის ყველა ინსტიტუტი, ყველა მიმართულება თუ კონკრეტული ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა, სათავეს რომის სამართლიდან იღებს, რომელიც, საუკუნეთა განმავლობაში დაიხვეწა სხვადასხვა ქვეყნების სამართლებრივი დოქტრინისა თუ პრაქტიკული მიდგომებისა და გადაწყვეტილებების განვითარების შედეგად, მაგრამ ჩანასახი, საფუძველი ამ სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგებისა, მაინც რომის სამართლიდან მომდინარეობს, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა სამოქალაქო სამართლის მთელი რიგი ინსტიტუტების თანამედროვე სახით ჩამოყალიბების, სრულყოფის პროცესში. ისტორიული საფუძვლების განხილვა, კერძოდ კი რომის ვალდებულებით-სამართლებრივი ნორმების უფრო დეტალურად გაანალიზება პასუხისმგებლობის შეზღუდვის ჭრილში, წარმოაჩენს ბევრ მნიშვნელოვან კანონზომიერებას, რაც საფუძვლად დაედო პასუხისმგებლობის გამორიცხვისა და შეზღუდვის პრინციპს და რომელსაც მივყავართ ამ პრინციპის ლოგიკურ განვითარებამდე.

ზოგადად, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამორიცხვისა და შეზღუდვის პირველი საფუძველი ანტიკურ რომს უკავშირდება, თუმცა, უნდა ითქვას, რომ პასუხისმგებლობის შეზღუდვის იდეის ჩანასახი ძველ ბაბილონშიც არსებობდა.²

როგორც აღინიშნა, სახელმწიფოებო ზიანის მოთხოვნის შემზღუდავი და გამომრიცხავი გარემოებები რომის სამართალში გვხვდება. ჯერ კიდევ ძველი რომის ვალდებულებითი სამართალი განიხილავს ისეთ ცნებებს, როგორცაა: „შესრულების შეუძლებლობის დადგომა“, „დაუძლეველი ძალის, ნების გარეშე, ობიექტური ფაქტორებით მოქმედება“, „შესრულების შეცვლის შესაძლებლობა“, „ალტერნატიული ვალდებულება“ „საკონტრაქტო რისკის გადანაწილება“³ და ა.შ., რომლებიც, თავისთავად, განიხილებიან სახელმწიფოებო პასუხისმგებლობის შემზღუდავ გარემოებებად.

ხელმწიფოებო რომის სამართალში მოიაზრებოდა, როგორც ორი ან მეტი პირის ისეთი შეთანხმება, რომელიც მათ შორის ვალდებულებას

² *utz*, *Babylonian Partnership*, 4j. *Econ. Hist. & Bus* 552, 1931, 563. გამოყენებულია ნონა ზუბიტაშვილის სადისერტაციო ნაშრომში პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისათვის საზოგადოების გადახდისუუნარობის დროს - გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან.

³ გარიშვილი მ., ხოფერია მ., რომის სამართალი, 2013, გვ. 358-359.

წარმოშობდა.⁴ ხელშეკრულების თავისუფლება პრინციპების დონეზე იმდროინდელ ეპოქაში იყო, რომელსაც, თავისთავად, იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი შეზღუდვები ჰქონდა.⁵

ძველი რომის სამართალში, კერძოდ, იუსტინიანუს პირველის (აღმოსავლეთი რომის იმპერატორი ახ. წ. აღ-ის 527-565 წლებში) ინსტიტუციებში განმარტებული იყო, რომ ვალდებულება არის სამართლებრივი ჯაჭვები, რომლებიც გვაძულებენ ვიმოქმედოთ ჩვენი სახელმწიფოს კანონების შესაბამისად.⁶ ხოლო ვალდებულება განხილული იყო, „უფრო როგორც კრედიტორის შესაძლებლობა, ვიდრე როგორც მოვალის ვალი.“⁷ მაგრამ კონტრაჰენტს მაინც ენიჭებოდა ამ საკმაოდ მკაცრი პასუხისმგებლობისგან „თავის დაღწევის“ ერთგვარი საშუალება, როცა ძველი რომის სამართლის მიხედვით იმ შემთხვევაში არ დგებოდა მოვალისათვის პასუხისმგებლობა, როდესაც „დაუძლეველ ძალას“ ან კონტრაჰენტის ნებისაგან დამოუკიდებლად (მისი კონტროლის ფარგლებს მიღმა) შექმნილ ვითარებას ჰქონდა ადგილი... იურისტები ასევე საუბრობდნენ „დაუძლეველ ძალაზე ან დაუძლეველ გარემოებაზე, რომელსაც ვერ შეეხებოდნენ ადამიანური სისუსტის გამო.“⁸

უნდა აღინიშნოს, რომ დაუძლეველი ძალის ვალდებულების ცნება, როგორც ბუნებრივ მოვლენებს (წყალდიდობა, მიწისძვრა, სიკვდილი) ასევე იურიდიულ ფაქტებსაც მოიცავდა. კერძოდ: სხვა პირთა მოქმედებებს, როგორცაა მაგ. მძარცველთა შემოჭრა ან მონათა გაქცევა⁹.

თუმცა ანტიკურ რომში ვალდებულება, ხელშეკრულება გულისხმობდა არა მხოლოდ ცივილურ ფორმას პასუხისმგებლობის გამორიცხვის ან, თუნდაც მისი შეზღუდვის თვალსაზრისით, არამედ საკმაოდ მკაცრ პირობებს სთავაზობდა ხელშემკვრელ მხარეებს. ძვ. წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში ცივილური ვალდებულების ცნების გამოსახატავად სიტყვა „nexum“—ს იყენებს. ლათინური ტერმინი „ნექსუმ“ ნიშნავდა ხელშეკრულებას დადებულს კრედიტორსა და დებიტორს შორის, სადაც დებიტორი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად საკუთარი, პირადი

⁴ როდინაძე კ., რომის კერძო სამართალი, პირველი გამოცემა, „შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ბათუმი 2009, გვ. 54.

⁵ Kaser M., Das römische Privatrecht, erster Abschnitt, C. H. Beck'sche Verlagsbuchhandlung, München, 1955, გვ. 463.

⁶ როდინაძე კ., რომის კერძო სამართალი, პირველი გამოცემა, შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ბათუმი 2009, გვ.51.

⁷ Inst.Iust.3.13.Pap.რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, გვ.168.

⁸ გარიშვილი მ, ხოფერია მ., რომის სამართალი, 2013, გვ. 409.

⁹ იქვე.

თავისუფლებით აგებდა პასუხს. ხელშეკრულების შეუსრულებლობას შესაძლოა მოჰყოლოდა დებიტორის დამონება.¹⁰ პირი, “nexum”-ის იურიდიული აქტის საფუძველზე, მეორე პირის სამართლებრივ ბორკილებში მოექცეოდა ხოლმე, ან შედიოდა მის ხელისუფლებაში. ეს უძველესი აქტი თვითმანციპაციის პროცედურას წარმოადგენდა და გულისხმობდა ერთი პირის შესვლას მეორის ხელისუფლებაში იმ მიზნით, რომ მოხდეს საკუთარი ან სხვისი ვალის გადახდის გარანტირება.¹¹ ასეთი მკაცრი მიდგომებით მოვალე ყოველთვის „სუსტი მხარის“ პოზიციაში იმყოფებოდა, რადგან როგორც აღინიშნა, მსგავსი იურიდიული აქტებით, „ვალდებულება განიხილებოდა უფრო როგორც კრედიტორის შესაძლებლობა, ვიდრე როგორც მოვალის ვალი.“¹²

რომის სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება ზეგავლენას ახდენდა ვალდებულებითი სამართლის ნორმების დახვეწაზე და წინ სწევდა სამართალგანვითარების დონეს. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის წინსვლამ დღის წესრიგში დააყენა საკითხი: უნდა აგოს თუ არა მევალემ პასუხი ყველა შემთხვევაში ვალდებულების შეუსრულებლობისათვის. თანდათან ჩამოყალიბდა შეხედულება, რომ მოვალემ პასუხი უნდა აგოს მხოლოდ ბრალეული შეუსრულებლობისათვის. უკვე ყურადღება ექცევა მოვალის ბრალს.¹³

1.2 ხელშეკრულება, როგორც მხარეთა შორის პასუხისმგებლობის განსაზღვრის საფუძველი

საინტერესოა ის მოცემულობა, რომ სწორედ ხელშეკრულება იყო მხარეთა შორის პასუხისმგებლობის განსაზღვრის საფუძველი. კიდევ უფრო ყურადსაღები ისაა, რომ ხელშემკვრელ მხარეებს შეეძლოთ დაეწესებინათ არა მხოლოდ მოვალის პასუხისმგებლობის მასშტაბი, არამედ ბრალის ის ხარისხიც, რომელიც პასუხისმგებლობას წარმოშობდა. ერთადერთი, როცა მევალე ვერც ერთ შემთხვევაში ვერ აიცილებდა პასუხისმგებლობას, ეს იყო ვალდებულების განზრახ შეუსრულებლობა.¹⁴ ეს კი სახელშეკრულებო ვალდებულებას მეტად ცივილურ და განვითარებულ ხასიათს სძენს, რადგან, მართალია უფრო კრედიტორის სურვილზე დამოკიდებული იქნებოდა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, პასუხისმგებლობის შემუბუქება-არშემუბუქების საკითხი, მაგრამ მხარეთა ნებაზე დამოკიდებულება - განსაზღვრონ რა თავიანთი პასუხისმგებლობა უშუალოდ ხელშეკრულების

¹⁰ ნადარეიშვილი გ., რომის სამოქალაქო სამართალი, 2007, გვ.106.

¹¹ გარიშვილი მ., ხოფერია მ., რომის სამართალი, 2013, გვ. 362.

¹² იქვე, გვ. 363.

¹³ ნადარეიშვილი გ., რომის სამოქალაქო სამართალი, 2007, გვ.106.

¹⁴ იქვე.

დადების მომენტისათვის, უკვე საკმაოდ წინ გადადგმული ნაბიჯია. ხოლო რაც შეეხება განზრახ ბრალს, ის ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურების ყველა შემთხვევას და გამორიცხავს გამონაკლისებს. განზრახი ბრალი სამოქალაქო პასუხისმგებლობის გარდაუვალი პრინციპია.¹⁵ ყოველი სახელმწიფოს სამართლებრივი განვითარების ნებისმიერ საფეხურზე სამართალშეფარდების დროს. ასე მაგალითად, „რეალური ვალდებულების“ შესრულებისას პასუხისმგებლობა ეკისრება იმ პირსაც, რომელსაც რაიმე ნივთი შესანახად მიაბარეს. მაგრამ იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში აგებს პასუხს, თუ მან წინასწარი განზრახვით რაიმე ჩაიდინა. ხოლო მისი გაუფრთხილებლობითი ბრალის გამო იგი პასუხს არ აგებს და პასუხისმგებლობისგან თავისუფალია პირი, რომელსაც ნივთზე არასაკმარისი მეთვალყურეობის შედეგად ეს ნივთი მოჰპარეს, ვინაიდან იმ პირმა, რომელმაც ნივთი შესანახად დაუდევარ მეგობარს გადასცა, მისი დაკარგვა საკუთარ ქარაფშუტობას უნდა დააბრალოს¹⁶

სტიპულაციით (Stipulatio- ხელშეკრულება) კი კრედიტორს (Creditor) უფლება ჰქონდა მოვალისაგან (Debitor) მოეთხოვა მხოლოდ თავდაპირველი ვალის დაბრუნება. ანუ არ ჰქონდა უფლება მოვალისაგან (Debitor) მოეთხოვა არც პროცენტების გადახდა და არც იმ ზარალის ანაზღაურება, რაც მოვალის (Debitor) მიერ საკუთარი ვალდებულების არშესრულებამ გამოიწვია.¹⁷ აქ უკვე აღარ ენიჭება მნიშვნელობა ბრალის ფორმას. როგორც აღნიშნულია, მევალეს, ბრალის ფორმის მიუხედავად, მხოლოდ ძირითადი ვალდებულების მოთხოვნის უფლება აქვს. ეს კი მოვალის პასუხისმგებლობას მნიშვნელოვნად ზღუდავს.

რომაელმა იურისტებმა საკმაოდ კარგად განსაზღვრეს სახელშეკრულებო ზიანის მოთხოვნის გამორიცხვისა და შეზღუდვის საფუძვლები დაუძლეველი ძალის და დაუძლეველი შემთხვევის არსებობისას. ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევათა დაყოფისას, განზრახ („დოლუს“) და გაუფრთხილებელ („კულპა“) მოქმედებებთან ერთად განხილული იქნა შემთხვევები, როცა „ვალდებულება არ შესრულებულა თვით მოვალე პირის მხრივ ბრალის გარეშე მოვალისაგან დამოუკიდებელი შემთხვევის თუ დაუძლეველი ძალის გამო.“¹⁸ აქედან „შემთხვევა“- „კაზუსი“ (casus) ეს ის იყო, რისი წინასწარმეტყველებაც შეუძლებელი იყო. თუ

¹⁵ სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ., სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა, 2016, გვ. 118.

¹⁶ Inst. Iust. 3.13.Pap. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, სამიუბელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, 2002. გვ.170.

¹⁷ როდინაძე კ., რომის კერძო სამართალი, 2009, გვ. 56.

¹⁸ ნადარეიშვილი გ., რომის სამოქალაქო სამართალი, 2007, გვ. 107.

ხელშეკრულების პირობების დარღვევა გამოწვეული იყო შემთხვევის მოქმედებით, მაშინ მოვალე თავისუფლდებოდა პასუხისმგებლობისაგან.¹⁹ განსხვავებით შემთხვევისაგან, დაუძლეველი ძალის (vis major)-(წყალდიდობა, მიწისძვრა, ომი და ასე შემდეგ) აცილება შეუძლებელი იყო თუნდაც, რომ დაუძლეველი ძალის მოქმედების დაწყების შესახებ წინასწარ ყოფილიყო ცნობილი. თუ ხელშეკრულების პირობების დარღვევა გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალის მოქმედებით, მოვალე ასევე თავისუფლდებოდა პასუხისმგებლობისაგან.²⁰ ასე მაგალითად, რეალური (ნივთის მიცემის) ვალდებულების დროს, იმ პირს, რომელიც (უსასყიდლო) სარგებლობის უფლებით ნივთს მიიღებს, რასაკვირველია ევალება, რომ ამ ნივთის შენახვისთვის დიდი გულმოდგინება გამოიჩინოს, მაგრამ „დაუძლეველი ძალის“ (vis major) თუ „დაუძლეველი შემთხვევის“ (major casus) გამო იგი პასუხს არ აგებს თუკი ეს შემთხვევა ისე მოხდა, რომ ამაში ბრალი არ მიუძღვის.²¹ სწორედ „შემთხვევასთან“ და „დაუძლეველ ძალასთან“ იყო დაკავშირებული ნარდობის ხელშეკრულებაში რისკის ტვირთის გადასვლის საკითხი. აღსანიშნავია, რომ რომის კერძო სამართალში გაბატონებული პოზიცია ეკავა იმ მოსაზრებას, რომ მენარდეს ეკისრებოდა შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი შემკვეთისათვის ნივთის გადაცემამდე. სავარაუდოა, რომ რომელი იურისტებს მხედველობაში ჰქონდათ არა შემთხვევითობა, არამედ დაუძლეველი ძალის (სტიქია) მოქმედება, რომლის შედეგებსაც აკისრებდნენ შემკვეთს. იავოლენი დიგესტებში შემკვეთს აკისრებს რისკს იმ შემთხვევაში, თუკი ბუნების ძალებით, მაგალითად მიწისძვრის შედეგად, ნაწილობრივ განადგურდება მენარდის მიერ აშენებული შენობა-ნაგებობა. ანუ, თუ შემკვეთისათვის გადაცემამდე შესრულებული სამუშაო დაიღუპება ან განადგურდება დაუძლეველი ძალის შედეგად, ყველა არახელსაყრელი შედეგი დგება მხოლოდ შემკვეთისათვის.²² ეს ყოველივე კი, მსგავს შემთხვევებში, მოვალის პასუხისმგებლობის სრულ გამორიცხვაზე მიუთითებს.

ასე რომ, როგორც ზემოთ ითქვა, პასუხისმგებლობის შეზღუდვის, ან/და მისგან გათავისუფლების გარემოებათა პირველი ჩანასახები ჯერ კიდევ რომის სამართლებრივ წიაღში გვხვდება. ეს გარემოებები, როგორც ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის ერთ-ერთი გამოვლინება, რომის ეპოქაშიც იყო, თუმცა გასაკვირი არაა, რომ ამ ეპოქისთვის მახასიათებელი შეზღუდვები თან სდევდა. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ რომის სამართალი ითვალისწინებდა

¹⁹ როდინაძე კ., რომის კერძო სამართალი, 2009, გვ. 63.

²⁰ იქვე.

²¹ იქვე.

²² ძლიერიშვილი ზ., ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 15-16.

არა მხოლოდ პასუხისმგებლობის გამომრიცხავ და შემზღუდავ ისეთ ფაქტორივ გარემოებებს, როგორცაა: - „შესრულების შეუძლებლობის დადგომა“, „დაუძლეველი ძალის, ნების გარეშე“ და ა. შ..., რომლებიც დარღვევად არ განიხილებიან; რომის სამართალი ითვალისწინებდა იმასაც, რომ სწორედ ხელშეკრულება იყო მხარეთა შორის პასუხისმგებლობის განსაზღვრის საფუძველი, სადაც ხელშემკვრელ მხარეებს შეეძლოთ დაეწესებინათ არამხოლოდ პასუხისმგებლობის მასშტაბი, არამედ ბრალის ის ხარისხიც, რომელიც პასუხისმგებლობას წარმოშობდა (რა თქმა უნდა, განზრახი ბრალის გამოკლებით). ეს კი, იმ ეპოქისათვის სახელშეკრულებო ვალდებულებას მეტად ცივილურ სახეს სძენს და ი საუკუნეთა განმავლობაში, განვითარების შემდგომ ეტაპებზე ამ პრინციპის სამართლებრივად დახვეწის და სრულყოფილად წარმოდგენის შესაძლებლობას იძლევა.

თავი II პასუხისმგებლობის შემზღუდავი და გამომრიცხავი გარემოებების მოწესრიგება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით

2.1 პასუხისმგებლობის შემზღუდავი და გამომრიცხავი გარემოებების მოწესრიგება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით საკანონმდებლო ცვლილებამდე და ცვლილების შემდეგ

2.1.1 საკანონმდებლო ცვლილების მიზეზი და მიზანი

სახელშეკრულებო ზიანის მოთხოვნის შეზღუდვა და გამომრიცხვა, ძირითადად, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნორმის, კერძოდ: - სამოქალაქო კოდექსის 410-ე მუხლის დეფინიციითაა განსაზღვრული. მოცემული მუხლით ვალდებულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე წინასწარ უარის თქმა დაიშვება, თუ ეს გათვალისწინებულია კანონით ან მხარეთა შეთანხმებით²³ აღნიშნული დანაწესი წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 2009 წლის 4 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებას, რომელიც არსებითად ცვლის საკითხის გადაწყვეტის გზას, ვინაიდან სსკ-ის 410-ე მუხლის ძველი რედაქცია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე წინასწარ უარის თქმას დაუშვებლად აცხადებდა და ხელშეკრულების ბათილობის საფუძველს ქმნიდა. ცვლილება ემსახურება იმ მიზანს, რომ განაპირობოს მხარეთა ინტერესთა ბალანსის ის მოცემულობა, რომ, ერთი მხრივ, დაიცვას ხელშემკვრელი, ვალდებული მხარე ზედმეტი, გაუმართლებელი პასუხისმგებლობისაგან, მაგრამ, ამავდროულად, ეს არ უნდა მოხდეს კრედიტორის ინტერესების საწინააღმდეგოდ. თუმცა, თუ ამ მოცემულობას განსხვავებული რაკურსით შევხედავთ, სამართლებრივად რთულია იმის გააზრება, რომ კანონი ხელშემკვრელ მხარეს (მოვალეს) ხელშეკრულების დადების ეტაპზე აღჭურვავს შესაძლებლობით - ერთგვარად თავი აარიდოს, დაეხსნას პასუხისმგებლობას. ასეთი ხედვით, მსგავსი შეთანხმებები, შესაძლოა არარეალურად, განუხორციელებლად ჩაითვალოს, რადგან თუკი გარიგების დადებისთანავე მოვალე უფლებამოსილია შეთანხმებაზე საკუთარი პასუხისმგებლობის გამომრიცხვის ან/და შესუბუქების კანონისმიერი შესაძლებლობით, ეს არათანაბარ პირობებში აყენებს მოთხოვნაზე უფლებამოსილ მხარეს და განუხორციელებლობის დამდას ადებს თავად ხელშეკრულებას. ამ გარემოების ასეთ ჭრილში განხილვა „იმას ნიშნავს, რომ ვალდებულების შესრულება მოვალის ნებას დავუქვემდებაროთ.

²³ თუმცა ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილის ცალკეულ ხელშეკრულებებში გვხვდება სპეციალური საგამონაკლისო ნორმები, რომლებიც გულისხმობენ შეთანხმებებს პასუხისმგებლობის გამომრიცხვის თაობაზე კონკრეტულ ხელშეკრულებებთან მიმართებაში. რაც ქვემოთ დეტალურად იქნება განხილული (ავტ.).

ასეთ პირობებში მოვალე თავს უნდა ვალდებულად ჩათვლის უნდა – არა.²⁴ ყოველივე ეს არარად აქცევს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლით დადგენილ იმ ფუნდამენტურ დებულებას, რომლის მიხედვითაც ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.²⁵ მით უმეტეს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 410-ე მუხლის ძველი რედაქცია საკითხის მოწესრიგების აბსოლუტურად სხვაგვარ გზას გვთავაზობს. კერძოდ, ზემოხსენებული ნორმის შესაბამისად „დაუშვებელია ვალდებულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმა წინასწარი შეთანხმებით.“ ანუ ბათილ კატეგორიად აცხადებს იმპერატიულად განსაზღვრული ნორმით. როგორც ამ მუხლის ძველი რედაქციის კომენტარებშია განმარტებული: „ასეთი შეთანხმება ძირს უთხრის ვალდებულების ორგანულ ერთიანობას. ვალდებულება, რომლის სუბსტანციაც პასუხისმგებლობასთან ერთად ხორციელდება, აღნიშნული შეთანხმებით მის გარეშე რჩება. მსგავსი დათქმები ცივილისტური კატეგორიების დამახინჯებას იწვევენ.²⁶ კომენტარი უფრო შორს მიდის და განმარტავს, „რომ ასეთმა შეთანხმებამ შესაძლოა გამოიწვიოს აშკარა დისბალანსი მხარეთა მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შორის და არაეკვივალენტურ ბრუნვას შეუწყოს ხელი“.²⁷

აღნიშნული ნორმა წარმოადგენს ზოგად დებულებას, ე.წ. „ღია“ ნორმას, რაც შეიძლება გავრცელდეს სახელშეკრულებო სამართლის კერძო ნაწილით გათვალისწინებულ (მათ შორის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელ) ყველა ხელშეკრულებაზე. სამოქალაქო კოდექსის 410-ე მუხლის მეშვეობით, კანონმდებელი აწესრიგებს რიგ სამართლებრივ ურთიერთობებს, რაც „შესაძლებლობას იძლევა ნორმა მიესადაგოს სხვადასხვაგვარ ცხოვრებისეულ ურთიერთობებს, რომლებიც ხშირად გარემოებათა შესაბამისად იცვლება“.²⁸ ამით სამართლებრივი ბრუნვა უფრო სწრაფი, სტაბილური და უსაფრთხო, დახვეწილი და მოქნილი ხდება. ხოლო სამართლებრივი ბრუნვის უსაფრთხოება, სახელშეკრულებო ურთიერთობების მოწერიგების დახვეწილი საკანონმდებლო ბაზა, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს კონტრაქტის ინტერესების სამართლიანი განხორციელების შესაძლებლობას. უზრუნველყოფს კერძოსამართლებრივი პრინციპების

²⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მე-3, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, 2001, გვ. 391.

²⁵ სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ., სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, 2016, გვ.117.

²⁶ ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, 2005, გვ. 459.

²⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მე-3, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, 2001, გვ. 459.

²⁸ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, 55.

აღსრულებას, რაც სახელშეკრულებო წონასწორობის, ხელშეკრულების სუბიექტთა თანაზომიერ, რელევანტურ, უფლება-მოვალეობათა განხორციელების მიზანს ემსახურება. ამასთან, დახვეწილი და მოქნილი სამართლებრივი ინსტრუმენტების არსებობა კანონმდებლობაში, სადაო შემთხვევაში სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს დააბალანსოს მხარეთა ინტერესები.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული სამოქალაქო კოდექსი გერმანული სამოქალაქო კოდექსის ძირითად პრინციპებს იზიარებს, 410-ე მუხლს გერმანულ სამოქალაქო კოდექსში ანალოგი არ მოეძებნება, ანუ არაა მსგავს შემთხვევათა ანალოგიურ კონტექსტში მომწესრიგებელი ნორმა. გერმანული სამოქალაქო კოდექსი შეიცავს ისეთ ნორმებს, რომლებიც თავის თავში მოიცავს სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის შემზღუდავ და გამორიცხავ გარემოებებს და რომლებსაც ანალოგი მოეძებნებათ ქართულ კერძო სამართალშიც, თუმცა შესაძლოა რეგულაციები განსხვავებული იყოს. ასე მაგალითად: საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 394-ე ნაწილი პირველი–გერმანიის სამოქალაქო კოდექსი § 280; სსკ მ.394 მე-2; 394-ე მე-3 - გსკ §281.²⁹

2.1.2 საკანონმდებლო ცვლილების მიზეზი და მიზანი

საკითხის არსის სწორად წვდომისათვის ასევე საინტერესოა იმ საკითხის გარკვევა, თუ რა გახდა საფუძველი საკანონმდებლო ცვლილებისა, რომელმაც ძველი სამართლებრივი დათქმა აბსოლუტურად საპირისპიროდ შემოაბრუნა. აღნიშნულის გარკვევა კვლევას დაეხმარება იმის დადგენაში, თუ რა უნდა მივიჩნიოთ აღნიშნული ნორმის ძველი რედაქციის საკანონმდებლო ხარვეზად, რა არასასურველი სამართლებრივი შედეგი დგებოდა 410-ე მუხლის ძველი დათქმით და რა გაუმჯობესება მოჰყვა სამოქალაქო კანონმდებლობას აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ კანონპროექტზე საქართველოს პარლამენტის განმარტებითი ბარათი გვამცნობს, რომ „აღნიშნული ცვლილების გატარება განპირობებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განმტკიცებული სახელშეკრულებო ურთიერთობათა თავისუფლების პრინციპით, რასაც ეწინააღმდეგება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე წინასწარ უარის თქმის ამკრძალავი ნორმა.“³⁰

²⁹ კროპპოლერი ი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თბილისი, საიას იურიდიული ხელშეწყობის ფონდი, მთარგ. თორნიკე დარჯანია, ზურაბ ჭეჭელაშვილი, რედ.: ეთერ ჩაჩანიძე, თორნიკე დარჯანია, ლევან თოთლაძე, GIZ, 2014, გვ. 867.

³⁰ იხ. განმარტებითი ბარათი <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/82082> [12.04.2024]

სწორედ ესაა საკანონმდებლო ცვლილების მიზეზი და მიზანიც, რომ ერთიან სამართლებრივ ბადაში მოაქციოს ვალდებულებითი სამართლის როგორც ზოგადი, ასევე სამოქალაქო კოდექსში გაბნეული მსგავს შემთხვევათა მარეგულირებელი სპეციალური ნორმები, რომლებიც კონკრეტულ ხელშეკრულებათა საგამონაკლისო შემთხვევებად განიხილებიან და რიგ საკითხთა განსხვავებულად გადაწყვეტას გულისხმობენ. ეს კი წინააღმდეგობაში მოდიოდა სამოქალაქო კოდექსის 410-ე მუხლის ძველ რედაქციასთან. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ნორმის ძველი რედაქცია წინააღმდეგობრივი იყო სამოქალაქო კოდექსის 395-ე მუხლის მე-2 ნაწილთან მიმართებაში, რადგან ზიანის ანაზღაურების უფლება შეიძლება აღმოცენდეს ვალდებულების როგორც განზრახი, ისე გაუფრთხილებელი დარღვევის შედეგად. ამის გათვალისწინებით, მხარეთა ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც გამორიცხავს მხარის პასუხისმგებლობას, როგორც განზრახი ისე გაუფრთხილებელი მოქმედებისათვის, შეიძლება განხილული ყოფილიყო, როგორც სსკ-ის 410-ე მუხლის (ძველი რედაქციის) დარღვევად, მაშინ, როდესაც 395-ე მუხლის მეორე ნაწილი, 410-ე მუხლის (ძველი რედაქციის) საპირისპიროდ, დასაშვებად მიიჩნევს შეთანხმებას გაუფრთხილებლობით ვალდებულების დარღვევისას პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესახებ.³¹ ამ ვალდებულებითსამართლებრივი ზოგადი ნორმების არარელევანტურობა, არათანაფარდობა მნიშვნელოვან დისკომფორტს ქმნიდა რიგ პრობლემატურ საკითხთა გადაწყვეტისას. ამასთან, გასათვალისწინებელია მთელი რიგი კერძოსამართლებრივი, ცალკეულ ხელშეკრულებათა მომწესრიგებელი ნორმები, რომლების ასევე არ არიან თანხვედრაში 410- მუხლის ძველ რედაქციასთან. ასე მაგალითად; სამოქალაქო კოდექსის 497-ე მუხლით კანონმდებელმა დაუშვა პასუხისმგებლობის შესახებ შეთანხმების შესაძლებლობა. კერძოდ, მოცემული ნორმით უშუალოდაა გათვალისწინებული გამყიდველის პასუხისმგებლობის შეზღუდვისა და გამორიცხვის შესაძლებლობა ნაკლიანი ნივთის გაყიდვისას. ხოლო 410-ე მუხლის ძველი რედაქციით, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ყველა წინასწარი დათქმა, რომელიც ხელშემკვრელ მხარეთა პასუხისმგებლობას გამორიცხავს ან ზღუდავს, ბათილადაა მიჩნეული. როგორც ვხედავთ, მნიშვნელოვანი აცდენაა სახელშეკრულებო სამართლის ზოგად და კერძო ნორმებს შორის. მართალია, უზოგადესი სამართლებრივი პრინციპის თანახმად, ზოგადსა და სპეციალურ ნორმას შორის პრობლემის განსხვავებული მიდგომისას, სპეციალური ნორმა გამოიყენება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ზოგადი და სპეციალური ნორმის სამართლებრივი ხედვის

³¹ ჩიტაშვილი ნ., ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის, სამართლის ჟურნალი N1, 2009, გვ.155.

განსხვავებულობა მნიშვნელოვან დისბალანსს ქმნის ვიწრო სამართლებრივ სივრცეში. მითუმეტეს, რომ სახელშეკრულებო სამართლის კერძო ნაწილში საკმაოდ ბევრი ნორმაა, რომელიც ასევე პასუხისმგებლობის შეზღუდვისა და გამორიცხვის შესაძლებლობას უშვებს. მაგალითად: ქირავნობის ხელშეკრულებაში მუხლი 539, რომელიც მხოლოდ განზრახი ბრალის არსებობის შემთხვევაში აწესებს პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ შეთანხმების ბათილობას. ასევე ტურიზმის ხელშეკრულებაში მუხლი 664, სადაც მოგზაურობის მომწყობს, ტურისტთან შეთანხმებით შეუძლია შეზღუდოს თავისი პასუხისმგებლობა... და ა. შ.

ამდენად, მიზანშეწონილი იყო, ცალკეულ შემთხვევების თავისებურებათა გათვალისწინებით, მომხდარიყო აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა-სრულყოფა, რომელიც ერთიან პრინციპს და წესს განსაზღვრავს პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ შეთანხმებებთან დაკავშირებით, რაც განხორციელდა კიდევ აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებით. თუმცა განსახილველი თემა უკავშირდება იმ მიზანს, რომ სრულყოფილად იქნას გამოკვლეული რამდენად შეძლო საკანონმდებლო ცვლილებამ კერძო და სამართლებრივ ნორმათა ჰარმონიზაცია, სამართლის საერთო პრინციპებთან თანხვედრა და რელევანტურობა. ხომ არ არის საკანონმდებლო ხარვეზი დასმული საკითხის ნორმატიულ მოწესრიგებაში, რაც, ვფიქრობ, საკვლევი თემის სრულყოფილად გამოკვლევის, ნაშრომის საბოლოო სახით ჩამოყალიბებისას უნდა გამოიკვეთოს.

2.2 „მკაცრი“, „ბრალეული“ და „რბილი“ პასუხისმგებლობა სახელშეკრულებო სამართალში

სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა იურიდიული პასუხისმგებლობის ერთ-ერთი სახეა და წარმოადგენს სახელმწიფოებრივი იძულების ერთ-ერთ ფორმას, რაც გამოიხატება სამართლის მიერ სამართალდამრღვევის მიმართ ქონებრივი სანქციის დაწესებით, რომელიც იწვევს მისთვის არახელსაყრელი შედეგების დადგომას და მიმართულია დაზარალებულის ქონებრივი უფლებების აღდგენისაკენ.³² პროფესორ ჯ. ხეცურიანის განმარტებით, ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს პირის კეთილდღეობის შემცირებას ან განადგურებას ქონებრივი ან არაქონებრივი ხასიათის უარყოფითი შედეგების დადგომას.³³ მაგრამ სამოქალაქო პასუხისმგებლობა, ანუ პასუხისმგებლობა ერთი კონტრაქტისა – მეორის წინაშე, სამართალდამრღვევისა – დაზარალებულის წინაშე დაკავშირებულია არა პიროვნული თავისუფლების ბოჭვასთან, როგორც ისტორიულ წარსულში,

³² Гражданское право (Т-1) 2-е изд. Под Ред. Суханова Е. А., М., 2003, 431.

³³ ხეცურიანი ჯ., სამოქალაქო სამართლის ფუნქციები, 1995, გვ.108.

არამედ მხოლოდ მოვალის ქონების შემცირებასთან.³⁴ კერძო სამართალი ეფუძნება პრინციპს, რომლის თანახმადაც ჰორიზონტალურ ურთიერთობაში მყოფი პირები თავად წყვეტენ პასუხისმგებლობის საკითხს. მაგ. სახელშეკრულებო ურთიერთობაში მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევა არ იწვევს ავტომატურ პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაშიც თუ ვალდებულების დარღვევისათვის გათვალისწინებული იყო პირგასამტეხლო, სანამ კრედიტორი არ მოითხოვს ზიანის ანაზღაურებას ან პირგასამტეხლოს გადახდას, მოვალის ქონებრივი პასუხისმგებლობა ფაქტობრივად არ დგება. სხვაგვარად, მოვალის პასუხისმგებლობას იწვევს კრედიტორის მიერ მოთხოვნის განხორციელება, თუმცა კრედიტორს გააჩნია მოთხოვნის უფლება და არა მოთხოვნის ვალდებულება³⁵ მაგრამ ის ფაქტი, რომ სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა არაა დაკავშირებული „თავისუფლების ბოჭვასთან“, დამოკიდებულია კრედიტორის მოთხოვნაზე და მხოლოდ ზიანის მიმყენებლის ქონებრივ დანაკარგებთან ასოცირდება, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სამოქალაქოსამართლებრივი, უფრო ზუსტად კი სახელშეკრულებოსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ შეიძლება იყოს მკაცრი.

სახელშეკრულებო სამართალი იცნობს ე. წ. „მკაცრი“ პასუხისმგებლობის პრინციპს. იგი ითვალისწინებს ვალდებულების მკაცრი სიზუსტით ხელშეკრულების შესატყვის შესრულებას. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შედეგის მიუღწევლობა ვალდებულების დარღვევას აფუძნებს შესაბამისი პასუხისმგებლობით.³⁶ მკაცრი პასუხისმგებლობის ძალით, ხელშეკრულება განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის უპირობო განხორციელების გარანტიად და ქმედით სამართლებრივ მექანიზმად განიხილება.³⁷

მკაცრი პასუხისმგებლობის პრინციპს უმთავრესად ანგლოამერიკული სამართალი დაემყარა.³⁸ რომლის საფუძველზეც ისტორიულად საერთო

³⁴ ქოჩაშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, სამართლის ჟურნალი 2004. N1, გვ.81.

³⁵ ზუბიტაშვილი ნ., პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისათვის საზოგადოების გადახდისუუნარობის დროს - გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად; 2016, გვ. 38.

³⁶ Zweigert K., Kotz H., Introduction to Comparative Law, Volume 2 – The Institutions of Private Law, 2nd Revised ed., Translated from German by Weir T., Oxford, Glendon Press, 1987, 187.

³⁷ ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე“ (შედარებითი ანალიზი) 2015, გვ. 45.

³⁸ Beale H., Hartkamp A., (eds), cases, materials and text on Contract law, Oregon, Hart Publishing Oxford and Portland, 2002, 1. მითითებულია (ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე (შედარებითი ანალიზი) 2015, გვ.44.

სამართალი ყველა სახელშეკრულებო პირობას გარანტიის ძალას ანიჭებდა. ეს მნიშვნელოვნად განსხვავდება გერმანული და ფრანგული სამართლებრივი სისტემებისაგან, რომლებიც ბრალეული სამართლის მიმდევარია. გერმანული სამართლებრივი ოჯახის ქვეყნებში მოქმედებს ე.წ. „ბრალის პრინციპი“. მის თანახმად, მხარე თავისუფლდება სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების გადავადებისთვის პასუხისმგებლობისგან თუ დაამტკიცებს, რომ გამოავლინა გონიერი ადამიანის კეთილსინდისიერება. ფრანგული სამართალი უფრო მკაცრად არეგულირებს სიტუაციებს, როდესაც მოვალემ უნდა შეასრულოს „შედეგის მიმღები ვალდებულებები“. პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისათვის მან უნდა დაამტკიცოს, რომ „ფორს-მაჟორულმა“ ან „გაუთვალისწინებელმა გარემოებებმა“ ხელი შეუშალეს ხელშეკრულების შესრულებაში. კიდევ უფრო მკაცრია საერთო სამართლის დამოკიდებულება. მისთვის დამფუძნებელია პრინციპი, რომ მოვალე სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების გარანტიას იძლევა.³⁹

ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი, როგორც რომაული სამართლებრივი აზროვნების ერთ-ერთი ფასეული ელემენტი, საყოველთაოდ აღიარებულია როგორც სახელშეკრულებო ისე დელიქტურ სამართალში.⁴⁰ თუმცა ამ წესიდან გამონაკლისები რომაულ სამართალშიც გვხვდება. კერძოდ კი, ნარდობის ხელშეკრულებაში ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის ელემენტები. რომის კერძო სამართლის მიხედვით, მენარდეს სამუშაოს შესასრულებლად შეეძლო გამოეყენებინა სხვა პირთა შრომაც (ქვენარდობა), თუმცა მათი ბრალეული ქმედებისათვის პასუხს მაინც მენარდე აგებდა შემკვეთის წინაშე. წყაროებში მოყვანილია ასეთი კაზუსი: მენარდემ ვალდებულება იკისრა გადაეტანა ძეგლი ერთი ადგილიდან მეორეზე. აწევსას, გადატანისას, ანდა სხვა ადგილზე დადგმისას ძეგლი დაზიანდა. იურისტი ასეთ შემთხვევაში პასუხს დააკისრებს მენარდეს თუკი დამტკიცდება, რომ მენარდეს ან მის მიერ გამოყენებულ დამხმარე პირებს ამაში ბრალი მიუძღვით. ანუ პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის საკმარისია მენარდეს ან მის დამხმარე პირებს მიუძღოდეთ ბრალი და არ არის საჭირო რომ ბრალი მიუძღოდეს მენარდესაც და მის დამხმარე პირებსაც.⁴¹

³⁹ ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., „შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი მ-2, 2001, გვ.203.

⁴⁰ Варкалло В., Об ответственности по гражданскому праву, М., 1978, 100.

⁴¹ Римское частное право под ред. И.Б. Новицкого и И.С. Перетерского.М., 1996, ст. 46.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ერთგული დარჩა პასუხისმგებლობის კლასიკური, ევროპული სამართალში მოცემული ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპისა.⁴²

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 395-ე მუხლის პირველი ნაწილი სწორედ ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს განამტკიცებს აწესებს რა მოვალის მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრებას განზრახი ან გაუფრთხილებელი ბრალის არსებობის შემთხვევაში. ეს დათქმა ახლოსაა და საკმაოდ მიესადაგება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 276-ე მუხლის პირველ პარაგრაფს, რომლის შესაბამისად, მოვალე პასუხს აგებს განზრახვისა და გაუფრთხილებლობისას, თუ დადგენილი არ არის უფრო მკაცრი ან უფრო მსუბუქი პასუხისმგებლობა, ან იგი არ გამომდინარეობს ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის შინაარსიდან“.⁴³ ანუ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის თანახმად, უფლებებისა და ვალდებულებების საწინააღმდეგო ქმედება მოვალეს მხოლოდ ბრალეულობის შემთხვევაში შეიძლება შეერაცხოს. პრაქტიკული თვალსაზრისით, უმნიშვნელოა განსხვავება იმ სამართლებრივ სისტემებთან მიმართებაში, რომლებიც ეფუძნებიან საგარანტიო პასუხისმგებლობას მისგან გათავისუფლების შესაძლებლობების გათვალისწინებით, ვინაიდან გერმანულ სამართალში ბრალეულობა ივარაუდება, ხოლო მტკიცების ტვირთი ეკისრება მოვალეს. ამის მიუხედავად, მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება ტოვებს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის გამოყენების შესაძლებლობას⁴⁴ უფრო კონკრეტულად, გერმანიის სამოქალაქო კანონმდებლობით, მოვალე ვალდებულებითი ურთიერთობის შინაარსიდან გამომდინარე, მიწოდების რისკის მატარებელია, როგორც წესი, გვაროვნული საგნით შესრულებული ვალდებულებებისა (მუხლი 243) და ფულადი ვალდებულებების შემთხვევაში (მუხლი 275). იგი მაშინაც აგებს პასუხს, როცა მისი ბრალისაგან დამოუკიდებლად ვერ ასრულებს ვალდებულებას.⁴⁵ მაგ., 279-ე პარაგრაფის მიხედვით, თუ ხელშეკრულებაში საუბარია გვაროვნული ნიშნებით განსაზღვრულ ნივთებზე მოვალე პასუხისმგებელია ხელშეკრულების „შეუძლებლობის“ გამო მისი და/ან მისი თანაშემწეების (აქ უკვე იკვეთება პასუხისმგებლობა სხვისი – მესამე პირის ბრალისათვის.

⁴² ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სისტემა; ჟურ. ქართული სამართლის მიმოხილვა, 1998, პირველი პარაგრაფი, გვ. 28.

⁴³ კროპპოლერი ი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თბილისი, საიას იურიდიული ხელშეწყობის ფონდი, მთარგ. თორნიკე დარჯანია, ზურაბ ჭეჭელაშვილი, რედ.: ეთერ ჩაჩანიძე, თორნიკე დარჯანია, ლევან თოთლაძე, GIZ, 2014, გვ. 276.

⁴⁴ კროპპოლერი ი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თბილისი, საიას იურიდიული ხელშეწყობის ფონდი, მთარგ. თორნიკე დარჯანია, ზურაბ ჭეჭელაშვილი, რედ.: ეთერ ჩაჩანიძე, თორნიკე დარჯანია, ლევან თოთლაძე, GIZ, 2014, გვ. 154.

⁴⁵ იქვე.

თ.ტ.–ავტ.) ბრალის არარსებობის დროსაც კი. თუ გარიგება დადებულია მკაცრად განსაზღვრული კაკაოს მიწოდების თაობაზე, ხოლო გამყიდველს საწარმოში სირთულეების, მის საწარმოში გაფიცვის ან მიმწოდებლის მიერ პირობის დარღვევის გამო არ შეუძლია მყიდველს ხელშეკრულებით დათქმულ ვადებში მიაწოდოს საქონელი, ვალდებულია ხელშეკრულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანი აანაზღაუროს თუნდაც არ იყოს დამნაშავე შესრულების ხელისშემშლელი გარემოებების წარმოქმნაში.⁴⁶

როგორც ზემოთ აღინიშნა, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი მკაცრ პასუხისმგებლობას უკავშირებს ე. წ. „გარანტიის აღებას“ (გარანტირებას), რაც უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს ხელშეკრულების საგნის თვისებების უზრუნველყოფას ნასყიდობის, ქირავნობის, ნარდობისა და ნივთთან დაკავშირებულ სხვა მსგავს ხელშეკრულებებში (§-442, 443, 444-ე). ამასთან, გარანტიის აღება შესაძლებელია კონკლუდენტურადაც. რაც გულისხმობს იმას, რომ მოვალე ხელშეკრულების ბოჭვის ფარგლებში შეთანხმებული თვისებების არსებობაზე გარანტიას იღებს საკუთარ თავზე და ამით ხაზს უსვამს საკუთარ მზადყოფნას, ამ თვისებების არარსებობის შემთხვევაში აანაზღაუროს ზიანი მაშინაც კი, როდესაც გარანტირებული თვისებების არარსებობა მისი ბრალით არაა გამოწვეული (მუხლი 276-ე, ნაწილი პირველი).⁴⁷ თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოვალის მიერ გარანტიის მიცემა, არ ნიშნავს იმავდროულად შეუზღუდავად მის უფრო მკაცრად პასუხისმგებლობას. მას შეუძლია ეს პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით შეზღუდოს. კანონი ადგენს, რომ აქ გათვალისწინებული უნდა იყოს ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი.⁴⁸ როგორც აღინიშნა, ქართული სახელშეკრულებო კანონმდებლობა ბრალეული პასუხისმგებლობის მიმდევარია. თუმცა ცნობს პასუხისმგებლობის უფრო მკაცრ ფორმებს, როგორცაა ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა.

ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა წარმოადგენს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპიდან გამონაკლისს. თუმცა მხარეთა შეთანხმებით დადგენილი ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა უნდა თავსდებოდეს ბრუნვის მონაწილისათვის წაყენებული სამართლიანობის,

⁴⁶ ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., „შედარებითი სამართალმცდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი მ-2, 2001, გვ.181.

⁴⁷ კროპპოლერი ი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თბილისი, საიას იურიდიული ხელშეწყობის ფონდი, მთარგ. თორნიკე დარჯანია, ზურაბ ჭეჭელაშვილი, რედ.: ეთერ ჩაჩანიძე, თორნიკე დარჯანია, ლევან თოთლაძე, GIZ,2014, გვ. 155.

⁴⁸ იქვე.

კეთილსინდისიერებისა და და ზნეობის მოთხოვნებში. ასეთ შემთხვევაში მხარე ვერ იქნება შეუძლებელი შესრულების რისკის მატარებელი.⁴⁹

სწორედ ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპიდან გამონაკლისია კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება, როცა კრედიტორი ვალდებულია ბრალის მიუხედავად აუნაზღაუროს მოვალეს საგნის შენახვის გამო წარმოშობილი ზედმეტი ხარჯები. ასევე მას ეკისრება ნივთის შემთხვევითი დაღუპვის რისკი, ამასთან, იგი პროცენტის მიღებაზეც კარგავს უფლებას.⁵⁰ ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს პასუხისმგებლობა მესამე პირის მოქმედებისათვის, რომლის ტიპური მაგალითია დავალების ხელშეკრულება. დავალების ურთიერთობებში მარწმუნებელი ბრალის მიუხედავად აგებს პასუხს იმ ზიანისთვის, რომელიც რწმუნებულს წარმოემოხა დავალებული მოქმედების შეუსრულებლობისას.⁵¹ ვინაიდან სსკ-ის 709-ე მუხლის შესაბამისად რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე. ანუ სახელშეკრულებო წარმომადგენლობით ურთიერთობებში წარმომადგენლის მოქმედებით გამოწვეული ზიანისათვის წარმოდგენილის პასუხისმგებლობა დადგება, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ წარმომადგენელი წარმოდგენილის სახელითა და ხარჯით მოქმედებს მათივე უფლებებისა და ინტერესების დასაცავად.⁵² ეს პრინციპი გამომდინარეობს ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნორმიდან (მ.396),⁵³ რომლის შესაბამისადაც „მოვალემ თავისი კანონიერი წარმომადგენლის ან იმ პირთა მოქმედებისათვის, რომელთაც იგი იყენებ საკუთარი ვალდებულების შესასრულებლად, ისეთივე მოცულობით უნდა აგოს პასუხი, როგორც საკუთარი ინტერესების დასაცავად. ხოლო სსკ-ის 397-ე მუხლით კი „მოვალე პასუხისმგებელია შესრულებისათვის მაშინაც, როცა საგანი სხვა პირისაგან უნდა მიეღო და ვერ მიიღო.“⁵⁴

მკაცრი პასუხისმგებლობის მაგალითად უნდა განვიხილოთ შესრულების დაკავების დროს წარმოშობილი პასუხისმგებლობა, ასევე პასუხისმგებლობა ხელშეკრულებიდან გასვლისას, როცა კრედიტორს უფლება აქვს 405-ე მუხლის წინაპირობათა არსებობის შემთხვევაში გავიდეს

⁴⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მე-3, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, 2001, გვ. 388.

⁵⁰ იქვე, გვ. 359.

⁵¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მე-3 2001, გვ. 409-410.

⁵² სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ., სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა; 2016, გვ. 384.

⁵³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 396,

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=130> [17.12.2023].

⁵⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 397,

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=130> [17.12.2023].

ხელშეკრულებიდან, მიუხედავად მოვალის ბრალისა.⁵⁵ კანონისმიერი მკაცრი პასუხისმგებლობა დადგენილია ასევე ნასყიდობის და ნარდობის ხელშეკრულებაში, როცა ფასის შემცირების უფლება კრედიტორს წარმოეშობა მიუხედავად მოვალის ბრალისა (სსკ-ის 492-ე, 645-ე მუხლები). იგივე წესი მოქმედებს ნაკლის გამოსწორების მოთხოვნასთან მიმართებითაც (სსკ-ის 490.1, 642.1, 643.1 მუხლები). მოვალე ვალდებულია დამატებით შეასრულოს, ანუ გამოასწოროს ნაკლი, მიუხედავად ბრალისა. მკაცრი პასუხისმგებლობა გვხვდება ქირავნობის ხელშეკრულებაში – თუ გაქირავებულ ნივთს აღმოაჩნდება ნაკლი, მაშინ დამქირავებელს ქირა შეუმცირდება იმ ოდენობით, რა ოდენობითაც შემცირდა ნივთის ვარგისიანობა ნაკლის გამო (სსკ-ის 536-ე მუხლი), იმავენაირად წყდება საკითხი იჯარის ხელშეკრულებაში (მუხლი 581.2). მკაცრი პასუხისმგებლობა ასევე ხშირია გადაზიდვის ხელშეკრულებაში (669-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების ურთიერთქმედებისას) და ა. შ.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ანგლოამერიკული, ისე გერმანული სამართლებრივი ოჯახი, ასევე საქართველო რიგ შემთხვევებში განამტკიცებს მკაცრი პასუხისმგებლობის პრინციპს, მაგრამ ამავდროულად, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსისა და სახელშეკრულებო ნორმათა დარღვევების სიმძიმის გათვალისწინებით, მკაცრი პასუხისმგებლობის გვერდით თანაარსებობს პასუხისმგებლობის უფრო რბილი, მსუბუქი ფორმები, რომელიც უფრო დახვეწილ სახეს სძენს სახელშეკრულებო სამართლით გათვალისწინებულ მსგავსი შემთხვევების მარეგულირებელ ნორმებს. ერთ-ერთ ნათელ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ვენის კონვენცია, რომლის თანახმად, პირს მიუხედავად მისი ბრალეულობისა, შეერაცხება მისი კონტროლის სფეროში განხორციელებული ქმედება.⁵⁶ თუმცა ვენის კონვენცია არ ითვალისწინებს შეუზღუდავ პასუხისმგებლობას, არამედ ადგენს მის გამომრიცხავ კრიტერიუმებს. ანუ უნიფიცირებული სამართალი ვენის კონვენციის სახით განამტკიცებს მკაცრი პასუხისმგებლობის პრინციპს, თუმცა, შესაბამისი წინაპირობების არსებობისას ცნობს პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესაძლებლობას.⁵⁷ იგივე შეიძლება ითქვას ქართულ სამოქალაქო კანონმდებლობაზეც. ვინაიდან, სახელშეკრულებო სამართალი აწესებს რა პასუხისმგებლობის ისეთ ფორმებს როგორცაა – ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა, პასუხისმგებლობა მესამე პირის ქმედებისათვის, ბრალეული პასუხისმგებლობა, ამავდროულად,

⁵⁵ ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, ჭანტურია ლ., (რედ.), მუხლი 405, ველი 28.

⁵⁶ ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე (შედარებითი ანალიზი) 2015, გვ. 57.

⁵⁷ იქვე, გვ. 58.

სამოქალაქო კოდექსის 410-ე მუხლით კონტრაქტებს ანიჭებს უფლებამოსილებას კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში შეთანხმდნენ პასუხისმგებლობის შემზღუდავ და გამომრიცხავ გარემოებებზე.

ამდენად, ეტაპობრივად განხორციელდა მკაცრი პასუხისმგებლობის „შემსუბუქება“, დაჯგუფება, შერევა, შეერთება ბრალეულ პასუხისმგებლობასთან. ამასთან, უფრო მსუბუქი, მაგრამ ქმედითი სამართლებრივი ნორმების შემუშავებამ შესაძლებელი გახადა ერთიან სამართლებრივ სივრცეში როგორც „მკაცრი“ ასევე უფრო მსუბუქი-„რბილი“ სამართლებრივი ნორმების თანაარსებობა მხარეთა ინტერესთა ბალანსის დაცვის თვალსაზრისით. ამასთან, პასუხისმგებლობის ასეთი გრადაციის მიუხედავად- „მკაცრი“, „ბრალეული“ თუ „მსუბუქი“, ყველა შემთხვევაში, ზიანის შერაცხვის მიზანი საბოლოოდ მაინც ერთი უნდა იყოს – ადადგინოს სამართლებრივი პინის ორივე მხარე თანაბარ ნიშნულამდე.

2.3 ხელშეკრულების თავისუფლება და პასუხისმგებლობის შემზღუდავ და გამომრიცხავ გარემოებათა ფარგლები

ნებისმიერი ქვეყნის კანონმდებლობის მიზანია სახელშეკრულებო თავისუფლება ხელშემკვრელ მხარეთა თანასწორობის, თანაბრობის პრინციპს დაუქვემდებაროს. ქართული სამოქალაქო კანონმდებლობა ლოგიკურად ურთიერთდაკავშირებული ცნებებისა და ინსტიტუტების სისტემის საფუძველზე აწესრიგებს პირთა თანასწორობასა ნების ავტონომიაზე დამყარებულ ურთიერთობებს.⁵⁸ კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში მოქმედი ნების ავტონომიისა და თუ მოქმედების თავისუფლების პრინციპი გულისხმობს, რომ ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ განახორციელონ ნებისმიერი სამართლებრივი მნიშვნელობის ქმედება, რომელიც კანონს არ ეწინააღმდეგება.⁵⁹ სახელშეკრულებო თავისუფლება ბრუნვის მონაწილის დამოუკიდებლობის განსაკუთრებული გამოვლინებაა. იგი სამართლის სუბიექტს კერძოსამართლებრივ სივრცეში თავისუფალი მოქმედების საშუალებას აძლევს. სწორედ სახელშეკრულებო თავისუფლებაში ვლინდება პიროვნება, როგორც ქონებრივი უფლების მატარებელი სუბიექტი.⁶⁰ კონრად ცვაიგერტისა და ჰეინ კოტცის განმარტებით: ინდივიდს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, თავისი ურთიერთობები სხვა ინდივიდებთან ააგოს საკუთარი შეხედულებისამებრ და არა წინასწარ დადგენილი, სავალდებულო დებულების მიხედვით. მას ენიჭება თავისუფლება იმ მიზნების

⁵⁸ კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ.10.

⁵⁹ ჩაჩავა ს., მოთხოვნების დ მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, 2010, გვ. 8.

⁶⁰ ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, 2005 გვ. 269.

განსახორციელებლად, რომლებსაც მართლზომიერად მიიჩნევს, მაგრამ იმ პირობით, რომ არ დაზარალდება სხვა პირთა ანალოგიური თავისუფლება⁶¹ ხელშეკრულების დადების თავისუფლების პრინციპი, როგორც მხარეთა ინტერესების დაბალანსების მექანიზმი, მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ ფარგლებში, თუ უზრუნველყოფილია ხელშემკვრელ მხარეთა შესაძლებლობების პარიტეტი.⁶²

თავისუფლებაზე საუბრისას წინდაწინვე უნდა აღინიშნოს, რომ საკითხი ეხება სამართლით მოწესრიგებულ თავისუფლებას, რომელიც სამართლის ნორმაშია განსაზღვრული. ვინაიდან სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის საფუძველი მხოლოდ სამართლის ნორმა შეიძლება იყოს.⁶³ ეს მოცემულობა შესაძლოა ასეც განიმარტოს, რომ თავისუფლება სამართლის ნორმის შინაარსზეა დამოკიდებული. თავის მხრივ, ნორმა კონკრეტული ქმედების შეზღუდვის წინაპირობას წარმოადგენს.⁶⁴ მაგრამ, რადგანაც მხარეები თვითონ ადგენენ და თანხმდებიან ხელშეკრულების შინაარსზე, კანონი ვერ განსაზღვრავს გარიგების შინაარსს დეტალურად და ზედმიწევნით. ეს შეუძლებელიცაა და არასასურველიც. არ შეიძლება კანონმა ხელშეკრულების მონაწილეთა ნების გამოვლენა არარად აქციოს. კანონს შეუძლია დაადგინოს თავისუფლების ფარგლები და არა ამ ფარგლების გამოვლინების ყველა დეტალი. ამიტომაცაა, რომ ხელშეკრულების შინაარსის კანონში მოცემული ნორმები მხოლოდ დასაშვები ფარგლების გამომხატველია.⁶⁵ როგორც ცვაიგერტი და კოტცი განმარტავენ: „გონივრულად მოქმედ ადამიანს ძალუძს თავად განაგოს საკუთარი ბედი, მინიჭებული აქვს რა სრული თავისუფლება საკუთარი არსებობის ფორმირებისათვის და მასზე თავად არის პასუხისმგებელი.“ შესაბამისად, საჭიროა ასეთი ინდივიდისათვის შეიქმნას ისეთი ჩარჩოები, რომ მან სხვა პირებთან ნების თავისუფლების გამოვლენის საფუძველზე დადებული ხელშეკრულებებით მიიღოს გადაწყვეტილება იღებს თუ არა თავის თავზე

⁶¹ ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი მე-2; 2001, გვ. 9.

⁶² ჩაჩავა ს., მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძველების კონკურენცია კერძო სამართალში, 2010, გვ. 130-133.

⁶³ კუბლაშვილი/იზორია/კორკელია/ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა მერიდიანი, 2005, გვ. 203.

⁶⁴ ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად 2016, გვ. 63-64.

⁶⁵ ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, 2005, გვ. 271.

კანონით აღიარებულ პასუხისმგებლობას მოცემული ან მესამე პირების წინაშე და რა მოცულობით.⁶⁶

თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ მხარეებს თავად ძალუბით შეთანხმდნენ ურთიერთვალდებულებათა ყოველგვარი დარღვევის რეგულირების თაობაზე⁶⁷ რაც, თავისთავად, ნების ავტონომიისა და სახელშეკრულებო თავისუფლების კიდევ ერთი დადასტურებაა. რეგულირების ამ მექანიზმს სამოქალაქო კანონმდებლობა აყალიბებს იმდაგვარად, რომ ხელშემკვრელ მხარეებს ანიჭებს უფლებამოსილებას წინასწარ, ხელშეკრულების დადების ეტაპზე, ვალდებულების შეუსრულებლობის დროსაც კი გამორიცხონ ან/და შეზღუდონ თავიანთი პასუხისმგებლობა და ამით განსაზღვრონ ხელშეკრულების შეუსრულებლობის შესაძლო შედეგები .

სამოქალაქო კანონმდებლობის მიერ შემოთავაზებული ეს შესაძლებლობა არ უნდა იყოს გაგებული როგორც ანარქიული დებულება, რომელიც მხარეებს განუზომელ უფლებამოსილებას სთავაზობს საკანონმდებლო ჩარჩოს მიღმა დატოვებით, როგორც ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის და პასუხისმგებლობისგან თავის დაღწევის, ასევე ხელშემკვრელი მხარის არათანაბარ პირობებში ჩაყენების საშუალება. იგი არ მოიცავს პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების უპირობო საფუძველებს.⁶⁸ რადგან, მართალია, სამოქალაქო კანონმდებლობით გარანტირებულია სახელშეკრულებო თავისუფლება და ნების გამოვლენის ავტონომია, მაგრამ თავისუფლება ეფუძნება კანონს.⁶⁹ ხოლო კანონი კონკრეტული ქმედების შეზღუდვის არეალის განმსაზღვრელია. ეს მსჯელობა კი იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ თავისუფლება არ შეიძლება იყოს აბსოლუტური და იგი უნდა შეიზღუდოს სამართლებრივი საფუძველით.⁷⁰

პასუხისმგებლობის გამორიცხვისა და შეზღუდვის პრინციპი თავისი არსით არ არის ულიმიტო. კერძო სამართალი პასუხისმგებლობის შეზღუდვიდან გამომდინარე პრივილეგიით სარგებლობას უკავშირებს ისეთი სამართლებრივი სტანდარტების დაცვას, როგორცაა კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების პრინციპი; უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ბრალის ფორმას; ითვალისწინებს ხელშეკრულების სტანდარტული პირობების

⁶⁶ ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ. ,, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში“, ტომი მე-2; 2001, გვ.10.

⁶⁷ იქვე, გვ.11.

⁶⁸ ტაბატაძე თ., სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის შეზღუდვა ტურიზმის ხელშეკრულებაში, აკადემიური მაცნე , 2015, N4, გვ. 245.

⁶⁹ Ллойд Д., 2002, Идея Права, Перевод с английского, М. А. Юмашева, Ю. А. Юмашев, Юмашев, М. Югона, Москва, 2002, ст.158.

⁷⁰ ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად 2016, გვ. 64.

მიმართებას პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპთან; აწესრიგებს მეორადი მოთხოვნების საფუძვლების კონკურენციისას რელატიური თუ დელიქტური პასუხისმგებლობის განსაზღვრის, მიკუთვნების საკითხს და ა.შ. ამიტომ, საინტერესოა სწორედ ამ სამართლებრივი სტანდარტების შედარებით ვიწრო ჭრილში განხილვა, რაც უკავშირდება უშუალოდ სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის შეზღუდვისა და გამორიცხვის ფარგლებს (უფრო ვრცლად თითოეული მათგანი განხილული იქნება ქვემოთ).

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ბრალის ფორმას. ბრალი სამართალდარღვევის შემადგენლობის უმნიშვნელოვანესი სუბიექტური ელემენტია. ბრალის ცნებაში ამოსავალია სამოქალაქო ბრუნვისათვის ჩვეული ყურადღებიანობის მოთხოვნის დაცვა.⁷¹

თითქმის ყველა ქვეყნის კანონმდებლობა თანხმდება იმაზე, რომ განზრახი ბრალი უპირობოდ დაუქვემდებაროს იმპერატიულ აკრძალვას პასუხისმგებლობის გამორიცხვისა და შემსუბუქების შესახებ შეთანხმების თაობაზე. სწორედ ამ თეზისს განამტკიცებს გერმანული სამოქალაქო კოდექსი, სადაც მიუხედავად იმისა, რომ მხარეებს წინასწარი სახელშეკრულებო შეთანხმებით უფლება აქვთ შეამცირონ ან გამორიცხონ პასუხისმგებლობა ისეთი მოქმედებისათვის, რაც ასეთი სახელშეკრულებო დათქმის გარეშე ვალდებულების დარღვევად ითვლება, მაგრამ ეს უფლება იზღუდება გსკ-ის 276-ე თავის მე-3 პარაგრაფით, რომელიც კრძალავს სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის წინასწარ დაცვას ან გამორიცხვას ვალდებულების განზრახი დარღვევისათვის.⁷² ანალოგიურად ინგლისურ სამართალში ბათილად ითვლება შეთანხმება განზრახი დარღვევისათვის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესახებ (რაც განხილულია გაერთიანებული სამეფოს 1977 წლის არასამართლიანი სახელშეკრულებო პირობების შესახებ აქტში).⁷³ მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ხელშეკრულება ეხმიანება დარღვევებს არა უბრალო დაუდევრობის ფაქტზე, არამედ გამორიცხავს პასუხისმგებლობის შემსუბუქებას განზრახ დარღვევებზე.

საკმაოდ მკაცრია ავსტრალიური კანონმდებლობაც, „რომელმაც დააარსა მკაფიო და უდავო წესები, რაც გულისხმობს, განზრახ ჩადენილი ქმედებისათვის პასუხისმგებლობა არ შეიძლება გამოირიცხოს ან შეიზღუდოს

⁷¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მე-3, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, 2001, გვ. 391.

⁷² ჩიტაშვილი ნ, შეცვლილი გარემოებების მისადაგება ვალდებულების შესრულებისა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, 2015, გვ. 293.

⁷³ იქვე.

მხარეთა შეთანხმების საფუძველზე“.⁷⁴ ბელგიური პრეცედენტული სამართლის მიხედვით, გამორიცხვა და შეზღუდვა პასუხისმგებლობისა, განზრახ დარღვეული ხელშეკრულებისას არაა დაშვებული, მაგრამ გამორიცხვა და შეზღუდვა დაშვებულია უხეში გაუფრთხილებლობით დარღვეულ ხელშეკრულებებზე.⁷⁵

განზრახ ბრალს ქართული სამოქალაქო კანონმდებლობა უპირობოდ იმპერატიულ მოთხოვნებს უწესებს. ამიტომაცაა, სსკ-ის 395-ე მუხლის მეორე ნაწილი კატეგორიული ფორმით ადგენს, რომ დაუშვებელია მხარეთა წინასწარი შეთანხმება მოვალის მიერ განზრახი მოქმედებით ვალდებულების დარღვევისას ზიანის ანაზღაურებისაგან მისი გათავისუფლების შესახებ. პროფესორ ბესარიონ ზოიძის განმარტებით: „საპირისპიროს დაშვება იმას ნიშნავს, რომ მოვალის ნებაზე დამოკიდებული გავხადოთ ვალდებულება შესრულდება თუ არა, მოვალე თავს უნდა ვალდებულად ჩათვლის, უნდა არა.“⁷⁶ განზრახი მოქმედებით ვალდებულების დარღვევისას მოვალის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესახებ შეთანხმება ეწინააღმდეგება ვალდებულების დაურღვევლობის პრინციპს (pacta Sunt Servanda), ასევე მნიშვნელოვნად ზრდის ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკს, რითაც საფრთხე ექმნება მხარეთა ლეგიტიმური ინტერესების სამართლიან უზრუნველყოფა.⁷⁷

ფაქტობრივად, უმეტესი ქვეყნების კანონმდებლობა განზრახ ბრალთან ერთად უხეში გაუფრთხილებლობასაც განიხილავს როგორც პასუხისმგებლობის შეზღუდვის ლიმიტირების საფუძველს. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 309.2 (ბ) პარაგრაფის ძალით ბათილადაა მიჩნეული შეთანხმება მომხმარებლის ან წარმომადგენლის როგორც განზრახი ასევე გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის შეზღუდვის ან მისგან გათავისუფლების შესახებ.⁷⁸ ფრანგული პრეცედენტული სამართალი აგრეთვე ბათილად ცნობს მუხლებს გამორიცხვისა და შეზღუდვის შესახებ განზრახ და უხეში დაუდევრობით დარღვეული ხელშეკრულების შესახებ. შვეიცარიის კანონმდებლობა უზრუნველყოფს, რომ ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც გულისხმობს პასუხისმგებლობის გამორიცხვას ან შემსუბუქებას, როგორც განზრახვის, ასევე

⁷⁴ Lando O, Beale H, principles of European Contract Law, part I, and II. KluWer Law International, The Austin/Boston/Chicago/ New York/The Netherlands; 2000, 387.

⁷⁵ Lando O, Beale H, principles of European Contract Law, part I, and II. KluWer Law International, The Austin/Boston/Chicago/ New York/The Netherlands; 2000, 387.

⁷⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მე-3, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, 2001, გვ. 391.

⁷⁷ ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების მისადაგება ვალდებულების შესრულებისა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, 2015, გვ. 295.

⁷⁸ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 309 მე-2 (ბ) პარაგრაფი

უხეში გაუფრთხილებლობის დროს, იყოს იმთავითვე ბათილი.⁷⁹ ამასთან, სასამართლოს აქვს შესაძლებლობა ბათილად ცნოს პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ შეთანხმება მარტივი გაუფრთხილებლობის დროსაც კონკრეტულ შემთხვევებში. მაშინაც კი, როცა მცირე დონის შეზღუდვები არსებობს სამომხმარებლო ხელშეკრულების დროს. პორტუგალიაში, მხოლოდ თავდების პასუხისმგებლობა შეიძლება იყოს გამორიცხული. მუხლები, რომლებიც ზღუდავს პასუხისმგებლობას, ძალაშია გარდა განზრახ და უხეშად დარღვეული ხელშეკრულებისა.⁸⁰

ქართული სამოქალაქო კანონმდებლობა, განსხვავებით განზრახი ბრალისაგან, უხეშ გაუფრთხილებლობას შედარებით ლოიალურად ეპყრობა და ყოველთვის იმპერატიულ აკრძალვას არ უწესებს. თუმცა სამოქალაქო კოდექსის 348-ე მუხლის „ვ“ პუნქტის თანახმად, ბათილია უფლება, რომელიც გამორიცხავს ან ზღუდავს პასუხისმგებლობას იმ ზიანისთვის, რაც გამოწვეულია შემთავაზებლის ან მისი წარმომადგენლის მიერ უხეში გაუფრთხილებლობით ვალდებულების დარღვევის გამო. მსგავსი საკანონმდებლო დანაწესებით სამოქალაქო კოდექსი ბრუნვის მონაწილეს იცავს უსამართლო დათქმებისაგან. თუმცა, როგორც აღინიშნა, უხეში გაუფრთხილებლობისაგან განსხვავებით, უფრო მკაცრად განიხილავს განზრახი ბრალის საკითხს.

რაც შეეხება კეთილსინდისიერების პრინციპს, იგი საზოგადოებრივ ურთიერთობებში არსებული ნორმატიული ხარვეზების შევსებას ითვალისწინებს. რაზე დაფუძნებითაც, დასახელებული პრინციპი, როგორც მხარეთა ზნეობრივი მოვალეობა შეიძლება იყოს მოაზრებული.⁸¹ კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების პრინციპს საკმაოდ დიდი გავლენა აქვს პასუხისმგებლობის გამორიცხვისა და შემსუბუქების საკითხთა გადაწყვეტის დროს. მოცემულ თემას საკმაოდ საინტერესოდ ეხება ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები. უფრო ზუსტად, 8.109 მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულებით შეიძლება შეიზღუდოს ან გამორიცხოს მხარეთა პასუხისმგებლობა ვალდებულების შეუსრულებლობისათვის იმ პირობით, თუ ამგვარი სახელშეკრულებო დათქმა არ ხელყოფს კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების პრინციპებს. პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისათვის აუცილებელია, რომ თავად პირველადი ვალდებულების შეუსრულებლობა აფუძნებდეს მხარეთათვის უარყოფით სამართლებრივ შედეგს კეთილსინდისიერებისა და

⁷⁹ Kuoni, Haftungsbegrenzung im schweizerischen deutschen und englischen Recht paras.2015,389.et seqq.

⁸⁰ Kuoni, Haftungsbegrenzung im schweizerischen deutschen und englischen Recht paras.2015,389.et seqq.

⁸¹ ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად 2016, გვ. 48.

სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მხარემ გაცნობიერებულად განახორციელა ხელშეკრულების პირობების იგნორირება, თუნდაც კონტრაქტისათვის ზიანის მიყენების განზრახვის გარეშე, პასუხისმგებლობის გამომრიცხავი პირობაც ძალას კარგავს. მისი გამოყენება, მიუხედავად მხართა შეთანხმების არსებობისა, კეთილსინდისიერების და გულისხმიერების პრინციპების საწინააღმდეგოა.⁸²

თუმცა ქართულ სამოქალაქო კანონმდებლობაში პირდაპირ არაფერია ნათქვამი პასუხისმგებლობის შეზღუდვისა და გამორიცხვის თაობაზე კეთილსინდისიერების პრინციპთან მიმართებაში, მაგრამ ქართული სამოქალაქო კოდექსი კეთილსინდისიერებას აღიარებს არ მხოლოდ ვალდებულებითი სამართლის, არამედ მთელი სამოქალაქო სამართლის პრინციპად.⁸³ ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 346-ე მუხლი განიხილავს ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგო პირობათა ბათილობას, რომელიც უკავშირდება ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს. ეს კი წარმოადგენს პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესახებ შეთანხმების სპეციფიკურ სახეს. შესაბამისად, ზემოხსენებული პრინციპის რეალიზაცია უშუალო კავშირშია და განსაზღვრავს პასუხისმგებლობის გამორიცხვისა და შემსუბუქების შესახებ შეთანხმებათა ნამდვილობას.

არცთუ იშვიათად, კეთილსინდისიერების დოქტრინა ნების ავტონომიის პრინციპსა თუ კანონის სიტყვასიტყვით ნებას უპირისპირდება და ზღუდავს მას.⁸⁴ პრაქტიკაც ცხადყოფს, რომ, რიგ შემთხვევებში, აუცილებელია სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის შეზღუდვა კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში ნათქვამია: „სამოქალაქო კოდექსი უზრუნველყოფს რა მხარეთა ნებას ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლების განსაზღვრაში, ამასთანავე, თვითნებობის უფლებას მხარეებს არ აძლევს და ხელშეკრულების თავისუფლება სახელშეკრულებო სამართლიანობის ფარგლებში უნდა განხორციელდეს.“⁸⁵

ამდენად, პასუხისმგებლობის შეზღუდვისა და გამორიცხვის საკითხი კეთილსინდისიერების პრინციპის სამართლებრივ ჩარჩოში ექცევა, რადგან, როგორც ქართული ასევე უცხოური დოქტრინა და კანონმდებლობა

⁸² Lando O, Beale H, 2000, `principles of European Contract Law, part I, and II. KluWer Law International, The Austin/Boston/Chicago/ New York/The Netherlands 2000, 387.

⁸³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მე-3, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, 2001, გვ. 460.

⁸⁴ იქვე, გვ.51.

⁸⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-7-362-07.

დაუშვებლად მიიჩნევს ყველა სახელშეკრულებო პირობას კეთილსინდისიერების პრინციპს მიღმა.

პასუხისმგებლობის ფარგლების განსაზღვრას ემსახურება ხელშეკრულების სტანდარტული პირობების დადგენა, რომლის მიზანია მომხმარებელთა ინტერესების დაცვა ძლიერი ეკონომიკური ძალაუფლების მქონე სუბიექტებისაგან.⁸⁶ ამიტომ ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს, როგორც პასუხისმგებლობის შემზღუდავ გარემოებას, სამოქალაქო კანონმდებლობა გარკვეულ ლიმიტს უწესებს. ხელშეკრულების სტანდარტული პირობის საფუძველზე პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ შეთანხმება არ ჩაითვლება ნამდვილად თუ იგი არათანაზომიერად აუარესებს პირის მდგომარეობას, ან თუ სტანდარტული პირობა საკანონმდებლო რეგულირების მიზნებთან შეუსაბამოა.⁸⁷ ხოლო თუკი შეთანხმება პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ ხელშეკრულების სტანდარტული პირობის სახით არ ეწინააღმდეგება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 346-ე მუხლით გათვალისწინებულ „ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს“, ან სსკ-ის 347-ე ან 348-ე მუხლებით გათვალისწინებულ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბათილობის რომელიმე სპეციალურ საფუძველს, მაშინ მისი ნამდვილობის საკითხი ეჭვქვეშ არ დგება⁸⁸

იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებთან ერთად მხარეთა შორის არსებობს ინდივიდუალური შეთანხმება მხარეთა შორის პასუხისმგებლობის გამორიცხვის თაობაზე, უპირატესობა ამ უკანასკნელს მიენიჭება. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში იმოქმედებს მხოლოდ სახელშეკრულებო სამართლის შესაბამისი რეგულირებით გათვალისწინებული შეზღუდვა.

მეტად საინტერესოა მეორადი მოთხოვნების საფუძვლების კონკურენციისას რელატიური თუ დელიქტური პასუხისმგებლობის განსაზღვრის, მიკუთვნების საკითხი პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფარგლებთან მიმართებაში. მოთხოვნის უფლებათა კონკურენცია მოცემულია, თუ ერთი და იგივე ფაქტობრივმა შემადგენლობამ გამოიწვია სხვადასხვა სამართლებრივი ნორმების გამოყენება, რომელიც კრედიტორს ერთი და იმავე მიზნის მისაღწევად რამდენიმე სამოქალაქო სამართლებრივი მოთხოვნის უფლების წარდგენის საშუალებას აძლევს... როგორც წესი, მოთხოვნები

⁸⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მე-3, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, 2001, გვ. 181.

⁸⁷ ჩაჩავა ს., მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, 2010 წ. გვ.133.

⁸⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 5 დეკემბრის Nას-772-1045-05 გადაწყვეტილება.

ერთმანეთის გვერდით დგანან და თითოეული მოთხოვნის უფლების გამოყენება მისთვის დამახასიათებელი წესების მიხედვით ხორციელდება. ეს ეხება სახელშეკრულებო და დელიქტურ ნორმებს.⁸⁹

მხარეთა ნამდვილი სახელშეკრულებო შეთანხმებით, პასუხისმგებლობის გამორიცხვის შემთხვევაში, შესაძლოა, სახელშეკრულებო მოთხოვნათა წარმოშობა გამორიცხული იყოს ცალკეული ვალდებულების დარღვევისას. ასეთ შემთხვევაში უფლებადარღვეულ პირს არ გააჩნია სახელშეკრულებო (რელატიური) მოთხოვნები. თუმცა, ამის მიუხედავად, მას შესაძლოა წარმოეშვას მოთხოვნები სხვა მაგალითად, დელიქტით გათვალისწინებული მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში. შესაბამისად, დასაშვებია, მხარეს ჰქონდეს სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არასახელშეკრულებო მოთხოვნის საფუძვლიდან.

კონკურენციის საკითხი ცალკეული ურთიერთობის სპეციფიკის გათვალისწინებით უნდა გადაწყდეს იმგვარად, რომ დაცული იყოს თითოეული ნორმის დაცვითი ფუნქცია. მაგალითად, თუ პასუხისმგებლობა გამორიცხა ნასყიდობის საგნის კონკრეტულ თვისებასთან დაკავშირებით, პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ შეთანხმება ნამდვილია, თუმცა ის, ცხადია არ მოიცავს ვალდებულების დარღვევას, რომელიც უკავშირდება უშუალოდ იმ თვისებას, რომლის თაობაზეც მოხდა მხარეთა შორის პასუხისმგებლობის გამორიცხვა. ასეთ შემთხვევაში კანონისმიერი მოთხოვნა კვლავ აგრძელებს არსებობას.⁹⁰

ამდენად, დაუშვა რა კანონმდებლობამ ალტერნატიული პასუხისმგებლობის წარმოშობის საფუძველი, პასუხისმგებლობას დაუწესა გარკვეული ლიმიტი, ფარგლები, რადგან განსაზღვრა, რომ მიუხედავად მხარეთა მიერ პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ ნამდვილი შეთანხმებისა, რიგ შემთხვევებში, შესაძლოა ასეთ შეზღუდვასაც დაუწესდეს სამართლებრივი „შეზღუდვა“ იმდაგვარად, რომ სხვა სამართლებრივი საფუძვლიდან აგოს პასუხი არაჯეროვან ქმედებებზე.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სახელშეკრულებო თავისუფლება კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი ძირითადი ქვაკუთხედეა. ხოლო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებითი „ბოჭვაც“ მხოლოდ მხარეთა თავისუფალი, ნამდვილი ნების გამოვლინების შედეგად იძენს ლეგიტიმურ ძალას.

⁸⁹ თოთლაძე ლ., გაბრიჩიძე გ., თუმანიშვილი გ., ტურავა პ., ჩაჩანიძე ე., 2012, განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, GIZ,IRZ; 2012, გვ. 293.

⁹⁰ ჩაჩავა ს., მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, 2010, გვ.129.

უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ სახელმწიფოებო თავისუფლების არსს ეფუძნება კვლევის საგნის- სსკ-ის 410-ე მუხლის ცვილების მოტივიც, რადგან, როგორც საკანონმდებლო ცვლილების განმარტებით ბარათშია მითითებული. „ცვლილების გატარება განპირობებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განმტკიცებული სახელმწიფოებო ურთიერთობათა თავისუფლების პრინციპით“.⁹¹ რასაც ეწინააღმდეგებოდა მუხლის ძველი რედაქცია ბათილად აცხადებდა რა, ხელშემკვრელ მხარეთა წინასწარ დათქმებს ურთიერთვალდებულებათა დარღვევის რეგულირების თაობაზე. რაც, თავისთავად, ხელმწიფოების თავისუფლების ფუნდამენტურ პრინციპს საფრთხეს უქმნიდა და ეჭვქვეშ აყენებდა.

ამასთან, ხელმწიფოების თავისუფლება გაგებული უნდა იყოს არა როგორც მხარეთა ანარქიული შესაძლებლობა კანონის უგულებელყოფით დადონ ნებისმიერი მათთვის სასურველი ხელმწიფოება, არამედ სახელმწიფოებო თავისუფლება მოაზრებული უნდა იყოს როგორც იმპერატიული ნორმებით და სამართლის ძირითადი პრინციპებით (კეთილსინდისიერება, გულისხმიერება) შემოსაზღვრული, საერთო სამართლებრივ ბადაში, ჩარჩოში არსებული შესაძლებლობა, რომელსაც დისპოზიციური ნორმები აღჭურავენ ამ საკანონმდებლო ფარგლებში ლავირების საშუალებით.

იმის მიუხედავად, რომ სახელმწიფოებო ურთიერთობებში პასუხისმგებლობის შემზღუდავ და გამომრიცხავ გარემოებათა არსებობა ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობას უფრო დახვეწილ და ცივილურ სახეს სძენს (ვინაიდან მხარეებს ანიჭებს შესაძლებლობას წინასწარ გათვალონ კონკრეტული ხელმწიფოების შესაძლო შედეგები, განჭვრიტონ ჯეროვანი შესრულების შესაძლებლობა, ზიანის წარმომშობი გარემოებები, პასუხისმგებლობის საკითხები და ა.შ.), სტანდარტულ პირობებთან დაკავშირებით კანონმდებლობა უნდა იყოს უფრო მკვეთრი და მკაცრი ძლიერი კონტრაქტის პოზიციების დასაბალანსებლად სუსტი მხარის უფლებებთან და სამართლებრივ ინტერესებთან მიმართებით.

აღნიშნული ხედვა გამომდინარეობს იქიდან, რომ ხელმწიფოების სტანდარტული პირობები თავის თავში იმთავითვე მოიცავს გარკვეულ შეზღუდვებს, რაც განპირობებულია იმ გარემოებით, რომ სტანდარტული პირობებით განსაზღვრული, წინასწარ ფორმულირებული ხელმწიფოების პირობები, ხელმწიფოების ერთი მხარის— შემთავაზებლის მიერ ცალმხრივად წარედგინება მეორე მხარეს, რაც, ამ უკანასკნელის უფლებრივ შეზღუდვას განაპირობებს და სუსტ სამართლებრივ პოზიციამში აყენებს. ხოლო ასეთ ძირითად დებულებებთან ერთად პასუხისმგებლობის

⁹¹ განმარტებითი ბარათი <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/82082> [15.04.2023].

შემზლუდავი და გამომრიცხავი გარემოებების გათვალისწინება, ნამდვილი დათქმების დროსაც კი, კიდევ უფრო მეტი „წნეხის“ ქვეშ აგდებს ისედაც სუსტი პოზიციების მქონე მხარეს.

თავი III. პასუხისმგებლობის გამომრიცხავი და შემამსუბუქებელი გარემოებების რეგულირება ფორსმაჟორის, შესრულების გართულების და შესრულების შეუძლებლობისას

3.1 „დარღვევა“ თუ „შესრულებლობა“

სახელშეკრულებო სამართლებრივ სივრცეში პასუხისმგებლობის გამომრიცხვისა და შეზღუდვის საკითხი უკავშირდება ნაკისრ ვალდებულებათა შესაძლო დარღვევას, არაჯეროვან შესრულებას, შეუსრულებლობას. ვინაიდან სწორედ ვალდებული მხარის ქმედება განსაზღვრავს პასუხისმგებლობის შერაცხვის ხარისხს. ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საკითხს – გაივლოს ზღვარი ტერმინებს – „დარღვევას“ და „შესრულებლობას“ შორის, როგორც პასუხისმგებლობის წარმოშობა-არწამოშობის დადგენის შესაძლებლობას, რადგან, როგორც წესი, ყველა დარღვევა შეუსრულებლობასთან ასოცირდება, მაგრამ ყველა „შესრულებლობა“ არ შეიძლება იყოს გაიგივებული „დარღვევის“ ცნებასთან. ამდენად, სასურველია მკვეთრად გაიმიჯნოს „დარღვევისა“ და „შესრულებლობის“ ცნებები.

გაეროს 1980 წლის კონვენციის მიდგომის მსგავსად, უნიდროას პრინციპებში ჩამოყალიბებულია „შესრულებლობის“ ერთმნიშვნელოვანი ცნება (7.1.1 მუხლი). ეს ტერმინი გულისხმობს მხარის მიერ ნებისმიერი სახის შეუსრულებლობას დაგვიანებული ან არასათანადო შესრულების ჩათვლით.⁹² გაეროს კონვენციაში გამოყენებულ ტერმინ „დარღვევის“ ნაცვლად უპირატესობა ზემოთ ხსენებულ ტერმინს მიენიჭა, ვინაიდან საერთო სამართალში „დარღვევა“ „შესრულებლობით“ შემოიფარგლება, რაც მეორე მხარეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას ანიჭებს. მაშინ, როცა შეუსრულებლობამ შეიძლება სამართლებრივი დაცვის ისეთი საშუალებების გამოყენება გამოიწვიოს, როგორებიცაა ხელშეკრულების შეწყვეტა და შესრულების შეჩერება. ამ შემთხვევაში მხარეს, რომელიც არ ასრულებს თავის ვალდებულებებს, შეიძლება არ ეკისრებოდეს ზიანის ანაზღაურება.⁹³

გსკ-ში ერთიანი ცნება – „ხელშეკრულების დარღვევისა“ არ არსებობს, ამიტომ აქ დგას საკითხი, თუ რა უფლებებს იწვევს ერთ-ერთი მხარე მეორე მხარის მიერ მისი შესრულებისას, რაც სრულებით არ იყო მოსალოდნელი ხელშეკრულების გათვალისწინებით. უფრო მეტი ყურადღება ეთმობა ერთადერთი შემთხვევის დეტალურ რეგულირებას, როდესაც ხელშეკრულების შეუსრულებლობის მიზეზი ხდება კონტრაჰენტის მიერ მისი

⁹² Lando O., Harmonisation of the rules on remedies for non-performance of contracts, in Attila Harmathy (1991), 69-79.

⁹³ ჰარტკამპი ა., ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის თარგმანები, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2010, გვ 203.

შესრულების „შეუძლებლობა“.⁹⁴ თუმცა, ცხადია, ეს ისე არ უნდა იქნას გაგებული, რომ ყველა „შეუსრულებლობა“ „შეუძლებლობის“ შედეგი იყოს. მაგრამ არც ყველა „შეუსრულებლობა“ უნდა მივიჩნიოთ მოვალის ბრალეული ქმედების განმსაზღვრელად).

გერმანული დოქტრინის წარმომადგენლების კ. ცვაიგერტისა და ჰ. კოტცის განმარტებით, „ხელშეკრულების შეუსრულებლობა, ისევე როგორც არაჯეროვანი შესრულება წარმოადგენს ხელშეკრულების დარღვევას, რისთვისაც მოვალე პასუხს აგებს. ეს პრინციპი არ მოქმედებს, თუ მოვალეს სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებაში ხელს უშლის გარემოებები, რომლებიც არ შედის მისი რისკის სფეროში.⁹⁵

არსებობს განსხვავებული მიდგომებიც, ასე მაგ., ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების 8:108 (1) მუხლის მიხედვით, მხარის მიერ ვალდებულების დარღვევა საპატიოა, თუ ის დაამტკიცებს, რომ ის გამოიწვია მის კონტროლს მიღმა არსებულმა დამაბრკოლებელმა გარემოებებმა და მისი შედეგების თავიდან არიდება შეუძლებელი იყო.⁹⁶

ამ ხედვით, „შეუსრულებლობა“ „დარღვევად“ მოიაზრება და ვალდებულების დარღვევის საერთო ბადეშია მოქცეული, თუმცა, შესრულების დამაბრკოლებელ მიზეზთა არსებობისას, პატივსადებ გარემოებადაა მიჩნეული. როდესაც ტერმინი „non-performance“ – შეუსრულებლობა განიხილება, როგორც „ხელშეკრულების დარღვევად“, „default“ – ვალდებულების არ შესრულება საერთო სამართლის სისტემებში იზომება კონკრეტული მოთხოვნებით და ეს არის ერთადერთი კონტექსტი, სადაც მიზეზიანი ან უმიზეზო, ფუნდამენტური ან არაფუნდამენტური შეუსრულებლობა არის პირდაპირ კავშირში მოცემულ საქმესთან.⁹⁷

საერთო სამართალი ხელშეკრულებას განიხილავს, როგორც საგარანტიო ვალდებულებას. „ხელშეკრულების დარღვევის“ ფაქტის კონსტატაციისათვის მნიშვნელოვანია მხოლოდ წარუმატებლობა, მოვალის მიერ აღებული გარანტიის დაუცველობა. ამას გარდა, ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის უფლების წარმოქმნის მიზეზი არ არის დამოკიდებული დამნაშავეა თუ არა მოვალე.⁹⁸ ანგლო-ამერიკული სასამართლო პრაქტიკისთვის დამახასიათებელი არ არის ხელშეკრულების შესრულების

⁹⁴ ცვაიგერტი კ, კოტცი ჰ. 2001, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი მე-2, 2001, გვ. 178.

⁹⁵ იქვე, გვ. 208.

⁹⁶ ევროპული სახელშეკრულებო პრინციპები - ე. ბუეკალავას, თ. ჭალიძის, ა. ცერცვაძის, დ. გეგენავას რედაქციით, თბილისი, 2014, გვ. 56.

⁹⁷ Meyer L., Non-performance and Remedies under international contract law Principles and Indian Contract Law, Hamburg, Peter Lang GmbH-2010, pp. 60.

⁹⁸ ცვაიგერტი კ, კოტცი ჰ. „შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში“, ტომი მე-2, 2001, 193.

დაბრკოლებებში მკვეთრად გამიჯნოს ერთმანეთისაგან შესრულების შეუძლებლობა, ვადის გადაცილება და ხელშეკრულების პოზიტიური დარღვევა.⁹⁹

„ვალდებულების დარღვევის“ ცნების ზუსტი დეფინიცია არც ქართულ კანონმდებლობაშია განსაზღვრული, თუმცა დოქტრინულად მისი განმარტება სსკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილზე დაყრდნობით ხდება:– „ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.“– ეს არის ვალდებულების შესრულების პროგრამა, რომლიდან გადახვევაც ვალდებულების დარღვევას იწვევს.¹⁰⁰ ხოლო ვალდებულების დარღვევა, თავის მხრივ, ზიანის ანაზღაურების წარმომშობ საფუძველს ქმნის, რაც, დაზარალებული კონტრაქტის ქონებრივი უფლებების დაცვას განაპირობებს.

სამოქალაქო პასუხისმგებლობის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს–ზიანის სრულად ანაზღაურების პრინციპი.¹⁰¹ რომლის მიხედვითაც დამზიანებელმა ზიანი, რომელიც მას შეერაცხება, სრულად უნდა აანაზღაუროს¹⁰² თუმცა, ვალდებულების ცალკეული სახეების, გარკვეული საქმიანობისა და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ზიანის სრულად ანაზღაურების შესაძლებლობა შეიძლება შეზღუდული იყოს.¹⁰³ ხოლო ზიანის სრულად ანაზღაურების შეზღუდვის შესაძლებლობა სწორედ „შესრულების შეუძლებლობას“ (როგორც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საშუალებას) უკავშირდება.

სამოქალაქო კოდექსის პირველადი პროექტი, გერმანული კანონმდებლობის მსგავსად, შეუძლებლობის ინსტიტუტის დარეგულირებას ითვალისწინებდა. მაგრამ მსგავსი რეგულაცია კანონის დღეს მოქმედ რედაქციაში აღარ გვხვდება. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო კოდექსი შეუძლებლობის ინსტიტუტს ცალკე ნორმის სახით არ აწესრიგებს, ეს ინსტიტუტი თვალნათლივ იკითხება კოდექსის ცალკეული ნორმებიდან (სსკ 91, 115, 398, 399, 406.1, 490.3) და გამომდინარეობს მისი ზოგადი პრინციპებიდან (სსკ 4.1, 5.2, 8.3, 115.)¹⁰⁴ ანუ, ქართული კანონმდებლობა

⁹⁹ ცვაიგერტი კ, კოტცი ჰ. „შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში“, ტომი მე-2, 2001, 193.

¹⁰⁰ ზოიძე, სსკ-ს კომენტარი, წიგნი მე-3, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, 2001, გვ 363.

¹⁰¹ სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ., სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, 2016, გვ.106.

¹⁰² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 7 ოქტომბრის N459-438-2015 გადაწყვეტილება.

¹⁰³ სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ., სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, 2016, გვ.107.

¹⁰⁴ ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 94.

ზოგადი პრინციპის მიმდევარია: ის, რაც ნებისმიერი ადამიანისათვის ან პირადად მოვალისათვის შეუძლებელია, არ შეიძლება ვალდებულებად დარჩეს (*impossibium nulla obligatio est*).¹⁰⁵

ასე რომ, ქართული სამოქალაქო კანონმდებლობა არ მიჯნავს „დარღვევისა“ და „შეუსრულებლობის“ ცნებებს. უფრო ზუსტად, „დარღვევა“ უპირობოდ აღიქმება როგორც შეუსრულებლობა, ხოლო „შეუსრულებლობა“ ყოველთვის უნდა იქნეს თუ არა მიჩნეული „დარღვევად“ ეს ვალდებული პირის ქმედების ბრალეულობაზე და/ან „შესრულების შეუძლებლობის“ განმაპირობებელ გარემოებებზეა დამოკიდებული.

3.2 ფორსმაჟორი, როგორც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველი

სულ ახლახან, კორონაპანდემიამ მოიცვა მთელი სამყარო და დედამიწის თითქმის ყველა ქვეყანა ფორსმაჟორულ რელსებზე გადააწყო. იგი ხელშესახები გახდა არათუ ყველა სახელმწიფოსთვის, არამედ თითოეული ადამიანისათვისაც. მსოფლიო იძულებული გახდა არაორდინალური ცხოვრების რიტმს მორგებოდა. პანდემიამ ყველაზე ძლიერი ქვეყნების ეკონომიკაც კი შეარყია. გართულდა იმპორტ-ექსპორტი, ბიზნესურთიერთობები. ადამიანთა კონტროლს მიღმა არსებულმა დაბრკოლებებმა საფრთხე შეუქმნა თითქმის ყოველგვარი ვალდებულების შესრულებას. შესაბამისად, დღეს, როგორც არასდროს, ფორსმაჟორული გარემოებების სამართლებრივად გამართულ რეგულირებას უდიდესი პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობა ენიჭება.

ფორსმაჟორს სამოქალაქოსამართლებრივ სივრცეში არსებობის დიდი ისტორია აქვს. იგი რომანული ცნებიდან – *vis major* იღებს სათავეს.¹⁰⁶ მიუხედავად იმისა, რომ რომის სამართალში ვალდებულება განხილული იყო, „უფრო როგორც კრედიტორის შესაძლებლობა, ვიდრე როგორც მოვალის ვალი“.¹⁰⁷ კონტრაქტს მაინც ენიჭებოდა ამ საკმაოდ მკაცრი პასუხისმგებლობისგან „თავის დაღწევის“ ერთგვარი საშუალება, როცა ძველი რომის სამართლის მიხედვით იმ შემთხვევაში არ დგებოდა მოვალისათვის პასუხისმგებლობა, როდესაც „დაუძლეველ ძალას“ ან კონტრაქტის ნებისაგან დამოუკიდებლად (მისი კონტროლის ფარგლებს მიღმა) შექმნილ

¹⁰⁵ ვაშაკიძე გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ჭანტურია (რედ.), 401, ველი 5.

¹⁰⁶ ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების მისადაგება ვალდებულების შესრულებისა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, სამართლის ჟურნალი, 2015, N1, გვ. 98.

¹⁰⁷ Inst. Iust.3. 13. Pap. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, 2002, გვ.168.

ვითარებას ჰქონდა ადგილი.¹⁰⁸ იურისტები ასევე საუბრობდნენ „დაუძლეველ ძალაზე ან დაუძლეველ გარემოებაზე, რომელსაც ვერ შეეზღოვებოდა ადამიანური სისუსტის გამო.“¹⁰⁹ (ამასთან, დაუძლეველი ძალის ვალდებულების ცნება, როგორც ბუნებრივ მოვლენებს (წყალდიდობა, მიწისძვრა, სიკვდილი), ასევე იურიდიულ ფაქტებსაც მოიცავდა. კერძოდ: სხვა პირთა მოქმედებებს, როგორცაა მაგ. მძარცველთა შემოჭრა ან მონათა გაქცევა.¹¹⁰ მოგვიანებით ფორსმაჟორი განმტკიცებულ იქნა ნაპოლეონის კოდექსში და ცნობილია თითქმის ყველა დიდი სამართლებრივი ტრადიციის მქონე ქვეყნის სისტემაში.¹¹¹

ფორსმაჟორი, როგორც შესრულების ვალდებულებისგან გათავისუფლების საფუძველი იმ დაბრკოლებისთვის, რომელიც მოვალის კონტროლსა და რისკის სფეროს მიღმა წარმოიშვა, აერთიანებს და განაზოგადებს სხვადასხვა სამართლებრივი სისტემისთვის ნიშანდობლივ თავისებურებებს, რის საფუძველზეც საკუთარ ცნებაში მოიაზრებს მისთვის აუცილებელი წინაპირობების სისტემატიზებულ კატალოგს და, შესაბამისად, მიიჩნევა სახელშეკრულებო სამართლის უზოგადეს პრინციპად.¹¹² ფორსმაჟორი განმტკიცებულია ისეთ უნიფიცირებულ სამართლებრივ აქტებში, როგორცაა უნიდროას სახელშეკრულებო პრინციპები (მ.7.1.7), ევროპული სახელშეკრულებო პრინციპები (მ. 8:108), ვენის 1980 წლის კონვენცია საქონლის საერთაშორისო ნაყიდობის ხელშეკრულებათა შესახებ (მ. 79-ე), ასევე გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (მ.3:104).

უნიდროას სახელშეკრულებო პრინციპებით, მხარეს რომელიც არ ასრულებს თავის ვალდებულებებს, შეიძლება არ ეკისრებოდეს ზიანის ანაზღაურება. ამის მაგალითია დაუძლეველ ძალასთან დაკავშირებული წესის მოქმედება. როცა, მხარის მტკიცებით, შეუსრულებლობა ისეთი გარემოებებითაა გამოწვეული, რომლებიც სცილდება მისი კონტროლის ფარგლებს. მხარე ვერ გაითვალისწინებდა დაბრკოლებას ხელშეკრულების დადების დროს და ვერც თავიდან აიცილებდა ან აღკვეთდა მას ან მის შედეგებს (7.1.7 მუხლი).¹¹³

¹⁰⁸ გარიშვილი მ., ხოფერია მ., რომის სამართალი, 2013, გვ. 409.

¹⁰⁹ იქვე.

¹¹⁰ იქვე.

¹¹¹ ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების მისადაგება ვალდებულების შესრულებისა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, 2015, გვ. 34.

¹¹² Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Nonperformance in International Arbitration, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, pp.109.

¹¹³ ჰარტკამპი ა., ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის თარგმანები, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2010, გვ. 203.

ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებში (მ.8;108) დაუძლეველი ძალა მოხსენიებულია როგორც პატივსადები დამაბრკოლებელი გარემოებები და უნიდროას სახელშეკრულებო პრინციპების მსგავსად, ისეთი კონტროლს მიღმა არსებულ პატივსადებ გარემოებებადაა მითითებული, რომელთა ხელშეკრულების დადებისას გათვალისწინება ან მისი შედეგების თავიდან არიდება შეუძლებელი იყო.

ფრანგული სასამართლოები პასუხისმგებლობისგან გამათავისუფლებლად აღიარებენ მხოლოდ გაუთვალისწინებელ და მოვალესთან დაუკავშირებელ წინააღმდეგობებს, რომლებიც ხანგრძლივი დროით შეუძლებელს ხდის ხელშეკრულების შესრულებას, განსაკუთრებით, თუ არ შეიძლება მათი თავიდან აცილება. სატრანსპორტო სიძნელები, ექსპორტ-იმპორტის აკრძალვა, გაფიცვები და სხვა მსგავსი მოვლენები ათავისუფლებენ მოვალეს ხელშეკრულების შესრულებისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მოცემულ კონკრეტულ გარემოებებში ადგილი ჰქონდა „დაუძლეველ ძალას“ („force majeure“).¹¹⁴

ზუსტ დეფინიციას ფორსმაჟორის არსის განსაზღვრისათვის, ქართული სამოქალაქო კოდექსი არ გვთავაზობს, თუმცა ფორსმაჟორი შესაძლოა მოიაზრებოდეს, როგორც კრებსითი ცნება იურიდიული ფაქტების ერთობლიობა დაბრკოლებებისა თუ ობიექტურად ან სუბიექტურად აუცდენელი შემთხვევებისა, რაც განაპირობებს ვალდებულების შესრულების შეუძლებლობას, შესრულების გართულებას (მათ შორის უკიდურეს გართულებას), ხელშეკრულების პოზიტიურ დარღვევას... და ეს ყოველივე, როგორც მოვალის არაბრალეული ქმედება, ქმნის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველს.

თავად ფორსმაჟორის, როგორც იურიდიული ფაქტის განსაზღვრისათვის, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სწორად განიმარტოს, თუ რა მოვლენა უნდა მივიჩნიოთ დაუძლეველ ძალად – ფორსმაჟორად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში განმარტებულია, რომ რაიმე მოვლენის დაუძლეველ ძალად მიჩნევისათვის უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: მოვლენის დადგომა არ უნდა იყოს დამოკიდებული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა ნებაზე მათი ქმედებით ან უმოქმედობით; იგი უნდა იყოს უჩვეულო, მოულოდნელი; მისი თავიდან აცილება შეუძლებელი უნდა იყოს კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილისათვის საჭირო წინდახედულებისა და გულისხმიერების გამოვლენის შემთხვევაშიც და ეს შეუძლებელს უნდა ხდიდეს სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა კანონისმიერი ან

¹¹⁴ ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., 2001, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი მე-2, 2001, გვ. 216.

სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებას“.¹¹⁵ საერთაშორისო სავაჭრო პალატამ შეიმუშავა ფორსმაჟორულ გარემოებათა დეტალური ჩამონათვალი, კერძოდ: გამოცხადებული და გამოუცხადებელი ომი – მათ შორის სამოქალაქო ომი, უწესრიგობანი, რევოლუციები, საბოტაჟი, სტიქიური უბედურებანი, როგორცაა: ქარიშხალი, წყალდიდობა, ციკლონი, მიწისძვრა, ცუნამი, წყალდიდობა; აფეთქებანი, ხანძარი, მანქანებისა და მოწყობილობების ან სხვა ნებისმიერი დანადგარის მწყობრიდან გამოსვლა; ბოიკოტი, გაფიცვა, ფაბრიკებისა და სათავსოების ოკუპირება და სამუშაოს შეჩერება იმ მხარის საწარმოში, რომელსაც აქვს პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების პრეტენზია; ხელისუფლების კანონიერი თუ უკანონო მოქმედებანი ცალკეული გამონაკლისების გარდა.¹¹⁶ თუმცა, როგორც სავაჭრო პალატა უთითებს, ეს არ არის სრული ჩამონათვალი.

ამ საკმაოდ მოცულობით ჩამონათვალს, თანამედროვე მდგომარეობიდან გამომდინარე, ალბათ, აუცილებლად უნდა დაემატოს მსოფლიო პანდემიის შემთხვევაც.

გარდა ზემოთჩამოთვლილი მოვლენებისა, ფორსმაჟორი რომ პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძვლად მივიჩნიოთ, უნდა გამოიყოს მისი რამდენიმე, არსებითი კლასიკური ნიშანი. კერძოდ, ვენის კონვენციის 79-ე მუხლის თანახმად, მხარეს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა, თუ ის დაამტკიცებს, რომ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვია (ა) მისი კონტროლს სფეროს მიღმა არსებულმა მოვლენებმა, (ბ) თუ მხარეს არ ჰქონდა ხელშეკრულების დადების ეტაპზე ამ მოვლენის წარმოშობის გონივრულად გათვალისწინების (გ) ასევე დაბრკოლების ან მისი შედეგების თავიდან აცილების ან მათი დაძლევის შესაძლებლობა. ამასთან, დაბრკოლება უნდა იყოს შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზი.¹¹⁷

სწორედ აღნიშნულ ნიშანთა კუმულაციური თანხვედრა, თანაარსებობა წარმოშობს შესრულების ვალდებულებისაგან გათავისუფლების საფუძვლებს. რადგან, იმის მიუხედავად, რომ შესაძლოა შეუსრულებლობა გამოწვეული იყოს მოვალის კონტროლს მიღმა არსებული მოვლენებით და ეს დაბრკოლებაც მიზეზობრივ კავშირს ქმნიდეს შესრულების შეუძლებლობასთან, ამ მიზეზთა ბმა, თანხვედრა ვერ ჩაითვლება პატივსადავად, თუკი მოვალეს, ხელშეკრულების დადების ეტაპზე შეეძლო ამ დამაბრკოლებელ გარემოებათა გათვალისწინება.

¹¹⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 06 ივლისის N ას-7-6/2010 გადაწყვეტილება.

¹¹⁶ Комаров А.С., Ответственность в коммерческом обороте, М., 1999, ст. 73-75.

¹¹⁷ ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების მისადაგება ვალდებულების შესრულებისა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, 2015, გვ. 38-39.

ამ მხრივ, საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება.¹¹⁸ საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, კრედიტორსა და მოვალეს შორის გაფორმდა ხელშეკრულება მექანიკური მორწყვის სისტემის რეაბილიტაციის თაობაზე. მოვალემ ხელშეკრულება არაჯეროვნად შეასრულა. კერძოდ, გადააცილა შესრულების დროს. მისი განმარტებით, ეს უნდა შეფასებულიყო ფორსმაჟორად, ვინაიდან შესასრულებელი სამუშაოს მასალის – მილების ტრანსპორტირება ხორციელდებოდა რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში და სტიქიური მოვლენის – ყინვის გამო, ტრანსპორტის მოძრაობა შეწყვეტილი იყო, რამაც გამოიწვია ვადის გადაცილება. სასამართლომ არ გაიზიარა მოვალის განმარტება, რადგან ჩათვალა, რომ „საბაჟო-გამშვები პუნქტის ორი დღით დახურვის გარდა, მოსარჩელის მიერ მითითებული არც ერთი გარემოება არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო ფორსმაჟორულ გარემოებად, რადგან, როდესაც მოსარჩელემ ლითონის მილების ქ. ჩელიაბინსკიდან შემოტანა გადაწყვიტა, მას უნდა ევარაუდა, რომ განსაკუთრებით ზამთრის თვეებში გაჩნდებოდა პრობლემები მილების დამზადებისა და მათი ტრანსპორტირების კუთხით. მიმწოდებელს მილების შემოტანის საკითხი წინასწარ უნდა შეესწავლა, ისევე როგორც დროულად უნდა მოეგვარებინა გზის მშენებლობისათვის მდინარის ბალასტის მოპოვების საკითხი. ეს ყველაფერი კი დაკავშირებულია მოვალის არასწორ გათვლებთან, შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რამაც საბოლოოდ სამუშაოს შესრულების ვადის გადაცილება გამოიწვია“.¹¹⁹ შესაძლოა მეორე მსგავსი სამართლებრივი მაგალითის განხილვაც, კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოვალის მცდელობას, რომ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა განხილულიყო ფორსმაჟორული გარემოების უშუალო შედეგად, სასამართლო ასე პასუხობს: „ცხადია, ქარბორბალა წარმოიშობა სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა ნებისაგან დამოუკიდებლად, მაგრამ საქმეში წარმოდგენილი ცნობით სასამართლომ გამოარკვია, რომ ოქტომბერში ფოთში საშუალოდ 8 დღე არის ძლიერ ქარიანი. შესაბამისად, ამ პერიოდში ქარი სულაც არ არის უჩვეულო და მოულოდნელი მოვლენა. ამიტომ, მოცემულ შემთხვევაში, მხარე ვალდებული იყო გაეთვალისწინებინა ძლიერი ქარის ამოვარდნის ალბათობა. ამასთან, პალატამ ყურადღება გაამახვილა შპს „გ-ის“ დასკვნაზე, რომლის თანახმად კედელი ჩამოინგრა არა იმის გამო, რომ ქარი იყო დამანგრეველი, არამედ იმიტომ, რომ თავად შენობა იყო ავარიული“.¹²⁰

¹¹⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 24 იანვრის Nას-931-871-2017 გადაწყვეტილება.

¹¹⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 24/01/2018 წლის Nას-931-871-2017 გადაწყვეტილება.

¹²⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 05/07/2010 წლის Nას-418-319-2010 გადაწყვეტილება.

ამრიგად, პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს ქმნის მოვალისთვის წინასწარ გაუთვალისწინებელი, აუცდენელი და გარდაუვალი, მოვალისგან დამოუკიდებლად არსებული ობიექტური გარემოება, რომელიც შესრულების შეუძლებლობის გარეგან მიზეზად განიხილება.¹²¹

საერთაშორისო კომერციულ ბრუნვაში ფართოდ გამოიყენება ფორსმაჟორული დათქმები, რაც გულისხმობს იმას, რომ ხელშეკრულების მონაწილეები თვით ხელშეკრულებაში უთითებენ იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც იწვევს მათი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას. ქართულ ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობებშიც სახელშეკრულებო შეთანხმებებს ფორსმაჟორის შესახებ, პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება. თითქმის ყველა ხელშეკრულებაში, რომელიც თანამედროვე ეტაპზე იდება, მხარეები ცდილობენ გაითვალისწინონ „ფორსმაჟორის ზოგადი სახელშეკრულებო ნორმა. მაგრამ, ერთია, თუ რამდენად პრაქტიკულია ესე დეტალურად ჩამონათვალი, რადგან ის, რაც დღეს ასეთ გარემოებად ითვლება, შეიძლება ხვალ არ იყოს ასეთი ან კიდევ, შეიძლება, რომ ბრუნვის მონაწილეები აღმოჩნდნენ სრულიად ახალი გარემოებების წინაშე (ამის ნათელი მაგალითია კორონავირუსის მსოფლიო პანდემია).¹²² ამასთან, ფორსმაჟორი ზოგადი სახელშეკრულებო პრინციპის სახით პასუხისმგებლობის გამომრიცხველი საფუძვლის სახით მოქმედებს მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი ხელშეკრულებით გათვალისწინებული.¹²³ თბილისის სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებაში განმარტავს, მხარეების ინტერესებიდან გამომდინარე, ხელშეკრულებაში შეიძლება განისაზღვროს ფორსმაჟორის პირობები. თუ ხელშეკრულებაში არაფერია ნათქვამი, მაშინ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მსოფლიო საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის პრაქტიკიდან გამომდინარე პირობები.¹²⁴

¹²¹ ჩიტაშვილი ნ., ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისას, „სამართლის ჟურნალი“ N1, 2009, გვ. 184.

¹²² ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, 2001, გვ. 374.

¹²³ *Anaconda-Iran, Inc. v. The Government of the Islamic Republic of Iran, et al.*, Award No. ITL 65-167-3 of 10.12.1986 at 41-43, 13 Iran-U.S. C.T.R. 199, 211-12, Y.B. Com. Arb. 1988, 319; *Mobil Oil Iran Inc. v. Islamic Republic of Iran*, Award No. 311-74/76/81/150-3 of 14.07.1987 at para.117. გამოყენებულია—ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების მისადაგება ვალდებულების შესრულებისა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, 2015, გვ. 34.

¹²⁴ თბილისის სააპელაციო სასამართლო 30/11/ 2015 წლის N28/7137-14 გადაწყვეტილება.

3.2.1 ფორსმაჟორი პრეიუდიციული ფაქტი, რომელიც არ საჭიროებს

მტკიცებას, თუ მოვალის მტკიცების ტვირთი

ფორსმაჟორულ გარემოებებს სამოქალაქო საპროცესო სამართალი განიხილავს, როგორც უდავო ფაქტებად, ანუ ფაქტებად, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას. განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი პრეიუდიციას შემდეგნაირად განმარტავს – „პრეიუდიცია არის ფაქტობრივი ან სამართლებრივი გარემოება, რომელიც მტკიცებულებად მიიღება გამოკვლევის გარეშე. პრეიუდიციული მნიშვნელობა ენიჭება საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს, სასამართლოს განაჩენებს ნასამართლობაზე, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით (გადაწყვეტილებით) დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს.“¹²⁵

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ. ესენია – ფაქტები, რომლებსაც სასამართლო საყოველთაოდ ცნობილად მიიჩნევს.¹²⁶ დოქტრინული განმარტებით, „იმისათვის, რომ ფაქტი საყოველთაოდ ცნობილად იქნეს მიჩნეული, არაა აუცილებელი, რომ ამ ფაქტის შესახებ მთელმა კაცობრიობამ იცოდეს. მთავარია, რომ ამ ფაქტის შესახებ იცოდეს არა მხოლოდ საქმის განმხილველმა სასამართლომ, არამედ ადამიანთა ფართო წრემ.“¹²⁷

ინგლისის მტკიცებულებით სამართალში, გარდა საყოველთაოდ ცნობილი ფაქტებისა, ასეთ ფაქტებად მიჩნეულია „სასამართლოსათვის პერსონალურად ცნობილი ფაქტები“. დებულება, რომლის თანახმად, დამტკიცებას არ ექვემდებარება ფაქტები, რომლებიც ცნობილია მხოლოდ სასამართლოსთვის, შეესაბამება ინგლისის სამართალწარმოებაში მტკიცების არსს. ამ დებულების ამოსავალი წერტილი არის ის, რომ თუკი სასამართლოსათვის ესა თუ ის სადავო ფაქტი უკვე ცნობილია, მაშინ მისი არსებობის ან არარსებობის მტკიცება მოკლებულია ყოველგვარ დასაბუთებას.¹²⁸

გერმანულ სამოქალაქო პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების პრინციპს, რომელსაც აგრეთვე

¹²⁵ თოთლაძე ლ., გაბრიჩიძე გ., თუმანიშვილი გ., ტურავა პ., ჩაჩანიძე ე., განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, GIZ, IRZ 2012, გვ. 358.

¹²⁶ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, <https://matsne.gov.ge/document/view/29962?publication=166> [12.03.2024].

¹²⁷ ლილუაშვილი თ., სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, მე-2 გამოცემა, 2005, გვ.158.

¹²⁸ გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, თსუ, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, 2012, გვ. 44.

„პირველადი ვარაუდის მტკიცებულებად“ მოიხსენიებენ. პირველადი ვარაუდის მტკიცებულება აკონკრეტებს საყოველთაოდ აღიარებულ ფაქტებს. მისი გამოყენება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც საყოველთაოდ აღიარებული ფაქტის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ განსაზღვრული გარემოების საფუძველზე კონკრეტული შედეგის დადგომა.¹²⁹

თუმცა მხოლოდ საყოველთაოდ აღიარებული ფაქტის უდავოობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ის შესაძლოა გახდეს კონკრეტულ საქმეზე მოვალის არაბრალეულობისა და, შესაბამისად, პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოების განმსაზღვრელი თუ ფორსმაჟორს, როგორც უდავო მტკიცებულებასა და შესრულების შეუძლებლობას შორის არ იქნება მიზეზ-შედეგობრივი ბმა.

მოცემულ საკითხთან მიმართებაში საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, სადაც განმარტებულია, მართალია, საქმის ფაქტობრივი გარემოებებით დგინდება, რომ ხელშეკრულებაში განისაზღვრა ფორსმაჟორი: სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან არიდებაც მათ მიერ შეუძლებელია, მაგრამ, სასამართლოს დასაბუთებით, „ფორსმაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ქონებრივი მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ იქნება დაკავშირებული. ამ დროს მხარეებს შორის ხელშეკრულების შესაბამისად გადახდილ თანხაზე ფორსმაჟორის შემთხვევაში გათვალისწინებული შეღავათები არ ვრცელდება“.¹³⁰

ამდენად, მხოლოდ ფორსმაჟორის, როგორც პრეიუდიციული ფაქტის არსებობა, არ ათავისუფლებს მხარეს მტკიცების ტვირთისგან. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105 „ა“ მუხლის შესაბამისად, არავითარ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა და ფაქტები, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას არიან ფაქტები, „რომლებსაც სასამართლო საყოველთაოდ დადასტურებულად მიიჩნევს“.¹³¹ ანუ, ფორსმაჟორის, როგორც „პირველადი ვარაუდის მტკიცებულების“ გამოყენების წინაპირობას წარმოადგენს ის, რომ უდავო ან დამტკიცებული

¹²⁹ ჰაგენლოხი უ., მტკიცების ტვირთი გერმანულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში. GIZ, 2018, გვ. 25.

¹³⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის Nას-251-239-2017 გადაწყვეტილება.

¹³¹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, <https://matsne.gov.ge/document/view/29962?publication=166> [12.03.2024].

უნდა იყოს განსაზღვრული საწყისი გარემოება,¹³² რომლის უდავო ფაქტად აღიარებაც სასამართლოზეა დამოკიდებული.

აქედან გამომდინარე, პროცესუალური მტკიცების ტვირთი ეკისრება მხარეს, რომლის ინტერესშიცაა დაადასტუროს კონკრეტულ სადავო საქმეზე ფორსმაჟორის - როგორც შესრულების უშუალო ხელშემშლელი გარემოების არსებობა. ეს გამომდინარეობს ნორმის ფორმულირებიდან – „თუკი ვალდებულება არ შესრულდა ისეთ გარემოებათა გამო, რაც მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული“ და იმაზე მიუთითებს, რომ მოვალის ბრალი ივარაუდება, თუკი ის საპირისპიროს არ დაამტკიცებს.¹³³

ამდენად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალდებულების შესრულების მოთხოვნისას, ხელშეკრულების დადებისა და მისი მხრიდან ვალდებულების შესრულების ფაქტი მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს, ხოლო მოპასუხემ უნდა ამტკიცოს ვალდებულების შესრულების ფაქტი ან იმ გარემოებათა არსებობა, რომლებიც მის მიერ ვალდებულების შესრულებას გამორიცხავდა.¹³⁴

ამასთან, საინტერესოა ისიც, რომ გერმანულ საპროცესო სამართალში (რომლის იდეური მიმდევარია ქართული კანონმდებლობა), მტკიცების ტვირთის შეფასება ხდება კრედიტორსა და მოვალეს შორის მატერიალური სამართლიდან გამომდინარე და არა მოსარჩელე-მოპასუხის პროცესუალური კონსტელაციის შესაბამისად. ამიტომაც, ნეგატიური აღიარებითი სარჩელისას, მხარეთა „გადანაცვლებული“ როლები არაფერს ცვლის მატერიალური მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით. ეს მჭიდრო კავშირი მატერიალურ სამართალთან არის აგრეთვე იმის მიზეზი, რის გამოც გერმანიაში მტკიცების ტვირთის სამართალი ესმით, როგორც მატერიალური სამართლის და არა საპროცესო სამართლის ნაწილი.¹³⁵

3.3 შესრულების შეუძლებლობა

შესრულების შეუძლებლობის დოქტრინა რომის სამართლიდან იღებს სათავეს. ჯერ კიდევ ძველი რომის ვალდებულებითი სამართალი განიხილავს ისეთ ცნებებს, როგორიცაა „შესრულების შეუძლებლობის დადგომა“, „დაუძლეველი ძალის, ნების გარეშე, ობიექტური ფაქტორებით მოქმედება“,

¹³² ჰაგენლოხი უ., მტკიცების ტვირთი გერმანულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში. GIZ, 2018, გვ. 25.

¹³³ ვაშაკიძე გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ჭანტურია ლ., (რედ.), 401, ველი 28.

¹³⁴ მესხიშვილი ქ., კერძო სამართლის აქტუალური საკითხები- თეორია და სასამართლო პრაქტიკა“, ტომი 1, 2020, გვ.183.

¹³⁵ ჰაგენლოხი უ., მტკიცების ტვირთი გერმანულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში. GIZ, 2018, გვ.24.

“შესრულების შეცვლის შესაძლებლობა“, „ალტერნატიული ვალდებულება“ „საკონტრაქტო რისკის გადანაწილება“¹³⁶ და ა.შ., რომლებიც თავისთავად განიხილებიან სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის შემზღვევად გარემოებებად.

შესრულების შეუძლებლობის განმაპირობებელ მიზეზებზე ზემოთ უკვე მრავალი მაგალითი იქნა დასახელებული და იგი უმთავრესად უკავშირდება ფორსმაჟორულ გარემოებებს, დაუძლეველ ძალას, მხარის კონტროლს მიღმა აღმოცენებულ მოვლენებს.

უნიდროას სახელშეკრულებო პრინციპების 7.1.1 მუხლის მიხედვით შეუსრულებლობა განიმარტება, როგორც „მარცხი მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას. მოიცავს დეფექტურ შესრულებას და გვიან შესრულებას.“ შეუსრულებლობა, იქნება ეს სახელშეკრულებო ვალდებულების თუ ნორმატიული, იქნება ეს საპატიო თუ არასაპატიო, ფუნდამენტური თუ არაფუნდამენტური – ეს არის შეუსრულებლობა. ევროპული პრინციპები უზრუნველყოფენ შეუსრულებლობის დეფინიციას: „შეუსრულებლად მიიჩნევა ვალდებულების შესრულების ნებისმიერი მარცხი, იქნება ამის გასამართლებლად საპატიო თუ არასაპატიო მიზეზი. ის მოიცავს ასევე დაგვიანებულ შესრულებას, ხარვეზიან, დეფექტურ შესრულებას და უშედეგო მცდელობასაც თანამშრომლისა, რათა მიეღწია ხელშეკრულების მთლიანი შედეგისათვის. შეუსრულებლობას ზოგადად წარმოადგენს, ვალდებულების შესრულების ნებისმიერი მარცხი ან სახელშეკრულებო ვალდებულებების ნებისმიერი დაუდასტურებელი შესრულება, მიუხედავად მისი წარმომშობი მიზეზებისა თუ შემდგომი შედეგებისა.“¹³⁷

შეუძლებლობის დოქტრინა უმთავრესად გერმანიის სამოქალაქო სამართლის მეცნიერებამ განავითარა. ამიტომაც ეთმობა მას განსაკუთრებული ყურადღება გერმანიის პოზიტიურ კანონმდებლობასა და იურიდიულ დოქტრინაში.¹³⁸ საკმაოდ დეტალურადაა შემუშავებული შესრულების შეუძლებლობის კონცეფცია მე-19 საუკუნის გერმანელი მეცნიერების მოზმენისა და ვინშაიდის მიერ.¹³⁹ კერძოდ, აღნიშნული კონცეფცია ეფუძნება ფრიდრიხ მოზმენის დოქტრინას, რომელიც განასხვავებდა საწყისი და შემდგომი, ობიექტური და სუბიექტური, მუდმივი

¹³⁶ გარიშვილი მ., ხოფერია მ., რომის სამართალი, 2013, გვ. 358-359.

¹³⁷ Meyer L., Non-performance and Remedies under international contract law Principles and Indian Contract Law, Hamburg, Peter Lang GmbH-2010, pp.54-60.

¹³⁸ ჩიტაშვილი ნ., „შეცვლილი გარემოებების მისადაგება ვალდებულების შესრულებისა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე“, 2015, გვ.104.

¹³⁹ ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი მე-2; 2001, გვ.178.

და დროებითი, აბსოლუტური და ფარდობითი, სრული და ნაწილობრივი, ბუნებრივი და სამართლებრივი შესრულების შეუძლებლობის სახეებს.

შესრულების შეუძლებლობას გსკ-ის 275-ე პარაგრაფი ეთმობა, სადაც „გათვალისწინებულია ვალდებულების შესრულების გართულების იშვიათი შემთხვევა—ძირითადი ვალდებულებისგან განთავისუფლება ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევებში“. ხოლო თავად „ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა მიკუთვნებულია ვალდებულების შესრულების გართულების ტიპურ ფორმასთან, ანუ ისეთ დაბრკოლებასთან, „რომელიც ვალდებულებითი ურთიერთობის (სახელშეკრულებო ან კანონისმიერი) ჯეროვან განხორციელებას ხელს უშლის. ისინი შესაძლოა, დაკავშირებულნი იყვნენ ძირითად ან დამატებით ვალდებულებებთან, წარმოიშვან ვალდებულებითი ურთიერთობის დაწყებამდე, მისი განხორციელებისას ან დასრულებისას“.¹⁴⁰

გერმანული კანონმდებლობის მსგავსად, სამოქალაქო კოდექსის პირველადი პროექტი შეუძლებლობის ინსტიტუტის დარეგულირებას ითვალისწინებდა.¹⁴¹ მაგრამ „შესრულების შეუძლებლობა“, როგორც ვალდებულების შეუსრულებლობის დამოუკიდებელი სახე – კატეგორია, კანონის დღეს მოქმედ რედაქციაში სრულყოფილად რეგულირებული არაა, რაც სამართალშეფარდების დროსაც პრობლემებს ქმნის, უწყობს რა ხელს არაერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას და ვერ უზრუნველყოფს „შესრულების შეუძლებლობის“ სამართლებრივი რეგულირების სიმყარეს, სწორი, ერთმნიშვნელოვანი მიმართულების დადგენას, დანერგვას.

მართალია, სსკ-ის 401-ე მუხლის სათაური „ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა“, მაგრამ მისი შინაარსი ლიტერატურაში ამ სახელწოდებით ცნობილ ინსტიტუტთან ნაკლებ კავშირშია.¹⁴² (რიგი განსაზღვრავს მოვალის არაბრალეულობისას ვადის გადაცილების შემთხვევაში პასუხისმგებლობისგან მის სრულ ან ნაწილობრივ გათავისუფლებას. უფრო ზუსტად— „ვადა გადაცილებულად არ ჩაითვლება, თუკი ვალდებულება არ შესრულდა ისეთ გარემოებათა გამო, რაც მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული“.¹⁴³ გსკ-ს §284.2, ვადის გადაცილება მაშინ დგება, თუ ხელშეკრულებაში პირდაპირ ან ირიბად არის განსაზღვრული მისი

¹⁴⁰ კროპპოლერი ი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თბილისი, საიას იურიდიული ხელშეწყობის ფონდი, მთარგ. თორნიკე დარჯანია, ზურაბ ჭეჭელაშვილი, რედ.: ეთერ ჩაჩანიძე, თორნიკე დარჯანია, ლევან თოთლაძე, GIZ, 2014, გვ. 149.

¹⁴¹ ზოიძე ბ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, 2001, გვ. 376.

¹⁴² რუსიაშვილი გ., დარჯანია თ., მაისურაძე დ., ზოგადი ვალდებულებითი სამართალი (კაზუსების კრებული) 2020, გვ. 60.

¹⁴³ ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, ჭანტურია ლ., (რედ.), 401, ველი 2.

შესრულების ვადები –dies interpellat pro homine – „ადამიანის ნაცვლად აფრთხილებს დრო“.¹⁴⁴

აღბათ, სადავო არ უნდა იყოს იმის არგუმენტირება, რომ შესრულების შეუძლებლობა, როგორც მოვალის არაბრალეული ქმედება, არ შეიძლება მხოლოდ ვადის გადაცილებაში გამოიხატოს. სსკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად „ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად დათქმულ დროსა და ადგილას.“ ამ სამართლებრივი ნორმით გათვალისწინებული ყველა ჩამოთვლილი შემთხვევიდან გადახვევა ვალდებულების შეუსრულებლობას იწვევს და თუ ის მოვალის არაბრალეულ ქმედებას უკავშირდება, სახეზეა შესრულების შეუძლებლობის შემთხვევები და ამ შემთხვევებს სჭირდება გამართული საკანონმდებლო რეგულირება, რასაც, როგორც აღინიშნა, მოკლებულია დღევანდელი ქართული სამოქალაქო მატერიალური სამართალი.

„თუმცა, ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ შესრულების შეუძლებლობის ინსტიტუტი იკითხება სამოქალაქო კოდექსში გაბნეული ცალკეული ნორმები და (სსკ-ს 91, 115, 398, 399, 406.1, 490.3) და გამომდინარეობს მისი ზოგადი პრინციპებიდან (სსკ 4.1, 5.2, 8.3, 115).¹⁴⁵

ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა ორი სახის სამართლებრივ შედეგს წარმოშობს: 1. შესრულების შეუძლებლობა წყვეტს მხარეთა შორის არსებულ ვალდებულებით ურთიერთობებს და 2. მოვალეს ათავისუფლებს ან უმსუბუქებს პასუხისმგებლობას. ამრიგად, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა მოვალის პასუხისმგებლობაზე ორგვარ ზემოქმედებას იწვევს: ერთ შემთხვევაში მოვალე შეიძლება სრულად გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან, ხოლო მეორე შემთხვევაში მოვალის პასუხისმგებლობის შემსუბუქებას გამოიწვევს.¹⁴⁶ ამასთან, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა პირველადი მოთხოვნის შეწყვეტის საფუძველია. მნიშვნელობა არ ენიჭება მოვალის ბრალეულობას. ასეთი მიდგომა ეფუძნება დებულებას, რომ შეუძლებელი მოქმედების მოთხოვნას აზრი, უბრალოდ, არ აქვს, რის და ვის გამოც არ უნდა იყოს ეს შეუძლებლობა გამოწვეული.¹⁴⁷

¹⁴⁴ ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი მე-2, 2001, გვ.182.

¹⁴⁵ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 94.

¹⁴⁶ სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ., სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა, 2016, გვ.146.

¹⁴⁷ რუსიაშვილი გ., დარჯანია თ., მაისურაძე დ., ზოგადი ვალდებულებითი სამართალი, კაზუსების კრებული 2020, გვ. 60.

3.4 შესრულების შეუძლებლობის სახეები

3.4.1 საწყისი და შემდგომი შეუძლებლობა

შესრულების შეუძლებლობის კონცეფცია საკმაოდ დეტალურადაა შემუშავებული მე-19 საუკუნის გერმანელი მეცნიერების მოზმენისა და ვინშაიდის მიერ.¹⁴⁸ კერძოდ, აღნიშნული კონცეფცია ეფუძნება ფრიდრიხ მოზმენის დოქტრინას, რომელიც განასხვავებდა საწყისი და შემდგომი, აბსოლუტური და ფარდობითი, ობიექტური და სუბიექტური, ბუნებრივი და სამართლებრივი, მუდმივი და დროებითი, სრული და ნაწილობრივი შესრულების შეუძლებლობის სახეებს.¹⁴⁹

მოზმენის ამ კონცეფციას, რომელიც შესრულების შეუძლებლობის სახეებს განასხვავებს, გარკვეულწილად თანამედროვე ცივილისტური დოქტრინაც იზიარებს, რომელიც უმეტესად გამოყოფს შეუძლებლობის ისეთ სახეებს, როგორცაა: შესრულების სუბიექტური და ობიექტური შეუძლებლობა, შესრულების საწყისი და შემდგომი შეუძლებლობა, შესრულების ფიზიკური და იურიდიული და შეუძლებლობა...

ამას გარდა, გსკ-ის 275-ე პარაგრაფის მეორე, მესამე ნაწილებით აწესრიგებს ფარდობითი შეუძლებლობის ისეთ ფორმებს, რომელიც აერთიანებს პრაქტიკული შეუძლებლობისა და მორალური, ეთიკური, პირადი შეუძლებლობის სახეებს.¹⁵⁰

ცდები, ერთმანეთისაგან განასხვავონ გარემოებები, რომლებიც შეუძლებელს ხდის სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებას, აბრკოლებს შესრულებას და ბოლოს, შლის ხელშეკრულების მიზნებს, მხოლოდ იმისთვის არის საჭირო, რომ მოხდეს ზემოხსენებული გარემოებების სისტემაში მოყვანა, უფრო ნათელი შინაარსის მინიჭება და ტიპიზაცია.¹⁵¹

შესრულების შეუძლებლობის გარემოებათა ჩამოთვლას ის მნიშვნელობა აქვს, რომ ხელშეკრულების სპეციფიკიდან გამომდინარე, მხარეებს შესაძლებლობა ეძლევათ მიუთითონ მხოლოდ ისეთ გარემოებაზე, რომელთა დადგომის ალბათობა მეტია მოცემულ ურთიერთობაში.¹⁵² ამასთან, შეუძლებლობის სახეებად დაყოფას საბოლოოდ მივყავართ შედეგამდე, რომელიც პასუხისმგებლობის სწორად განსაზღვრას გულისხმობს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე. ანუ იმის განსაზღვრას, თუ რა მოცულობით უნდა

¹⁴⁸ ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი მე-2, 2001, გვ.178.

¹⁴⁹ ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების მისადაგება ვალდებულების შესრულებისა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, თბილისი, 2015, გვ.107.

¹⁵⁰ იქვე, გვ.72.

¹⁵¹ ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი მე-2, 2001, გვ. 209.

¹⁵² საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი 2001, გვ. 374-375.

მოხდეს მოვალის პასუხისმგებლობის შემსუბუქება, ან უნდა მოხდეს თუ არა მისგან სრულად გათავისუფლება, ან იძლევა თუ არა შესრულების შეუძლებლობის კონკრეტული სახე პასუხისმგებლობის შემსუბუქების ან გამორიცხვის შესაძლებლობას, რადგან ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია შესრულების შეუძლებლობის ხასიათი.¹⁵³

ამასთან, ხელშეკრულების უზენაესობის პრინციპი განამტკიცებს დებულებას, რომლითაც მხარისათვის სახელშეკრულებო ვალდებულება მხოჭავია მისი შესრულების უკიდურესად გართულების შემთხვევაშიც.¹⁵⁴ ამიტომ, შესრულების შეუძლებლობა და განუხორციელებლობა აბსოლუტური პასუხისმგებლობის პრინციპის გამონაკლისად იქნა დაშვებული¹⁵⁵

განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია საწყისი და შემდგომი შეუძლებლობის უფრო დეტალურად განხილვა, ვინაიდან აქ დგება არა მხოლოდ ზიანის დადგენისა და პასუხისმგებლობის დაკისრება-არდაკისრების საკითხი, არამედ შესაძლოა საუბარი იყოს საერთოდ ხელშეკრულების ნამდვილობის განსაზღვრაზეც.

რომის სამართალი არ ითვალისწინებდა ვალდებულების შემდგომი შეუძლებლობის ინსტიტუტს და განსაზღვრავდა მხოლოდ საწყის შემთხვევებს, როდესაც ვალდებულება ხელშეკრულების დადებისთანავე კარგავდა აზრს.¹⁵⁶

ტრადიციული დოქტრინის მიხედვით, ვალდებული მხარე თავისუფლდება მისი სახელშეკრულებო ვალდებულებისაგან, რომელიც წარმოიშობა ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ და შეუძლებელია მიეკუთვნოს ვალდებული პირის ბრალეულობას. დოქტრინა სამართლებრივ სისტემებს, რომელიც საზრდოობს რომაული სამართლის რეგულირებით “impossibium nulla obligatio” განასხვავებს შემდგომ და მანამდე არსებულ შეუძლებლობას, დამოკიდებულს ხდის რა შეუძლებლობის მანამდე ან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ წარმოშობის საკითხზე. მათი შეხედულების მიხედვით, წინამორბედი შეუსრულებლობა განიხილება ხელშეკრულების ბათილობისკენ მიმავალ გზად და არა როგორც შეუსრულებლობად.¹⁵⁷

¹⁵³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი 2001, გვ. 371

¹⁵⁴ ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების მისადაგება ვალდებულების შესრულებისა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, 2015, გვ. 61.

¹⁵⁵ იქვე.

¹⁵⁶ ბეგიაშვილი ნ., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, შედარებით-სამართლებრივი ანალიზი, სამართლის ჟურნალი „სარჩევი“ N1, 2011, გვ.10.

¹⁵⁷ Brunner Ch., Force Majeur and Hardship under General Contract Principles, The Netherlands, Kluwer Law International BV-2009, pp.77-90.

ქართული სამართლებრივი დოქტრინა საწყის და შემდგომ შეუძლებლობას შემდეგნაირად განიხილავს: „ასეთი დაყოფა არსებითად დროის ფაქტორზეა დამოკიდებული. თუკი ვალდებულების შესრულება შეუძლებელი იყო მისი დადების მომენტიდანვე, ასეთი შესრულება საწყისი შეუძლებლობა იქნება. ხოლო თუკი შემდგომში გახდება შესრულება ასეთი, მაშინ შემდგომი შეუძლებლობა გვექნება სახეზე. როგორც ერთი, ისე მეორე, შეიძლება არსებობდეს როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური შეუძლებლობის სახით.“¹⁵⁸

თითქმის იგივე აზრს ავითარებს გერმანული დოქტრინაც: „წინააღმდეგობები, რომლებიც „დასაწყისშივე“ შეუძლებელს ხდის ხელშეკრულების შესრულებას, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის თანახმად, განსხვავდება მოგვიანებით წარმოქმნილი „მომდევნო“ წინააღმდეგობისაგან. ხელშეკრულების შესრულების „შემდგომი შეუძლებლობის“ დროს, გადამწყვეტი მნიშვნელობა „თავდაპირველი შეუძლებლობის“ დარად, არა აქვს შეუსრულებლობის ობიექტურ ბუნებას, როდესაც პრინციპში შეუძლებელია ხელშეკრულების შესრულება, არც შეუსრულებლობის სუბიექტურ ბუნებას, როდესაც მოცემულ კონკრეტულ მოვალეს არ შეუძლია ხელშეკრულების შესრულება.“¹⁵⁹

თუკი საწყის და შემდგომ შეუძლებლობას არსებითად დროის ფაქტორი განასხვავებს, მაშინ საკითხი უნდა დადგეს იმდაგვარად, თუ რას გვამღვეს ეს განსხვავება, რა განსხვავებულ სამართლებრივ შედეგამდე მივყავართ შესრულების შეუძლებლობის ასეთ დაყოფას.

ხელშეკრულების შემდგომ შეუძლებლობად შეიძლება მივიჩნიოთ ნებისმიერი შემთხვევა, დაუძლეველი გარემოება, რომელიც შესრულებას შეუძლებელს ხდის და არა დამამძიმებელს. ეს ის მოვლენებია, რომლის წინასწარ გათვალისწინებაც შეუძლებელია.¹⁶⁰ ეს გარემოებები შესაძლოა იყოს დაუძლეველი ძალა – ფორსმაჟორული გარემოებები, შესრულების შეუძლებლობის ზემოთ ჩამოთვლილი სახეები.

რაც შეეხება საწყის შეუძლებლობას, შესრულების საწყისი შეუძლებლობა ხელშეკრულების ბათილობის საფუძველს ქმნის თუ საუბარია მხარეთა მიერ ხელშეკრულების დადების მომენტში, იმთავითვე დათქმულ ძირითადი ვალდებულების აბსოლუტურ შეუსრულებლობაზე,

¹⁵⁸ Brunner Ch., Force Majeur and Hardship under General Contract Principles, The Netherlands, Kluwer Law International BV-2009, pp.77-90.

¹⁵⁹ ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი მე-2, 2001, გვ.180.

¹⁶⁰ ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი 2001, გვ. 372.

შეუძლებლობაზე, განუხორციელებლობაზე. როცა ხელშეკრულების დადებას აბსურდული სახე ეძლევა, რადგან თუკი ხელშეკრულების საწყისშივე განწირულია ვალდებულება შეუსრულებლობისათვის, მაშინ ყოველგვარ სამართლებრივ თუ პრაქტიკულ აზრს მოკლებულია თავად ხელშეკრულების დადების ფაქტი. **სწორედ ამ მსჯელობას განამტკიცებს სსკ-ის 91-ე მუხლი, რომლითაც, „თუკი გარიგების შესრულება თავიდანვე შეუძლებელია, ასეთი გარიგება ბათილად უნდა ჩაითვალოს.“¹⁶¹**

იგივე თეზისს ავითარებს უნიფიცირებული სამართალი ვენის 1980 წლის საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ გაეროს კონვენციის სახით. კერძოდ, კონვენციის თანახმად, მხარეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა თავისი ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, თუ დაამტკიცეს, რომ იგი გამოწვეული იყო დაბრკოლებით, რომელიც მის კონტროლს არ ექვემდებარებოდა და რომ არაგონივრული იყო მისგან ამ დაბრკოლების გათვალისწინება ხელშეკრულების დადების დროს ან ამ დაბრკოლების ან მისი შედეგების თავიდან აცილება ან გადალახვა.¹⁶² ანუ, ეს ნორმა ვრცელდება მხოლოდ ხელშეკრულების დადების შემდგომ აღმოცენებულ დაბრკოლებაზე, ვინაიდან ხელშეკრულების საწყისი შეუძლებლობა ხელშეკრულების ნამდვილობაზე ახდენს გავლენას და აღნიშნული საკითხი, კონვენციის მე-4 მუხლის თანახმად, მისი რეგულირების სფეროდან გამოირიცხება. ამდენად, 79-ე მუხლი არ მოიცავს შესრულების საწყისი შეუძლებლობის მოწესრიგებას.¹⁶³

იურიდიულ დოქტრინაში აღიარებულ ამ შეხედულებას საწყისი შეუძლებლობის შესახებ, რომელიც პირდაპირ უქმნის საფრთხეს ხელშეკრულების ნამდვილობას, ერთგვარად უპირისპირდება ის საკანონმდებლო გამონაკლისი, რომელსაც სამოქალაქო სამართალი უშვებს კერძო ავტონომიის პრინციპის ფარგლებში, როცა გარიგების დადების მსურველ მხარეებს ანიჭებს შესაძლებლობას ხელშეკრულების დადების დროს, წინასწარ დათქვან პასუხისმგებლობის შემზღუდავი და გამომრიცხავი გარემოებების ამოქმედების შესაძლებლობა ვალდებულების შესაძლო შეუსრულებლობის შემთხვევებში. უფრო ზუსტად, სამოქალაქო კოდექსის 410- მუხლის ახალი რედაქციით, „ვალდებულების დარღვევის გამო ზიანის

¹⁶¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 91, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=130> [10.05.2024].

¹⁶² საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ გაეროს კონვენცია, ვენა 1980, 79.1 მუხლი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4992306?publication=0> [12.05.2024].

¹⁶³ ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების მისადაგება ვალდებულების შესრულებისა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, 2015, გვ. 59.

ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე წინასწარ უარის თქმა დაიშვება თუ ეს გათვალისწინებულია კანონით ან მხარეთა შეთანხმებით“.

საინტერესო და ყურადსაღებია ის გარემოება, რომ, ერთი მხრივ, ცივილისტურ დოქტრინაში პასუხისმგებლობისგან გამათავისუფლებლად აღიარებენ მხოლოდ წინასწარ გათვალისწინებულ და მოვალესთან დაუკავშირებელ წინააღმდეგობებს, რომლის წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელი უნდა იყოს არა მხოლოდ საზოგადოდ ჩვეულებრივი ადამიანისთვის, არამედ მოვალისთვის, რომელიც ითხოვს პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას მოცემული საფუძვლით. რადგან, თუკი მოვალემ ხელშეკრულების დადებისას იცოდა, რომ დადგებოდა გარემოებანი, რომლებიც ვალდებულების შესრულების შეუძლებლობას გამოიწვევდა, ასეთ შემთხვევაში ის არ უნდა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან,¹⁶⁴ ხოლო მეორე მხრივ, იქმნება შესაძლებლობა ხელშეკრულების დადების მომენტში ისაუბრონ და ხელშეკრულების დათქმად დააყენონ პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები. ამასთან, თუ ერთ შემთხვევაში (შესრულების შემდგომი შეუძლებლობა) „წინასწარ გათვალისწინებლობა“ (imprevision).¹⁶⁵ „განჭვრეტადი ზიანის“ (საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი 1150-ე მუხლი) არქონა ხდება ზიანის ანაზღაურებისაგან გათავისუფლების საფუძველი, მეორე შემთხვევაში სწორედ „წინასწარი შეუძლებლობა“, „წინასწარი გათვალისწინება“, სახელშეკრულებო დათქმა ათავისუფლებს მოვალეს პასუხისმგებლობისაგან.

ზემოხსენებული არგუმენტების გათვალისწინებით, შესაძლოა ასეთი კითხვა დაისვას: ხომ არ ქმნის საკანონმდებლო უხერხულობას ეს ორი, სამართლებრივი თვალსაზრისით, აბსოლუტურად წინააღმდეგობრივი შემთხვევა? მით უმეტეს, რომ ქართული ცივილისტური დოქტრინა საკმაოდ უარყოფითად აფასებს ასეთ შესაძლო სახელშეკრულებო დათქმებს. პროფესორი ბესარიონ ზოიძე აღნიშნავს: საერთაშორისო კომერციულ პრაქტიკაში ამ საკითხს საგანგებო ყურადღება აქვს დათმობილი. მხარეს ნებისმიერ დროს შეუძლია უარი თქვას მოთხოვნაზე ეს მისი იმანენტური უფლებაა, მაგრამ ამის პირობად დათქმა შეთანხმების სახით დაუშვებელია. ასეთი შეთანხმება ძირს უთხრის ვალდებულების ორგანულ ერთიანობას.

ვალდებულება, რომლის სუბსტანციაც პასუხისმგებლობასთან ერთად ცნობიერდება, აღნიშნული შეთანხმებით მის გარეშე რჩება. მსგავსი დათქმები ცივილისტური კატეგორიების დამახინჯებას იწვევს. არავინ არ უკრძალავს

¹⁶⁴ ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი 2001, გვ. 372-373.

¹⁶⁵ ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი მე-2, 2001, გვ. 216.

კრედიტორს უარი თქვას უფლებაზე, მაგრამ დაუშვებელია ეს შეთანხმება ვალდებულებად იქცეს... ასეთმა შეთანხმებამ შესაძლოა გამოიწვიოს აშკარადისბალანსი მხარეთა მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შორის და არაეკვივალენტურ ბრუნვას შეუწყოს ხელი.¹⁶⁶

იგივე მიდგომაა გაზიარებული ქართული დოქტრინის სხვა წარმომადგენლების მიერ: მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, პრობლემას სამოქალაქო კოდექსის 410-ე მუხლი ქმნის, რომელიც გარიგების ერთ მხარეს, სრულიად უსამართლოდ, დიდ პრივილეგიებს უწყებს, ხოლო მეორე მხარეს, ფაქტობრივად, დამატებით ვალდებულებას აკისრებს. მაშინ, როცა სამოქალაქო კოდექსის პირდაპირი დანიშნულებაა ხელი შეუწყოს სამოქალაქო ბრუნვის ნორმალურ განვითარებას და დაიცვას ხელშეკრულების მხარეები წინასწარი უსამართლო შეთანხმებებისაგან.¹⁶⁷

თუმცა კ. ცვაიგერტისა და ჰ. კოტცის მიერ წარმოდგენილი ორტმანის „ფსიქოლოგიური თეორიის“ თანახმად, მთავარია მხარეთა აზროვნების შინაარსი ხელშეკრულების გაფორმების მომენტში. უფრო ზუსტად, იგი ითხოვდა მოვლენათა სამომავლო განვითარების შესახებ წარმოდგენები (სამომავლოდ განუხორციელებელი) არა მხოლოდ ეკუთვნოდეს ერთ-ერთ მხარეს, არამედ გაზიარებული იყოს ორივე მხარის მიერ. სწორედ ეს, ორივე მხარის მიერ გაზიარებული წარმოდგენები, ან მეორე მხარის მიერ გაცნობილი წარმოდგენები, რომლებიც მის წინააღმდეგობას არ იწვევს, ორტმანის აზრით, არის გარიგების დადების საფუძველი.¹⁶⁸ ანუ ორტმანის თეორიის მიხედვით, სამომავლოდ განუხორციელებელი მოვლენები მხარეებმა შესაძლოა ხელშეკრულების დადებისას გაითვალისწინონ, რაც პასუხისმგებლობის შემსუბუქებას ან გამორიცხვას იწვევს.

თუ ამ მოცემულობას ზოგად სამართლებრივ ჭრილში განვიხილავთ, მართლაც რთული წარმოსადგენია დაუშვა, რომ კანონი ხელშემკვრელ მხარეებს პასუხისმგებლობისაგან თავის დახსნის, პასუხისმგებლობის „არ გების“ ერთგვარ საფუძველს უქმნის, ანიჭებს რა უფლებამოსილებას ხელშეკრულების დადების სტადიაზე წინასწარ დათქვან პასუხისმგებლობის შემზღუდავი და გამომრიცხავი გარემოებები. ამ მიდგომით, მსგავსი ხელშეკრულებები, შესაძლოა მართლაც არარეალურად, განუხორციელებლად ჩაითვალოს, რადგან თუკი სამართლებრივი ნორმა მსგავს შეთანხმებებს

¹⁶⁶ ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, 2001, გვ. 459-460.

¹⁶⁷ სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ., სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, 2016, გვ. 298-299.

¹⁶⁸ ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი მე-2, 2001, გვ. 213.

ლეგიტიმურ სახეს სძენს ეს, ერთგვარად, არათანაბარ პირობებში აყენებს მოთხოვნაზე უფლებამოსილ მხარეს, ხოლო ხელშეკრულებას თითქოს განუხორციელებლობის, შეუსრულებლობის, ამაოების დამდას ადებს.

მაგრამ მოცემული მუხლი არ უნდა იყოს გაგებული როგორც ანარქიული დებულება, რომელიც მხარეებს განუზომელ უფლებამოსილებას სთავაზობს საკანონმდებლო ჩარჩოს მიღმა დატოვებით, როგორც ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის და პასუხისმგებლობისგან თავის დაღწევის, ასევე ხელშემკვრელი მხარის არათანაბარ პირობებში ჩაყენების საშუალება. ეს ნორმა არ მოიცავს პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების აბსოლუტურ, შეუვალ, უპირობო საფუძვლებს.¹⁶⁹

აღნიშნული ნორმის დანაწესი გულისხმობს, რომ წინასწარი სახელშეკრულებო დათქმა ეხებოდა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებს, რაც შესაძლოა იყოს დაუძლეველი ძალა, შესრულების შეუძლებლობა, დაბრკოლება... ცხადია, მსგავსი ტიპის შემთხვევების წინასწარ დეტალურად, სიღრმისეულად გათვლა შეუძლებელია, მაგრამ ხელშეკრულების ტიპის გათვალისწინებით შესაძლოა მეტნაკლები სიზუსტით დათქმულ იქნეს შემდგომი შესაძლო გართულებანი და ამ გართულებათა სამართლებრივი შედეგები. ამავდროულად, როგორც ვ. ცვაიგერტი და ჰ. კოტცი განმარტავენ – „ხელშეკრულების შესრულების სიძნელეთა გადაჭრა დიდწილად არის დამოკიდებული პირველ რიგში იმაზე, თუ როგორ ინაწილებენ მხარეები დადებული ხელშეკრულების ტიპის გათვალისწინებით მსგავსი გარემოებების წარმოქმნის რისკს.¹⁷⁰ ანუ თუკი ხელშეკრულების დადებისას ხელშემკვრელ მხარეთა შორის რისკის გადანაწილების საკითხი სწორად იქნება დათქმული სამოქალაქო კოდექსის 410-ე მუხლის ფარგლებში, არ უნდა დგებოდეს მხარეთა უფლებების დისბალანსის, არათანაბარ პირობებში ჩაყენების პრობლემა. ამასთან, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, კანონი არ უშვებს ხელშემკვრელ მხარეთა პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების უალტერნატივო, უპირობო, აბსოლუტურ საფუძვლებს. დაუშვებელია მსგავსი შეთანხმება ხელშეკრულების არსებით პირობაზე, რომლის შეუსრულებლობა არსებით დარღვევას აფუძნებს. მხარეთა მიერ განსაზღვრული ან კანონით დადგენილი არსებითი პირობის დაცვა ხელშეკრულების მონაწილეთა ძირითადი ვალდებულებაა.¹⁷¹ ამასთან, ასეთი დათქმები ეხება მხოლოდ განსაკუთრებულ გარემოებებს, იძლევა მხარეთა შორის რისკის სწორად

¹⁶⁹ ტაბატაძე თ., სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის შეზღუდვა ტურიზმის ხელშეკრულებაში, ჟურ. „აკადემიური მაცნე“ N4, 2015, გვ. 5.

¹⁷⁰ ცვაიგერტი ვ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი მე-2, 2001, გვ. 213.

¹⁷¹ ბიოლინგი ჰ., ლუტრინგჰაუსი პ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, ბრემენი-თბილისი 2004-2009, გვ. 292.

გადანაწილების შესაძლებლობას, და, არათუ იწვევს მხარეთა შორის დისბალანსს და არათანაბარ პირობებში მათ ჩაყენებას, არამედ აძლევს ხელშემკვრელ მხარეებს იმ უპირატესობას, რომ უფრო კონკრეტულად, დეტალურად, ხელშეკრულების ტიპის გათვალისწინებით ხელშეკრულების საწყის ეტაპზე განსაზღვრონ თავიანთი უფლება-მოვალეობანი.

3.4.2 დროებითი და საბოლოო შეუძლებლობა

დროებითმა შეუძლებლობამ შესაძლოა სულაც არ შეუქმნას ხელშეკრულებას საფრთხე და, რიგ შემთხვევებში, არც ნეგატიური გავლენა იქონიოს მასზე. რადგან, მიუხედავად დროებითი შეუძლებლობისა, ვალდებულების შესრულება პერსპექტივაში შესაძლებელი იყოს.¹⁷² ასეთ შემთხვევაში ვალდებულება არ გაქარწყლდება, არამედ დროებით შეწყვეტს მოქმედებას.¹⁷³ ვალდებულების გასაქარწყლებლად და მოვალის პასუხისმგებლობისგან გასათავისუფლებლად თანმდევია ისეთი პირობის არსებობა, რომ შეუძლებლობა არ უნდა იყოს დროებითი.¹⁷⁴ ეს ყველა სახის შეუძლებლობისათვის არის საერთო.¹⁷⁵

მაგრამ, მიუხედავად ზემოთქმულისა, შესაძლებელია შესრულების შეუძლებლობის დროებითმა ხასიათმა იქონიოს ნეგატიური ზეგავლენა ხელშეკრულებაზე. უნდა მივიჩნიოთ თუ არა შესრულების შეუძლებლობის „დროებითობა“ ხელშეკრულების შეწყვეტისა და შემხვედრი მოთხოვნების წარმოშობის, ან მოვალის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძვლად, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა არის კონკრეტული ხელშეკრულების არსებითი პირობა.

ინგლისელი იურისტები „ხელშეკრულების არსებითი დებულების“ („essential term of contract“) აღსანიშნავად იყენებენ ტერმინ „condition“-ს, რომლის შეუსრულებლობა ერთ-ერთ მხარეს უფლებას აძლევს უარი თქვას საკუთარი ვალდებულების შესრულებაზე, აგრეთვე და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო.

¹⁷² ზოიძე ბ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, 2001, გვ. 380.

¹⁷³ ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, ჭანტურია (რედ.), 401, ველი 6.

¹⁷⁴ ბეგიაშვილი ნ., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, სამართლის ჟურნალი 1 (2) 2011, გვ.10-11.

¹⁷⁵ ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბილისი, 2010, 96.

ხოლო საერთო სამართალი „პირობებად“ (“conditions”) აღიარებს ხელშეკრულების მხოლოდ იმ დებულებებს (“terms of contract”), რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მისი შესრულებისათვის რისკს.¹⁷⁶

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, „არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომელზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება.“ კანონი არ განსაზღვრავს არსებითი პირობების ჩამონათვალს. ჩვეულებრივ, არსებითად მოიაზრება პირობები, რომლებიც გამოხატავენ შესაბამისი ხელშეკრულების ბუნებას. ტრადიციულად, როგორც დოქტრინის, ისე პრაქტიკის მიერ ჩამოყალიბდა საკითხთა წრე, რომელზეც მხარეთა შეთანხმება აუცილებლადაა მიჩნეული, –საგანი, ფასი და ხელშეკრულების ვადა.¹⁷⁷ – შესრულების დრო.¹⁷⁸ თუკი შესრულების დრო განისაზღვრება, როგორც ხელშეკრულების ერთ-ერთი არსებითი პირობა – time is of the essence, მაშინ მას ხელშეკრულებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ამასთან, ხელშეკრულებით განსაზღვრული შესრულების დრო შეიძლება იყოს, როგორც აბსოლუტურად განსაზღვრული, ასევე რელატიური. აბსოლუტურია ვადა, როდესაც ვადის გადაცილების შემდეგ შესრულება კარგავს ყოველგვარ ინტერესს. „აბსოლუტურად ფიქსირებული“ (absolutes Fixgeschäft) ვალდებულების შემთხვევაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს დროულად შეუსრულებლობა, როგორც წესი, შესრულების შეუძლებლობას იწვევს (მაგალითად, საქორწილო კაბის შეკერვა ქორწილის შემდეგ; საკონდიტრო ნაწარმის დამზადება დაბადების დღის შემდეგ და ა.შ.).¹⁷⁹

ასეთ სახელშეკრულებო ურთიერთობებში, რომელშიც ვალდებულების დროული შესრულება გადამწყვეტია, დროებითი შეუძლებლობა საბოლოო შეუძლებლობას განაპირობებს.¹⁸⁰

მუდმივი (განგრძობადი) შეუძლებლობის წინაპირობა მოცემულია მაშინ (რომელთანაც შემდგომ დროებითი შეუძლებლობის გათანაბრება ხდება, ანუ დროებითი შეუძლებლობა მუდმივში გადადის), როდესაც იგი გარიგების

¹⁷⁶ ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი მე-2, 2001, გვ.196.

¹⁷⁷ ბალიშვილი ე., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, ჭანტურია ლ., (რედ.), 327, ველი 9.

¹⁷⁸ ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართული სამოქალაქო კოდექსი შესრულების დროს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, კერძოდ, სსკ-ის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად „ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.“

¹⁷⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 6 აპრილის Nსს-1166-2-19 გადაწყვეტილება.

¹⁸⁰ ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ.96.

მიზნის მიღწევას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს და მეორე მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს ხელშეკრულების ბოჭვაში დარჩენა ვალდებულების შესრულების დაბრკოლების აღმოფხვრამდე (Palandt-Heinrich, § 275, Rn.10).¹⁸¹

ხოლო თუ შესრულების შეუძლებლობა დროებითია, მოვალე შესრულების ვალდებულებისაგან შეუძლებლობის არსებობის პერიოდისთვის თავისუფლდება.

3.4.3 სუბიექტური და ობიექტური შეუძლებლობა

შესრულების სუბიექტური და ობიექტური შეუძლებლობა „ნამდვილი შეუძლებლობის“ კატეგორიაშია მითითებული:- ნამდვილი შეუძლებლობა სახეზეა მაშინ, როცა შესრულება აბსოლუტურად შეუძლებელია ყველასთვის (ობიექტური შეუძლებლობა) ან, სულ მცირე, მოვალისთვის (სუბიექტური შეუძლებლობა).¹⁸² უფრო კონკრეტულად: – სუბიექტური შეუძლებლობა გულისხმობს ობიექტურად განხორციელებადი შესრულების შეუძლებლობას მხოლოდ კონკრეტული მოვალისათვის. ობიექტურ შეუძლებლობისას ვალდებულების შესრულება ფიზიკურად განუხორციელებელია არა მხოლოდ ხელშეკრულების კონკრეტული მხარისათვის, არამედ ნებისმიერი პირისათვის.¹⁸³

გსკ-ით სუბიექტური შეუძლებლობის (უუნარობის) წინაპირობაა ის, რომ მოვალეს არ შეუძლია ვალდებულების შესრულება და ამას ვერც ნივთის შოვნით, სხვაგან ყიდვით ან აღდგენით შეძლებს (შდრ. BGH NJW, 1988, 699, 700). გვაროვნული ნივთით შესასრულებელი ვალდებულების დროს მას ეკისრება დაღუპული ნივთის მსგავსი გვაროვნული ნივთის შეძენის ვალდებულება (შდრ. § 243, ველი 2).

პირის ფინანსური გადახდისუუნარობა, ზოგადი შეხედულების თანახმად, არ იწვევს ვალდებულებისგან განთავისუფლებას (ეს აზრს დაუკარგავდა გაკოტრების სამართალს). გერმანულ სამართალში დამკვიდრებული პრინციპი – „პირს ფული უნდა ჰქონდეს“ – მამასადამე, §

¹⁸¹ კროპპოლერი ი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თბილისი, საიას იურიდიული ხელშეწყობის ფონდი, მთარგ. თორნიკე დარჯანია, ზურაბ ჭეჭელაშვილი, რედ.: ეთერ ჩაჩანიძე, თორნიკე დარჯანია, ლევან თოთლაძე, GIZ, 2014, გვ. 510.

¹⁸² Looschelders, Schuldrecht AT, § 21 Rn. 1 ff, მითითებულია რუსიაშვილი გ., დარჯანია თ., მაისურაძე დ., ზოგადი ვალდებულებითი სამართალი (კაზუსების კრებული) 2020, გვ. 60.

¹⁸³ Goldman A.J., Sigismond W.D., Business Law and Practices, 8th ed., South-Western College/West, 2010, 217; Pizer L.K., Smith M.R. (eds in Chief), Southerington T., Review of the Convention on Contracts for the International Sale of Goods (CISG) 2002-2003, Kluwer Law International, The Hague, London, New York, 2004, 257. 315; მითითებულია, ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების მისადაგება ვალდებულების შესრულებისა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, თბილისი, 2015, გვ. 73.

275-ით ვერავინ განთავისუფლდება ფულის არქონის გამო ფულადი ვალდებულებისაგან.¹⁸⁴

არც ობიექტური გადაულახაობის – ობიექტური შეუძლებლობის შემთხვევები მოიაზრება ყოველთვის როგორც ვალდებულების შესრულებისა და ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან გამათავისუფლებელ გარემოებად და, რიგ შემთხვევებში, არ გამორიცხავს დაზარალებული მხარის უფლების დაცვას სხვა სამართლებრივი ინსტიტუტების მეშვეობით. ამ მხრივ საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება,¹⁸⁵ სადაც დაზარალებული მხარის უფლებათა დაცვა ხდება უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის გამოყენების მეშვეობით.

როგორც აღნიშნულ გადაწყვეტილებაშია მითითებული: „სსკ-ის 979-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, „თუ უკან დაბრუნება შეუძლებელია გადაცემული საგნის მდგომარეობის გამო ან, თუ მიმღებს რაიმე მიზეზით არ შეუძლია საგნის უკან დაბრუნება, მაშინ მან უნდა აანაზღაუროს მისი საერთო ღირებულება.“ ვინაიდან განსახილველ საქმეში სწორედ მიღებულის უკან დაბრუნების ობიექტური შეუძლებლობა იკვეთება, ქონებრივი წონასწორობის აღდგენის მიზნით ხელმყოფს (მოპასუხეს) ეკისრება, რომ მის მიერ დაზოგილი სიკეთე - მოცემულ შემთხვევაში დაზოგილი ქირა (რომელსაც იგი გადაიხდიდა, თუკი მესაკუთრესთან, ან სხვასთან, სამართალურთიერთობაში იქნებოდა) აუნაზღაუროს მესაკუთრეს, რომელმაც ვერ მიიღო შესაბამისი სარგებელი და განიცადა ქონებრივი დანაკლისი.¹⁸⁶

3.4.4 შესრულების ეკონომიკური შეუძლებლობა

იურიდიული მეცნიერება ეკონომიკურ შეუძლებლობას განიხილავს უფრო როგორც შესრულების გართულებას, ვიდრე შესრულების შეუძლებლობას. გერმანული დოქტრინით „ეკონომიური მიუღწევლობა“ განხილულ უნდა იქნას ხელშეკრულების გარემოებათა ცვლილების ქვეშ და არა შეუძლებლობის მიხედვით. იგი არ მოიაზრება შესრულების აბსოლუტური შეუძლებლობის ფარგლებში და ფარდობით ხასიათს ატარებს.

გერმანიაში “reichsgericht“ (ეკონომიკური შეუძლებლობა) გამოიყენება განსაკუთრებით ხანგრძლივი ხელშეკრულების შემთხვევაში. ეს ტერმინი გერმანული სასამართლოების მიერ 1923 წლის შემდეგ შეიქმნა და შემდეგ რეგულარულად გამოიყენებოდა. შეუძლებლობის საქმის გადაწყვეტისას “lapse of the contract basis” ამ დოქტრინის მიხედვით სასამართლოს შეეძლო

¹⁸⁴ კროპპოლერი ი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თბილისი, საიას იურიდიული ხელშეწყობის ფონდი, მთარგ. თორნიკე დარჯანია, ზურაბ ჭეჭელაშვილი, რედ.: ეთერ ჩაჩანიძე, თორნიკე დარჯანია, ლევან თოთლაძე, GIZ, 2014, გვ. 510.

¹⁸⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 13 მარტის N ას-504 201 გადაწყვეტილება.

¹⁸⁶ იქვე.

შეწყვიტა ან ადაპტაცია მოეხდინა არსებული ხელშეკრულებების, როდესაც სახელშეკრულებო ბალანსი შეიცვლებოდა.¹⁸⁷

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ თანამედროვე გერმანულ კანონმდებლობაში დამკვიდრებულია პრინციპი „პირს ფული უნდა ჰქონდეს“. შესაბამისად, გერმანული სამოქალაქო კოდექსის 275-ე პარაგრაფით ვერავინ გათავისუფლდება ფულის არქონის გამო ფულადი ვალდებულებისაგან.¹⁸⁸ ამიტომაც შესრულების ეკონომიკურ შეუძლებლობას გსკ-ის 313-ე პარაგრაფი აწესრიგებს, რომელიც შეცვლილ გარემოებებთან დაკავშირებულ საკითხებს შეეხება და განსხვავებულ სამართლებრივ შედეგს განაპირობებს. ანუ, თუკი ზოგადად შესრულების შეუძლებლობა, როგორც ფაქტობრივად განუხორციელებელი მოვლენა ათავისუფლებს მოვალეს პასუხისმგებლობისაგან, რადგან ის არაგონივრულად დიდ დანახარჯებს უკავშირდება, ხოლო შესრულებისათვის აუცილებელი ძალისხმევა ვალდებულების არსისა და კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინებით, მნიშვნელოვნად შეუსაბამოა კრედიტორის სახელშეკრულებო ინტერესისა, ეკონომიკური შეუსრულებლობის არსებობისას კრედიტორის შესრულების ინტერესსა და მოვალისათვის შესრულების სირთულეს შორის შეუსაბამობა არ არსებობს. რამდენადაც რთულია ვალდებულების შესრულება მოვალისათვის, იმდენად მნიშვნელოვანია ამგვარი შესრულების მიღება უფლებამოსილი პირისათვის. კრედიტორის შესრულების ინტერესი შეესაბამება ნივთის საბაზრო ფასს და არა ხელშეკრულების საწყის ფასს¹⁸⁹ და შესაბამისად, არ არსებობს ხელშეკრულების მოშლის ინტერესიც და საფუძველიც.

ანალოგიურად, ქართული კანონმდებლობაც შესრულების ეკონომიკური შეუძლებლობის მოწესრიგებას შეცვლილ გარემოებებთან ხელშეკრულების პირობების მისადაგებას უკავშირებს და არ განიხილავს როგორც მოვალის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს.

საინტერესოა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება.¹⁹⁰ საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით მხარეთა შორის დაიდო სასაქონლო საწყობის იჯარის ხელშეკრულება 5 წლის ვადით 2012 წლის ჩათვლით. მოვალემ, ქვეყანაში არსებული ეკონომიკური კრიზისისა და მისი საწარმოს

¹⁸⁷ Brunner Ch., Force Majeur and Hardship under General Contract Principles, The Netherlands, Kluwer Law International BV-2009, p: 77-90.

¹⁸⁸ კროპკოლერი ი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თბილისი, საიას იურიდიული ხელშეწყობის ფონდი, მთარგ. თორნიკე დარჯანია, ზურაბ ჭეჭელაშვილი, რედ.: ეთერ ჩაჩანიძე, თორნიკე დარჯანია, ლევან თოთლაძე, GIZ, 2014, გვ. 510.

¹⁸⁹ ჩიტაშვილი ნ. შეცვლილი გარემოებების მისადაგება ვალდებულების შესრულებისა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, თბილისი, 2015, გვ. 77.

¹⁹⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლის 2011 წლის 31 ოქტომბრის Nას-1153-1173 გადაწყვეტილება.

შემდგომი განვითარების გეგმიდან გამომდინარე, კრედიტორს გაუგზავნა წერილი 2010 წლის პირველი ივლისიდან ხელშეკრულების მოშლის (შეწყვეტის) შესახებ მოლაპარაკების დაწყების თაობაზე.

საქმის ფაქტობრივი გარემოებებით ასევე დგინდება, რომ მოვალე მხარე 16 თვის განმავლობაში არ ასრულებდა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, ანუ არ იხდიდა საიჯარო ქირას. მოვალის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის უშუალო მიზეზად სასამართლოსადმი მითითებულ იქნა მძიმე ფინანსური პრობლემები, რაც, როგორც აღინიშნა, გამოწვეული იყო მსოფლიო კრიზისისა და რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად, რამაც განაპირობეს მოვალის მიერ იმპორტირებულ საქონელზე მოთხოვნის შემცირება და გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულების ეკონომიკური შეუძლებლობა.

სასამართლოს შეფასებით, „მოპასუხის მიერ ხელშეკრულების მოშლის საფუძველად მითითებული ფაქტი არ წარმოადგენდა ისეთ გარემოებას, რაც შესაძლოა გამხდარიყო მხარის სახელშეკრულებო ვალდებულებისაგან გათავისუფლების საფუძველი. შპს „კ. მ. თბილისმა“ ვერ დაასაბუთა ის გარემოება, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და რუსეთ-საქართველოს ომი იყო მის მიერ კონტრაქტთან დათქმული პირობებით ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის უშუალო მიზეზი.“ ამასთან, სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებაზე, რომ სსკ-ის 398-ე მუხლის მე-3 ნაწილით – ხელშეკრულებაზე უარი დასაშვებია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ხელშეკრულების ერთი მხარის მცდელობის მიუხედავად, ხელშეკრულება მიუსადაგონ შეცვლილ გარემოებებს, მეორე მხარე აღნიშნულის წინააღმდეგია. მოცემულ შემთხვევაში, მოიჯარის მიერ მეიჯარისთვის გაგზავნილ წერილებში საუბარი იყო ხელშეკრულების ვადამდე მოშლის და არა შეცვლილ გარემოებებისათვის ხელშეკრულების მისადაგებაზე“.¹⁹¹

ასე რომ, ეკონომიკური შეუძლებლობის დროს კანონმდებლობა უფრო მკაცრია და მოვალეს არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან, არამედ მხარეებს აძლევს შესაძლებლობას, შესრულების უკიდურესი გართულების შემთხვევაშიც კი, შეძლონ ხელშეკრულების მიზნის განხორციელება.

3.5 ხელშეკრულების ამოების დოქტრინა და მისი მიმართება სსკ-ის 410-ე მუხლთან

შესრულების შეუძლებლობასთან და მის თანმდევ სამართლებრივ შედეგებთან კონტინენტური ევროპის ქვეყნებს ერთგვაროვანი სამართლებრივი მიდგომა აქვთ. მაგრამ ანგლოამერიკული სამართალი უფრო

¹⁹¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 31 ოქტომბრის (საქმე N ას-1153-1173) გადაწყვეტილება.

ფართოდ განიხილავს მსგავს შემთხვევებს და მას ხელშეკრულების მიზნის ამაოების (Frustration of Purpose) და კომერციული განუხორციელებლობის (Commercial Impracticability) დოქტრინებს უკავშირებს.

ინგლისელი მეცნიერები სამონდი და ვილიამსი ასე განმარტავენ ამაო (ფუჭ) ხელშეკრულებას. ტერმინი “frustration” – ამაო (ფუჭი) გაგებული უნდა იყოს როგორც იმ მიზნების მიღწევის შეუძლებლობა, რისთვისაც მხარეებმა დადეს ხელშეკრულება. ეს მიზნები აღმოჩნდა ამაო, ფუჭი, მათი მიღწევა გახდა შეუძლებელი ზოგიერთი წინასწარ უცნობი და გაუთვალისწინებელი გარემოების დადგომის ან შეცვლის შედეგად.¹⁹² სხვაგვარად, ხელშეკრულება შეიძლება მივიჩნიოთ ამაოდ, თუ ხელშეკრულების დადების შემდგომ აღმოცენებული, პირისგან დამოუკიდებლად არსებული შემთხვევა ფიზიკურად თუ ეკონომიკურად განუხორციელებელს ხდის ვალდებულების შესრულებას ან წარმოშობს სრულიად სხვა შინაარსისა და სამართლებრივი ბუნების ვალდებულებას, ვიდრე ეს ხელშეკრულების დადების ეტაპზე იყო მხარეთა მიერ შეთანხმებული.¹⁹³

ასე რომ, ხელშეკრულების ამაოდ – „ფუჭად“ მიჩნევის მიზეზი შესაძლოა გახდეს როგორც მიზნის მიუღწევლობა, რომელიც ძირითადად შესრულების შეუძლებლობაში გამოიხატება, ასევე კომერციული განუხორციელებლობა, რაც იმაში ვლინდება, რომ მართალია ხელშეკრულების შესრულება შესაძლებელია, მაგრამ ხელშეკრულების მიზანი მიუღწეველი და განუხორციელებელი რჩება.

ადრეულ ეტაპზე, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, საერთო სამართალი უფრო მკაცრი იყო და ამაო ხელშეკრულებებთან მიმართებაში აბსოლუტური პასუხისმგებლობის პრინციპით ხელმძღვანელობდა, რომლის საფუძველზეც ყველა სახელშეკრულებო პირობას გარანტიის ძალას ანიჭებდა, რაც გულისხმობდა ვალდებულების შესრულებას ნებისმიერი გარემოების წარმოშობისას, რადგან ითვლებოდა, რომ თუკი მხარეები დადებდნენ ხელშეკრულებას, ისინი ვალდებულნი იყვნენ ყველა პირობებში შეესრულებინათ იგი და არ შეეძლოთ პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება მოეთხოვათ მარტოდენ იმ ფაქტის გამო, რომ ვალდებულების შესრულება იყო შეუძლებელი. ერთ-ერთ გახმაურებულ საქმეზე (პარადინი დჟეინის წინააღმდეგ, 1647 წელი, ინგლისი) სასამართლო ამაო ხელშეკრულებას აბსოლუტური პასუხისმგებლობით უპირისპირდება და თავის

¹⁹² სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ., სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, 2016, „მერიდიანი“, გვ.158.

¹⁹³ Chen-Wishart M., Contract Law, 2nd ed., Oxford University Press, 2008, 283; McKendrick E., Chitty on Contracts, The Law of Contracts, Vol.1, General Principles, Chapter 24, Discharge by Frustration, London, 1999, 24-001 მითითებულია, ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების მისადაგება ვალდებულების შესრულებისა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, 2015, გვ. 84.

გადაწყვეტილებას ასე ხსნის: „რაკი მხარეებმა იკისრეს ვალდებულებ, ის უნდა შესრულდეს შესრულების შეუძლებლობა რა გარდაუვალი შემთხვევითობითაც არ უნდა იყოს გამოწვეული, რადგან მხარეებს შეეძლოთ ეს გაეთვალისწინებინათ ხელშეკრულებით“.¹⁹⁴

დოქტრინა და სასამართლო პრაქტიკა ერთ ადგილას არ გაჩერებულა და საკმაოდ დაიხვეწა მიდგომები ამო ხელშეკრულების სამართლებრივი მოწესრიგების თვალსაზრისით. ალბათ, არ შეიძლება არ აღინიშნოს დოქტრინაში კარგად ცნობილი საქმე ტეილორი ქელდველის წინააღმდეგ, (ე.წ. სამეფო სასამართლო სკამი), სადაც მოვალის ბრალის გარეშე დაიწვა საკონცერტო დარბაზი, რომელიც მის ჩასატარებლად იყო ორგანიზებული. სასამართლომ არ გაითვალისწინა კრედიტორის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების თაობაზე, მიიჩნია რა, „რომ ხელშეკრულება არ უნდა განიმარტოს როგორც უპირობო, არამედ ის მიჩნეულ უნდა იყოს ხელშეკრულებად, რომლის მოქმედება შეზღუდულია ისეთი ნაგულისხმევი პირობით, რომლის მიხედვით მხარეთა ბრალის გარეშე ნივთის დაღუპვა გამოიწვევს შესრულების შეუძლებლობას და მხარეები გათავისუფლდებიან ვალდებულების შესრულებისაგან“.¹⁹⁵ ამ საქმემ გარდამტეხი როლი ითამაშა ამო ხელშეკრულების პასუხისმგებლობის შერაცხვასთან დაკავშირებით – ერთგვარად შეარბილა, უფრო ცივილური სახე შესძინა მას, გადაუხვია რა ამო ხელშეკრულების აბსოლუტური პასუხისმგებლობის პრინციპს – პირველად აღიარა შესრულების შეუძლებლობა პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველად.

რაც შეეხება ამო ხელშეკრულების ნამდვილობის საკითხს, უნდა აღინიშნოს, რომ ამო ხელშეკრულების არცერთი ფორმა – არც შესრულების შეუძლებლობა და არც მიზნის მიუღწევლობა ხელშეკრულების ნამდვილობაზე გავლენას არ ახდენს, რადგან ხელშეკრულების დადების ეტაპზე მხარეთათვის სახელშეკრულებო დათქმები არის რეალური, შესრულებადი. კონტრაქტთათვის უცნობია ამ პირობების შესრულების შეუძლებლობის, მიზნის განუხორციელებლობის თაობაზე. სწორედ ეს ხელშეკრულების დადების ეტაპზე „შესრულების შეუძლებლობის გაუთვალისწინებლობა“ იხსნის ხელშეკრულებას ბათილობისაგან, რადგან თუკი მხარეები იმთავითვე აცნობიერებენ, რომ ხელშეკრულება, რომელსაც დებენ, განუხორციელებელია, მაშინ აზრი ეკარგება თავად ხელშეკრულების დადების არსს. ძირითადი პირობის შესრულების შეუძლებლობა იწვევს გარიგების ბათილობას, რადგან პირობის გარიგების ნამდვილობისათვის მას (შეუძლებელ პირობას) აკლია „ობიექტურობისა“ და მოლოდინის მომენტი,

¹⁹⁴ Ансон В., Договорное право, М., 1984, ст. 307.

¹⁹⁵ Самонд и Вильямс, Основы договорного права, М., 1955, ст. 588-589.

რადგან თავიდანვე ცნობილია, რომ პირობა არ დადგება.¹⁹⁶ ამდენად, ამაო ხელშეკრულება რომ იყოს ნამდვილი, იგი (სხვა კრიტერიუმებთან ერთად) უნდა პასუხობდეს სამოქალაქო კოდექსის 91-ე მუხლის მოთხოვნებს.

ამასთან, ხელშეკრულებაში მითითებული არა ყოველგვარი პირობა ექვემდებარება შესრულებას და არა ყოველგვარი პირობა ქმნის ამაო ხელშეკრულებას. შეთანხმება, რასაც თან არ ახლავს ნამდვილი განზრახვა; ერთ-ერთი მხარის დაპირების შესრულება შეუძლებელია; დაპირება არ წარმოადგენს შემხვედრ დაკმაყოფილებას იმისათვის, რომ რომ მეორე მხარის დაპირების საფუძველი იყოს არის ბათილი და არა ამაო.¹⁹⁷

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ამაო იქნება ხელშეკრულება, თუ მასში ნათლად და პირდაპირ არის მითითება იმ გარემოებებზე, რომლის დადგომის შემთხვევაშიც მხარე თავისუფლდება ვალდებულების შესრულებისაგან და ხელშეკრულება უნდა შეწყდეს ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის ან ხელშეკრულების მიზნის მიუღწევლობის - კომერციული განუხორციელებლობის საფუძველით.

საინტერესოა ამაო ხელშეკრულების მიმართება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 410-ე მუხლთან, რომელიც ასევე დასაშვებს ხდის მხარეთა შესაძლებლობას წინასწარ გაითვალისწინონ ხელშეკრულების შესრულების ეტაპზე წარმომოხილი ხელისშემშლელი გარემოებები, როგორც პასუხისმგებლობის შემსუბუქების ან მისგან გათავისუფლების პირობები.

ამკარაა, რომ როგორც ამაო ხელშეკრულებაში, ისე სსკ-ს 410-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მხარე, რომელსაც საკუთარი პასუხისმგებლობის შეზღუდვა სურს, ვალდებულია ცალსახად განაცხადოს ეს და დაითანხმოს ამაზე მეორე მხარე. წინააღმდეგ შემთხვევაში ის პასუხს აგებს შეუზღუდავად, ნებისმიერი ბრალის ფორმისა და ზიანისათვის.¹⁹⁸ ორივე შემთხვევაში დათქმა ვალდებულების შესაძლო შეუსრულებლობის შესახებ განხორციელებული უნდა იყოს წინასწარ. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მხარეები ორიენტირებულნი არიან პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებაზე და ვალდებულების შეუსრულებლობაზე.

უნდა განვიხილოთ თუ არა სსკ-ის 410-ე მუხლის შემთხვევა ამაო ხელშეკრულების ჭრილში შეფასების საკითხია (თითოეულ კონკრეტულ

¹⁹⁶ ჭანტურია ლ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 1, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, ჭანტურია ლ., (რედ.), 2017, 91, ველი 3.

¹⁹⁷ Самонд и Вильямс, Основы договорного права, М., 1955, ст. 580-581 ციტირებულია, სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ., სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბილისი 2016, გვ.161.

¹⁹⁸ რუსიაშვილი გ.,/ბათლიძე გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, ჭანტურია ლ., (რედ.), 410, ველი 10.

საქმეზე), თუმცა, სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით, ამას გადაწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება.

ინგლისური სამართალი ამას ხელშეკრულებიდან წარმოშობილ საკითხებს 1943 წლის „ამას ხელშეკრულების შესახებ“ კანონით აწესრიგებს. ნორმატიული აქტით პრობლემის მოგვარების ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ კანონის მიღებამდე ხელშეკრულების ამოება იწვევდა მხარეთა შეთანხმების ძალადაკარგულად გამოცხადებას შეცვლილი გარემოების წარმოშობის და არა ვალდებულების წარმოშობის მომენტიდან, რაც შეიცავდა მეორე მხარის უსაფუძვლო გამდიდრების ნიშნებს. ინგლისური სამართალი საკითხის რეგულირებას მიღებული აქტით შეეცადა, რომლის 1(2) მუხლის თანახმად, თუ შეცვლილი გარემოების წარმოშობამდე მხარეთა შორის არსებობდა ფულადი თანხის გადახდის ვალდებულება, მაშინ ხელშეკრულების ამოების დაფუძნების მომენტიდან მხარე თავისუფლდება აღნიშნული ვალდებულებისგან, ხოლო უკვე განხორციელებული შესრულების შემთხვევაში მას ენიჭება გადახდილი თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება.¹⁹⁹

ამერიკული სამართალი უფრო კომერციული განუხორციელებლობის დოქტრინის მიმდევარია. ამ შეხედულებით ვალდებულების შესრულებისაგან გათავისუფლების საფუძველია არამხოლოდ შესრულების ობიექტური, ფიზიკური შეუძლებლობის, არამედ შესრულების უკიდურესად გართულების შემთხვევაშიც. ამ თვალსაზრისით, კომერციული განუხორციელებლობის დოქტრინის სფერო გაცილებით ვრცელია, ვიდრე აბსოლუტური შეუძლებლობის დოქტრინა.²⁰⁰

მაგრამ არა ყველა შემთხვევაში უნდა განიხილებოდეს ამას ხელშეკრულება ხელშეკრულების მოშლისა და პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების უპირობო საფუძველად. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზომიერი ცვლილება შესრულების სირთულის ხარისხსა და შესრულების ხარჯებში სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელი ჩვეული რისკი და თანამდევნი მოვლენაა, რომელიც არ ქმნის განუხორციელებლობის დოქტრინის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველად გამოყენების საფუძველებს.²⁰¹

ამიტომ, შესაძლებელია დადგეს არა მოვალის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების, არამედ შეცვლილ გარემოებებთან ხელშეკრულების მისადაგების სამართლებრივი შედეგი. რადგან, უზოგადესი სამართლებრივი

¹⁹⁹ Fibrosa Spolka Akcyjna v Fairbairn Lawson Combe Barbour Ltd, [1943] AC 32 (HL).

²⁰⁰ ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების მისადაგება ვალდებულების შესრულებისა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, 2015, გვ. 84.

²⁰¹ Burton S.J., Contract Law: Selected Source Materials, Uniform Commercial Code, West Publishing Co., St. Paul, Minn., 1995, 156.

პრინციპის თანახმად, ხელშეკრულება შესრულებაზე ორიენტირებული აქტია, მართებული იქნება მივიჩნიოთ, რომ თუკი ხელშეკრულება თავისი არსით შეძლებს შეცვლილ გარემოებებთან ისეთ მისადაგებას, რომ არ დაიკარგოს თავად ხელშეკრულების არსის- შესრულების მიზანი, მაშინ ხელშეკრულებამ უნდა განაგრძოს არსებობა შეცვლილი გარემოებებით მისადაგებულ პირობებში, ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში კი დგება ხელშეკრულების შეწყვეტისა და მხარეთა პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი.

3.6 შეცვლილ გარემოებებთან ხელშეკრულების მისადაგება

აღიარებული და უდავოა, რომ ყველა სამართლებრივი სისტემა ემყარება პრინციპს – “pacta sunt servanda” – ხელშეკრულება უნდა შესრულდეს, რომლის თანახმად, ხელშეკრულების მხარემ, რომელმაც იკისრა ვალდებულება უნდა შეასრულოს ხელშეკრულებით მისივე ნებით შეთანხმებული და ნაკისრი უფლება-მოვალეობები. მაგრამ, რიგ შემთხვევებში, ხელშეკრულების მხარეები, მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტის პირობებს არ არღვევენ, იძულებული ხდებიან, ობიექტური ვითარების გამო, უარი თქვან ხელშეკრულებაზე.²⁰² ვალდებულების შესრულების პროცესში მხარეები შეიძლება აღმოჩნდნენ ისეთ გარემოებათა წინაშე, რომელთაც არ შეიძლება გავლენა არ მოახდინონ ვალდებულების სავალდებულო ხასიათზე. მხარეთა მიერ წინასწარ გათვლილი უცვლელი გარემოებები შესაძლებელია, რომ ცვალებადი აღმოჩნდეს. ეს ისეთი გარემოებებია, რომლებიც არსებითად ცვლიან სახელშეკრულებო წონასწორობას და მხარეთა ურთიერთმხრივ შესრულებათა არსებით დისბალანსს იწვევენ.²⁰³ ხოლო შესრულება უნდა მოხდეს იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია და დამოუკიდებელია იმ სიმწელებისგან, რომლებიც შეიძლება წარმოეშვას შემსრულებელ მხარეს. მხარე მოგების ნაცვლად კიდევ რომ აგებდეს ვალდებულების შესრულებით, მისი პირობები მაინც უნდა იქნეს დაცული.²⁰⁴

თუმცა ვალდებულება მხოკველია იმდენად, რამდენადაც სახეზეა ის პირობები, რა პირობებშიც ხელშეკრულება დაიდო, ხოლო თუ ეს პირობები იცვლება, მხარეს, რომლის ინტერესებიც შეცვლილი პირობების შედეგად

²⁰² თოდუა მ., ვილემსი ჰ., ვალდებულები სამართალი, საია, 2006, გვ. 54.

²⁰³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 3 აპრილის N ას 1475-1395-2017 განჩინება.

²⁰⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომც. „სამართალი“ 2001, გვ. 399.

შეუსაბამოდ ირღვევა, არ შეიძლება მოეთხოვოს ხელშეკრულების მკაცრად დაცვა.²⁰⁵

ამავდროულად სახელშეკრულებო სამართლის ფუძემდებლურ პრინციპს წარმოადგენს ჯეროვანი შესრულება, მოვალის გათავისუფლება ვალდებულების შესრულებისაგან მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ საგამონაკლისო შემთხვევებშია შესაძლებელი. (ეს შეიძლება იყოს ზემოთ განხილული ფორსმაჟორი, დაუძლეველი ძალა, შესრულების შეუძლებლობა...). ამიტომ შეცვლილ გარემოებებთან ხელშეკრულების მისადაგება არის ერთგვარი „ხსნა“ – სამართლებრივი დაცვის საშუალება, ხელშეკრულების შეუსრულებლობის არასასურველი, მაგნე შედეგების თავიდან ასაცილებლად, რადგან შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების ადაპტაცია მის შეწყვეტასთან ან მკაცრ აღსრულებასთან შედარებით, მნიშვნელოვან წილად უზრუნველყოფს მხარეთა ინტერესების განხორციელებას²⁰⁶ მაგრამ, ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი ადაპტაციისას, ამავდროულად უზრუნველყოფილი უნდა იქნეს „ხელშეკრულების სტაბილურობისა“ და „ხელშეკრულების მოქნილობის“ პრინციპის ბალანსირება.²⁰⁷

შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება შესრულების გართულების, და არა შესრულების შეუძლებლობის, სამართლებრივ შედეგად განიხილება. გერმანული სამოქალაქო კოდექსის კომენტარში განმარტებულია, რომ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობისაგან შესრულების გართულების გამიჯვნა მნიშვნელოვანია, ვინაიდან ხელშეკრულების მისადაგების საკითხი მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს განხილული, როდესაც მოვალე ვალდებულების შესრულებისაგან ჯერ კიდევ არ გათავისუფლებულა.²⁰⁸ ხოლო, შეუძლებლობის შემთხვევაში მოვალე თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან ზოგადი პრინციპით, რამეთუ არავინ არ არის ვალდებული შეასრულოს ის, რისი შესრულებაც შეუძლებელი.²⁰⁹

როგორც ზემოთ აღინიშნა, შეცვლილ გარემოებებთან ხელშეკრულების მისადაგების საწინდარია ის გაუთვალისწინებელი მოვლენები, რომლებიც იწვევენ ხელშეკრულების საფუძვლის რღვევას და რომელთა გათვლაც შეუძლებელია ხელშეკრულების დადების სტადიაზე. ხოლო მისი

²⁰⁵ ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ.212.

²⁰⁶ ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების მისადაგება ვალდებულების შესრულებისა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, თბილისი, 2015, გვ. 221.

²⁰⁷ იქვე.

²⁰⁸ კროპპოლერი ი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თბილისი, საიას იურიდიული ხელშეწყობის ფონდი, მთარგ. თორნიკე დარჯანია, ზურაბ ჭეჭელაშვილი, რედ.: ეთერ ჩაჩანიძე, თორნიკე დარჯანია, ლევან თოთლაძე, GIZ, 2014, გვ. 217.

²⁰⁹ ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, ჭანტურია ლ., (რედ.), მუხლი 398, ველი 9.

გათვალისწინების შემთხვევაში ხელშეკრულება არ დაიდებოდა ან დაიდებოდა სხვა შინაარსით. მართალია, ფორსმაჟორი თანამედროვე საკონტრაქტო პირობებში დადებულ ხელშეკრულებებში თითქმის აუცილებელ გასათვალისწინებელ ნორმად იქცა, მაგრამ ის დადების ეტაპზე მაინც ბუნდოვან ხასიათს ატარებს. სხვაგვარად წარმოდგენილია რადგან, ობიექტურად შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს როგორ მატერიალურ გამოხატულებას პოვნებს ფორსმაჟორი მისი წარმოშობის შემთხვევაში. ასე მაგალითად, ვერავინ იფიქრებდა, რომ თანამედროვე მსოფლიოს კოვიდპანდემია თითქმის კოლაფსამდე მიიყვანდა. შეირყეოდა ყველაზე ძლიერი ქვეყნების აწყობილი, გამართული, მძლავრი ჯანდაცვის, ეკონომიკის, განათლების და სხვა სისტემები.

პანდემია ყველა სფეროს შეეხო და გადააწყო ფორსმაჟორულ რელსებზე. მუშაობა შეწყვიტეს საწარმოებმა, სავაჭრო და სხვა დაწესებულებებმა. მსოფლიოს ყველა ქვეყანა ცდილობდა თავი დაეხსნა „სრული გაჩერებისაგან“. ამიტომ რიგი სისტემები განაგრძობდნენ საქმიანობას შეცვლილი გარემოებებიდან გამომდინარე ხელშეკრულების მისადაგების პირობებში. შეცვლილ გარემოებებთან ვალდებულების შესრულების პირობების მისადაგების თვალსაჩინო მაგალითად უნდა იქნას განხილული განათლების სისტემის ადაპტაცია პანდემიის პირობებთან.

ვინაიდან საგანგებო მდგომარეობის და კარანტინის პირობებში შეუძლებელი იყო სწავლების ჩვეული ფორმატით გაგრძელება, ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, შეცვლილ გარემოებებთან მისადაგების მიზნით, კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, განათლების როგორც საჯარო, ისე კერძო დაწესებულებები ადაპტირდა დისტანციურ სწავლებაზე.

მაგალითად, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მასში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად განმარტავს დისტანციური სწავლების არსს— „დისტანციური სწავლება არის საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უმაღლესი განათლების მისაღებად ორგანიზებული დისტანციური/ელექტრონული ფორმით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით წარმართული, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი ან მისი ნაწილი, რომელიც არ ითვალისწინებს განსაზღვრულ ადგილას სტუდენტისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალის ერთდროულად ყოფნას.“²¹⁰

²¹⁰ უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „3²“ ქვეპუნქტი, <https://matsne.gov.ge/document/view/32830?publication=110> [12.03.2024].

ამასთან, „დისტანციური სწავლების განსახორციელებლად აუცილებელია კურიკულუმის სათანადოდ დაგეგმვა, სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და წარმართვის შესაბამისი მიდგომებისა და მეთოდების გამოყენება“.²¹¹ ამავე კანონში შეტანილი ცვლილების, კერძოდ, 47⁷ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების წესსა და პირობებს ამტკიცებს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი“.²¹²

ასეთივე ცვლილებები იქნა შეტანილი განათლების სისტემის სხვა საფეხურების შესაბამის კანონმდებლობაში, რაც, თავის მხრივ, გახდა საფუძველი საგანმანათლებლო დაწესებულებასა და მოსწავლეს ან სტუდენტს შორის არსებულ ხელშეკრულებებში შესულიყო ცვლილებები შეცვლილ გარემოებებთან სახელშეკრულებო პირობების მისადაგების თაობაზე. ყოველივე ზემოთქმულმა კი, განაპირობა განათლების სისტემას „თავი დაეხსნა“ არსებულ ფორსმაჟორულ გარემოებებში ვალდებულების შესრულების შეუძლებლობისაგან და შეცვლილი პირობებით სწავლის გაგრძელებით სახელმწიფომ შეძლო ვალდებულების თითქმის ჯეროვანი შესრულება.

შეცვლილ გარემოებებთან ხელშეკრულების მისადაგების საწინდარია აგრეთვე მისი არსებითი პირობის – ხელშეკრულების საფუძვლის რღვევა.²¹³ ხელშეკრულების საფუძვლის რღვევის ერთ-ერთ შემთხვევას წარმოადგენს საკონტრაქტო პირობების ეკვივალენტურობის რღვევა.

ხელშეკრულების ეკვივალენტურობის რღვევა სახეზეა, როდესაც მოვალესა და კრედიტორის ინტერესებს შორის მოულოდნელი და აშკარა დისბალანსი წარმოიქმნება, რომელიც დაინტერესებული მხარის ნორმალური რისკის ფარგლებს აჭარბებს. ეს შეიძლება გამოიხატოს როგორც ინტერესთა ორმხრივ, ასევე ცალმხრივ დინამიკაში.²¹⁴ ამასთან, რაც უფრო ნეგატიურად ცალმხრივია დინამიზმი, მით უფრო მაღალია ხელშეკრულების ადაპტირების აუცილებლობა.²¹⁵

ხელშეკრულების საფუძვლის ეკვივალენტური რღვევის ერთგვარ მაგალითად შეიძლება იყოს განხილული ფულის ერთეულის (კურსის)

²¹¹ უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „პ“ ქვეპუნქტი, <https://matsne.gov.ge/document/view/32830?publication=110> [12.03.2024].

²¹² იქვე, 47⁷ მუხლის მე-6 პუნქტი.

²¹³ ხელშეკრულების საფუძველი – ანუ ის გარემოებები, რომლის გარაშეც ხელშეკრულება არ დაიდებოდა, ან დაიდებოდა სხვა შინაარსით – ავტ. თ. ტ.

²¹⁴ ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, ჭანტურია ლ., (რედ.), მუხლი 398, ველი 14.

²¹⁵ იქვე.

ცვლილება ისეთი გარემოებების არსებობისას, რომლის გონივრული გათვალისწინებაც მხარეებს არ შეეძლოთ და რაც ისეთი მოულოდნელი და განსაკუთრებულია, რომ მისი მხედველობაში მიუღებლობა წინააღმდეგობაში მოვიდოდა კეთილსინდისიერების პრინციპთან.²¹⁶ აქ საუბარია სსკ-ის 389-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევასთან (კერძოდ, ნორმა აწესრიგებს ისეთ სამართალურთიერთობას, როდესაც სახეზეა ფულადი ურთიერთობა. რა დროსაც ფულადი ვალდებულების ოდენობა განსაზღვრულია, თუმცა ვალდებულების წარმოშობის დღიდან ვალდებულების შესრულების დღემდე ვალუტის კურსი ან ფულის ერთეული შეიცვალა – პრინციპთან).²¹⁷

უნდა აღინიშნოს, რომ სსკ-ის 389-ე მუხლთან მიმართებაში აქტიურად გამოიყენება ე. წ. „ნომინალიზმის პრინციპი“, რომლის შესაბამისად, მოვალე ვალდებულია ვალი დააბრუნოს ფულადი ნიშნების იმავე რაოდენობით (ნომინალით), რომელიც ვალდებულების წარმოშობის დროს შეესაბამებოდა. კანონმდებლობაში ასახული ეს პრინციპი, ვალის გადახდისას ყურადღებას უთმობს არა გადასახდელი ნომინალის მსყიდველობაუნარიანობას, არამედ თავად ნომინალს და ფულადი ნიშნების რაოდენობას. ნომინალიზმის პრინციპის შესაბამისად, ვალდებულების საგანი ფულადი ერთეულების რაოდენობაა და არა ფულის მსყიდველობაუნარიანობა.²¹⁸ ანუ „ნომინალიზმის პრინციპის“ არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ვალდებული პირი კრედიტორს ფულად ნიშნებს იმავე რაოდენობით უბრუნებს, რაც ვალდებულების წარმოშობის დროს შეესაბამება. ამ დროს ფულის მსყიდველობაუნარიანობა მხედველობაში არ მიიღება.²¹⁹

როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით საინტერესოა, გამოიყენება თუ არა „ნომინალიზმის პრინციპი“ შეცვლილი გარემოებების გამო ხელშეკრულების მისადაგებასთან მიმართებით. ქართული დოქტრინის განმარტებით, სსკ-ის 389-ე და სსკ-ის 398-ე მუხლების ურთიერთმიმართების დროს გაუმართლებელია სსკ-ის 389-ე მუხლის უპირატესობის აღიარება.

მოცემულ საკითხზე მსჯელობისას აუცილებელია ცალკეული შემთხვევის გათვალისწინებით შეფასდეს, რამდენად და რა შემთხვევაში უნდა ჩაითვალოს ფულის ერთეულის ან ფულის კურსის ცვლილება იმგვარ

²¹⁶ მესხიშვილი ქ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3., ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, ჭანტურია ლ., (რედ.), მუხლი 389, ველი 23.

²¹⁷ იქვე.

²¹⁸ შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 24 მარტის №ას-130-122-2017 გადაწყვეტილება.

²¹⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლის 2019 წლის 22 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1298-2018.

ცვლილებად, რომელიც ხელშეკრულების არსზე არსებით ზეგავლენას ახდენს და ხელშეკრულების საფუძვლის ეკვივალენტურობას ნეგატიურად ეხება. კერძოდ, მხარეთათვის აღნიშნული ცვლილება რამდენადაა ისეთი გარემოება, რომლის გათვალისწინების შემთხვევაში ისინი ან ერთ-ერთი მათგანი აღნიშნულ ხელშეკრულებას არ ან სხვა პირობებით დადებდა. რამდენად იყო მხარეების მიერ აღნიშნული გარემოების ცვლილება წინასწარ განჭვრეტადი.²²⁰

როგორც სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, სსკ-ის 389-ე მუხლის დანაწესი სსკ-ის 398-ე მუხლთან მიმართებით, ძირითადად უნდა ჩაითვალოს საგამონაკლისო ნორმად, ვინაიდან იგი აწესრიგებს უშუალოდ ფულის ერთეულის (კურსის) შეცვლის შემთხვევაში განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს.

სსკ-ის 398-ე მუხლის გამოყენების უმნიშვნელოვანესი წინაპირობა კი ხელშეკრულების დადების შემდეგ გარემოებათა ისეთი აშკარა ცვლილებაა, რომელთა გათვალისწინების შემთხვევაში შეუძლებელია სავარაუდო იყოს ხელშეკრულების დადებისადმი მხარეების (ან ერთ-ერთი მათგანის) დაინტერესება. გარემოების ცვლილება იმდენად უნდა ამძიმებდეს ერთ-ერთი მხარის მდგომარეობას, რომ მისგან ხელშეკრულების უპირობო შესრულების მოთხოვნა არათანაზომიერად უნდა ხელყოფდეს მის ინტერესებს. შესაბამისად, თუ განხილული წინაპირობები სახეზეა ფულის ერთეულის, მისი კურსისა თუ ვალუტის ცვლილების სახით, ასეთ შემთხვევაში, სსკ-ის 398-ე მუხლის დანაწესს შესაბამისი სამართლებრივი შედეგებით, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ნომინალიზმის პრინციპთან მიმართებით, რათა დაცულ იქნეს ორივე ნორმის მიზანი.²²¹

²²⁰ ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 96.

²²¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 22 მარტის Nას-1298-2018 გადაწყვეტილება.

თავი IV პასუხისმგებლობის შეზღუდვისა და გამორიცხვის მიმართება სახელშეკრულებო ზიანთან და სამართლის სხვა დარგებთან და ინსტიტუტებთან

4.1 კეთილსინდისიერების პრინციპის მიმართება პასუხისმგებლობის შეზღუდვასთან

კეთილსინდისიერების პრინციპი სამოქალაქო სამართლის საყრდენია. სამოქალაქო სამართალურთიერთობის მონაწილეთა ყველა ქმედება – ეს იქნება ურთიერთშეთანხმებული, წინასწარ დათქმული თუ აბსოლუტურად გაუთვალისწინებელი, კეთილსინდისიერების ზოგადი ცნების ჩარჩოში უნდა ექცეოდეს. განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობიდან ან ამ ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმიდან პირდაპირ არ გამომდინარეობს.²²² კერძოსამართლებრივ ურთიერთობათა კეთილსინდისიერად წარმართვის ვალდებულებას სამოქალაქო კოდექსის არაერთი ნორმა ზოგჯერ პირდაპირ ადგენს, ხოლო ნორმათა უმრავლესობა, მართალია, პირდაპირ არ უთითებს მასზე, მაგრამ მაინც უპირობოდ მას ეფუძნება,²²³ ანუ, კეთილსინდისიერება ყველა სახელშეკრულებო ურთიერთობის თანმდევია და იგი ყოველთვის გაუთვალისწინებლადაც „გათვალისწინებულია“. უფრო ზუსტად, ყველა შემთხვევაში სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილის ქცევა კეთილსინდისიერების მოთხოვნითაა დატვირთული²²⁴ და, რადგან იგი იცავს მხარეთა სამართლიან მოლოდინს და მათ შორის ურთიერთნდობაზე დამყარებულ თანამშრომლობას აყალიბებს, ხელს უწყობს ადამიანური და სოციალური ელემენტების წინა პლანზე წამოწევას. ეს მხარეთა ურთიერთობებს უფრო არაფორმალურსა და ეკონომიურს ხდის. ისინი აღარ არიან იძულებულნი ყოველი დეტალი გაითვალისწინონ თავიანთ ხელშეკრულებაში.²²⁵ ვინაიდან კეთილსინდისიერების პრინციპი ისეთ (დამატებით) ვალდებულებებსაც აკისრებს მხარეებს, რომლებიც მას ხელშეკრულებით არ უკისრია, მაგრამ რომლებიც გამომდინარეობენ კეთილსინდისიერების ზოგადი სტანდარტიდან.²²⁶

²²² კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 83.

²²³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 5 ივლისის N ას - 726-2019 გადაწყვეტილება.

²²⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2001, გვ. 272.

²²⁵ ვაშაკიძე გ., კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით – აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, ჟურ. ქართული სამართლის მიმოხილვა, 2007, N10, გვ.18.

²²⁶ ხუნაშვილი ნ., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, 2016, გვ. 46.

სიტყვა „კეთილსინდისიერებას“ შინაარსობრივად უფრო მორალური დატვირთვა აქვს, ვიდრე სამართლებრივი და, სწორედ ეს „მორალურობა“ განაპირობებს სამართლის ნორმის საყრდენს, რომ სამართლისა და მორალის კუმულაციურ ერთობას უფრო მაღალი ღირებულების შედეგამდე მივყავართ. არის შემთხვევები, როცა ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში (ისევე როგორც მთლიანად სამოქალაქოსამართლებლივ ურთიერთობაში) პირთა ქმედება სამართლებრივი ნორმის მოთხოვნებს სრულიად აკმაყოფილებს, მაგრამ მორალური და ზნეობრივი ნორმების მოთხოვნების მიღმა რჩება. სწორედ ამ დისბალანსის ამოვსებას ემსახურება კეთილსინდისიერების პრინციპი, რომ მხარეთა ქმედება აკმაყოფილებდეს როგორც სამართლებრივ, ასევე ზნეობრივ მოთხოვნებს, რადგან მხოლოდ ასე მიიღწევა სრულყოფილი სამართლებრივი წესრიგი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენება აქტუალური ხდება მაშინ, როცა პირის მოთხოვნა ან ქმედება ფორმალურად შეესაბამება მოქმედ მატერიალურ კანონმდებლობას, მაგრამ მისი განხორციელება კონკრეტულ შემთხვევაში უსამართლოა. შესაბამისად, მისი ფუნქცია აშკარა უსამართლო შედეგების თავიდან აცილებაა, რაც პირდაპირ უკავშირდება სამოქალაქო ურთიერთობათა სტაბილურობასა და სიმყარეს.²²⁷

მორალი სამართლის ეფექტურობას განაპირობებს, კეთილსინდისიერებას კი მორალთან ბევრი საერთო აქვს. როგორც ზემოთ აღინიშნა, კეთილსინდისიერი ქცევა არაა სამართლებრივი ქცევის ტოლფასი. ყოველგვარი არამართლზომიერი მოქმედება არაა, იმავდროულად, არაკეთილსინდისიერი მოქმედება და, პირიქით, არაკეთილსინდისიერი ქცევა ყოველთვის არ არის არამართლზომიერი ქცევა.²²⁸ ზოგადი განმარტების შესაბამისად, კეთილსინდისიერება ადგენს მოქმედების სტანდარტს, რომელიც ხასიათდება პატიოსნებით, გახსნილობით, მეორე მხარის ინტერესებისა და უფლებების გათვალისწინების უნარით.²²⁹ კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, დაუშვებელია არა მხოლოდ ის, რომ ვალდებულების შესრულება ხდება მიუღებელი ქმედებით, არამედ იგი იცავს სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეების ნდობას

²²⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 24 თებერვლის №ას- 862-828-2016 გადაწყვეტილება, 2015 წლის 4 ნოემბრის №ას-528-501-2015 გადაწყვეტილება, 2015 წლის 18 ნოემბრის №ას-549-521-2015 გადაწყვეტილება.

²²⁸ ზოიძე ბ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, 2001, გვ. 270.

²²⁹ მესხიშვილი ქ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი (ქანტურია ლ.), მუხლი 361, ველი 19.

სამოქალაქო ბრუნვის შესახებ, რომ არ მოხდება სამართლებრივი უფლებების ბოროტად გამოყენება.²³⁰

კეთილსინდისიერების პრინციპი, მისგან გამომდინარე კონკრეტული წესებით, ერთ-ერთი კრიტერიუმია ისეთ სამ კრიტერიუმთან ერთად, როგორც არის ზნეობა, იმპერატიული ნორმა და საჯარო წესრიგი, რომელიც ზღუდავს კერძო ავტონომიას. ამასთან, თუ ზნეობის, იმპერატიული ნორმის და საჯარო წესრიგის დარღვევა ხელშეკრულების ბათილობას განაპირობებს, კეთილსინდისიერების პრინციპი ემსახურება არა მხოლოდ ხელშეკრულების ნამდვილობის განსაზღვრას, არამედ მხარეთა სახელშეკრულებო უფლება-მოვალეობების განსაზღვრას და მათ სამართლიანად გადანაწილებას.²³¹

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კეთილსინდისიერების პრინციპი მოქმედებს როგორც ხელშეკრულების დადების, ისე წინასახელშეკრულებო სტადიაზე და ასევე ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობათა განხორციელებისა და შესრულების დროს.²³² ამდენად, კეთილსინდისიერების პრინციპს, მართლაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საკუთრივ სახელშეკრულებო სამართალთან მიმართებაში.

კეთილსინდისიერების პრინციპი სათავეს იღებს რომის სამართლიდან. პრინციპი “bona fides”, რომელიც კეთილსინდისიერებას ნიშნავს, მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა, “ius civile”-სა და რომაულ სამართლებრივ აზროვნებაში.²³³ რომის სამართლის მიხედვით კეთილსინდისიერება დაპირების (მიცემული პირობის) ერთგულებაა. კეთილსინდისიერი არის ის, ვინც პატიოსნად და გულწრფელად იქცევა²³⁴

გერმანულ დოქტრინის გამორჩეული წარმომადგენლები კ. ცვაიგერტი და ჰ. კოტცი „კეთილსინდისიერებას“ მოიხსენიებენ, როგორც კონტრაჰენტთა ქცევას, რომელიც შეფასებული უნდა იქნეს „კეთილ ზნედ“. კეთილსინდისიერების ცნების მრავალმნიშვნელობის გამო, მას სხვადასხვა ავტორი სხვადასხვა სახელით მოიხსენიებს. ზოგი ავტორი მას, „ნორმას“ უწოდებს, ზოგი – „სამართლებრივ პრინციპს“; „სტანდარტული ქცევის წესს“, „დაუწერელი სამართლის წყაროს“, „უმადლეს ნორმას“, „სამეფო ნორმას“ და

²³⁰ თოთლაძე ლ., გაბრიჩიძე გ., თუმანიშვილი გ., ტურავა პ., ჩაჩანიძე ე., განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, GIZ, IRZ, 2015, გვ. 252.

²³¹ ხუნაშვილი ნ., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, გამომ. თბილისი, ბონა კაუზა, 2016, გვ. 334.

²³² იქვე, გვ. 333.

²³³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 8 მაისი N ას- 1351-2019 გადაწყვეტილება.

²³⁴ ხუნაშვილი ნ., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, 2016, გვ. 27.

„ნორმათა დედოფალსაც“ კი.²³⁵ ხოლო მისი აბსტრაქტულობისა და განუსაზღვრელობის გამო მიჩნეულია, როგორც ზოგადი ქცევის წესი, ზოგადი ნორმა– „გენერალური კლაუზულა“.²³⁶ აღნიშნულის გამო კეთილსინდისიერების პრინციპი ღია ნორმაა, რომლის შინაგანი სისტემის განვითარების (დაკონკრეტების) შედეგად იბადება ახალი ნორმები და ისინი შემდგომში აგრძელებენ დამოუკიდებელ ცხოვრებას.²³⁷

ძველი ბერძენი ექიმის ჰიპოკრატეს ფიცშიც კი, რომელიც ძვ.წ. 400 წლით თარიღდება და ოცდახუთ საუკუნეს ითვლის, ექიმის პროფესიული მოვალეობის კეთილსინდისიერად და ერთგულად შესრულებაზეა საუბარი. ფიცის ბოლო აბზაცში ვკითხულობთ: „თუ ამ ფიცს კეთილსინდისიერად და ერთგულად დავიცავ, მომეცეს განვითარება და წარმატება ჩემს პროფესიასა და ქონებაში და ვიცხოვრო შთამომავლობისგან დაფასებულად“²³⁸ აღსანიშნავია, რომ ჰიპოკრატემ გაითვალისწინა ფიცის შეუსრულებლობის შედეგებიც. კერძოდ, „თუ ამ ფიცს გავტეხ, მომეზღოს ყველაფერი საპირისპიროდ“. იმ ეპოქაში თანამედროვე გადასახედიდან, ჰიპოკრატეს ფიცი შესაძლოა განვიხილოთ კიდევ ექიმის მიერ პაციენტთან (პაციენტებთან) დათქმულ ერთგვარ ცალმხრივ ხელშეკრულებად, რომელშიც დათქმულია ვალდებულების ჯეროვნად შესრულება სწორედ კეთილსინდისიერი ქცევის საფუძველზე და, ამავდროულად, შეუსრულებლობისას პასუხისმგებლობის ზომებზეცაა მითითება.

დოქტრინაში გამოთქმული მოსაზრებების თანახმად, კეთილსინდისიერების ზოგადი და ფართო მნიშვნელობიდან გამომდინარე, იგი ცდება კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგების ფარგლებს და, როგორც ადამიანის უფლებების დაცვის ერთ-ერთი ყველაზე

²³⁵ იოსელიანი ა., კეთილსინდისიერების პრინციპი სახლშეკრულებო სამართალში (შედარებითსამართლებრივი გამოკვლევა, ჟურ. ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2007, გვ. 32.

²³⁶ გენერალური კლაუზულა აღნიშნავს სამართლის ნორმას, რომლის ფაქტობრივი შემადგენლობა ფართოდ არის ჩამოყალიბებული და მოითხოვს დაკონკრეტებას სასამართლო პრაქტიკაში. კანონმდებლის მიერ მისი გამოყენება ხშირად ხდება იმისათვის, რომ სამართლის ნორმის ზოგადმა ფორმულირებამ რაც შეიძლება მეტი საკანონმდებლო შემადგენლობა მოიცვას. ამის შედეგად, შესაძლებელია კანონი გათავისუფლდეს დეტალური ნიშნების ჩამონათვალისაგან და ამავე დროს კანონის გამოყენების სფერო არ იქნას შეზღუდული. გარდა ამისა, კანონმდებლობაში ხშირად გვხვდება შეფასებითი კატეგორიები, რომელთა შინაარსი დროში ცვალებადია. მაგ., ზნეობრივი ნორმები, კეთილსინდისიერება და სხვ. თოთლაძე ლ., გაბრიჩიძე გ., თუმანიშვილი გ., ტურავა პ., ჩაჩანიძე ე., განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, GIZ, IRZ, 2012, 119.

²³⁷ იოსელიანი ა., კეთილსინდისიერების პრინციპი სახლშეკრულებო სამართალში, შედარებითსამართლებრივი გამოკვლევა, ჟურ. ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2007, გვ. 34.

²³⁸ <http://www.higia.ge/ka/healthDetailed/171/%E1%83%B0/508/508> [1.12.2023].

მნიშვნელოვანი გამოვლინება, უნდა განიმარტოს ძირითად უფლებათა სულისკვეთებითაც.

მიუხედავად იმისა, რომ, საყოველთაოდ გაბატონებული შეხედულებით, ძირითადი უფლებები უშუალოდ მოქმედებს მხოლოდ სახელმწიფოსა და მოქალაქეს და არა მოქალაქეთა (ან მოქალაქეთა და კერძო სამართლის იურიდიულ პირთა) შორის ურთიერთობებში, ამავე გაბატონებული შეხედულების მიხედვით, ძირითადი უფლებები ავითარებს ე.წ. შუალობითი (არაპირდაპირი) მოქმედების ძალას ასეთ ურთიერთობებზე²³⁹ მაგალითად, ქვეყნის ძირითადი კანონის – საქართველოს კონსტიტუციის მე-20.1 მუხლი განამტკიცებს პირადი მიმოწერის ხელშეუხებლობას. მიმოწერის ხელშეუხებლობის უფლებით დაცულია როგორც საფოსტო, ისე არასაფოსტო მიმოწერა. ამ ძირითადი უფლებით შეზღუდულია შესაბამისი მომსახურების ნებისმიერი საჯარო მიმწოდებელი. გამომდინარე იქიდან, რომ შპს „საქართველოს ფოსტა“ არის სახელმწიფოს მიერ საჯარო უფლებამოსილებათა განსახორციელებლად დაფუძნებული კომერციული იურიდიული პირი, იგი უპირობოდ არის შეზღუდული მიმოწერის ხელშეუხებლობის ძირითადი უფლებით. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ შპს „საქართველოს ფოსტა“ ძირითადი უფლებებით უშუალოდ იქნება შეზღუდული მისი პრივატიზაციის შემთხვევაშიც. მომსახურების კერძო მიმწოდებლები მიმოწერის ხელშეუვალობის უფლებით შეზღუდულნი არიან ძირითად უფლებათა არაპირდაპირი მოქმედების ძალით.²⁴⁰ ამდენად, სამართლის ძირითადი პრინციპები, და მათ შორის კეთილსინდისიერების პრინციპი, კონსტიტუციურ ღირებულებებს მოიცავს და განამტკიცებს, რითაც კონსტიტუციის იმპერატივის რეალიზებას ახდენს ცალკეულ კანონებში. ამგვარად, კონსტიტუცია გაშუალებული ფორმით მესამე პირთა მიმართაც მოქმედებს და კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ეთიკური შეფასების მასშტაბიცაა²⁴¹

საინტერესოა როგორ უნდა განისაზღვროს კეთილსინდისიერი ქცევის სტანდარტი, როცა ხელშეკრულების ერთ-ერთ კონტრაქტ მხარეს სახელმწიფო წარმოადგენს, რადგან სახელმწიფო, როგორც მორალური და

²³⁹ იოსელიანი ა., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელმწიფოებო სამართალში (შედარებითსამართლებრივი გამოკვლევა, ჟურ. ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა 2007, გვ. 46).

²⁴⁰ კობახიძე ი., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, კონსტისუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის ცენტრი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება(GIZ) 2013, მუხლი 20 (1), გვ. 184.

²⁴¹ ვაშაკიძე გ., კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, აბსტრაქტია თუ მოქმედი სამართალი, ჟურ. ქართული სამართლის მიმოხილვა, 2007, N10, გვ. 40.

სამართლებრივი წესრიგის მდგენელი, შესრულების უფრო მაღალ სტანდარტს უნდა ქმნიდეს, ხელშეკრულებით დათქმული პირობების შესრულების მაგალითად უნდა გვევლინებოდეს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში განმარტებულია: „ყველა იმ სამართალურთიერთობაში, რომელშიც სახელმწიფო მონაწილეობს, ნდობისა და კეთილსინდისიერების ხარისხი განსაკუთრებულად მაღალია. ამ შემთხვევაში, არ უნდა შეიქმნას პრობლემა კეთილსინდისიერების პრინციპის ფართოდ განმარტებასა და გამოყენებაში. გამოსავალი სტრუქტურული დისბალანსის აღდგენაში უნდა ვეძებოთ, უპირატესობა კეთილსინდისიერების ქცევის სტანდარტს, მორალს, ნდობას უნდა მიენიჭოს. ეს სწორედ ის პრიორიტეტებია, რომლებსაც განსაზღვრავს თავად მოვალეობა – დავიცვათ კერძო ავტონომიის ფარგლებში დადებული გარიგებები. კერძო ავტონომიის ფარგლებში დადებული გარიგებების არსებობის პირობებში დაცული უნდა იქნეს ხელშეკრულების მონაწილე „სუსტი მხარის“ ინტერესი თავად გარიგების მიმართ და სოციალური თანასწორობის აღდგენისაკენ სწრაფვისას არ უნდა დაგვაფიქვდეს სუსტი მხარის ინტერესების დაცვა“.²⁴² უფრო მეტიც, მიუხედავად სამართალურთიერთობის კერძოსამართლებრივი ბუნებისა, კერძო სამართლის სუბიექტების მხრიდან კონტრაქენტი ძლიერი მხარის, სახელმწიფოს ქმედებების მიმართ კანონიერი ნდობის პრინციპი მოქმედებს.²⁴³ იმის მიუხედავად, რომ სახელშეკრულებო სამართალი კონტრაქენტთა თანაბრობის საწყისებს ამკვიდრებს, სახელმწიფოს, როგორც იერარქიული ბერკეტის მქონე ინსტიტუტს, კეთილსინდისიერი ქმედების მეტი მოთხოვნები წაეყენება მეორე კონტრაქენტის ინტერესთა ბალანსის შესანარჩუნებლად.

მართალია, კეთილსინდისიერების პრინციპი მხარეთა უფლებებისა დაკანონიერი ინტერესების გატარებაზეა ორიენტირებული, მაგრამ მისი ძალზედ ზოგადი ბუნება, რიგ შემთხვევებში, პრეცედენტული სასამართლო გადაწყვეტილებების აუცილებლობას განაპირობებს, რადგან ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, საჭირო ხდება მოსამართლის მიერ მისი დაკონკრეტება. „ეს თავის მხრივ დიდ ყურადღებას მოითხოვს, რათა მოსამართლის მიერ სუბიექტურად გაგებულმა სამართლიანობამ და კეთილსინდისიერებამ, ამ პრინციპის არასწორმა ინტერპრეტირებამ მხარეთა სამართლებრივი ინტერესები არ ხელყოს.“²⁴⁴

²⁴² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 30 სექტემბრის N ას -1027- 2019 გადაწყვეტილება, 21-ე ველი.

²⁴³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 29 მარტის N ას -1215- 2018 გადაწყვეტილება, 202-ე ველი.

²⁴⁴ ვაშაკიძე გ., კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, აბსტრაქტია თუ მოქმედი სამართალი, ჟურ. ქართული სამართლის მიმოხილვა, 2007, 10, გვ.18.

თუმცა, კეთილსინდისიერება როგორც ნორმატიული, ისე სუბიექტური ნების განმარტების ინსტრუმენტია და მის საფუძველზე აღმოიფხვრება როგორც კანონის, ისე ხელშეკრულების ხარვეზი.²⁴⁵ უზენაესი სასამართლო ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში უთითებს: სასამართლო უნდა ამოვიდეს იქიდან, თუ რაზე შეთანხმდებოდნენ მხარეები, როგორც კეთილსინდისიერი ხელშეკრულების მხარეები, კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით მათი ინტერესების ჯეროვანი შეჯერების პირობებში, თუ მათ არ გამორჩებოდათ ხელშეკრულების შესაბამისი პუნქტი. არსებული ხარვეზები უნდა შეივსოს ხელშეკრულების დამატებით განვრცობის გზით იმგვარად, რომ „ბოლომდე იყოს ნაფიქრი“ კონკრეტული ხელშეკრულების ძირითადი პუნქტები (შდრ. BGHZ 84, 1, 7; 90, 69, 77; 135, 387, 392). აქედან გამომდინარე, მხარეთა ჰიპოთეტური ნების გამორკვევისას ხელშეკრულების დანარჩენი შინაარსისა და ხელშეკრულების დადების მომენტში არსებული სხვა გარემოებების პარალელურად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მხარეთა ფაქტობრივ ნებას, რამდენადაც შესაძლებელია მისი დადგენა...“.²⁴⁶

კეთილსინდისიერების პრინციპი შესაძლებელია გაიმიჯნოს სუბიექტურ და ობიექტურ კეთილსინდისიერების პრინციპებად. სუბიექტური კეთილსინდისიერების პრინციპი, ჩვეულებრივ, განიმარტება, როგორც სულიერი განწყობა, რომელიც არანაირ ობიექტურ ფაქტს ან მოვლენას არ ეყრდნობა. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სანივთო სამართალში. ობიექტური კეთილსინდისიერების კონცეფცია, ჩვეულებრივ, ეყრდნობა კონტრაქტთა ქცევის სტანდარტს.²⁴⁷

ობიექტური კეთილსინდისიერების პრინციპის გამოსახატავად გერმანია იყენებს ტერმინს Treu und Glauben, რაც ნიშნავს ერთგულებასა და ნდობას. “Treu“ ნიშნავს ერთგულებას, ლოიალურობას, უტყუარობას, საიმედოობას (სანდოობას), ხოლო “Glaube“, ნიშნავს ნდობის ანუ მტკიცე რწმენის, გულდაჯერებულობის ქონას. Treu und Glauben გულისხმობს პატიოსანი, ერთგული და კარგად მოფიქრებული (აწონილ-დაწონილი) ქცევის სტანდარტს, მეორე მხარის ინტერესების დაცვას. გულისხმობს და მოიცავს გონივრული ნდობის დაცვას.²⁴⁸ კეთილსინდისიერების სტანდარტში ძირითადად მოიაზრება ის, რომ კონტრაქტმა მხედველობაში უნდა მიიღოს

²⁴⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 30 სექტემბრის N ას- 1054-2019 გადაწყვეტილება.

²⁴⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 30 სექტემბრის №ას-1027-2019 გადაწყვეტილება.

²⁴⁷ იოსელიანი ა., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში შედარებითსამართლებრივი გამოკვლევა, ჟურ. ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2007, გვ. 20.

²⁴⁸ ხუნაშვილი ნ., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, გამომ. თბილისი, ბონა კაუზა, 2016, გვ. 27.

მეორე მხარის ინტერესებიც, მეორე მხრივ, კეთილსინდისიერების პრინციპი ეს არის კარიბჭე, რომლის გავლითაც მორალური ღირებულებები სამართლად იქცევა.²⁴⁹

გსკ-ის თანამედროვე რედაქციის §242-ე ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულებას შეეხება. ხსენებული მუხლის სიტყვასიტყვითი ჟღერადობიდან გამომდინარეობს, რომ კეთილსინდისიერების პრინციპის მიხედვით მოქმედება ეკისრება როგორც მოვალეს, ისე კრედიტორს. მისი შემადგენლობა შემდეგნაირია: სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მხარეებმა, ვალდებულების შესრულების განმავლობაში და მის შემდგომ უნდა დაიცვან ნდობის პრინციპი, გულისხმიერად მოეკიდონ ერთმანეთის უფლებებს, ქონებრივ სიკეთესა და ინტერესებს, იმოქმედონ ლოიალობის პრინციპის გათვალისწინებით.²⁵⁰

კეთილსინდისიერების პრინციპს იცნობს ვენის 1980 წლის კონვენციაც საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებათა შესახებ (CISG), რომლის მეშვიდე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კონვენციის განმარტებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს საერთაშორისო ვაჭრობაში კეთილსინდისიერი თანამშრომლობის ხელშეწყობის აუცილებლობა.

კეთილსინდისიერების პრინციპი ასახულია ევროპის სახელმწიფოებო სამართლის პრინციპებშიც. კერძოდ, 1:201-ე მუხლის თანახმად, “თითოეული მხარე უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერებისა და პატიოსნების პრინციპების მიხედვით“. აღსანიშნავია, რომ ლიტერატურაში ეს ზოგადი დებულებანი განხილულია ძირითადად ვალდებულების შესრულებასთან მიმართებით.²⁵¹

კეთილსინდისიერების პრინციპი აღიარებულია აგრეთვე კერძო სამართლის უნიფიცირების საერთაშორისო ინსტიტუტის (*International Institute for the Unification of Private Law – UNIDROIT*) მიერ შემუშავებულ საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებების პრინციპების (Principles of International Commercial Contracts) 1.7 მუხლშიც, კერძოდ, „თითოეული მხარე ვალდებულია იმოქმედოს საერთაშორისო-სავაჭრო პრაქტიკაში მიღებული კეთილსინდისიერებითა და პატიოსანი საქმოსნური პრაქტიკით. მხარეებს არა აქვთ უფლება, გამორიცხონ ან შეზღუდონ აღნიშნული ვალდებულება.“²⁵²

²⁴⁹ Hesselink, Good Faith, Towards a European Civil Code, 2.ed., The Hague/London/Boston, Kluwer Law International, 1998, pp. 288.

²⁵⁰ კროპპოლერი ი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თბილისი, საიას იურიდიული ხელშეწყობის ფონდი, მთარგ. თორნიკე დარჯანია, ზურაბ ჭეჭელაშვილი, რედ.: ეთერ ჩაჩანიძე, თორნიკე დარჯანია, ლევან თოთლაძე, GIZ, 2014, გვ. 113.

²⁵¹ Towards a European Civil Code, ed. by Hartkamp/ Hesselink/ Hondius/ Perron/ Vranken, Nijmegen, Dodrecht, Boston, London, 1994, 205-209.

²⁵² Principles of International Commercial Contracts (UNIDROIT), Rom, 1994, Uniform Law Review, 2004, 124.

„კეთილსინდისიერების“, როგორც ტერმინის ლეგალურ განმარტებას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა. სახელშეკრულებო ურთიერთობებში კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარეობენ ქცევის იმპერატიული წესები, რომლებიც დაცული უნდა იქნენ უპირობოდ. ამდენად, არსებობენ კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისი ვალდებულებები.²⁵³

ლიტერატურაში განმარტებულია საკუთრივ სახელშეკრულებო სამართლებრივი კეთილსინდისიერების მნიშვნელობა: „სახელშეკრულებო სამართლებრივი კეთილსინდისიერება არის არა მარტო ხელშეკრულების განმარტებისა და შევსების საშუალება, რომელიც შეიძლება ემსახუროდეს კონკრეტულ შემთხვევაში არსებული ვალდებულებების, ვალდებულებათა იურიდიული ბუნების, ფარგლებისა და მოქმედების სფეროს დადგენას, არამედ ლიტერატურასა და სამართალწარმოებაში გავრცელებული საერთო მოსაზრების თანახმად, იგი ასევე ნიშნავს ნდობას სხვა პირებისადმი. სახელშეკრულებო სამართალში იგულისხმება პირის ის ნდობა, რომელიც მას შეიძლება გააჩნდეს საღი აზრის გათვალისწინებით“.²⁵⁴

კეთილსინდისიერების პრინციპის ზოგადი, ერთგვარად აბსტრაქტული და, როგორც ლიტერატურაშია აღნიშნული—„მეტისმეტად განუსაზღვრელი“.²⁵⁵ ბუნებიდან გამომდინარე, იგი, უპირატესად, ზოგადი ნორმებით რეგულირდება. ქართულ სამოქალაქო სამართლებრივ მოწესრიგებაში ამ როლს უმთავრესად სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილი (კოდექსში გაბნეულ სხვა ნორმებთან ერთად) ასრულებს, რომლის შესაბამისად, „სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები“. ანუ, სამართალი კრძალავს არა მარტო ისეთ მოქმედებებს, რაც მოტყუებასა და ძალადობაში გამოიხატება, არამედ იგი მეურვეობს მხარეს, როცა ხელშეკრულება უსამართლო შინაარსის აღმოჩნდება.²⁵⁶ ამასთან, მე-8 (მე-3) მუხლის შინაარსიდან იკვეთება, რომ ხელშეკრულების მხარეთა ნება შეიძლება კონტროლის ქვეშ მოექცეს.²⁵⁷ რაც ინდივიდის თავისუფლების ერთგვარი შეზღუდვაა.²⁵⁸ მაგრამ ეს შეზღუდვა ფასს ვერ უკარგავს ვალდებულებითი ურთიერთობის თავისუფლების

²⁵³ ხუნაშვილი ნ., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, გამომ. თბილისი, ბონა კაუზა, 2016, გვ. 47.

²⁵⁴ Eckl.Ch., Treu und Glauben imspanischen Vertragrecht, Mohr Siebeck, Tübingen, 2007, 191.

²⁵⁵ ხუნაშვილი ნ., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, გამომ. თბილისი, ბონა კაუზა, 2016, გვ.32.

²⁵⁶ ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბილისი, 2005, გვ. 280.

²⁵⁷ იქვე.

²⁵⁸ კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, გვ. 83.

ხარისხს, რადგან სამოქალაქო კოდექსი ამკვიდრებს პრინციპებს, რომ მხარეთა ნების ავტონომია გარანტირებულია დაცულია.

ზემოთ აღინიშნა, უნიდროას პრინციპებით მხარეებს არ აქვთ უფლება გამორიცხონ ან შეზღუდონ ვალდებულება, რომელიც კეთილსინდისიერ ქცევას უკავშირდება. მაგრამ ქართული სამოქალაქო კანონმდებლობით (მუხლი 410) მათ უფლება აქვთ ხელშეკრულების დადების დროს შეზღუდონ ან/და გამორიცხონ პასუხისმგებლობის კონკრეტული ზომები, თუმცა შეზღუდვის ეს ფორმა კეთილსინდისიერების ზოგად ჩარჩოებში უნდა ექცეოდეს, რადგან „კეთილსინდისიერების პრინციპი ვლინდება ურთიერთობის მონაწილე სუბიექტის მიერ სხვა პირის ინტერესების გათვალისწინების ვალდებულებაში იმ მოცულობით, რომელიც არ იწვევს თავად მისი ინტერესების არამართლზომიერ შეზღუდვას“.²⁵⁹

ზემოთ ასევე ითქვა, რომ კეთილსინდისიერების პრინციპი მოქმედებს როგორც ხელშეკრულების დადების, ისე წინასახელშეკრულებო სტადიაზე და ასევე ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობათა განხორციელებისა და შესრულების და ასევე პასუხისმგებლობის შერაცხვის დროს.

თავისთავად, უმნიშვნელოვანესია, კეთილსინდისიერი ქმედების კრიტერიუმთა განსაზღვრა ხელშეკრულების შესრულების ან/და პასუხისმგებლობის დაკისრების ეტაპზე, მაგრამ ასევე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კონტრაქტის სტადიაზე კეთილსინდისიერების პრინციპის სწორ ინტერპრეტირებას და მის თანხვედრას, რელევანტობას ხელშეკრულებით დათქმულ ნორმებთან.

სადავო არაა, რომ ვალდებულების წარმოშობის საფუძველი, ანუ ხელშეკრულების დადება, წარმოადგენს ვალდებულებითი სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს და ცალსახად განაპირობებს ხელშეკრულების შემდგომ მიმართულებას. ანუ ის, თუ რამდენად გამართულადაა შედგენილი საკონტრაქტო პირობები, განსაზღვრავს ხელშეკრულების შემდგომ ბედს.

ქართულ დოქტრინაში გამოთქმული მოსაზრებით, „გარიგების საფუძველად უნდა იქნეს მიჩნეული გარიგების მხარეების ერთობლივი წარმოდგენა იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც დებენ მხარეები გარიგებას.“²⁶⁰ ხოლო ორტმანის თეორიის თანახმად, ხელშეკრულების დადებისას „ამოსავალი უნდა იყოს მხარეთა ინტერესები და მოლოდინი და ამ ინტერესების შესაბამისად უნდა გადანაწილდეს მხარეთა შორის

²⁵⁹ იქვე.

²⁶⁰ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 369.

სახელშეკრულებო რისკები“.²⁶¹ აქ, ცხადია, მოიაზრება, რომ კონტრაქტთა ინტერესი და მოლოდინი კეთილსინდისიერების პრინციპის თანხვედრილი და შესაბამისი უნდა იყოს, თუნდაც ხელშეკრულების დადებისას პასუხისმგებლობის შეზღუდვის გარკვეულ დეტალებზე იყოს გათვლილი.

ამიტომ, შესაძლოა ვიკითხოთ, გაივლის თუ არა კეთილსინდისიერების ზოგად ტესტს კონტრაქტების ეტაპზე მხარეთა დათქმა პასუხისმგებლობის შეზღუდვის ან/და გამორიცხვის თაობაზე? დოქტრინაში განმარტავენ, რომ ხელშეკრულების დადებისას „მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ უფრო მკაცრი ან უფრო რბილი პირობების თაობაზე, მაგრამ ამგვარი შეთანხმება მათ შეუძლიათ კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინებით.“²⁶² ამასთან, რომ სსკ-ის მე-8 (მე-3) და 361-ე მუხლებში მითითებულია მხოლოდ ერთი გარემოება, კერძოდ, „ვალდებულების შესრულება კეთილსინდისიერად“, ანუ „კეთილსინდისიერების შესაბამისად“... კეთილსინდისიერების პრინციპი (ვალდებულება) დაცული უნდა იქნეს ხელშეკრულების დადების დროსაც. თანაც, კეთილსინდისიერების პრინციპის მოქმედება ვრცელდება არა მარტო მოვალეზე, არამედ კრედიტორზეც.²⁶³

ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ გარემოებას, რომ ვალდებულების წარმოშობის სტადიაზე პასუხისმგებლობის კონკრეტულ შეზღუდვებზე, ან/და ვალდებულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე წინასწარ უარის შესაძლო განცხადებაზე (სსკ-ის 410-ე მუხლი) მსჯელობა-შეთანხმება არ ნიშნავს მხარეთა მიერ ჯეროვანი შესრულების უფლებებელყოფას, ვალდებულებითი ურთიერთობის არასავალდებულოობას (არაბოჭვადობას), და, შესაბამისად, არც მხარეთა შესრულებისადმი არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებას უწყობს ხელს, პირიქით... ხელშეკრულების დადების ეტაპზე ნების გამომვლენის და ნების მიმღების უფლებამოვალეობათა სწორი განაწილება – დეტალიზაცია, მათ შორის რისკის ტვირთის გადანაწილების, შესრულების შესაძლო გართულებების, პასუხისმგებლობის ზომების წინასწარ განსაზღვრის, კონკრეტულ შემთხვევებში მათი შეზღუდვის შესახებ შეთანხმება წარმოშობს მეტ მოლოდინს ვალდებულების ჯეროვანი შესრულების თაობაზე.

განვიხილოთ კონკრეტული მაგალითი: გადაზიდვის ხელშეკრულებაში მხარეები თანხმდებიან, რომ თუკი ნივთის შეფუთვას აწარმოებს კრედიტორი, მაშინ არასწორი შეფუთვის გამო ნივთის დაზიანების ან გაფუჭების შესახებ გადამზიდავი პასუხს არ აგებს, ანუ რისკი გადადის კრედიტორზე.

²⁶¹ Eckl.Ch., Treu und Glauben imspanischen Vertragrecht, Mohr Siebeck, Tübingen, 2007, pp. 36.

²⁶² Гражданское и торговое право Европейского Союза (основные институты): Учеб. пособие под. общ. Ред. В.В. Безбаха, В.Ф. Поньки, К. М. Беликовой, М., 2010, ст.140.

²⁶³ ხუნაშვილი ნ., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, გამომ. თბილისი, „ბონა კაუზა“, 2016, გვ. 46.

მოცემული შეთანხმება არათუ არ მოიცავს ჯეროვანი შესრულებისადმი მსუბუქ, არამხოლოდ დამოკიდებულებას, არამედ, რისკის ტვირთის კრედიტორზე გადანაწილებას, მეტი მოტივაციით აღჭურავს მას და განაწყოებს ჯეროვანი შესრულებისათვის, ვინაიდან კრედიტორის მიერ არაჯეროვანი შესრულება (მოცემულ შემთხვევაში ნივთის არასწორი, უხარისხო შეფუთვა) ერთი მხრივ, თავად კრედიტორს აყენებს ზიანს ნივთის გაფუჭებით, ხოლო, მეორეს მხრივ, უსპობს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესაძლებლობას, რაც, თავის მხრივ, იცავს მოვალეს ზიანის ანაზღაურების გაუმართლებელი ვალდებულების დაკისრებისაგან და, საბოლოოდ, ხელშეკრულებით დათქმული შეთანხმების სრულფასოვნად განხორციელების საფუძველს ქმნის.

ამდენად, სსკ-ის 410-ე მუხლით ხელშემკვრელ მხარეთათვის მინიჭებული შესაძლებლობა, კერძოდ, პასუხისმგებლობის შეზღუდვის თაობაზე მხარეთა წინასწარი შეთანხმების საკითხი კეთილსინდისიერების პრინციპთან რელევანტურია და საკანონმდებლო წინააღმდეგობას არ ქმნის.

ამასთან, ხელშეკრულების დადებისას ყველა დეტალის გაანალიზება და სახელშეკრულებო ნორმად ქცევა, საშუალებას იძლევა მისი შესრულების ეტაპზე შესაძლო გართულების ან/და შეუსრულებლობის შემთხვევაში თავიდან იქნას აცილებული გაუმართლებელი ზიანის ანაზღაურების შერაცხვა-დაკისრება, რადგან კანონმდებლობა უშვებს შესაძლებლობას კეთილსინდისიერება განვიხილოთ ზიანის ანაზღაურებისაგან გათავისუფლების ერთ-ერთ საფუძველად. ქართული სამართლებრივი დოქტრინის წარმომადგენლის ნ. ხუნაშვილის მონოგრაფიაში „კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში“ განმარტებულია: მართალია „ასეთ საფუძველს პირდაპირი წესით კანონი არ ითვალისწინებს, თუმცა სწორედ ნორმათა ანალიზიდან ცხადად გამომდინარეობს კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე ზიანის ანაზღაურებისაგან მოვალის გათავისუფლების შესაძლებლობა.“²⁶⁴

ამ მხრივ, სსკ-ის 410-ე მუხლს სსკ-ის 412-ე მუხლთან საინტერესო კვეთა აქვს. კერძოდ, მოხმობილი მუხლის (412-ე) შესაბამისად, ანაზღაურდება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. ანუ სსკ-ის 412-ე მუხლის დეფინიცია განამტკიცებს სსკ-ს 410-ე მუხლის დათქმას იმ თვალსაზრისით, რომ იგი შესაძლო ზიანის წინასწარ ვარაუდზეა აგებული. ეს ნორმა გამოხატავს მოვალის ინტერესს და ათავისუფლებს მას ისეთი რისკისაგან, რაც მიუღებელია ქონებრივი პასუხისმგებლობის ჩვეული

²⁶⁴ ხუნაშვილი ნ., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, გამომ. თბილისი, „ბონა კაუზა“, 2016, გვ. 326.

პრინციპისთვის. ანუ სავარაუდო ზიანად მოიაზრება ის, რომ მოვალისათვის ზიანი სავარაუდო უნდა იყოს ხელშეკრულების დადების მომენტში.²⁶⁵

სწორედ ხელშეკრულების დადების დროს ზიანის ანაზღაურებისაგან შესაძლო გათავისუფლებას მოიაზრებს სსკ-ის 410-ე მუხლი, რომელიც განამტკიცებს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან მხარეთა შეთანხმებისას ხელშეკრულების დადების დროს ზიანის ანაზღაურებისაგან შესაძლო გათავისუფლების ანდა მისი შეზღუდვის საკითხს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, უშვებს რა სამოქალაქო კანონმდებლობა პასუხისმგებლობის შეზღუდვის ან მისგან შესაძლო გათავისუფლების მხარეთა წინასწარი დათქმის შესაძლებლობას, შესაბამისად, ასეთ შეთანხმებებს კეთილსინდისიერების ზოგად ჩარჩოში მოიაზრებს და ეს ობიექტურადაც გამართლებულია. თუმცა ასეთი შეთანხმებები, თავისი იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე, საფრთხილო კატეგორიაა. ამიტომ სასამართლო წარმოებისას ყურადღება უნდა მიექცეს ყოველ კონკრეტულ საქმეზე საქმის გარემოებების დეტალურ განხილვას კეთილსინდისიერების პრინციპთან მიმართებაში.

მხარის კეთილსინდისიერების ან არაკეთილსინდისიერების განსაზღვრისას, ყოველი კონკრეტული შემთხვევის მიმართ სასამართლომ სამართლებრივად უნდა შეაფასოს კონტრაჰენტთა წინდახედულობა, ხელშეკრულების შესაძლო გართულების, შესრულების შესაძლო შეუძლებლობის, ასევე ზიანის მიყენების შესაძლებლობის გათვალისწინების უნარი როგორც ხელშეკრულების დადების დროს ასევე, მისი განვითარების შემდგომ ეტაპებზე, რადგან არ აქვს იურიდიული ძალა სამართლებრივი დაცვის საშუალების—გამორიცხვის ან შეზღუდვის სახელშეკრულებო პირობას, რომელი უსამართლოა თავისი იურიდიული ბუნებით. „სასამართლოები აღჭურვილნი არიან ფართო დისკრეციული უფლებამოსილებით, რომლის ძალითაც პირობები, სამართლებრივი დაცვის საშუალების შეზღუდვის ან გამორიცხვის შესახებ არ გამოიყენება თუ ისინი თავისი არსით მნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება სამართლიანობის, კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების პრინციპებს და არღვევს სახელშეკრულებო წონასწორობას“.²⁶⁶

²⁶⁵ ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2001, გვ. 465.

²⁶⁶ Lando O, Beale H, 2000, 'principles of European Contract Law, part I, and II. KluWer Law International, The Hague/ London/Boston, 2000, 388-390; Comment No. 5 on art. 7

4.2 პასუხისმგებლობის შემზღუდავი და გამომრიცხავი გარემოებანი

ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებთან მიმართებაში

4.2.1 ხელშეკრულების სტანდარტული პირობების არსი და მომხმარებლის

„სუსტი“ სამართლებრივი პოზიციები

მიუხედავად იმისა, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე, მომხმარებლის უფლებათა დაცვა საუკუნეებს ითვლის და უკავშირდება ვალდებულებითი სამართლის ადრეულ პერიოდს, სტანდარტული პირობები სახელშეკრულებო სამართლის, ასე ვთქვათ, უფრო „ახალგაზრდა“ წარმომადგენელია და იგი ფებს იკიდებს და ყალიბდება მე-19 საუკუნის სამოცდაათიან წლებში ინდუსტრიული რევოლუციის შედეგად.²⁶⁷ მაშინ, როცა იცვლება სახელშეკრულებო ურთიერთობის სამართლებრივი მოწესრიგების არეალი და პირობები. ფეოდალური წეს-წყობილებიდან კაპიტალისტურ მოდელზე გადასვლას შედეგად მოჰყვა წარმოებისა და მომსახურების ზრდა, საბაზრო ეკონომიკის მასშტაბების არნახული განვითარება, ინდივიდუალური თავისუფლებისა და თვითგამორკვევის წარმოჩენა.²⁶⁸ შესაბამისად, იმ მოცემულობით, როცა ყოველდღიურად მილიონობით ხელშეკრულება იდება მომხმარებელთან, წარმოუდგენელია, რომ ყოველ მათგანთან გაიმართოს ცალკე სახელშეკრულებო მოლაპარაკება და მხოლოდ ამის შემდეგ გაფორმდეს ხელშეკრულება²⁶⁹ ამიტომ, მომხმარებლისათვის უფრო მოქნილი მომსახურების შეთავაზების და კომერციული ბრუნვის დახვეწის მიზნით, ერთი და იმავე სახის ხელშეკრულების რთული და მრავლისმომცველი რეგულირებების ყოველჯერადი განსაზღვრის თავიდან ასაცილებლად, თანამედროვე ეკონომიკური საქმიანობის სფეროში ფართო მასშტაბით გამოიყენება ხელშეკრულების სტანდარტული პირობები²⁷⁰

სწორედ ბაზრის გამართული ფუნქციონირებისათვის უფრო მოქნილი პირობების შექმნის აუცილებლობამ დააყენა დღის წესრიგში სამოქალაქო ბრუნვის მოწესრიგების აუცილებლობა მასში მონაწილე გარკვეული პირების

²⁶⁷ Rombach J., Allgemeine Geschäftsbedingungen Bei Freien Dienstverträgen: Rechtsanwalts-, Steuerberater- Und Wirtschaftsprüferverträge, Arzt- Und Krankenhausbehandlungsverträge, Unterrichtsverträge, Verlag Heymann, Köln [u.a.]1997.

²⁶⁸ Antonioli L., Consumer Law as an Instance of the Law of Diversity, Vermont Law Review, Vol.,30:855, 2006,

< <http://Lawreview.vermont.edu/files/2012/02/antonioli.pdf>>,[3.12.2023].

²⁶⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, 2001, გვ.180.

²⁷⁰ კროპკოლერი ი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თბილისი, საიას იურიდიული ხელშეწყობის ფონდი, მთარგ. თორნიკე დარჯანია, ზურაბ ჭეჭელაშვილი, რედ.: ეთერ ჩაჩანიძე, თორნიკე დარჯანია, ლევან თოთლაძე, GIZ,2014, გვ. 184.

თავისუფლების შეზღუდვის ხარჯზე.²⁷¹ შეიძლება ითქვას, რომ სტანდარტული პირობები ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვის სამართლებრივი დათქმაა.²⁷² რადგან, პროფესორ ბ. ზოიძის განმარტებით, - „მოწესრიგებული სამოქალაქო ბრუნვის დამკვიდრება მხოლოდ გარკვეული შეზღუდვების გზითაა შესაძლებელი. ის შეზღუდვები, რაც თან ახლავს სახელშეკრულებო თავისუფლებას, სრულიად ნორმალურია და ფასეულობათა სოლიდარობითაა გამოწვეული, რაც იმას გულისხმობს, რომ თავისუფლება არსებობს მხოლოდ კანონით დადგენილი წესის ფარგლებში.²⁷³ მიუხედავად მსგავსი ტიპის დოქტრინული განმარტებებისა, სტანდარტული პირობებით განსაზღვრული, წინასწარ ფორმულირებული ხელშეკრულებების პირობები ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის (შემთავაზებლის) მიერ ცალმხრივად წარედგინება მეორე მხარეს, რაც საშიშროებას შეიცავს, რომ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გამომყენებელმა (შემთავაზებელმა) მხარემ თავისი სამართლებრივი მდგომარეობა ხელშეკრულების მეორე მხარის ხარჯზე არათანაზომიერად გაიუმჯობესოს²⁷⁴ მით უმეტეს, რომ სტანდარტული ხელშეკრულება წარმოდგენილია იმდაგვარად, რომ ხელშეკრულების მეორე მხარეს საშუალება არ აქვს შეცვალოს მისი პირობები. იგი ან უნდა დაეთანხმოს მოცემულ პირობებს, ან საერთოდ უარი თქვას ხელშეკრულებაზე (ე. წ. „Take it or leave it“ პრინციპი).²⁷⁵

ცხადია, თუკი ერთი მხარე ქმნის სახელშეკრულებო პირობას, უპირველესად, იგი თავისი ინტერესების გატარებაზეა ორიენტირებული და ეს ბუნებრივია.²⁷⁶ მაგრამ საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ გარდა ჩვეულებრივი შეთავაზებებისა, სტანდარტულ პირობებში, უმეტესად ძირითად დებულებებთან ერთად, გათვალისწინებულია შემთავაზებლის პასუხისმგებლობის შემზღუდავი და გამომრიცხავი გარემოებები. ჯერ კიდევ

²⁷¹ ლაკერბაია თ., ხელშეკრულების უარყოფის უფლება, ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, 2016, გვ.25.

https://www.press.tsu.edu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/tamar_lakerbaia.pdf [10.01.2024.]

²⁷² ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, 2017, გვ. 226.

²⁷³ ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, 2005, გვ. 286.

²⁷⁴ კროპპოლერი ი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თბილისი, საიას იურიდიული ხელშეწყობის ფონდი, მთარგ. თორნიკე დარჯანია, ზურაბ ჭეჭელაშვილი, რედ.: ეთერ ჩაჩანიძე, თორნიკე დარჯანია, ლევან თოთლაძე, GIZ, 2014, გვ. 185.

²⁷⁵ Zerress, Principals of the German Law on Standard Terms of Contract, https://jurawelt.com/sunrise/media/mediafiles/14586/German_Standard_Terms_of_Contract_Thomas_Zerres.pdf [12.03.2024].

²⁷⁶ ზაალიშვილი ვ., სტანდარტული პირობების ცალკეული პრობლემური საკითხები-შეთანხმების თავისუფლება და მისი ფარგლები, სამართლის ჟურნალი N1, 2017, გვ. 32.

მე-19 საუკუნის ბოლოს, ინდუსტრიული რევოლუციის შემდეგ, სახელშეკრულებო სტანდარტული პირობების ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე, დიდ ბრიტანეთში საწარმოები მზად იყვნენ სწორედ სტანდარტული პირობების საფუძველზე დაედოთ გარიგებები. ამ პირობებს შორის იყო ისეთი პირობები, რომლებიც ზღუდავდნენ ან გამორიცხავდნენ კიდევ საწარმოს პასუხისმგებლობას²⁷⁷ თანამედროვე სახელშეკრულებო პრაქტიკაშიც არის შემთხვევები, როდესაც შემთავაზებელს სურს გამორიცხოს კლიენტის წინაშე თავისი პასუხისმგებლობა. მაგ., აეროპორტის შემნახველი საკნის კარებზე განთავსებულია წარწერა: „საკანში შესანახად ჩაბარებულ საგნებზე შემნახველი საკნის ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს“, ან ავტომანქანების სამრეცხაოს შესასვლელთან გამოკრულია სტანდარტული პირობა – „ავტოსამრეცხაო პასუხს არ აგებს რეცხვისას ავტომანქანის ცალკეული ნაწილების დაზიანებისათვის.“²⁷⁸ ამიტომ ბუნებრივად იბადება კითხვა— კიდევ უფრო მეტი „წნების“ ქვეშ ხომ არ ექცევა ისედაც სუსტი პოზიციების მქონე მომხმარებელი ამ მოცემულობით?

თანამედროვე დოქტრინული განმარტებით, თუკი, მიუხედავად ამისა, მეორე მხარე ეთანხმება შეთანხმებას, ზოგადი სახელშეკრულებო ლოგიკით, პრობლემა ამოწურული უნდა იყოს. მით უმეტეს, რომ თანამედროვე ცხოვრების ინტენსიური რიტმი, იმ სიკეთეთა მრავალფეროვნება, რომელსაც ბაზარი სთავაზობს ადამიანს, ქმნის იმგვარ მდგომარეობას, სადაც ყოველთვის გონივრული არ არის ყოველი ხელშეკრულების თითოეულ დეტალზე სრულფასოვანი მოლაპარაკების წარმართვა და კომპრომისის გამონახვა. მაგრამ, ამავდროულად, ერთი მხარის ძალაუფლებრივი პოზიციები მეორეს ნაკლებ შანსს უტოვებს ზეგავლენა მოახდინოს შეთანხმების იმ შინაარსზე რაც მას შესთავაზეს.²⁷⁹ ამასთან, ევროკავშირის 93/13EEC დირექტივა უსამართლო სახელშეკრულებო პირობების შესახებ, ემყარება იდეას, რომ მომხმარებელი მიმწოდებელთან შედარებით „სუსტი“ მხარეა არამხოლოდ მოლაპარაკების შესაძლებლობის არქონის, არამედ დაბალი ინფორმირებულობის სტანდარტის გამო²⁸⁰ ძლიერი მხარე, ანუ მეწარმე, სამომხმარებლო გარიგების დადებისას, ბევრ შემთხვევაში სარგებლობს მომხმარებლის მიერ კანონის

²⁷⁷ ხუნაშვილი ნ., ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შინაარსის კონტროლი და შეზღუდვა კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე, სამართლის ჟურნალი N1, 2013, გვ. 271.

²⁷⁸ ჭანტურია ლ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, 2001, გვ. 209.

²⁷⁹ ზაალიშვილი ვ., სტანდარტული პირობების ცალკეული პრობლემური საკითხები- შეთანხმების თავისუფლება და მისი ფარგლები, სამართლის ჟურნალი N1, 2017, გვ. 32. სამართლის ჟურნალი N1, 2017, გვ. 32.

²⁸⁰ Council Directive 93/13/EEC of 5 April 1993 on unfair terms in consumer contracts. O.J.L 95, 21.04.1993, 29.

უცოდინარობით, კომერციული ცოდნის უქონლობით, გარიგების საგნის შესახებ სათანადო ინფორმაციის არფლობით.²⁸¹

უნდროას სახელშეკრულებო პრინციპების მესამე თავის საკმაოდ დიდი ნაწილი თანხმობის ნაკლოვანებას ეხება. განხილულია ტერმინი „სერიოზული უთანასწორობა“, კერძოდ ისეთი შემთხვევა, როდესაც მთლიანი ხელშეკრულება, ან მისი რომელიმე დებულება არასამართლიანად ანიჭებს დიდ უპირატესობას ერთ-ერთ მხარეს მეორესთან შედარებით.²⁸²

სწორედ უფლებათა არათანაბრობა და სტანდარტული პირობების საზიანოობა ქმნის „სუსტი“ მხარისათვის „უფლება-მოვალეობათა ასიმეტრიას“, რაც შეიძლება განპირობებული იყოს იმ გარემოებიდან, რომ სტანდარტული პირობის შემთავაზებელმა ხელშეკრულებიდან გამომდინარე რისკები მთლიანად კლიენტს გადააკისრა.²⁸³ იგივე აზრს იზიარებს გერმანული დოქტრინა:- სტანდარტულ პირობებს ბიზნესი ადგენს მომხმარებლისთვის. შესაბამისად, არსებობს საფრთხე, რომ პირობების დამდგენი მხარე ეცდება მთელი რისკი ხელშეკრულების მეორე მხარეზე გადაიტანოს.²⁸⁴

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნათლად იკვეთება ის მოცემულობა, რომ ხელშეკრულების სტანდარტული პირობები ხშირ შემთხვევაში, სუსტი პოზიციების მქონე მხარეს საკმაოდ არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს და ეს ჩანს მრავალ ასპექტში:- მოლაპარაკების შეუძლებლობა, დაბალი ინფორმირებულობის სტანდარტი, რისკის „სუსტ“ მხარეზე გადაკისრება, შემთავაზებლის პასუხისმგებლობის შემზღუდავი და გამომრიცხავი გარემოებები.... ასე, რომ კონტრაქტთა თანასწორობის ბალანსის შესანარჩუნებლად რთული დილემის წინაშე დგას როგორც კანონმდებელი ასევე დოქტრინა და მართლმსაჯულება. კანონმდებლის მიზანი ნორმათა შემუშავებისას სწორედ ის უნდა იყოს, რომ გამოავლინოს ამგვარი სიტუაციები, გაითვალისწინოს მათი მუდმივად ცვალებადი ფორმები და მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ყოველი მხარის ობიექტური ინტერესების სამართლიან დაბალანსებას.²⁸⁵

²⁸¹ ქარდავა ე., მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტების შედარებითსამართლებრივი მიმოხილვა ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მაგალითზე, ჟურ., ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოშვება, თბილისი, 2007.

²⁸² ჰარკამპი ა., სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები“ ევროპული და შედარებითი სამართლის თარგმანები, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2009-2010, გვ. 200.

²⁸³ რუსიაშვილი გ./ალადაშვილი ა., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგი 3, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, ჭანტურია ლ., (რედ.), მუხლი 346, ველი 14.

²⁸⁴ Zerress, Principals of the German Law on Standard Terms of Contract, https://jurawelt.com/sunrise/media/mediafiles/14586/German_Standard_Terms_of_Contract_Thomas_Zerress.pdf [12.03.2024].

²⁸⁵ ზაალიშვილი ვ., სტანდარტული პირობების ცალკეული პრობლემური საკითხები-შეთანხმების თავისუფლება და მისი ფარგლები, სამართლის ჟურნალი N1, 2017, 32.

4.2.2 კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვა და სტანდარტული პირობების შინაარსის კონტროლი „სუსტი“ მხარის სამართლებრივი პოზიციების გასამყარებლად

ისეთ შემთხვევებში, როცა ერთ-ერთი მხარე აშკარა უპირატესობას ფლობს მეორესთან მიმართებაში, „სუსტი“ მხარის ინტერესები პრიორიტეტული ხდება და განსაკუთრებული დაცვის ქვეშ ექცევა.²⁸⁶

კანონმდებელი „სუსტი“ მხარის „ძლიერთან“ მიმართებაში უფლებრივი ბალანსის შესანარჩუნებლად, ასევე მომხმარებელთა უფლებების და მათი დაცვის მაღალი სტანდარტების უზრუნველსაყოფად, შემთავაზებლის ძლიერ პოზიციებს სტანდარტული პირობების შინაარსის კონტროლსა და კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვას უპირისპირებს.

სახელშეკრულებო სამართლის თანამედროვე ამოცანაა პრაქტიკულად განხორციელდეს სახელშეკრულებო სამართლიანობა, დაიცვას უფრო სუსტი მხარე, დაავალდებულოს პარტნიორები ერთმანეთის ინტერესები გაითვალისწინონ და წაახალისოს ისინი სახელშეკრულებო ურთიერთობები დაამყარონ თანამშრომლობასა და კეთილსინდისიერებაზე.²⁸⁷

ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების 1:201 მუხლის შესაბამისად – „თითოეული მხარე კეთილსინდისიერების და სამართლიანობის პრინციპების შესაბამისად უნდა მოქმედებდეს.“ ამავე მუხლის მეორე ნაწილით, „მხარეებს უფლება არა აქვთ ეს ვალდებულება გამორიცხონ ან შეზღუდონ“.²⁸⁸ ამასთან, სწორედ ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები აძლევს უფლებას მხარეს უარი თქვას ხელშეკრულებაზე ან ხელშეკრულების ცალკეულ პირობაზე იმ შემთხვევაში, როცა მხარეთა შორის ერთდროულად სახეზეა საპროცესო და მატერიალური უთანასწორობა, ე.ი. თუ დადების მომენტში ხელშეკრულება ან მისი რომელიმე პირობა ქმნიდა მეტისმეტ უპირატესობას იმის გამო, რომ ერთ-ერთმა მხარემ არაკეთილსინდისიერად გამოიყენა მეორე მხარის გამოუცდელიობა, რომელსაც არ გააჩნია მოლაპარაკებათა წარმოების უნარი (4:110-ე მუხლი).²⁸⁹

კეთილსინდისიერების პრინციპის უზოგადესი დებულებით –სსკ-მე-8 მუხლის მე-3 ნაწილით – სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი

²⁸⁶ Cherednychenko O.O., The Constitutionalization of contract law: Something New Under the Sun?, Electronic Journal of Comparative Law, Vol., 8.1 (March 2004), <http://www.ejcl.org/81/art81-3.PDF> [14.04.2013].

²⁸⁷ ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, 2005, გვ. 280.

²⁸⁸ ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები, თარგმანი – ეროსი ბზეკალავას, თამარ ჭალიძის, არჩილ ცერცვაძისა და დიმიტრი გეგენავას რედაქციით, 2004, გვ. 21.

²⁸⁹ ხუნაშვილი ნ., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, 2016, გვ.70.

ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებამოვალეობანი. აქედან აშკარად ჩანს, რომ ხელშეკრულების მხარეთა ნება შეიძლება კონტროლის ქვეშ მოექცეს. სამართალი კრძალავს არამართო ისეთ მოქმედებებს რაც მოტყუებასა და ძალადობაში გამოიხატება, არამედ იგი მეურვეობს მხარეს, როცა ხელშეკრულება უსამართლო აღმოჩნდება. ასეთი ჩარევით კანონმდებელი იცავს არამართო ბრუნვის კონკრეტულ მონაწილეს, არამედ სამოქალაქო ბრუნვის დაცვით სოციალურ ფუნქციასაც ასრულებს.²⁹⁰

სსკ-ს 346-ე მუხლის, როგორც გენერალური კლავზულის²⁹¹ თანახმად, ბათილია ხელშეკრულებათა სტანდარტული პირობა, მიუხედავად ხელშეკრულებაში მისი ჩართვისა, თუ იგი ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგოდ, საზიანოა ხელშეკრულების მეორე მხარისათვის. საექვოობისას ივარაუდება, რომ მეორე მხარისათვის საზიანოა ის დებულება, რომლის არსებითი შინაარსი არ შეესაბამება იმ კანონის მიზანს, რომლისგანაც იგი განსხვავებულ შინაარსს ადგენს ან მეორე მხარის მნიშვნელოვანი უფლებები, რომელიც ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარეობს, იმდენად შეზღუდულია, რომ შეუძლებელია ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნის მიღწევა.²⁹²

სახელშეკრულებო სამართალში მოქმედებს მხარეთა ნების ავტონომია, რომლის ფარგლებში შესაძლებელია ხელშეკრულების იმგვარ პირობებზე შეთანხმება, რომლებიც მისაღებია გარიგების ყველა მონაწილისათვის, თუმცა ხელშეკრულების მხარეთა მდგომარეობა ყოველთვის თანაბარი არ არის, სწორედ აქედან გამომდინარეობს კანონისმიერი ვალდებულება, რომ მხარეებმა უნდა იმოქმედონ კეთილსინდისიერად.²⁹³ უნდა ითქვას ისიც, რომ სსკ 346-ე მუხლში განმტკიცებული ე.წ. „შინაარსის კონტროლის“ მექანიზმი იცავს მხოლოდ კლიენტს. შემთავაზებელს არ შეუძლია მოითხოვოს სტანდარტული პირობების ბათილად ცნობა იმ მოტივით, რომ ის მისთვის საზიანოა²⁹⁴ დაცვის ეს მექანიზმი განპირობებულია იმით, რომ კანონი არ უნდა იყოს მხოლოდ ძლიერი პოზიციების მქონე კონტრაქტის მხარეს. ამასთან, ხსენებულ ნორმათა დათქმები შესაძლებლობას ქმნიან, იმის მიუხედავად, გათვალისწინებული იქნება თუ არა კანონით სტანდარტული პირობების ბათილობის საფუძვლები, ის მაინც დაექვემდებაროს გაბათილებას მიმღები

²⁹⁰ ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, 2005, გვ.178.

²⁹¹ სქოლიო 231.

²⁹² თოთლაძე ლ., გაბრიჩიძე გ., თუმანიშვილი გ., ტურავა პ., ჩაჩანიძე ე., განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, GIZ,IRZ, 2012, გვ. 618.

²⁹³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 12 დეკემბრის Nას-1064-2018 გადაწყვეტილება.

²⁹⁴ რუსიაშვილი გ./ალადაშვილი ა., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგი 3, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, ჭანტურია ლ., (რედ.), მუხლი 346, ველი 1.

მხარის უფლებათა აღდგენის მიზნით, თუკი არ დააკმაყოფილებს კეთილსინდისიერების პრინციპის ზოგად სტანდარტს.

მოცემული პოზიციის გასამყარებლად მოვიხმოთ ქართული სასამართლო პრაქტიკა. სუს 2005 წლის 5 დეკემბრის N-ას772-1045-05 გადაწყვეტილებაში აღნიშნულია—მხარეთა შორის ურთიერთობა წარმოშობილია რა სტანდარტული ხელშეკრულების საფუძველზე, სსკ-ის 346-ე მუხლის მოცემულობით, ბანკს მხარესთან შეთანხმებით კიდევაც რომ შეზღუდა თავისი პასუხისმგებლობის ფარგლები, ხელშეკრულების ეს პირობა, დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, ბათილია, ვინაიდან იქნებოდა ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგო დათქმა“.²⁹⁵ (აქ საუბარია მიზარების ხელშეკრულებიდან გამომდინარე საქმეზე დეპოზიტური სეიფით სარგებლობის შესახებ ბანკსა და კრედიტორს შორის. ბანკი, სტანდარტული ხელშეკრულების ფარგლებში, იზღუდავდა რა ვალდებულებას, პასუხისმგებლობის წარმოშობას უქვემდებარებდა მხოლოდ დეპოზიტური სეიფის მექანიკური დაზიანების შემთხვევას. რაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლოს მიერ არ იქნა გაზიარებული. ვინაიდან სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული არგუმენტაციით, ბანკი აღიარებდა რა თავის პასუხისმგებლობას სეიფის დაცვაზე, ვერ ასაბუთებდა პასუხისმგებლობის თუნდაც ამგვარი შეზღუდვის საფუძვლიანობას ვერც მხარეთა შორის მიღწეული შეთანხმებით და ვერც სამართლებრივ ნორმაზე მითითებით).²⁹⁶ ეს საქმე საინტერესოა იმით, რომ სსკ-ის 410-ე მუხლი დღევანდელი რედაქციითაც რომ ყოფილიყო (ანუ პასუხისმგებლობის შეზღუდვა დაშვებული რომ ყოფილიყო), კეთილსინდისიერების პრინციპით მაინც ასეთი გადაწყვეტილება უნდა მიეღო სასამართლოს.

კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად ქართული სასამართლო პრაქტიკა „უსამართლო სახელშეკრულებო პირობების შესახებ“ ევროკავშირის 93/13/EEC დირექტივას იშველიებს (რომლის იმპლემენტაცია საქართველომ ასოცირების ხელშეკრულებით ივალდებულა). კერძოდ საქართველოს უზენაესი სასამართლოს.²⁹⁷ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში აღნიშნულია, რომ იმისათვის, რათა სტანდარტული პირობა ბათილად არ იქნეს მიჩნეული, ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმია, რომ ის კეთილსინდისიერების დაცვით იყოს მიღებული. სასამართლო განმარტავს - იმის დასადგენად, მხარეთა შორის უფლებრივი

²⁹⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 5 დეკემბრის N-ას772-1045-05 გადაწყვეტილება.

²⁹⁶ იქვე.

²⁹⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 28 ივნისის N-ას-586-2019 გადაწყვეტილება.

დისბალანსი კეთილსინდისიერების დარღვევით წარმოიშვა თუ არა, უნდა შეფასდეს მიმწოდებელს თანაბარი მოლაპარაკების წარმოების პირობებში, შეეძლო თუ არა ევარაუდა, რომ მომხმარებელი იგივე პირობას იმ შემთხვევაშიც დაეთანხმებოდა, თუ მათი შეთანხმება მხარეთა მიერ ინდივიდუალურად იქნებოდა შეთანხმებული (დირექტივის 3.1 მუხლი).

არსებობს ქართული საკასაციო სასამართლოს მყარად დამკვიდრებული პრაქტიკა, რომლის შესაბამისად – „კეთილსინდისიერების პრინციპი თანამედროვე განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობასა და დოქტრინაში დიდწილად დაკავშირებულია მორალურ სტანდარტებთან. კეთილსინდისიერება ნიშნავს გულწრფელობას, სამართლიანობას, ვალდებულების მიმართ პატიოსან დამოკიდებულებას... კეთილსინდისიერება როგორც ნორმატიული, ისე სუბიექტური ნების განმარტების ინსტრუმენტია. მის საფუძველზე აღმოიფხვრება როგორც კანონის, ისე ხელშეკრულების ხარვეზი... კეთილსინდისიერების პრინციპი ქართულ სასამართლო პრაქტიკაში მიჩნეულია უშუალოდ მოქმედ სამართლად და მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად, რომლის მიზანი სამართლიანი შედეგის დადგომა და უსამართლო შედეგის თავიდან აცილებაა. კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენება აქტუალური ხდება მაშინ, როცა პირის მოთხოვნა ან ქმედება ფორმალურად შეესაბამება მოქმედ მატერიალურ კანონმდებლობას, მაგრამ მისი განხორციელება კონკრეტულ შემთხვევაში უსამართლოა, შესაბამისად, მისი ფუნქცია აშკარად უსამართლო შედეგების თავიდან აცილებაა, რაც პირდაპირ უკავშირდება სამოქალაქო ურთიერთობათა სტაბილურობას და სიმყარეს.“²⁹⁸

4.2.3 პასუხისმგებლობის შემზღუდავი და გამომრიცხავი გარემოებები ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში

ზემოთ უკვე აღინიშნა, საყურადღებოა ის გარემოება, რომ სტანდარტულ პირობებში, ძირითად დებულებებთან ერთად გათვალისწინებულია შემთავაზებლის პასუხისმგებლობის შემზღუდავი და გამომრიცხავი გარემოებები. ცხადია, იბადება კითხვა: - იმ ძირითად პირობებთან ერთად, რომლებიც ისედაც ძლიერი მხარის პოზიციების გამყარებას ემსახურება და მისი ინტერესების გატარებაზეა ორიენტირებული, შემთავაზებლის პასუხისმგებლობის შემზღუდავი და გამომრიცხავი გარემოებების დათქმა კიდევ უფრო მეტი „წნევის“ ქვეშ ხომ არ აყენებს ისედაც სუსტი პოზიციების მქონე მომხმარებელს?

²⁹⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 12 დეკემბრის Nას-1064-2018 გადაწყვეტილება.

გერმანული დოქტრინა პასუხისმგებლობის გამორიცხვის საკითხს მეტად დელიკატურად უდგება და ყოველთვის არ იზიარებს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს და ერთგვარად ზღუდავს მას პასუხისმგებლობის გამორიცხვის დაუშვებლობის გამო. მაგალითად, დაუშვებელია პასუხისმგებლობის გამორიცხვა სამომხმარებლო ხელშეკრულების ფარგლებში, ვინაიდან მომხმარებელთა უფლებების დამცავ რეგულირებათა ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია, სწორედ მომხმარებლის დაცვა გამოცდილი მეწარმის მიერ საკუთარი მოქმედების თავისუფლების ბოროტად გამოყენებისაგან. ეს კი, ძირითადად, სწორედ მომხმარებლის მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გამორიცხვაში შეიძლება გამოიხატოს²⁹⁹

გერმანული დოქტრინის მსგავსად, საქართველოს უზენაესი სასამართლო მართებულად მიიჩნევს მხარეს, რომელსაც დომინირებული მდგომარეობა უკავია ბაზარზე, იგი ვალდებულია მომხმარებელს შესთავაზოს სამართლიანი სახელშეკრულებო პირობები და ბოროტად არ გამოიყენოს თავისი ძალაუფლება სამეწარმეო საქმიანობის სფეროში.³⁰⁰

უფლების ბოროტად გამოყენებას გარიგების ნამდვილობა-არანამდვილობის დადგენისას სსკ-ს 55-ე მუხლი განსაზღვრავს, რომლის მიხედვითაც „ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია ერთი მხარის მიერ მეორეზე გავლენის ბოროტად გამოყენებით. აღნიშნული ნორმა ზოგადი ხასიათისაა და მისი ხედვა პასუხისმგებლობის შემზღუდავ და გამომრიცხავ გარემოებებზეც გადის. თუმცა ზოგად ნორმებთან ერთად, ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებთან მიმართებაში ქართული სამოქალაქო კოდექსი პასუხისმგებლობის შემზღუდავ და გამომრიცხავ გარემოებების ნამდვილობის საკითხს 348-ე მუხლის რამდენიმე ქვეპუნქტით აწესრიგებს.

სწორედ უფლების ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებითაა საინტერესო მოვიხმომთ საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 23 სექტემბრის N1448 გადაწყვეტილება, რომელიც სსკ-ის 348-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტთან მიმართებაშია განხილული და საუბარია ბანკსა და მომხმარებელს შორის სტანდარტული პირობებით დათქმულ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებაზე, სადაც პირდაპირ და უშუალოდაა გათვალისწინებული პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის ირგვლივ შეთანხმება, როცა სასამართლო ვალდებულია მსჯელობის გარეშე გამოიტანოს

²⁹⁹ დეტალურად BGH Urteil vom 24.11.1976-VIII ZR 137/75 (Stuttgart), NJW, 1977, S. 380 f.; Schmidt-Salzer. Verbraucherschutz Produktaufung.Unternehmensverantwortung. NJW, 1994. S.1306. გამოყენებულია ნაშრომში ჩაჩავა ს., მოთხოვნების დ მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, 2010, გვ.127.

³⁰⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 25 ნოემბრის Nას 611-837-08 გადაწყვეტილება.

განჩინება დაუყოვნებლივ აღსრულებაზე. ამასთან, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მხოლოდ ბანკის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცეული.

ბუნებრივია, ზემოთქმული ფაქტობრივი გარემოება ცხადყოფს, რომ ბანკი, იყენებს რა მონოპოლიურ მდგომარეობას, ცალმხრივად იზღუდავს საკუთარ პასუხისმგებლობას მომხმარებლის, როგორც „სუსტი“ მხარის არახელსაყრელი პოზიციების ხარჯზე.

საკონსტიტუციო სასამართლო თავის მოტივაციას უქვემდებარებს მსჯელობას მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და მონოპოლიური საქმიანობის აკრძალვის საქართველოს კონსტიტუციით მოწესრიგების თაობაზე, რომლის უმთავრეს მიზანსაც თავისუფალი, კონკურენტუნარიანი ბაზრის შექმნა წარმოადგენს. სახელმწიფო ე. წ. „სუსტი კონტრაქტის“ უფლებების დაცვის უმთავრესი გარანტი უნდა იყოს, მან ასეთ პირთა დაცვისათვის შესაბამისი პირობები უნდა შექმნას“. სასამართლო მიიჩნევს, რომ ბანკი, მოცემულ შემთხვევაში „ბოროტად იყენებს საბაზრო ძალაუფლებას, რაც მდგომარეობს მისი მხრიდან სასამართლო გადაწყვეტილების დაუყოვნებლივი აღსრულების საკითხის გადაწყვეტისას ცალმხრივი უფლებამოსილების თვითაღჭურვაში“ და უთითებს სსკ-ის 348-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტზე, რომლის შესაბამისად, ბათილად ითვლება ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ისეთი დებულება, რომლითაც იზღუდება და გამოირიცხება შესრულებაზე უარის უფლება. საკონსტიტუციო სასამართლო სავსებით მართებულად განმარტავს – სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისაკენ წარმართვის უფლებამოსილების მხოლოდ ერთი, დომინანტი მხარისათვის მინიჭება არასამართლიანია და ეწინააღმდეგება როგორც ზნეობის ნორმებს, ისე საჯარო წესრიგს, ვინაიდან ასეთი ცალმხრივი ნების დომინაციური გავრცელება საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ნიშნებს შეიცავს, ეს კი არ ქმნის საბაზრო ძალაუფლების პრინციპის გატარების წინაპირობებს.³⁰¹

გერმანული კანონმდებლობა პასუხისმგებლობის შეზღუდვისა და გამორიცხვის ამკრძალავი ნორმების უფრო ფართო წრეს გვთავაზობს. ჩამონათვალში პირველ ადგილს სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის უხეში გაუფრთხილებლობით ან განზრახვით ზიანის მიყენების გამორიცხვის აკრძალვა იკავებს.³⁰²

³⁰¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 23 სექტემბრის N1448 გადაწყვეტილება საქმეზე ზაზა პეტიძე, ნიკოლოზ ბერიაშვილი და შალვა ონიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

³⁰² გსკ-ის §309.7, „ა“, „ბ“ პუნქტები,

გსკ-ის იგივე მუხლი განსაზღვრავს ვალდებულების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გამორიცხვის სხვა შემთხვევებს, როგორებიცაა: სახელშეკრულებო ვალდებულებისაგან გათავისუფლების უფლების გამორიცხვა – ანუ პირობა, რომელიც იმ შემთხვევაში, როდესაც შემთავაზებლის მხრიდან ვალდებულება ბრალეულად ირღვევა, გამორიცხავს ან ზღუდავს მეორე მხარის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებისაგან გათავისუფლების უფლებას; პირობა, რომლითაც შემთავაზებლის მიმართ მოთხოვნის უფლებები მთლიანად ან ნაწილობრივ გამორიცხულია, შეზღუდულია მესამე პირების მიმართ მოთხოვნის უფლების მიღებით; პირობა, რითაც მთლიანად ან ნაწილობრივ იზღუდება შემთავაზებლის მიმართ დამატებითი შესრულების მოთხოვნის უფლებები; ასევე პირობები, რომლითაც გამორიცხული ან შეზღუდულია შემთავაზებლის ვალდებულება, დამატებითი შესრულების მიზნით გასწიოს აუცილებელი ხარჯები; დამატებითი შესრულების უფლების წართმევის შესახებ დათქმები, აგრეთვე შეთანხმებები ხანდაზმულობის შემსუბუქების თაობაზე, რომელშიც გათვალისწინებულია ერთ წელზე ნაკლები ხანდაზმულობის ვადა.³⁰³

ზემოთ ჩამოთვლილი საკანონმდებლო იმპერატიული დანაწესებიდან ირკვევა, რომ გერმანული კანონმდებლობა მეტად მკაცრია შემთავაზებლის, როგორც უფრო ძლიერი პოზიციების მქონე სუბიექტის მიმართ პასუხისმგებლობის შემზღუდავ და გამომრიცხავ დათქმებთან დაკავშირებით. ამით ის იცავს მომხმარებელს, „სუსტ“ მხარეს სამართლებრივი ბალანსის შესანარჩუნებლად.

ქართული სამოქალაქო კოდექსში დეტალურადაა გაწერილი იმ შემთხვევათა კატალოგი, რომლებიც კანონმდებელმა ხელშეკრულებათა ბათილ კატეგორიას მიაკუთვნა. 347-348-ე მუხლებში მოცემულია იმ აკრძალული პირობების საკმაოდ მოცულობითი ჩამონათვალი, რომელიც საზიანოა კლიენტისათვის. ხსენებული მუხლები სტანდარტული ხელშეკრულების ბათილობის სხვა საფუძვლებთან ერთად თავის თავში მოიცავს ბათილობის ისეთ საფუძვლებსაც, რომლებიც გულისხმობს შემთავაზებლის პასუხისმგებლობის შეზღუდავას ან გამორიცხვას. საინტერესოა სსკ 348-ე მუხლის „ვ“ და „ი“ პუნქტების უფრო განვრცობილად განხილვა.

http://lawlibrary.info/ge/books/2019giz-ge_BGB_GE.pdf?fbclid=IwAR1VEHzEt8fhevfuCXXiH_gOCgTgU8LE_zNZDzpoIgz1dvBKuKBh093s_w4

³⁰³ გსკ-ის § 309.7 http://lawlibrary.info/ge/books/2019giz-ge_BGB_GE.pdf?fbclid=IwAR1VEHzEt8fhevfuCXXiH_gOCgTgU8LE_zNZDzpoIgz1dvBKuKBh093s_w4 [12.01.2024].

სსკ-ს 348-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულია ხელშეკრულების სტანდარტული პირობის ბათილობის სპეციალური შემთხვევა, რომელიც უკავშირდება „ახლადწარმოებული საქონლის მიწოდებისა და სამუშაოების შესრულებისას შემთავაზებლის პასუხისმგებლობას ნივთის ნაკლის გამო.“ აღნიშნული დათქმა, დაუშვებლად მიიჩნევა არაჯეროვანი, ნაკლოვანი შესრულებისას წარმომოხილ უფლების ჩამორთმევას. ასე მაგ: კომპიუტერული ტექნიკის მაღაზია, რომელიც ვაჭრობს ახალი კომპიუტერული ტექნიკით, თავის სტანდარტულ პირობებში აფიქსირებს, რომ გაყიდული ტექნიკის ხარისხზე და ექსპლუატაციის დროს გამოვლენილ ნაკლზე პასუხს არ აგებს.³⁰⁴ ცხადია, პასუხისმგებლობის გამორიცხვა ამ შემთხვევაში მიუღებელია. აღნიშნული მიზნად ისახავს პასუხისმგებლობის გამორიცხვის ბოროტად გამოყენების შესაძლებლობის იმგვარად შეზღუდვას, რომ არ იქნეს ხელყოფილი კეთილსინდისიერებისა და თანასწორობის პრინციპები.³⁰⁵ ამდენად, ბათილია ასეთი შეზღუდვები, რადგან „კანონით გათვალისწინებული წესების საწინააღმდეგოდ ზღუდავს ნაკლისათვის პასუხისგებას. უფრო ზუსტად კი, ჩაშლით ემუქრება იმ კანონისმიერი ინსტიტუტების მიზანს, რომელიც ნაკლიდან წარმომოხილ პასუხისმგებლობას აწესრიგებენ.“³⁰⁶

სსკ-ის 348-ე „ვ“ მუხლი განსაზღვრავს სტანდარტული პირობებით ხელშეკრულების ბათილობის საკითხს. კერძოდ - აღნიშნული ქვეპუნქტის დანაწესით ბათილია სტანდარტული პირობების მხოლოდ ის დათქმა, რომელიც გამორიცხავს პასუხისმგებლობას უხეში გაუფრთხილებლობით ვალდებულების დარღვევის გამო.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ხსენებულ დანაწესში პასუხისმგებლობის გამორიცხვის ბათილ პირობად, ბრალის მხოლოდ ერთი ფორმა – უხეში გაუფრთხილებლობაა მითითებული. ხოლო მარტივი გაუფრთხილებლობა და განზრახვა სსკ-ის 348 -ე „ვ“ მუხლში არაა მოცემული. უნდა აღინიშნოს, რომ მარტივი გაუფრთხილებლობა, როგორც ბრალის ფორმა, სახელშეკრულებო ურთიერთობებში პასუხისმგებლობის წარმომშობ გარემოებად უფრო ნაკლებად გვხვდება. ეს შეიძლება იყოს „მკაცრი“ პასუხისმგებლობისას, მომეტებული საფრთხის პირობების არსებობისას, ხელშემკვრელ მხარესთან განსაკუთრებით მაღალი ხარისხის საგანზე შეთანხმებისას... შესაბამისად, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ გარდა

³⁰⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, 2001, გვ. 203.

³⁰⁵ Benecke, Gesetzesumgehung im Zivilrecht, 2004, S. 205 ff. გამოყენებულია ნაშრომში ჩაჩავა ს., მოთხოვნების დ მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, 2010, გვ.132.

³⁰⁶ რუსიაშვილი გ./ალადაშვილი ა., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, ჭანტურია ლ., (რედ.), მუხლი 348, ველი 34.

გარკვეული საგამონაკლისო შემთხვევებისა, მოცემული საკანონმდებლო დათქმით, უხეში გაუფრთხილებლობის თამასამდე პასუხისმგებლობის გამორიცხვა თავისუფლად არის დასაშვები ან ზოგადად შესაძლებელი³⁰⁷ თუ იგი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების ზოგად სტანდარტებს.

რაც შეეხება უხეში გაუფრთხილებლობას და განზრახ ბრალს, ქართულ დოქტრინაში გამოთქმულია მოსაზრება 348-ე „ვ“ პუნქტით გათვალისწინებული ნორმის არასრულყოფილების თაობაზე ბრალის ამ ფორმებთან მიმართებით, რადგან „ნორმაში აქცენტი კეთდება სწორედ უხეში გაუფრთხილებლობაზე, როგორც ბრალის ერთ-ერთ ფორმაზე. თუ პასუხისმგებლობის გამორიცხვა ან შეზღუდვა უხეში გაუფრთხილებლობით დაუშვებელია, მაშინ მით უმეტეს დაუშვებელი უნდა იყოს ვალდებულების განზრახ დარღვევის გამო. თუმცა ეს ნორმიდან არ იკვეთება,... რაც, სსკ-ის 395-ე მუხლის მიუხედავად, შესაძლოა პრაქტიკაში მცდარი აზრების გამოტანის განმაპირობებელი ფაქტორი გახდეს.³⁰⁸

აღნიშნული მოსაზრება შესაძლოა გასათვალისწინებელი იყოს იმ თვალსაზრისით, რომ მოცემულ საკანონმდებლო დანაწესში უხეში გაუფრთხილებლობასთან ერთად განზრახი ბრალის თანაარსებობა, გათვალისწინება ნორმას უფრო დახვეწილ სახეს შესძენდა, თუმცა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ არამართლზომიერი მოქმედებით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დადგება იმის მიუხედავად თუ ბრალის რა ფორმასთან გვაქვს საქმე განზრახვასთან თუ გაუფრთხილებლობასთან.³⁰⁹ ამასთან, სსკ-ის 395-ე მუხლის შესაბამისად დაუშვებელია მოვალის მიერ განზრახი მოქმედებით ვალდებულების დარღვევისას ზიანის ანაზღაურებისაგან მისი გათავისუფლების შესახებ მხარეთა წინასწარი შეთანხმება. მართალია, სსკ-ის 319-ე მუხლის მიხედვით კერძო სამართლის სუბიექტები უფლებამოსილნი არიან თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი (რაც კერძო ავტონომიის უდიდესი გამოვლინებაა). უფრო მეტიც, სსკ-ს 410-ე მუხლი ახალი რედაქციით დასაშვებად მიიჩნევს მხარეთა შეთანხმებას გაუფრთხილებელი ბრალით ვალდებულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე წინასწარ უარის თქმას, მაგრამ, ამავდროულად კანონი გვერდს ვერ აუვლის სსკ-ის 395-ე მუხლის

³⁰⁷ რუსიაშვილი გ./ალადაშვილი ა., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3,

ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, ჭანტურია ლ., (რედ.), მუხლი 348, ველი 22

³⁰⁸ ხუნაშვილი ნ., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, 2016, გვ. 291

³⁰⁹ სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ., სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა. 2016, გვ. 115.

იმპერატიულ მოთხოვნას: – განზრახი ბრალის, როგორც სამოქალაქო პასუხისმგებლობის გარდაუვალობის გარანტს.

დავას არ იწვევს, რომ ვალდებულებით ურთიერთობებში განზრახი ბრალით მიყენებული ზიანისაგან გათავისუფლება დაუშვებელია. ამასთან, უნდა დავაზუსტოთ, რომ უპირობო პასუხისმგებლობა მხოლოდ განზრახი მოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიმართ ვრცელდება.

სავარაუდოა, რომ კანონმდებლის გათვლით, უხეში გაუფრთხილებლობა ნორმაში მითითებულია, როგორც პასუხისმგებლობის შემზღუდავი და გამომრიცხავი გარემოების ბათილობის ასე ვთქვათ, „ქვედა ზღვარი“. ხოლო ხელშეკრულების პირობის ბათილობის დადგენა, რომელიც გამორიცხავს პასუხისმგებლობას განზრახ ვალდებულების დარღვევის გამო, კანონმდებელმა საჭიროდ არ მიიჩნია.

ასე რომ, როგორც ზემოთ აღინიშნა, სსკ-ის 348-ე „ვ“ მუხლში უხეში გაუფრთხილებლობასთან ერთად განზრახი ბრალის, როგორც ბათილობის ერთ-ერთი საფუძვლის თანაარსებობა, გათვალისწინება, შესაძლოა ნორმას უფრო დახვეწილ სახეს შესძენდა, მაგრამ მისი მითითების გარეშეც აღნიშნული ქვეპუნქტი საკანონმდებლო უხერხულობას არ ქმნის და არც მცდარი დასკვნების გამოტანის საფუძველი უნდა გახდეს.

განხილვის სხვა თემას წარმოადგენს თუ როგორ დადგება საკითხი ხელშეკრულების სრულად თუ ნაწილობრივ ბათილობის შესახებ. თუ პასუხისმგებლობის შეზღუდვისა და გამორიცხვის თაობაზე გარემოებათა გაბათილება შესაძლებელს ხდის ძირითადი ვალდებულების ნამდვილობას, მაშინ, რასაკვირველია, სსკ-ის 62-ე მუხლის შესაბამისად, ნამდვილი ძირითადი დებულებით ხელშეკრულება განაგრძობს არსებობას.

4.3 წინასწარი შეთანხმება პასუხისმგებლობის შეზღუდვისა და გამორიცხვის თაობაზე და სამოქალაქო საპროცესო სამართლის მიმართება მის მოწესრიგებასთან

საინტერესოა პასუხისმგებლობის შეზღუდვისა და გამორიცხვის თაობაზე სახელშეკრულებო დათქმათა განხილვა სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმებთან მიმართებაში.

სსკ-ის 410-ე მუხლი აყალიბებს დებულებას ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნის წინასწარ უარის თქმის შესახებ მხარეთა შეთანხმებით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ანუ, კანონი დასაშვებს ხდის, რომ კონტრაქტმა, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ნამდვილი ნების გამოვლენით დათმოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება და, ვინაიდან, უზოგადესი პრინციპის თანახმად, კონტრაქტთა კანონშესაბამის დათქმებს კანონის ძალა ენიჭებათ, ამ მოცემულობით, მხარე, რომელიც

ნამდვილი ნების საფუძველზე სახელშეკრულებო წინასწარი შეთანხმებით უარს ამბობს შესაძლო ზიანის მოთხოვნის უფლებაზე, „მისი უარი იქცევა ვალდებულებად და იგი დაკარგავს ზიანის ანაზღაურებაზე მოთხოვნის უფლებას“³¹⁰ მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით.

მაგრამ, როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი პროცესუალურად, თუკი მხარე სასარჩელო მოთხოვნით მიმართავს სასამართლოს ზიანის ანაზღაურების თაობაზე, რაზეც წინასწარ, ხელშეკრულების დადებისას, ნამდვილი ნების გამოვლენის საფუძველზე თავად განაცხადა უარი? ანუ, მიუხედავად შეთანხმებისა, ერთმევა თუ არა უფლების პროცესუალურად დაცვის შესაძლებლობა? ან არის თუ არა სასამართლოსადმი მხარის მიერ სასარჩელო დავის წარმოება ზიანის ანაზღაურების თაობაზე სამართლებრივი შედეგის მომტანი?

დავიწყოთ იქიდან, რომ სარჩელის უფლება წმინდა საპროცესო სამართლის ინსტიტუტია, რომლის შინაარსიც მდგომარეობს იმაში, რომ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს თავისი დარღვეული უფლების (ინტერესის) დასაცავად.³¹¹ უფრო მეტიც, სასამართლოსადმი მიმართვის უფლება გარანტირებულია ქვეყნის ძირითადი კანონით— კონსტიტუციით. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი აბზაცი, უპირველეს ყოვლისა იძლევა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების გზით სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას.³¹² მოხმობილის მუხლის შესაბამისად ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. მისი ანალოგიურია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი აბზაცი. კონვენციის ამ ნორმის გაგებით, სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისათვის წარმოშობილი დავა გაგებულია ფართოდ და უნდა შეიცავდეს სამ ელემენტს: 1) დავა უნდა იყოს ორ კერძო პირს (სუბიექტს) ან კერძო პირსა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის ან კერძო პირსა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის; 2) დავის საგანი უნდა იყოს უფლება ან მოვალეობა; 3) დავას უნდა ჰქონდეს სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრის ხასიათი.³¹³

³¹⁰ რუსიაშვილი გ.,/ბათლიძე გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, ჭანტურია ლ., (რედ.), მუხლი 410, ველი 13.

³¹¹ ლილუაშვილი თ., სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, მე-2 გამოცემა, 2005. გვ. 209.

³¹² ტურავა მ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, კონსტისუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის ცენტრი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება(GIZ) 2013, მუხლი 42 (1), გვ. 521.

³¹³ ტურავა მ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, კონსტისუციონალიზმის

იმისათვის, რომ კონსტიტუციით დაცულ სფეროში მოექცეს, სასამართლოსათვის მიმართვა უნდა ატარებდეს დავის ხასიათს. ხოლო დავას უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს მომჩივნის დარღვეულ უფლებასთან.³¹⁴ საქართველოს კონსტიტუციასთან სრულ თანხვედრაშია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, რომლის მე-2 (1) მუხლის შესაბამისად „ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესის დასაცავად.“

მოხმობილი კანონმდებლობის შესაბამის ნორმათა გაანალიზებით მარტივია დავასკვნათ, რომ იმის მიუხედავად, მხარე რა დათქმას გააკეთებს ზიანის ნაწილობრივ თუ სრულად ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე, მხარეს ყოველთვის აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს უფლების დაცვისათვის, მაშინაც კი, როცა მოთხოვნა აბსურდულია და იმთავითვე განწირულია მარცხისათვის, რადგან მატერიალური ნორმის განხორციელება დამოკიდებულია საპროცესო ნორმის აღსრულებაზე.

ამასთან, პროცესუალური თვალსაზრისით, შეთანხმება არ ართმევს მხარეს უფლებას, წარადგინოს მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე. თუმცა მოწინააღმდეგე მხარეს ექნება საშუალება წარუდგინოს შესაგებელი შეთანხმებაზე მითითებით და ამით დაიცვას თავი ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაკისრებისაგან.³¹⁵

ამდენად, სახელშეკრულებო ზიანის მოთხოვნაზე წინასწარი უარი უნდა გაიმიჯნოს სასამართლოსთვის მიმართვის უფლების განხორციელებაზე უარისაგან, ვინაიდან, ფართოდ გავრცელებული შეხედულების თანახმად, ერთმანეთისაგან განასხვავებენ სარჩელის უფლებას მატერიალურ სამართლებრივი და საპროცესო სამართლებრივი თვალსაზრისით. სარჩელის უფლება მატერიალურ სამართლებრივი თვალსაზრისით –ესაა სარჩელის, უფრო ზუსტად, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლება.

სარჩელის უფლების, როგორც საპროცესო ინსტიტუტის რეალიზაციისათვის და სარჩელის უფლების, როგორც მატერიალური სამართლის ინსტიტუტის რეალიზაციისთვის სრულიად განსხვავებული პირობებია საჭირო, მაგრამ მთავარი და ძირითადი ისაა, რომ სარჩელის უფლება საპროცესო თვალსაზრისით, არაა დაკავშირებული სარჩელის უფლებასთან მატერიალური თვალსაზრისით; სასამართლომ უნდა მიიღოს

კვლევისა და ხელშეწყობის ცენტრი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება(GIZ)2013, მუხლი 42 (1), გვ. 522.

³¹⁴ იქვე.

³¹⁵ რუსიაშვილი გ.,/ბათლიძე გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, ჭანტურია ლ., (რედ.), 410, ველი 13.

და განიხილოს სარჩელი დამოუკიდებლად იმისა დასაბუთებულია თუ არა იგი ფაქტობრივად და იურიდიულად, რაც შეიძლება გაირკვეს მხოლოდ ამ სარჩელის არსებითად განხილვის შედეგად, პროცესის ბოლოს, სასამართლო გადაწყვეტილებით.³¹⁶

4.4 წინასწარი შეთანხმება სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის შეზღუდვის და გამორიცხვის თაობაზე – ნამდვილი თუ ბათილი გარიგება? (სსკ-ის 410-ე მუხლის მიმართება გარიგების ნამდვილობის საკითხთან)

4.4.1 კანონსაწინააღმდეგო გარიგებები

პასუხისმგებლობის შემზღუდავ და გამომრიცხავ გარემოებებზე წინასწარი სახელშეკრულებო შეთანხმება, რომელსაც სამოქალაქო კოდექსის 410-ე მუხლი აკანონებს, არაერთგვაროვან დამოკიდებულებას იწვევს თანამედროვე დოქტრინაში. მით უმეტეს, რომ მოხმობილი ნორმის ძველი რედაქცია ასეთ შეთანხმებებს იმპერატიულად ბათილ კატეგორიად მიიჩნევდა და დაუშვებლად აცხადებდა (დაუშვებელია ვალდებულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე წინასწარ უარის თქმა წინასწარი შეთანხმებით.³¹⁷ ამიტომ, მსგავსი ხელშეკრულებების ნამდვილობის საკითხი, ერთი შეხედვით მერყევ ხასიათს იღებს და მეტი სიფაქიზით, სიფრთხილით მიდგომას მოითხოვს. ანუ სამართლებრივად სწორი, გამართული, არაბუნდოვანი დათქმებით ხელშეკრულების გამაგრებას, რომ არ შეექმნას საქმე ხელშეკრულების ნამდვილობას. შესაბამისად, აღნიშნული ნორმის განხილვა გარიგების ნამდვილობის საკითხთან მიმართებით საინტერესო სურათს შექმნის.

გარიგების ნამდვილობის საკითხის კვლევა მისი არსებობის ყველა ეტაპზე აქტუალურია. მაშინაც კი, როდესაც საქმე გვაქვს ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნებთან, მოთხოვნის საფუძვლის განხილვას მივყავართ ხელშეკრულების ნამდვილობასთან დაკავშირებულ ზოგად დებულებებამდე.³¹⁸

როგორც წესი, მოთხოვნის საფუძველი სახელშეკრულებო უფლება-მოვალეობიდან მომდინარეობს. ამიტომ უნდა გაირკვეს, ხომ არ სცილდება გარიგებით წარმოშობილი უფლება-მოვალეობები მხარეთა ავტონომიის

³¹⁶ ლილუაშვილი თ., სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2005, გვ. 209.

³¹⁷ სსკ-ის 410-ე ნორმის ძველი რედაქცია, 2008, დაუშვებელია ვალდებულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმა წინასწარი შეთანხმებით, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=33>, [12.04.2024].

³¹⁸ ბიოლინგი ჰ., ლუტრინგჰაუსი პ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, ბრემენი-თბილისი 2004-2009, გვ. 28.

ფარგლებს.³¹⁹ რადგან, იმის მიუხედავად, რომ ნების ავტონომია კონტრაქტებს ხელშეკრულების დადების ეტაპზე თავისუფლების რეალიზაციის შესაძლებლობას ანიჭებს, ამასთანავე, კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში, ინდივიდის ნების ავტონომიის რეალიზაცია სხვა პირის (პირის ნების) შესაბამისი ბოჭვითაა უზრუნველყოფილი.³²⁰

მხარეთა ნების ავტონომიის ფარგლების განსაზღვრა-დადგენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების ნამდვილობის საკითხის კვლევის დროს, ვინაიდან მნიშვნელოვანია ნების ავტონომიის, როგორც მხარეთა თავისუფლების ხარისხის განხილვა.

ზოგადად, კერძო ავტონომია ხელშეკრულების მონაწილე მხარეებზე სახელმწიფოს მხრიდან სამართლებრივი უფლებამოსილების დელეგირების მაგალითად შეიძლება იქნეს აღქმული.³²¹ სახელმწიფო ხელშეკრულების ხელშემკვრელ პირებს მათთვის სასურველი პირობის სამართლებრივად განსაზღვრის უფლებას ანიჭებს.³²² ხოლო კერძო ავტონომიის სამართლებრივი ფორმირება, უპირველეს ყოვლისა, ხელშეკრულების თავისუფლებაში ხორციელდება. ის ხელშეკრულების დადების უმთავრესი საფუძველია და სახელმწიფოებო ურთიერთობებზე გავლენას პირდაპირ ახდენს.³²³

მაგრამ ნების გამოვლენის ავტონომია არ უნდა იყოს განხილული აბსოლუტურ, ანარქიულ თავისუფლებად, რადგან ნების ანარქიული გამოვლენა ხელშეკრულების საფუძვლის სიმყარეს, მის ნამდვილობას უქმნის საფრთხეს. ამიტომ მხარეთა თავისუფლად გამოვლენილი ნება თავსებადი უნდა იყოს საკანონმდებლო მოთხოვნებთან.

მხარეთა მიერ, ხელშეკრულების დადების ეტაპზე, გამოვლენილი ნების კანონთან თანხვედრას სსკ-ის 54-ე მუხლი აწესრიგებს, რომელიც წარმოადგენს გარიგების შინაარსის განმსაზღვრელ ცენტრალურ ნორმას და განამტკიცებს კერძო ავტონომიის შეზღუდვის რამდენიმე შემთხვევას.³²⁴ კერძოდ, დასახელებული ნორმა გამოყოფს „სამი სახის ფასეულობას“.³²⁵ რომელთა დარღვევა იწვევს გარიგების ბათილობას, ანუ - იგი აწესრიგებს

³¹⁹ ბიოლინგი ჰ., ლუტრინგჰაუსი პ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, ბრემენი-თბილისი 2004-2009, გვ. 28.

³²⁰ კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, გვ. 80.

³²¹ ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, 2016, გვ. 44.

³²² Paulst J. L., Upp R. D., Business Law Text, 3rd Edition, St. Paul, Minn., West Publishing CO., California, 1979, 8.

³²³ იქვე.

³²⁴ ჭანტურია ლ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 1, ჭანტურია ლ., (რედ.), 2017, მუხლი 54, ველი 1.

³²⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 7 ნოემბრის N ას-470-2020 გადაწყვეტილება.

გარიგების ბათილობის საკითხს, როცა მისი შინაარსი ეწინააღმდეგება კანონს, საჯარო წესრიგს ან ზნეობრივ ნორმებს.

საკითხი, კანონით დადგენილი წესებისა და აკრძალვების დარღვევის თაობაზე, ერთნაირად ხელშესახებია როგორც კერძო, ასევე საჯაროსამართლებრივი საკანონმდებლო მოწესრიგებისათვის. თუმცა ჩვენი განხილვის საგანი კერძოსამართლებრივ ურთიერთობებს შეეხება.

კანონი ამკრძალავად და კანონსაწინააღმდეგოდ ჩაითვლება, თუკი მისი ნორმა გარიგების შინაარსს ან ასეთი გარიგების დადებას დაუშვებლად მიიჩნევს.³²⁶ და მის ნამდვილობას სათუოდ ხდის. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ამკრძალავი ნორმის არსი და მიზანი. გადამწყვეტია ის, კანონი შესაბამისი გარიგების დადების შემთხვევაში უშუალოდ ითვალისწინებს თუ არა ბათილობას, როგორც გარიგების შედეგს.³²⁷

სსკ-ის 54-ე მუხლი არ აზუსტებს, თუ კონკრეტულად რომელი კანონის დარღვევაზე ან საკანონმდებლო აკრძალვაზეა საუბარი. შედეგად, შესაძლებელია მასში ივარაუდებოდეს ყველა ის კანონი, რომელსაც მნიშვნელობა აქვს გარიგების შინაარსის განსაზღვრისას და, რომელიც მისი მართლზომიერების საზომად გამოიყენებ.³²⁸ ამასთან, სსკ-ის 54-ე მუხლი ვერ იქნება გამოყენებული დამფუძნებელ ნორმად. როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა თავის 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებაში განმარტავს: „ამ ნორმას ავტონომიური ფუნქცია არ გააჩნია. ის დეფინიციურია და კონკრეტულ სამართლებრივ შედეგს არ ითვალისწინებს“.³²⁹ რაც გულისხმობს, რომ გარიგების ბათილობა გამომდინარეობს არა სსკ-ის 54-ე მუხლიდან, არამედ უშუალოდ შესაბამისი სპეციალური ნორმიდან თუ მისი სათანადოდ განმარტებიდან.³³⁰ მაგრამ ცალკეული შემთხვევების განხილვაც იმის მაუწყებელია, რომ სახეზეა კანონის იმპერატიულ დანაწესებთან ნების გამოვლენის შეუსაბამობა.³³¹

ყურადღებას იმსახურებს ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსის მე-3:40 II მუხლი, რომლის თანახმად, იმპერატიული ნორმის მოთხოვნის

³²⁶ ჭანტურია ლ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 1, ჭანტურია ლ., (რედ.), 2017, მუხლი 54, ველი 17.

³²⁷ კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, გვ. 275.

³²⁸ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომც., სამართალი, 2011, გვ. 351-352.

³²⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 25 ნოემბრის N ას-1880-2018 გადაწყვეტილება.

³³⁰ კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, გვ. 277.

³³¹ ზოიძე ბ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 1, გამომც. სამართალი, 2001, გვ. 176.

ხელყოფა იწვევს გარიგების ბათილობას.³³² თუმცა, გსკ-ის §138 მკაცრ იმპერატიულ ხასიათს არ ატარებს და ერთგვარი ლავირების საშუალებას იძლევა: „გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ აკრძალვას, ბათილია, თუ კანონიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს“. უნდა ითქვას, რომ ასეთი დათქმების აუცილებლობა სათუთა, ვინაიდან თუ სპეციალური ნორმით გათვალისწინებულია სვა სამართლებრივი შედეგი, ეს შედეგი დადგება სწორედ იმ სპეციალური ნორმის უპირატესი გამოყენებიდან გამომდინარე ბათილობას.³³³

მსჯელობის შესაბამისად, გარიგება კანონსაწინააღმდეგოდ მიჩნეული იქნებოდა და უცილოდ ბათილობის შედეგს გამოიწვევდა სსკ-ის 410-ე მუხლის ძველი რედაქციის იმპერატიული მოთხოვნის საფუძველზე, ვინაიდან სსკ-ის ძველი რედაქცია პასუხისმგებლობის შეზღუდვის შესახებ დათქმებს დაუშვებლად აცხადებს. ხოლო ნორმის ცვლილების შემდგომი შინაარსი აბსოლუტურად განსხვავებულ სურათს ქმნის და კონტრაქტთა ქმედებებისა და მათი შედეგების კუთხით ცალკეული კატეგორიის ზიანისათვის პასუხისმგებლობის გამორიცხვისა ან მისი შეზღუდვის თაობაზე მხარეთა წინასწარ შეთანხმებას მართებულად მიიჩნევს. ანუ აღნიშნული ნორმის ცვლილება, კანონსაწინააღმდეგო და ბათილი გარიგებიდან აბსოლუტურად განსხვავებულ სახეს იძენს და გარიგებისა და ხელშეკრულების კანონშესაბამისობამდე მივყავართ. უფრო ზუსტად, ერთ დროს უცილოდ ბათილი გარიგება კანონშესაბამისი ხდება.

თუმცა ასეთ გარიგებათა ნამდვილობა დამოკიდებულია სამართლის ცალკეულ ნორმებზე, რომლებიც ასეთ შეთანხმებებს იმპერატიულ მოთხოვნებს უწესებს და ზღუდავს პასუხისმგებლობის შემსუბუქების ან/და მისი გამორიცხვის შესაძლებლობას.

ერთ-ერთი ასეთი შეზღუდვა გათვალისწინებულია 395. II მუხლით, რომლის შესაბამისად, დაუშვებელია შეთანხმება განზრახი მოქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებისაგან მოვალის გათავისუფლების შესახებ. ასეთივე იმპერატიული მოთხოვნაა გათვალისწინებული ნასყიდობის ხელშეკრულების სპეციალურ ნორმაში. კერძოდ; სსკ-ის 497-ე მუხლი კონტრაქტებს აძლევს პასუხისმგებლობის შეზღუდვის შესაძლებლობას – „ხელშეკრულებით შეიძლება შეიზღუდოს ან გამორიცხოს გამყიდველის პასუხისმგებლობა ნაკლის მქონე ნივთის გაყიდვისას, მაგრამ ამავედროულად იმპერატიულად მოითხოვს: „ასეთი შეთანხმება ბათილი იქნება თუ

³³² კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, გვ. 276.

³³³ იქვე, გვ. 277.

გამყიდველი განზრახ დუმდა ნივთის ნაკლის შესახებ“. ამ მოთხოვნათა დაუცველობის შემთხვევაში გარიგება ისევ ბათილ შეთანხმებად იქცევა.

ამრიგად, სამოქალაქო კანონმდებლობა, ერთის მხრივ, აღჭურავს კონტრაქტებს პასუხისმგებლობის შემსუბუქების შესაძლებლობით, ხოლო მეორეს მხრივ, ცალკეულ შემთხვევებში, ზღუდავს მათ იმპერატიული ნორმებით, რადგან კანონის ამ ნორმათა დაუცველობა, პროფ. ზოიძის განმარტებით, „პრინციპულად ეწინააღმდეგება სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ მხარეთა ურთიერთნდობის, კეთილსინდისიერების პრინციპებს და, კანონით შეზღუდულია“.³³⁴

4.4.2 საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო გარიგებები

Ordre public-ის ანუ საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო გარიგების ცნება ქართულ სამართალში ფრანგული სამოქალაქო სამართლის გავლენით შემოვიდა.³³⁵ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო ხელშეკრულებად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ქვეყნის სოციალური, პოლიტიკური და სხვა მოწესრიგების წინააღმდეგ მიმართული შინაარსის მქონე ხელშეკრულება.³³⁶

საჯარო წესრიგის დარღვევით ილახება არა მხოლოდ ურთიერთობის კონკრეტული მონაწილის უფლებები, არამედ იგი ვნებას აყენებს, პირველ რიგში, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს.³³⁷

საჯარო წესრიგის ხელყოფად შესაძლოა ჩაითვალოს „მხარეთა თავისუფლების დარღვევა“, „დაქორწინების თავისუფლების შეზღუდვა“ და „საკუთრებისა და ხელშეკრულების სოციალური ფუნქციის უარყოფა“.³³⁸ ძნელია მკვეთრი განსხვავების დანახვა როგორც კანონსაწინააღმდეგო ასევე საჯარო წესრიგისა და ზნეობრივი ნორმების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს შორის. ვინაიდან, გარკვეული აზრით, საჯარო წესრიგის დარღვევებში ივარაუდება კანონით დადგენილი წესებისა და აკრძალვების დარღვევა და პირიქითაც, ზოგჯერ ამ უკანასკნელის დარღვევა საჯარო წესრიგის დარღვევასაც მოიცავს.³³⁹ სასამართლო პრაქტიკა მკაცრ გამიჯვნას კანონსაწინააღმდეგო, საჯარო წესრიგისა და ზნეობის ნორმათა

³³⁴ ზოიძე ბ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 2001, გვ. 391.

³³⁵ ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, გამომც., სამართალი, თბილისი, 1997, გვ. 362.

³³⁶ Lohs M.M., Grenzen der Vertragsfreiheit im polnischen Zivilrecht, Verlag Peter Lang, Frankfurt am Main, 2000, 44. 497, გამოყენებულია ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, 2016, გვ. 96.

³³⁷ ზოიძე ბ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი პირველი, გამომც., სამართალი, 2001, გვ. 176.

³³⁸ იქვე, გვ 179.

³³⁹ იქვე.

საწინააღმდეგო შეთანხმებებისა, ფაქტობრივად არ ახორციელებს. მაგალითად, უზენაესი სასამართლო სხვადასხვა გადაწყვეტილებებში განმარტავს: „საჯარო წესრიგის“ ცნება სამოქალაქო კოდექსში მორალურ იმპერატივებთანაა დაკავშირებული. საჯარო წესრიგი ხელს უწყობს ზნეობრივი და სამართლიანი სამოქალაქო ბრუნვის დამკვიდრებას,³⁴⁰ ან „ზნეობის შესაბამისი გარიგება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სოციალური სამართლიანობის პრინციპს“³⁴¹ და სხვ. ცხადია, „სოციალურ სამართლიანობაში“ მოიაზრება კანონშესაბამისი, ასევე ზნეობრივი და საჯარო წესრიგის შესაბამისი გარიგებები. ამდენად სწორედ ეს გახდა ამ „სამი ფასეულობის“ ერთ ნორმაში გაერთიანებისა და მათი, როგორც გარიგებათა ნამდვილობის მასშტაბად განსაზღვრისა და ერთად რეგულაციის საფუძველი.

რაც შეეხება პასუხისმგებლობის შეზღუდვის და გამორიცხვის შესახებ შეთანხმებებს, საჯარო წესრიგის წინააღმდეგ დათქმულ გარიგებებთან მიმართებით, იგი ისეთივე რეგულაციას ითვალისწინებს, როგორც კანონსაწინააღმდეგო გარიგებები. ანუ, სამოქალაქო კანონმდებლობა კონტრაქტებს აღჭურავს გარკვეულ შემთხვევებში პასუხისმგებლობის შეზღუდვის ან/და გამორიცხვის შესაძლებლობას, მაგრამ ეს „შეზღუდვაც“, ანუ სამართლებრივი „ნებადართულობაც“ შეზღუდულია საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო დათქმების შემთხვევაში და იგი უპირობოდ ბათილად ცხადდება. ამასთან, საჯარო წესრიგის წინააღმდეგ მიმართული დათქმები შეიძლება მოიაზრებოდეს, როგორც ე.წ. „პრეცედენტული ხასიათის მქონე დათქმად“.³⁴² და თუ პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფარგლებში დადებული ხელშეკრულება კონკრეტულ სამართლებრივ ნორმებთან თანხვედრაშია, მაგრამ მისი ნამდვილობა კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობების ან/და უფლებების ზოგად პრინციპებთან მოდის წინააღმდეგობაში, გარიგების ბათილობის საკითხი სწორედ საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობაზე მითითებით დგება.

³⁴⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს Nას-33-33-2018 გადაწყვეტილება.

³⁴¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 7 ოქტომბრის Nას-470-2020 გადაწყვეტილება.

³⁴² ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, 2016. გვ. 96.

4.4.3 ზნეობრივი ნორმების საწინააღმდეგო გარიგებები

Pacta contra bonos mores (კეთილი ზნეობის საწინააღმდეგო ხელშეკრულება) – ასე უწოდებდნენ ძველი რომაელები ზნეობის ნორმების საწინააღმდეგოდ დადებულ გარიგებებს და მათ ბათილად მიიჩნევდნენ.³⁴³

გერმანული კანონმდებლობა ზნეობისა და „კეთილი ზნის“ საწინააღმდეგო ქმედებებს 826-ე (ზნეობრივი ნორმების საწინააღმდეგოდ განზრახ ზიანის მიყენება) და 138 (ამორალური გარიგება) პარაგრაფებს უძღვნის და ზნეობის ნორმების საწინააღმდეგოდ მიიჩნევს მას, „რაც საზოგადოების უმრავლესობის მიერ სამართლიანად და მართებულად აღიქმება როგორც გასაკიცხი“.³⁴⁴

როგორც წესი, ყოველი ქვეყნის სამართალი, თავად ამ სახელმწიფოს სახეს ქმნის, ქვეყნის ღირებულებების, ტრადიციების, ზნეობრივი და მორალური პრინციპების მატარებელია. საქართველო, როგორც მდიდარი ტრადიციების მქონე უძველესი ისტორიის სახელმწიფო, სადაც ზნეობრივ ნორმებს ხშირად დაწერილ, იმპერატიულ ნორმებზე მეტი მნიშვნელობაც კი ენიჭება, ცდილობს ყოველთვის თანხვედრაში იყოს სამართლებრივი და მორალური ნორმები და არ განიხილებოდეს ისინი ერთმანეთისაგან განყენებულ, აცდენილ ცნებებად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტებულია: „...სამართლებრივ სახელმწიფოში მართლწესრიგის არსებობას უზრუნველყოფს, როგორც კანონი, ასევე, მორალური ქცევის სტანდარტი. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში კერძო ავტონომიისა და თავისუფალი კონტრაქტების პრინციპი მოქმედებს, გარიგება, რომელიც საზოგადოებაში „საყოველთაოდ მიღებულ ქცევის სტანდარტს“ ეწინააღმდეგება, ამორალურ გარიგებად მიიჩნევა და ბათილობის სამართლებრივ შედეგებს უკავშირდება.“³⁴⁵

სსკ ზნეობრივი ნორმების საწინააღმდეგო გარიგებების მოწესრიგებას 54-ე მუხლით ახდენს. ხშირად ეს რეგულაცია სსკ-ის 91-ე მუხლს უკავშირდება, ვინაიდან, აღნიშნული ნორმა მართლსაწინააღმდეგო და ამორალურ სახელშეკრულებო პირობას ასევე ბათილად აცხადებს.

მაგრამ თავად „ზნეობის“ ცნების ერთგვარად „აბსტრაქტული ხასიათი ართულებს საკითხს, თუ რა უნდა იქნას განხილული მისი შეფასების საზომად.

³⁴³ ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, გამომც., სამართალი, თბილისი, 1997, გვ. 359.

³⁴⁴ კროპპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თბილისი, საიას იურიდიული ხელშეწყობის ფონდი, მთარგ. თორნიკე დარჯანია, ზურაბ ჭეჭელაშვილი, რედ.: ეთერ ჩაჩანიძე, თორნიკე დარჯანია, ლევან თოთლაძე, GIZ, 2014, გვ. 650.

³⁴⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 24 დეკემბრის Nას -1114 -2020 გადაწყვეტილება.

ასეთ დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს მოქმედ ადათ-ჩვეულებებსა და იმ ზნეობრივ ღირებულებებზე, რომელიც, ერთი მხრივ, დამკვიდრებულია საზოგადოებაში, ხოლო, მეორე მხრივ, ეხება ობიექტურ ფაქტორებს.³⁴⁶

ზნეობის საწინააღმდეგო გარიგებების გადაწყვეტილებათა კვლევისას უზენაესი სასამართლო ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნავს: „რომ გარიგების ნამდვილობა არ არის მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის ნორმებზე დამოკიდებული...ამასთან, მისი შემოწმების საგანი არის არა გარიგების მონაწილეთა ქცევა ზნეობასთან მიმართებაში, არამედ გარიგების შინაარსის მიმართება ზნეობასთან“.³⁴⁷

4.5 პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის მიმართება სახელშეკრულებო (რელატიურ) და არასახელშეკრულებო (დელიქტურ) სამართლებრივ ნორმებთან

თავისი იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე, სახელშეკრულებო ურთიერთობები ხელშეკრულების დადების, შესრულების ან მისი დარღვევის თვალსაზრისით, იმთავითვე გამიჯნულია სხვა სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობისგან და ამ განსხვავების მნიშვნელობა უაღრესად დიდია, როდესაც ვმსჯელობთ სამართლებრივ შედეგებზე. სამართლის მეცნიერება ტრადიციულად ყოველთვის განასხვავებდა ერთმანეთისაგან ბრალეული მოქმედების შედეგებს სახელშეკრულებო და დელიქტურ სამართლებრივ ურთიერთობებში.

სახელშეკრულებო სამართალი აწესრიგებს პირთა ურთიერთობებს ერთმანეთის მიმართ, რომელიც გაშუალებულია რაიმე ობიექტით, ხოლო სანივთო სამართალი კი უშუალო მიმართულებას ნივთებისადმი, რომელიც დამოუკიდებელი პირთა შორის ურთიერთობისაგან.³⁴⁸

ვალდებულებითი გარიგებები პირდაპირ კავშირშია და დამოკიდებულია ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეთა ქმედებაზე. ხელშეკრულებაში არამონაწილე სხვა პირს რომც სურდეს მისი ქმედებით დადგეს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანი, ვერ შეძლებს, რადგან ის არ არის ამ ურთიერთობის მონაწილე და თუ მაინც მისი ქმედების შედეგად თუნდაც ირიბად დადგება რაიმე სახის ზიანი, ეს უკვე არ იქნება სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე და ვერც საპასუხო სახელშეკრულებო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის წარმომშობი ნორმები ამოქმედდება მის წინააღმდეგ.

³⁴⁶ ჯორჯენაძე ს., ხელ შეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, 2016, გვ. 97.

³⁴⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 7 ოქტომბრის N ას 470 -2020 გადაწყვეტილება.

³⁴⁸ იქვე.

მაგალითისთვის შეგვიძლია მოვუხმოთ ქართულ სასამართლო პრაქტიკას.³⁴⁹ მოცემულ საქმეზე მოსარჩელე „ქართლის... კავშირი“ მოთხოვნის საფუძველად უთითებს, რომ მოპასუხე მუშაობდა მათი ოფისის დარაჯად. გამოიჩინა დაუდევრობა და მიატოვა სამსახური რა დროსაც გაქურდეს ოფისი, რის გამოც მოსარჩელე ითხოვს ზიანის ანაზღაურებას. სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელე „ქართლის... კავშირსა“ და მოპასუხეს შორის შრომითი ან სახელშეკრულებო ურთიერთობები არ არსებობდა და მოპასუხე ოფისს დარაჯობდა ამ ოფისის დარაჯის თხოვნით, რომელიც უხდიდა 30 ლარს. რაც იმას ნიშნავს, რომ სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობები არსებობდა მოპასუხესა და დარაჯს შორის და არა მოპასუხესა და „ქართლის... კავშირს“ შორის. აქედან გამომდინარე, სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოსარჩელეს მოთხოვნის საფუძველი არ აქვს.³⁵⁰ თუმცა, ეს ისე არ უნდა იყოს გაგებული, რომ პირი, რომლის სახელშეკრულებო ურთიერთობა კონკრეტულ სამართლებრივ სუბიექტთან არ დადასტურდა, საერთოდ გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან.

ვალდებულების წარმოშობის განსხვავებული საფუძვლების ურთიერთმიმართების გააზრება გულისხმობს მათ შორის უპირატესის გამოვლენას. ხელშეკრულება, უმთავრესად, ემსახურება მხარეთა კერძო ავტონომიის რეალიზაციას. დელიქტურ სამართალსა და სხვა კანონისმიერ ვალდებულებებს კი უფრო სამოქალაქო ბრუნვის დაცვის, მისი სტაბილურობის უზრუნველყოფისა და პრევენციის ფუნქციები ეკისრებათ. ისინი ავსებენ ერთმანეთს და საბოლოო ჯამში ერთიან სოციალურ ინტერესს ემსახურებიან.³⁵¹

სახელშეკრულებო ურთიერთობის განსხვავებულობა იმაში მდგომარეობს, რომ ვალდებულების წარმოშობის საფუძველად თავად ხელშეკრულება გვევლინება. ანუ, კონტრაქტების ეტაპზე მხარეები თვითონ განსაზღვრავენ თავიანთ უფლებებსა და მოვალეობებს და, შესაბამისად, სწორედ კონტრაქტითა მიერ ნაკისრი უფლება-მოვალეობებია პასუხისმგებლობის შერაცხვის მდგენელი ვალდებულების შესრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისას.

დელიქტურ ურთიერთობებში დაზარალებულისათვის ზიანის მიყენება გამოწვეულია პირის მიერ, რომელიც მანამდე დაზარალებულთან სამართლებრივ ურთიერთობაში არ იმყოფებოდა და აქტიური კანონსაწინააღმდეგო მოქმედებით არღვევს აქტიური მოქმედებისაგან თავის

³⁴⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 15 მაისის N3კ-1422-2 გადაწყვეტილება.

³⁵⁰ ნაჭყებია ა., სამოქალაქო ნორმების განმატრელები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში, 2002-2013, 148.

³⁵¹ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომც. „მერიდიანი“ 2014, გვ. 83.

შეკავების ვალდებულებას, რითაც ზიანს აყენებს დაზარალებულის აბსოლუტურ უფლებას: სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, პიროვნების თავისუფლებას, საკუთრებას.³⁵²

მაგრამ, რადგან სახელშეკრულებო ურთიერთობებში პასუხისმგებლობის წარმოშობის საფუძვლად კონკრეტული უფლება-მოვალეობები გვევლინება, ამის საპირისპიროდ – დელიქტური პასუხისმგებლობის წარმოშობის საფუძვლები არ შეიძლება განიხილებოდეს აბსტრაქტული ხასიათის მქონედ. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ყოველგვარი ბრალეული მოქმედების შედეგად სამართალდმრღვევი არღვევს მისთვის უკვე ადრე წარმოშობილ ვალდებულებას, რომელსაც კანონი ადგენს შესაბამისი ამკრძალავი ნორმით.³⁵³

ხოლო სახელშეკრულებო ურთიერთობის დროს ეს ვალდებულებები კონკრეტულ, სწორედ ამ ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტებზე მორგებულ და მათ მიერ დათქმულ ვალდებულებას წარმოშობს და, შესაბამისად, პასუხისმგებლობაც აქედან გამომდინარეა. სწორედ ამ მოსაზრებას განამტკიცებს სსკ-ის 412-ე მუხლი, რომლის თანახმადაც სახელშეკრულებო ურთიერთობებში ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალის მიერ წინასწარ იყო სავარაუდო და რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. ამით სამართლის ნორმა აწესებს პასუხისმგებლობის ფარგლებს, რომელიც სახელშეკრულებო უფლებამოვალეობებით განისაზღვრება. ხოლო დელიქტურ ურთიერთობებში მსგავსი მოწესრიგება გამორიცხულია, რადგან ზიანის მიმყენებელსა და დაზარალებულს შორის წინასწარი ურთიერთობა არ დგება და მათ შორის სამართლებრივი ურთიერთობა მხოლოდ ზიანის ფაქტის წარმოშობიდან იღებს სათავეს.

საინტერესოა განვიხილოთ სსკ-ის 326-ე მუხლი, რომელიც სახელშეკრულებო ნორმათა მოწესრიგების გავრცელებას არასახელშეკრულებო ნორმებზეც აფუძნებს. უფრო ზუსტად, ხსენებული მუხლის დეფინიციით: „წესები სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესახებ გამოიყენება ასევე სხვა არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართ. თუკი ვალდებულების ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.“ ანუ მოხმობილი ნორმის პრაქტიკული მნიშვნელობა იმაში ვლინდება, რომ იგი შეიცავს ისეთ დებულებას, რომლის გავრცელება შესაძლებელია არასახელშეკრულებო ვალდებულებებზეც: საზიარო უფლებებზე, დავალების გარეშე სხვისი საქმის

³⁵² სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ., სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა. თბილისი, მერიდიანი, 2016, გვ. 342.

³⁵³ ფრანგი ცივილისტის პლანოლის დასკვნები მოცემულ საკითხთან მიმართებაში, სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ., სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბილისი, მერიდიანი, 2016, გვ. 341-342.

შესრულებაზე, უსაფუძვლო გამდიდრებასა და დელიქტურ ვალდებულებებზეც. ეს შეიძლება გამოხატული იყოს ზიანის ანაზღაურების, ვალდებულების შესრულების, სოლიდარული ვალდებულებების მომწესრიგებელ და სხვა ნორმებში.³⁵⁴

მაგრამ სახელშეკრულებო ნორმები ვერ იქნება გამოყენებული იმ შემთხვევაში, თუ თავისი არსით ეს ნორმები მხოლოდ ხელშეკრულებისთვისაა დამახასიათებელი. ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ ნორმები, რომლებიც აწესრიგებენ ხელშეკრულების დადებას, გარიგების ფორმას და ა. შ.³⁵⁵

სწორედ ასეთ შემთხვევად უნდა იქნას მიჩნეული სსკ-ის 410-ე მუხლის დათქმა, რომელიც უშუალოდ ხელშეკრულების დადებას უკავშირდება და კონტრაქტების ეტაპზე მხარეთა მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე მხარეთა მიერ უარის თქმას ლეგალურ, დასაშვებ სახეს სძენს. დელიქტური ნორმები კი მსგავს შემთხვევათა დროს აბსოლუტურად განსხვავებული სამართლებრივი მოწესრიგებით ხასიათდებიან. უფრო ზუსტად, თუკი სსკ-ის 410-ე მუხლი უშვებს სახელშეკრულებო ზიანის მოთხოვნაზე მხარეთა მიერ წინასწარ უარის თქმას, დელიქტური მოწესრიგებით ეს გამორიცხულია. მაგალითისთვის, სსკ-ის 1002-ე მუხლი იმპერატიულად ადგენს, რომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, რომელიც 999-ე და მე-1000 მუხლებითაა გათვალისწინებული, არ შეიძლება წინასწარ გამოირიცხოს ან შეიზღუდოს. უფრო მეტიც, სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი ზიანის მიმყენებელ პირს მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებული ზიანის სრულ ანაზღაურებას აკისრებს.

ასე რომ, თუ სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლოა თავიდან იქნეს აცილებული წინასწარი შეთანხმებით, დელიქტური პასუხისმგებლობის დროს ასეთი შეთანხმება დაუშვებელია.³⁵⁶ ამასთან, ყველა ხარისხის ბრალი არ განაპირობებს გარკვეულ შემთხვევებში სახელშეკრულებო პასუხისმგებლობას,³⁵⁷ ხოლო დელიქტური

³⁵⁴ გელაშვილი ი., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, ჭანტურია ლ., (რედ.), 2019, მუხლი 326, ველი 1.

³⁵⁵ იქვე.

³⁵⁶ დუნდუა მ., დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის თანაფარდობა, სამართლის ჟურნალი N1, 2009, გვ. 57.

³⁵⁷ სწორედ ამას ითვალისწინებს სსკ-ის 410-ე მუხლი, როდესაც უშვებს პასუხისმგებლობის გამორიცხვას მხარეთა მიერ წინასწარი შეთანხმებით: - აქ, რა თქმა უნდა, მოიაზრება მხოლოდ მსუბუქი ბრალის ფორმები: როგორცაა მარტივი და, უფრო იშვიათად, უხეში გაუფრთილებლობა.

პასუხისმგებლობის არსებობისათვის საკმარისია მსუბუქი ბრალის არსებობაც.³⁵⁸

ამრიგად, სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ვალდებულებები განსხვავდება როგორც წარმოშობის საფუძვლის, ასევე პასუხისმგებლობის შერაცხვის თვალსაზრისითაც. ამიტომ მათ გამოიჯენას უდიდესი როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს და სწორი სამართლებრივი მოწესრიგების საფუძველს ქმნის.

4.6 პასუხისმგებლობის შეზღუდვისა და გამომრიცხავი გარემოებების მიმართება ვალის პატიებასთან

თავისი იურიდიული ბუნებით, პასუხისმგებლობის შემზღუდავი და გამომრიცხავი გარემოებები საკმაოდ ჩამოჰკავს სახელშეკრულებოსამართლებრივ რიგ ინსტიტუტებს, რომლებიც სამართლებრივი შედეგების დადგომის თვალსაზრისით, შესაძლოა არც კი განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან. ასე მაგალითად, პასუხისმგებლობის გამორიცხვასა და ვალის პატიებას თვისებრივად იდენტური ხასიათი აქვს: ორივე შემთხვევაში სახეზეა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისას პასუხისმგებლობის „არ გება“ – თავის არიდება, მიუღებელი შეუსრულებლობისაგან მოვალის გათავისუფლება. ამასთან, ორივე შემთხვევაში, ასეთი შეთანხმება, როგორც მხარეთა წინასწარი დათქმით პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებისას, ასევე ვალის პატიებისას, მხარეთა ორმხრივი ნების გამოვლენის საფუძველზე უნდა განხორციელდეს. თუმცა, თუ პასუხისმგებლობის შეზღუდვისა და გამორიცხვის გარემოებათა არსებობისას მსგავსი დათქმა უშუალოდ ძირითად ხელშეკრულებაზე მხარეთა შეთანხმებისას დგება, ვალის პატიებისას – ძირითადი ხელშეკრულების შესრულების (ან შეუსრულებლობის) შემდგომ ეტაპს წარმოადგენს. მაგრამ, ცალკეულ საგამონაკლისო შემთხვევებში, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება შეიძლება გამოირიცხოს სახელშეკრულებო ურთიერთობისაგან დამოუკიდებლად, ცალკე მიღწეული შეთანხმებით, რომლის შინაარსიც მხოლოდ პასუხისმგებლობის გამორიცხვით ამოიწურება და ეს „სუფთა სახის პასუხისმგებლობის გამომრიცხავი შეთანხმებაა“.³⁵⁹ როგორც აღინიშნა, ეს მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში გვხვდება.

³⁵⁸ დუნდუა მ., დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის თანაფარდობა, სამართლის ჟურნალი N1, 2009, გვ. 57.

³⁵⁹ რუსიაშვილი გ.,/ბათლიძე გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, ჭანტურია ლ., (რედ.), მუხლი 410, ველი 8.

სსკ-ის 448-ე მუხლი განმარტავს, რომ ვალის პატიება მხარეთა შორის შეთანხმებით იწვევს ვალდებულების შეწყვეტას.³⁶⁰

ვალის პატიებით, როგორც სამართლებრივი საშუალებით, კრედიტორი უარს ამბობს მის ვალდებულებითსამართლებრივ მოთხოვნაზე. ამისათვის საჭიროა, რომ კრედიტორსა და მოვალეს შორის გაფორმდეს შესაბამისი შეთანხმება, რომლის საგანსაც სწორედ რომ ვალის პატიება წარმოადგენს. ეს შეთანხმება კი სხვა არაფერია, თუ არა ხელშეკრულება.³⁶¹ სხვაგვარად, „ვალის პატიება წარმოადგენს კრედიტორის შეპირებას მოვალის წინაშე, რომ მოთხოვნის უფლება არ განახორციელოს (pactum de non petendo). მოვალე არ თავისუფლდება, რამდენადაც ის იძენს შესაძლებლობას მოთხოვნის უფლების განხორციელებას შეეპასუხოს. ვალი რჩება შესრულებადი, ხოლო მოთხოვნა აღარ არის მიღწევადი“.³⁶² ამასთან, კანონი ვალის პატიების ნამდვილობისათვის არანაირ ფორმას არ განსაზღვრავს. შესაბამისად, სავსებით ლოგიკურია, რომ ვალის პატიების შესახებ ხელშეკრულება ფორმათავისუფალ ხელშეკრულებად უნდა შეფასდეს³⁶³ მაშინ, როცა პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებებზე შეთანხმება უფრო ფორმადაცულ ხელშეკრულებად უნდა ჩავთვალოთ. ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ სსკ-ის 410-ე მუხლი (ზიანის ანაზღაურების უფლებაზე წინასწარ უარის თქმა) არ შეიცავს კანონისმიერ მითითებას ფორმის დაცვის სავალდებულოობის შესახებ და შესაბამისად, შეთანხმება სახელშეკრულებო ზიანის მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმის თაობაზე შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ზეპირად, ასევე წერილობით. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ სასამართლო პრაქტიკა არ არის ჩამოყალიბებული იმ კუთხით, რომ თუ რამდენად შეიძლება გავრცელდეს წერილობითი ფორმის სავალდებულოონა სახელშეკრულებო ზიანის მოთხოვნაზე, თუ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გამომდინარეობს ისეთი გარიგებიდან, რომლისთვისაც გათვალისწინებულია წერილობითი ფორმა. სამოქალაქო კოდექსის ნორმათა სისტემური ანალიზის საფუძველზე შესაძლოა გამოტანილ იქნას დასკვნა, რომ ფორმის დაცვის სავალდებულოობა ვრცელდება გარიგების შემადგენელ ელემენტებზეც, მათ შორის ზიანის

³⁶⁰ სსკ-ის 448 მუხლი, <https://matsne.gov.ge/document/view/31702?publication=130> [12.04.2024].

³⁶¹ სვანაძე გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, ჭანტურია ლ., (რედ.), 2019, მუხლი 448, ველი 1.

³⁶² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 30 სექტემბრის N ას -1054-2019 გადაწყვეტილება.

³⁶³ ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, 2001, გვ. 559.

ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებულ შეთანხმებაზე.³⁶⁴ ამასთან, წმინდა პრაქტიკული თვალსაზრისით, ძნელია დადასტურებითი მნიშვნელობა მიანიჭო ისეთ რთულ, საკანონმდებლო მოწესრიგებისგან განსხვავებულ წესებს, როგორცაა, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე წინასწარ უარის თქმა, წერილობითი შეთანხმების არსებობის გარეშე.

რაც შეეხება საკითხს იმის შესახებ, თუ სამართლებრივად რამდენად მნიშვნელოვანია ამ ორი სახელშეკრულებო ინსტიტუტის თვისებრივად მსგავსი იურიდიული ბუნება, მითუმეტეს, რომ ის მიზანი, რასაც კონტრაქტთა დათქმა მოიაზრებს პასუხისმგებლობის წინასწარი გამორიცხვის პირობებში, შესაძლოა მიღწეულ იქნას ვალის პატიებითაც (რომელზეც ასევე მხარეები თანხმდებიან ცალკე ხელშეკრულებით). საინტერესოა, რამდენადაა შესაძლებელი ეს მოწესრიგება გავრცელდეს ვალის პატიებაზეც, მითუმეტეს, რომ როგორც ერთ, ისე მეორე ზემოხსენებულ შემთხვევაში სამართლებრივი შედეგები იდენტურია?

ამ საკითხზე ცალსახა პასუხის გაცემა არ იქნებოდა მართებული, თუმცა ქართული სამართლებრივი დოქტრინის განმარტებაზე დაყრდნობით, შესაძლოა ითქვას, რომ ეს შესაძლებელია, რადგან „როდესაც კრედიტორი გარკვეული ტიპის ვალდებულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე წინასწარ, ხელშეკრულებით განაცხადებს უარს (მუხ. 410), ასეთ შემთხვევაში კრედიტორის მოთხოვნა წინასწარ, უკვე ხელშეკრულების გზით შეიძლება ჩაითვალოს ნაპატიებად და მისი სამართლებრივი შედეგები შეიძლება შეფასდეს 448-ე მუხლით“.³⁶⁵ სხვაგვარად რომ ვთქვათ: ხელშემკვრელ მხარეებს, უშუალოდ ხელშეკრულების დადების დროს, წინასწარ შეუძლიათ გაითვალისწინონ განსაკუთრებული გარემოებები, რომელთა ხელშეკრულების შესრულების რომელიმე ეტაპზე დადგომის შემთხვევაში, შესაძლოა დადგეს მოვალის პასუხისმგებლობისაგან სრული ან ნაწილობრივი გათავისუფლების საკითხი, რაც, თავის თავში მოიცავს ვალის პატიების შინაარსს.

თუ ამ ლოგიკას გავყვებით, გამოდის, რომ საქმე გვაქვს ამ ორი სამართლებრივი ინსტიტუტის შერწყმასთან, ერთგვარ კუმულაციასთან, რადგან ერთი შეთანხმებით შესაძლოა ამოქმედდეს როგორც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების, ასევე ვალის პატიების მექანიზმი.

³⁶⁴ აზრი ციტირებულია, რუსიაშვილი გ.,/ბათლიძე გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, ჭანტურია ლ., (რედ.), მუხლი 410, ველი 4.

³⁶⁵ სვანაძე გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, ჭანტურია ლ., (რედ.), მუხლი 448, ველი 22.

ეს მოცემულობა ასეთ შეთანხმებებს, ერთგვარად დახვეწილ სახეს სძენს, რადგან წინასწარი შეთანხმება მხარეებს ანიჭებს იმ უპირატესობას, რომ თავი აარიდონ სამართლებრივი მოწესრიგების ვადებში გახანგრძლივებას, საშუალებას აძლევს მათ დაზოგონ დრო (დრო, რომელიც სამართლებრივ პრაქტიკაში საკმაოდ მტკივნეულ საკითხად რჩება), რადგან აღარაა საჭირო ვალის პატიების შესახებ ცალკე ხელშეკრულებაზე შეთანხმება. ამ მოსაზრების გასამყარებლად შესაძლოა მარტივი მაგალითის მოშველიება. ასე, მაგ., ნარდობის ხელშეკრულებაში კრედიტორმა შესაძლოა გააკეთოს წინასწარი დათქმა იმის თაობაზე, რომ ის უარს იტყვის პირგასამტეხლოზე შესასრულებელი სამუშაოს ვადის გადაცილების შემთხვევაში, თუკი შესრულებული ნაკეთობა შეპირებულზე მაღალი ხარისხის აღმოჩნდება.

მოცემულ შემთხვევაში სახეზე გვექნება, როგორც ვალდებულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურებაზე წინასწარ უარის თქმა, ასევე ვალის ნაწილობრივი პატიება, რაც სამართლებრივად აბსოლუტურად გამართლებულია, რადგან იმის მიხედვით, თუ რა იკვეთება მხარეთა შორის ვალის პატიების შეთანხმებიდან, შესაძლებელია მხარეები მხოლოდ ვალის ნაწილობრივ პატიებაზე შეთანხმდნენ. მაგალითად მხოლოდ დაგროვილი პირგასამტეხლოსა და/ან საურავის პატიება ისე მოხდეს, რომ ძირითადი ვალის გადახდის ვალდებულება დარჩეს ძალაში.³⁶⁶ ხოლო სსკ 410-ე მუხლიც ასევე უშვებს მხარეთა შეთანხმებით, შესრულებაზე ვალდებული პირის პასუხისმგებლობის სრულად ან ნაწილობრივ გამორიცხვას.

ამ მსჯელობას, ალბათ, აქვს სამართლებრივი ლოგიკა, რაც თანხვედრაშია მოქმედი კანონმდებლობის ძირითად პრინციპებთან, მაგრამ იგი არ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად გავრცელდეს ყველა მსგავს, ახლოს მდგომ შემთხვევაზე, რადგან თუ მხარეები წინასწარ დადებენ დათქმას ხელშეკრულების არსებით ან თუნდაც ერთ-ერთ ძირითად პირობაზე, რომ მისი შეუსრულებლობის შემთხვევაში ამოქმედდეს პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებისა და/ან ვალის პატიების სამართლებრივი მექანიზმი, ეს ხელშეკრულებას აშკარად კაბალურ ხასიათს სძენს, მნიშვნელობას უკარგავს მისი დადების არსს და წინააღმდეგობაში მოდის სახელშეკრულებო სამართლის ერთ-ერთ ძირითად - ვალდებულების დაურღვევლობის პრინციპთან – *pacta sunt servanda* – ვინაიდან „ხელშეკრულება ორივე მხარისათვის შესრულებადი უნდა იყოს, როგორც მისი დადების მომენტში, ისე შემდგომ.“³⁶⁷

³⁶⁶ Schluter, in muko BGB §397, Rn. 10 – გამოყენებულია, სვანაძე გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, ჭანტურია ლ., (რედ.), 2019, მუხლი 448, 24.

³⁶⁷ ზოიძე/ ჭანტურია/ ზოიძე/ ნინიძე/ შენგელია/ ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გამომცემლობა სამართალი, 2001, გვ. 119.

საბოლოოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ვალის პატიებას იურიდიული შედეგების თვალსაზრისით, მაინც მეტი სამართლებრივი სივრცე რჩება, ვინაიდან იგი ვალდებულების წარმოშობის შემდეგ ეტაპს უკავშირდება და თავისუფლად შეუძლია შეეხოს ძირითად ვალდებულებასაც და სრულად ამოწუროს იგი. ხოლო წინასწარი დათქმით პასუხისმგებლობის შეზღუდვის მექანიზმი ვერ იმუშავებს ძირითად ვალდებულებასთან მიმართებაში, ვერ შეეხება ხელშეკრულების არსებით პირობას, რადგან ამით მნიშვნელობას დაუკარგავს ხელშეკრულების დადების არსს და საფუძველს აცლის ხელშეკრულების შესრულების სამართლებრივ ბერკეტს.

4.7 სახელშეკრულებო ზიანის მიმართება პასუხისმგებლობის შემზღუდავ და გამომრიცხავ გარემოებებთან

ზიანის ცნება ზოგადად არამართლზომიერი ქმედების შედეგთან ასოცირდება, რაც, თავის მხრივ, ქმნის საპასუხო სამართლებრივი ნორმების ამოქმედების საფუძველს.

ზიანის ერთიანი და უნიფიცირებული ცნების ჩამოყალიბება საკმაოდ რთულია. სირთულეს განაპირობებს თანამედროვე საზოგადოებრივ ურთიერთობათა კომპლექსური და არაერთგვაროვანი ხასიათი. ერთი მხრივ, ტერმინის ყოფითი მნიშვნელობა თითქოს ყველასათვის გასაგებია, მაგრამ მეორე მხრივ, ზიანის ცნების ზუსტ დეფინიციაზე კონკრეტული სამართლებრივი შედეგი და ადამიანთა ბედია დამოკიდებული.³⁶⁸ „განმარტებითი იურიდიული ლექსიკონის“ მიხედვით „ზიანი არის ყოველგვარი ნაკლოვანება, რომელიც პირმა განსაზღვრული მოვლენის გამო განიცადა“.³⁶⁹ იმავენაირად განიხილავს ზიანს ევროპული კერძო სამართლის უნიფიკაციის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი –DCFR, რომლის მიხედვით ზიანის ცნება განმარტებულია, როგორც „ნებისმიერი უარყოფითი შედეგი“. ეს ზოგადი და აბსტრაქტული დეფინიცია, ალბათ, განპირობებულია იმით, რომ მისი ობიექტური და ადეკვატური განმარტება მოხდეს ყოველ კონკრეტულ საქმეში არსებული სპეციფიკის გათვალისწინებით.³⁷⁰ რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ქართული სამოქალაქო კოდექსი აყენებს იმპერატიულ დათქმებს ზიანის მიმყენებლის მიმართ მისი ანაზღაურების თაობაზე,³⁷¹ უდავოა, რომ

³⁶⁸ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომც. „მერიდიანი“ 2014, გვ. 646.

³⁶⁹ თოთლაძე ლ.,გაბრიჩიძე გ.,თუმანიშვილი გ., ტურავა პ., ჩაჩანიძე ე., 2012, განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, GIZ,IRZ; გვ.204.

³⁷⁰ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომც. მერიდიანი, 2014, გვ. 648.

³⁷¹ სსკ-ის 408, 992-ე მუხლი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=130> [12.02.2024].

ქონებრივი დანაკლისის ანაზღაურების უპირობო ვალდებულება არ არსებობს - არავინაა ვალდებული ანაზღაუროს აუცილებელი მოგერიების ფარგლებში მიყენებული ვნება; ნამდვილი ხელშეკრულების ჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზარალი და ა.შ. „ზიანის მიმყენებელი კი, ჩვეულებრივ, დანაკლისს ყოველთვის ანაზღაურებს.³⁷² ამდენად, დოქტრინაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ზიანი და ქონებრივი დანაკლისი ერთი და იგივე არ არის. დანაკლისი ფაქტია, ხოლო ზიანი - ამ ფაქტის სამართლებრივი შეფასება³⁷³ აი, სწორედ ამას გულისხმობს კონკრეტული საქმის სპეციფიკიდან გამომდინარე ზიანის დეფინიციის არსის განსაზღვრა.

ამასთან, საინტერესოა „ზიანის“ ცნების განხილვა „ზარალის“ ცნებასთან მიმართებაში. ენათმეცნიერებაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ტერმინოლოგიურად ზიანი და ზარალი სინონიმებს წარმოადგენენ. აღსანიშნავია, რომ ზიანიცა და ზარალიც დანაკლისთან, მიუღებელ შემოსავალთან, დანაკარგთან ასოცირდება.³⁷⁴

თუმცა, ქართული სასამართლო პრაქტიკა ამ საკითხს თავისებურად განიხილავს. კერძოდ, სხვადასხვა სასამართლო გადაწყვეტილებებში, „ზარალს“ უფრო მატერიალური დატვირთვა აქვს და იგი განხილულია და გამოყენებულია, როგორც, მაგალითად: „დანაშაულით მიყენებული ზარალის ანაზღაურება“.³⁷⁵ ან „მზღვეველს უფლება აქვს უარი თქვას ზარალის ანაზღაურებაზე საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.³⁷⁶ „სარჩელის საფუძველს ვენახში ხანძრის შედეგად დამდგარი ზარალის ანაზღაურება წარმოადგენდა“.³⁷⁷ „მოპასუხემ უარი განაცხადა ზარალის ანაზღაურებაზე იმ მიზეზით, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალება ტექნიკურად გაუმართავი იყო“.³⁷⁸

ანუ, უზენაესი სასამართლოს პრაქტიკიდან ნათლად იკვეთება, რომ ტერმინში „ზარალი“ ყოველთვის მატერიალური დანაკარგი, ჯანმრთელობისათვის მიყენებული ვნება, ფორსმაჟორული გარემოებიდან წარმოშობილი კონკრეტული ქონებრივი დანაკლისი, ანუ სუფთა სახის

³⁷² ჩხაიძე ს., ზიანის ცნება უსაფუძვლო გამდიდრების სამართალში (მოკლე ანალიზი), ჟურ. მართლმსაჯულება და კანონი, N2 (41), 2014, 6.

³⁷³ ჩხაიძე ს., ზიანის ცნება უსაფუძვლო გამდიდრების სამართალში (მოკლე ანალიზი), ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი, N2 (41), 2014, 6.

³⁷⁴ ნიემანი ა., „ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბილისი, 1978, გვ.182.

³⁷⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 16 სექტემბრის N ას-230-2020 წლის გადაწყვეტილება.

³⁷⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 26 ივნისის N ას-645-2019 გადაწყვეტილება.

³⁷⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 29 სექტემბრის N ას 437-409-2017 გადაწყვეტილება.

³⁷⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 4 ნოემბრის N 760-728-2016 წლის გადაწყვეტილება.

ქონებრივი ვნება მოიაზრება. რაც შეეხება ზიანს, უფრო ფართო ცნებაა და გულისხმობს როგორც მატერიალურ, ქონებრივ, ასევე არაქონებრივ დანაკლისს. ზიანი, ასე ვთქვათ, თავის თავში მოიცავს ზარალის ცნებასაც, რადგან სამოქალაქო სამართალში ტერმინი ზიანი გულისხმობს კანონით დაცული ყოველი სიკეთის შემცირებას ან მის სრულ განადგურებას.

რუსული სამოქალაქო სამართლის დოქტრინის წარმომადგენელი ი.ტოლსტოი განმარტავს, რომ ზიანი შეიძლება გამოვლინდეს არსებული ქონების სრულ განადგურებაში ან მის დაზიანებაში, შემოსავლის დაკარგვაში, შრომის უნარის დაკარგვაში ან მის დაქვეითებაში, მარჩენალის გარდაცვალებაში, ფიზიკური და სულიერი ტკივილის მიყენებაში. ზიანი გამოვლინდება ასევე არამხოლოდ იმის დაკარგვასა და შემცირებაში რაც არსებობს, არამედ იმაშიც, რაც ვერ მიიღო დაზარალებულმა და რაც შეემატებოდა ქონებას, სულიერად გაამდიდრებდა პიროვნებას, აამაღლებდა მის პროფესიულ დონეს და სხვა. ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვით გამოწვეული პირის არაკომფორტული მდგომარეობაც არის ზიანი (მორალური ზიანი), რაც ასევე ექვემდებარება კომპენსაციას.³⁷⁹

აღსანიშნავია, რომ ქართული სამოქალაქო კოდექსის შესაბამის ნორმებში თითქმის ყველგან მხოლოდ ტერმინი „ზიანი“ მოხსენიებული. თუმცა პირად არაქონებრივ უფლებებთან მიმართებაში, კერძოდ - მე-18(6) მუხლში ტერმინი „ზარალი“- ზიანის მომიჯნავედ, მასთან ერთად, გაიგივებულადაა მითითებული:- „თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის (ზარალის) ანაზღაურებაც (სსკ მე-18 (6) მუხლი). ხოლო საქართველოს კონსტიტუცია, 2017-2018 წლებში მასში შეტანილი ცვლილების შესაბამისად, აღიარებს ტერმინს „ზიანი“ (ცვლილებამდე კონსტიტუციის 42.9 მუხლში დათქმული იყო ტერმინი „ზარალი“).

ამდენად, ქართული კანონმდებლობა ზიანს, როგორც ერთიან, ფართო ცნებას ცნობს და მასში მოიაზრებს „ზარალის“- როგორც მატერიალური დანაკარგის ცნებასაც.

ზიანის არსის განსაზღვრას, როგორც ეტიმოლოგიურად, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით, მის სამართლებრივ შედეგებამდე მივყავართ. მაგრამ, ვიდრე სამართლებრივ შედეგებზე ვიმსჯელებთ, აუცილებელია მისი წარმოშობის საფუძვლები განვიხილოთ.

ზოგადად, დოქტრინაში და სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული განმარტებით, როგორც წესი, სახელშეკრულებო ზიანის გამომწვევ მიზეზად

³⁷⁹ Гражданское право, учебник, под редакцией А. П. Сергеева и Ю.К.Толстого, часть 2, М., 1998, ст. 699. ციტირებულია: სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ., „სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, 2016, გვ. 168.

განიხილება მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება და ამით გამოწვეული უარყოფითი მატერიალური შედეგის არსებობა. აღსანიშნავია, რომ ზიანის გამომწვევ მიზეზთა მსგავსი ფორმულირება არ შეიძლება განვავრცოთ ყველა შეუსრულებლობაზე ან არაჯეროვან შესრულებაზე, რადგან ამით ბუნებაში არსებულ ყველა ზიანის წარმომშობ ფაქტს გავაიგივებდით სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობასთან და მისგან წარმომდგარ უარყოფით შედეგებთან. ზიანის წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლები უნდა გავმიჯნოთ სხვა საფუძვლებით წარმოშობილი ზიანისაგან. ზიანი ზიანად რჩება მაშინაც, როცა იგი ბუნების ძალით, მართლზომიერი მოქმედებით და მაშინაც, როცა იგი თვით დაზარალებულის მოქმედებით არის გამოწვეული. ამ თვალსაზრისით, ზიანი ფართო მნიშვნელობისაა. ხოლო სამოქალაქო პასუხისმგებლობის დადგომისათვის „ზიანი“ ვიწრო მნიშვნელობით უნდა გამოვიყენოთ, როცა იგი გამოწვეულია ვალდებულების შეუსრულებლობით.³⁸⁰

მეტი სიზუსტისთვის, ზიანი ვალდებულების დარღვევისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის შერაცხვის წინაპირობაა. ანუ პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის უპირობოდ უნდა არსებობდეს ზიანი. ამასთან, ზიანის უპირობოდ არსებობა, არაა თვითკმარი პირობა სანქციური სამართლებრივი ნორმების ასამოქმედებლად თუკი „ზიანი“-როგორც ფაქტი, დამდგარია მართლზომიერი ქმედებით ან სხვა ობიექტური გარემოებიდან გამომდინარე (როგორცაა შესრულების შეუძლებლობა, შესრულების უკიდურესი გართულება, ფორსმაჟორი და ა. შ...). შესაბამისად, მხოლოდ ზიანის, როგორც ფაქტობრივი მოცემულობის არსებობა, არ წარმოადგენს სამოქალაქო პასუხისმგებლობის შერაცხვის გარდაუვალ პირობას და შერაცხვა უნდა განხორციელდეს უშუალოდ ზიანის წარმომშობი საფუძვლებიდან გამომდინარე.

ამასთან, ზიანის ანაზღაურების, როგორც უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი დაცვის საშუალების გამოყენების წინაპირობად, ზოგადი წესის თანახმად, მხოლოდ ვალდებულების ბრალეული დარღვევა მოიაზრება. ვალდებულების არაბრალეული შეუსრულებლობა არ აფუძნებს ვალდებულების დარღვევის დასრულებულ შემადგენლობას. შესაბამისად, ვალდებულების დარღვევის არარსებობის გამო გამორიცხულია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.³⁸¹ ის, რასაც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებამდე მივყავართ, ქართული სამოქალაქო კოდექსის 394-

³⁸⁰ სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ., სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა, 2016, გვ. 167-168.

³⁸¹ ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების მისადაგება ვალდებულების შესრულებისა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, 2015, გვ. 283).

(1) მუხლის ზოგადი დანაწესია, კერძოდ;- მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება (რომლის აბსოლუტურ ანალოგს წარმოადგენს გსკ-ის 280-ე პარაგრაფი, ნორმის მიხედვით, თუ მოვალე არღვევს ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება³⁸² (გსკ §280 (1)). ამდენად, ქართული კანონმდებლობა, მსგავსად გერმანულისა, ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს განამტკიცებს. აღსანიშნავია, რომ სანაცვლოდ, ამ უზოგადეს პრინციპს ერთგვარად უპირისპირდება სსკ-ის 410-ე მუხლი, როცა ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპთან ერთად, ხელშემკვრელ მხარეებს მსუბუქი პასუხისმგებლობის ფორმებსაც სთავაზობს და ამით პასუხისმგებლობის ფორმათა გრადაციას აფუძნებს, უშვებს რა, ხელშეკრულების დადების ეტაპზე, მხარეთა შესაძლებლობას წინასწარ შეთანხმდნენ ვალდებულების შეუსრულებლობის სამართლებრივ შედეგებზე. უფრო ზუსტად, შეზღუდონ ან გამორიცხონ თავიანთი პასუხისმგებლობა ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის. სსკ-ის 410-ე მუხლის დეფინიციის შესაბამისად: ვალდებულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე წინასწარ უარის თქმა დაიშვება, თუ ეს გათვალისწინებულია კანონით ან მხარეთა შეთანხმებით.

ამ გადასახედიდან შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ნორმის დისპოზიციურობა ხელშემკვრელ მხარეებს ხელშეკრულების დადების ეტაპზე აღჭურავს სახელშეკრულებო ზიანის მოთხოვნის მათთვის სასურველად, მათთვის მისაღებად დათქმის უფლებით და ამით, ერთგვარად, „ზიანის მართვის“ შესაძლებლობას ქმნის. ცხადია, წინასწარ, აბსოლუტური სიზუსტით ვერავინ განსაზღვრავს ხელშეკრულების შემდგომ ბედს, მაგრამ მხარეთა მიერ კონკრეტული ხელშეკრულების მიმართ ბეჯითი დამოკიდებულება სწორად განსაზღვრონ ხელშეკრულების ფაქტობრივი და სამართლებრივი შედეგები, იმსჯელონ და დათქვან რისკის ტვირთის, პასუხისმგებლობის გადანაწილების და მის შემსუბუქებასთან დაკავშირებული ზომები, სწორედაც რომ ასეთ შესაძლებლობას ქმნის, რა თქმა უნდა, იმპერატიულ მოთხოვნათა დაცვის გათვალისწინებით.

დამატებით ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ, მართალია, ზემოთ განხილული სსკ-ის 394-ე (1) მუხლის პირველი წინადადება ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს პასუხობს, მაგრამ მეორე წინადადების დისპოზიცია პასუხისმგებლობის შემსუბუქებაზე ამახვილებს ყურადღებას.

³⁸² გსკ-ის §280 (1), http://lawlibrary.info/ge/books/2019giz-ge_BGB_GE.pdf?fbclid=IwAR1VEHzEt8fhevfuCXXiH_gOCgTgU8LE_zNZDzpoIgz1dvBKuKBh093sw4, [23.03.2024].

ციტირებას რომ მოვუხმოთ, ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი არ მოქმედებს მაშინ, „როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის“. შესაბამისად, სსკ-ის 394-ე (1) ნორმის დანაწესი აბსოლუტურად თავსებადია სსკ-ის 410-ე მუხლის შინაარსთან. სამოქალაქო კოდექსის კომენტარებში ვკითხულობთ, რომ „ზოგადად, 394-ე მუხლი დისპოზიციური ხასიათისაა. მხარეებს შეუძლიათ ხელშეკრულებით ინდივიდუალურად შეათანხმონ მისგან განსხვავებული პირობები და სამართლებრივი შედეგები. თუმცა 394-ე მუხლის დათქმები შეიძლება შეიზღუდოს 348 „დ“, 395 (2) და 410-ე მუხლებით.“³⁸³ განხილულ ნორმათა შინაარსობრივ თავსებადობას ეს კომენტარიც განაპირობებს, უფრო მეტიც, ხსენებული ნორმები არათუ თავსებადია, არამედ 394-ე (1) მუხლი წინაპირობაა 410-ე მუხლით გათვალისწინებული შემამსუბუქებელი დათქმებისა, რადგან თუკი სსკ-ის 394 -ე (1) მუხლი ამკვიდრებს პრინციპს, გარკვეულ საგამონაკლისო შემთხვევებში, არ ეკისრებოდა მოვალეს პასუხისმგებლობა, ამით მყარ ნიადაგს უქმნის სსკ-ის 410-ე მუხლს მიანიჭოს ხელშემკვრელ მხარეებს შესაძლებლობა წინასწარ შეთანხმდნენ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისას პასუხისმგებლობის ამა თუ იმ სახის დადგენაზე, შეცვლაზე, პასუხისმგებლობის მოცულობის განსაზღვრაზე.³⁸⁴

მოცემულ მსჯელობას ამყარებს სსკ-ის 395-ე მუხლი. კერძოდ, ხსენებული ნორმის პირველი ნაწილი, თუმცა იმპერატიულად საზღვრავს, რომ პასუხისმგებლობა მხოლოდ განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით უნდა დადგეს, მაგრამ იგი უდავოდ შეიცავს დისპოზიციურობის ელემენტს შემოდის რა ნორმაში წინადადება, რომელიც თავისი ხასიათით პირობითია – ანუ, „თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული და ხელშეკრულების არსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.“ ამ მსჯელობით შესაძლოა გაჩნდეს კითხვა: თუკი ვალდებულების არსიდან „სხვა“ რამ გამომდინარეობს, ხომ არაა შესაძლებელი ამ დათქმამ თავად განზრახი ბრალის, როგორც პასუხისმგებლობის დაკისრების გარდაუვალობის იმპერატიულ პირობას შეუქმნას საფრთხე? ცხადია არა, მაგრამ გაუფრთხილებელი ქმედებით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის შერაცხვის, დაკისრების საკითხს, რიგ შემთხვევებში, ნამდვილად ეჭვქვეშ აყენებს. ამასთან, ნორმის ეს ნაწილი არ აკონკრეტებს გაუფრთხილებლობის რომელ ფორმას შეეხება დათქმა – „უხეშს“ თუ „მარტივს“. მოცემულ მსჯელობას ამყარებს იგივე ნორმის მეორე ნაწილი, რომელიც მხარეთა მიერ

³⁸³ ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3. ჭანტურია (რედ.), 395, ველი 34-35.

³⁸⁴ სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ., სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, 2016, გვ. 297

პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესახებ წინასწარ დათქმას მხოლოდ განზრახი მოქმედებით ვალდებულების დარღვევისას მიიჩნევა დაუშვებლად (დაუშვებელია მხარეთა წინასწარი შეთანხმება მოვალის მიერ განზრახი მოქმედებით ვალდებულების დარღვევისას ზიანის ანაზღაურებისაგან მისი გათავისუფლების შესახებ – სსკ-ის 395(2)). ამ დანაწესით კოდექსი უხეში გაუფრთხილებლობის დროსაც კი, განსაზღვრულ საგამონაკლისო შემთხვევებში, უშვებს პასუხისმგებლობის შემსუბუქების ან/და გამორიცხვის შესაძლებლობას. შესაბამისად, „პასუხისმგებლობის ეს წესი უპირატესად დისპოზიციურობით გამოირჩევა. ამით შენარჩუნებულია პასუხისმგებლობის საერთო წესი- ბრალეულობის პრინციპი და მეორე მხრივ, კოდექსს შემოაქვს პასუხისმგებლობის თავისუფალი წესი- დისპოზიციურობა“.³⁸⁵

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ჩემი მსჯელობა არ მიდის იმ მიმართულებით, რომ ყურადღება გამახვილდეს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობის „არ გების“, არდაკისრების“, პასუხისმგებლობისაგან თავის დაღწევის ერთგვარ შესაძლებლობაზე. პირიქით, მსჯელობის მიზანია ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს მოვალის ბრალეული, ნაკლებად ბრალეული და არაბრალეული ქმედებები და შესაბამისი სამართლებრივი ნორმების ამოქმედების საფუძვლები.

ამდენად, ზიანის სანაცვლოდ შემხვედრი დაკმაყოფილების მიღება ისეთი ლოგიკური და ბუნებრივი პრინციპია, როგორც, მაგალითად, სიკეთის სიკეთითვე გადახდის ზნეობრივი ვალდებულება. იგი სამართლებრივი საშუალებაა, რომლის გამოყენებითაც სამართალი სამოქალაქო ბრუნვაში ბალანსს და სტაბილურობას უზრუნველყოფს.³⁸⁶ მაგრამ ზიანის ანაზღაურების პრინციპის რეალიზაცია, ცხადია, უპირობოდ ვერ მოხდება. ზიანიდან გამომდინარე პასუხისმგებლობის შერაცხვისთვის აუცილებელია სახეზე გვქონდეს ვალდებულების დარღვევა.

4.8 ზიანის შერაცხვის წინაპირობები (ელემენტები)

4.8.1 მართლწინააღმდეგობა

ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, რომ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობით აღმოცენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებით კრედიტორს სსკ-ის 394 (1) მუხლი აღჭურავს. ხოლო მოთხოვნის

³⁸⁵ სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ., სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა, 2016, გვ. 297.

³⁸⁶ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომც. მერიდიანი, 2014, გვ. 677.

შედეგად პასუხისმგებლობის შერაცხვის წინაპირობებია: ა) მართლწინააღმდეგობა, ბ) ბრალი, გ) მიზეზობრივი კავშირი, დ) ზიანი; ჩამოთვლილთაგან თითოეულ პირობას ზიანის ანაზღაურების ერთიან მოზაიკაში საკუთარი უნიკალური ადგილი აქვთ და ზიანის ანაზღაურების დასაშვებობისა და ოდენობის საბოლოო სურათის ჩამოყალიბებას განაპირობებენ.³⁸⁷ ვინაიდან შერაცხვის შესაძლებლობას ამ ელემენტთა კუმულაციური ერთობლიობა ქმნის და მათ შორის ერთ-ერთის არარსებობაც უკვე ვეღარ კრავს ვალდებულების დარღვევის დასრულებულ შემადგენლობას. და, რადგან, როგორც წესი, ზიანის ანაზღაურების წარმომშობ გარემოებად მხოლოდ ვალდებულების ბრალეული დარღვევა მოიაზრება, საინტერესოა ამ ოთხი ელემენტის განხილვა პასუხისმგებლობის შემზღუდავ და გამომრიცხავ გარემოებებთან მიმართებით. ვფიქრობთ, რომ განხილვისას საინტერესო დეტალები გამოიკვეთება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ ბოლო გადაწყვეტილებაში.³⁸⁸ აღნიშნულია, რომ „ზიანი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით უნდა იყოს მიყენებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც წესი, ზიანის ანაზღაურების საკითხი არ დადგება. ქმედება წარმოშობს თუ არა სამოქალაქო პასუხისმგებლობას, იმაზეა დამოკიდებული, მოქმედი სამართალი მოცემულ ქმედებას მიიჩნევს თუ არა არამართლზომიერად.³⁸⁹ მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს ის, ვინც არღვევს სამართლებრივ დანაწესებს, სამართლის ნორმათა მოთხოვნებს. მართლწინააღმდეგობა ობიექტური ნიშანია სამართალდარღვევისა და მისი არსებობა არაა დამოკიდებული მოვალის ცნობიერების ხასიათზე ანუ, აცნობიერებდა თუ არა მოვალე თავისი ქმედების სამართლებრივ ხასიათს. მთავარია, რომ მოვალის ქმედება არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს. მართლსაწინააღმდეგო ქმედებით სახელშეკრულებო ურთიერთობებში მოვალე ძირითადად კრედიტორის შეფარდებით (რელატიურ) უფლებებს არღვევს. მართლსაწინააღმდეგო ქმედება გულისხმობს, როგორც აქტიურ მოქმედებას, ისე უმოქმედობასაც. როცა ხელშეკრულების მხარე არ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, იგი მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს. მისი არსი ისაა, რომ ქმედება არღვევს სამართლის ნორმით გამოხატული მოქმედების ან უმოქმედობის ვალდებულებას. მართლწინააღმდეგობა მოიცავს როგორც კანონით დადგენილი წესების, ისე

³⁸⁷ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომც. მერიდიანი, 2014, გვ. 690

³⁸⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 14 ივლისის N-ას-464-2021წლის გადაწყვეტილება.

³⁸⁹ სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ., სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, 2016, გვ. 129.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევას.³⁹⁰ მოცემულ შემთხვევაში მართლწინააღმდეგობა გამომდინარეობს იმ მბოჭველი ვალდებულების დარღვევიდან, რომელიც მოვალემ ხელშეკრულებით იკისრა (ფარდობითი მართლწინააღმდეგობა). ამ წესიდან დაიშვება გამონაკლისი კანონით ზუსტად განსაზღვრულ ცალკეულ შემთხვევებში. სამოქალაქო კოდექსი ასეთ შემთხვევებად განიხილავს – აუცილებელი მოგერიების ფარგლებში მიყენებულ ზიანს (სსკ-ის 116 მუხლი), უკიდურესი აუცილებლობით გამოწვეულ ზიანს (სსკ-ის 117 მუხლი) და თვითდახმარებას (სსკ-ის 118-ე მუხლი). ეს შემთხვევები მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებად მიიჩნევიან და პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძვლებს ქმნიან.³⁹¹ ასევე, ქმედება არ ჩაითვლება მართლწინააღმდეგოდ, თუ პირი კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის საფუძველზე უფლებამოსილი ან ვალდებული იყო მიეყენებინა ზიანი. მაგალითად, ასეთად ჩაითვლება მეხანძრეების მიერ ხანძრის ჩაქრობისას კარებისა და ფანჯრების მინების მტვრევა, ქირურგის მიერ ფეხის ამპუტაცია...³⁹² როგორც უკვე აღინიშნა, ხსენებული საგამონაკლისო შემთხვევები მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ ცალკეულ საგამონაკლისო შემთხვევებზეა გათვლილი და უკავშირდება კანონის კონკრეტული ნორმის შესრულება-არშესრულების საკითხს. რაც შეეხება სახელშეკრულებო სამართლებრივ ურთიერთობებს, თუ ვალდებულება ხელშეკრულებით წარმოიშვა, ქმედების არამართლზომიერება უნდა გამოვლინდეს იმ სახელშეკრულებო პირობების საფუძველზე, რომლითაც განსაზღვრულია თითოეული კონტრაქტის შესასრულებელი ფუნქციები.³⁹³ ამასთან, სახელშეკრულებო სამართალი დისპოზიციური ხასიათის მრავალ ნორმას ითვალისწინებს, რაც, თავის მხრივ, სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეებს შესაძლებლობას აძლევს თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვრონ შესაბამისი უფლებები და მოვალეობები. სამოქალაქო კანონმდებლობიდან ასეთი გადახვევა მართლზომიერია, სანქცირებულია კანონის მიერ და, აქედან გამომდინარე, მხარეთა მიერ ხელშეკრულებით

³⁹⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 14 ივლისის N-ას-464-2021 წლის გადაწყვეტილება.

³⁹¹ თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ უკიდურესი აუცილებლობის დროს, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, ზიანის ანაზღაურება შეიძლება დაეკისროს ზიანის მიმყენებელს, ან პირს, რომლის ინტერესებისთვისაც მოქმედებდა ზიანის მიმყენებელი. კანონი ასევე არ გამორიცხავს ორივე მათგანის ანაზღაურებისაგან გათავისუფლებას (სსკ-ის 117 მუხლი - „სახელშეკრულებო სამართალი“, 2014, გვ. 685).

³⁹² ჩიკვაშვილი შ., პასუხისმგებლობა მორალური ზიანისათვის, თბილისი, 2003, 80-82. - ციტირებულია კვანტალიანი ნ., პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვისპერსონალის სამოქალაქოსამართლებრივი საფუძვლები 2014, გვ. 162.

³⁹³ Иофе О. С., Обязательственное право, М., 1975, ст. 110, ციტირებულია: სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ., სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, 2016. გვ. 130.

შეთანხმებულ უფლებებისა და მოვალეობების დარღვევა მართლსაწინააღმდეგო ქმედებად ითვლება.³⁹⁴

თანამედროვე ქართული ცივილური სამართლის დოქტრინის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ბ. ზოიძის განმარტებით, – როცა ხელშეკრულების მხარე არ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, იგი მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს. მისი არსი ისაა, რომ ქმედება არღვევს სამართლის ნორმით გამოხატული მოქმედების ან უმოქმედობის ვალდებულებას. კანონის ან ხელშეკრულების ძალით პირი ვალდებული იყო (სამართლებრივი კრიტერიუმი, რომელიც გულისხმობს განსაზღვრული მოქმედების განხორციელების სამართლებრივ ვალდებულებას) და შეეძლო ემოქმედა (მოქმედების განხორციელების ფაქტობრივი შესაძლებლობა), თუმცა არ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა განსაზღვრული მოქმედება.³⁹⁵ მოცემული მსჯელობიდან ლოგიკურად მივდივართ იმ მარტივ დასკვნამდე, რომ მართლსაწინააღმდეგოდ განიხილება კონტრაჰენტის მხოლოდ ისეთი ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), როცა მას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება შეეძლო, თუმცა არ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა. იგივე პოზიციას იზიარებენ დ., და თ., სუხიტაშვილები მონოგრაფიაში „სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა“. „უმოქმედობა მართლსაწინააღმდეგოდ ჩაითვლება მაშინ, თუ მას უშვებს პირი, რომელსაც შეეძლო ან უნდა შეეძლოს დაკისრებული მოქმედების შესრულება. წინააღმდეგ შემთხვევაში თუკი არსებობს გარემოებები, რომელიც გამორიცხავს ვალდებულების შესრულების შესაძლებლობას, ასეთი უმოქმედობა მართლსაწინააღმდეგოდ ვერ ჩაითვლება. მაგ. დაუძლეველი ძალის არსებობის პირობებში ან სახელმწიფოთა შორის ექსპორტ-იმპორტის აკრძალვით ვალდებულების შეუსრულებლობა – უმოქმედობაა, მაგრამ მართლსაწინააღმდეგოდ ვერ ჩაითვლება.³⁹⁶

ამდენად, ხელშეკრულებით დათქმული პირობების შეუსრულებლობა, რომელიც გამოწვეულია გარდაუვალი შეუძლებლობის, დაუძლეველი ძალის ან სხვა პატივსადები გარემოებიდან გამომდინარე, ვერ მიიჩნევა მართლსაწინააღმდეგოდ, მაგრამ ის ვერც მართლზომიერი ქმედების

³⁹⁴ სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ., „სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, 2016, გვ. 130.

³⁹⁵ ზოიძე ვ., *Договорная и внедоговорная ответственность в механизме гражданского-правового регулирования*, Т., 1988, ст. 165. გამოყენებულია ძლიერიშვილი ზ., ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, 2011, გვ. 160. ასევე გამოყენებულია – საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 18 თებერვლის N ას-1232-2021 გადაწყვეტილება.

³⁹⁶ სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ., „სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, 2016, გვ. 143-144.

კლასიკურ განმარტებაში ჯდება. ვინაიდან, მართლზომიერება პირის ქმედების სამართლებრივ ნორმებთან აბსოლუტურ თანხვედრას გულისხმობს, ხოლო შესრულების შეუძლებლობა, როგორი პატივისადები მიზეზითაც არ უნდა იყოს განპირობებული, სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით, საკანონმდებლო თუ სახელშეკრულებო ნორმის შეუსრულებლობას იწვევს. ნორმის შეუსრულებლობა კი ცალსახად, უპირობოდ მართლზომიერ ქმედებად ვერ იქნება შეფასებული. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანია, რომ ქმედება არ ფასდება კანონსაწინააღმდეგოდ. ეს კი ვერ კრავს ზიანის შერაცხვის კუმულაციურ ერთობლიობას და ვერ აფუძნებს ვალდებულების დარღვევის დასრულებულ შემადგენლობას.

სხვაგვარად განიხილება საკითხი შესრულების გართულებისას, როდესაც შესრულება გართულებულია, მაგრამ არა შეუძლებელი. მოცემულ შემთხვევაში, ვალდებულების შეუსრულებლობა მართლწინააღმდეგობასთან უნდა იყოს გაიგივებული, ვინაიდან შესრულების გართულებისას, სამოქალაქო კანონმდებლობა ქმნის ვალდებულების შესრულების ალტერნატიულ შესაძლებლობას- ვალდებულების შესრულებას შეცვლილი გარემოებებით (სსკ 398-ე მუხლი).³⁹⁷

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული „ვალდებულებითი სამართალი დისპოზიციური ნორმების სიმრავლით ხასიათდება, რაც კონტრაჰენტებს-სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეებს შესაძლებლობას აძლევს, დისპოზიციურ ნორმათა ფარგლებში, თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვრონ შესაბამისი უფლებები და მოვალეობები. ეს კი სსკ-ის 410-ე მუხლის შინაარსს- წინასწარი დათქმით მხარეთა პასუხისმგებლობის შემსუბუქების თაობაზე, კიდევ უფრო ამყარებს და მართლზომიერ სახეს სძენს, მითუმეტეს, თუ ვალდებულების განუხორციელებლობა შესრულების შეუძლებლობით, როგორც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოებით იქნება განპირობებული.

³⁹⁷ (მაგ., თანამედროვე პერიოდში გლობალურმა კოვიდპანდემიამ მსოფლიო ეკონომიკური მოწყობა შეცვალა. ადამიანების იძულებითმა დისტანცირებამ საფრთხე შეუქმნა თითქმის ყველა სფეროს;- ეკონომიკას, ბიზნესს, განათლებას, მედიცინას... დისტანცირებულ პირობებში სხვადასხვა ვალდებულებათა შესრულება თითქმის შეუძლებელი გახდა. აღნიშნულის მიუხედავად, ტექნიკური განვითარების თანამედროვე დონემ ვალდებულების შესრულება ალტერნატიული ფორმით გახადა შესაძლებელი. მსოფლიო საქმიანობის ონლაინ რეჟიმზე გადაქცევა: შემუშავდა დისტანციური სწავლების ფორმები, შესაძლებელი გახდა ეკონომიკური, ბიზნეს, სამედიცინო თუ სხვა სფეროს კონფერენციების ონლაინ რეჟიმში ჩატარება და ა.შ. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა ვალდებულების ადაპტაცია, მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი).

4.8.2 მიზეზობრივი კავშირი

პასუხისმგებლობის შერაცხვის კუმულაციურ ერთობაში ერთ-ერთი წამყვანი როლი აქვს მიზეზობრივ კავშირს- როგორც ზიანის შერაცხვის აუცილებელ ელემენტს.

მიზეზობრიობის ონტოლოგია – მოვლენების ობიექტური სინამდვილის კანონების შესწავლა, დიდი ხანია მეცნიერების სხვადასხვა დარგის კვლევის ობიექტი გახდა, მათ შორის სამართლის მეცნიერების. მიზეზობრიობის თეორიებისა და კონცეფციების მიზანია განსაზღვროს სამართლებრივი პასუხისმგებლობის ობიექტური პირობა. მიზეზობრივი კავშირი სამართალში არამართლზომიერი მოქმედების ვინმესთვის შერაცხვის ობიექტურ გამართლებას ემსახურება.³⁹⁸ მისთვის დამახასიათებელია, რომ ერთი მოვლენის (მიზეზის) შესაბამის პირობებში სხვა მოვლენაზე ზემოქმედება ახალ მოვლენას, ახალ შედეგს გამოიწვევს. უფრო რომ დავაზუსტოთ, მიზეზობრივ კავშირს ადგილი აქვს მაშინ, თუ არსებობს მოვლენათა დროებითი თანმიმდევრობა. ამ თანმიმდევრობაში მიზეზი ყოველთვის წინ უსწრებს შედეგს, ხოლო შედეგი მიზეზით გამოწვეული გარე სამყაროში მომხდარი ცვლილებაა. ნებისმიერი მიზეზშედეგობრივი კავშირის განვითარების ერთადერთი აუცილებელი გზა არის გზა მიზეზიდან შედეგისკენ.³⁹⁹

ქმედების მიზეზობრიობის კვლევის მრავალ თეორიათაგან უნდა გამოვარჩიოთ ეკვივალენტურობის და ადეკვატურობის თეორიები, რომლებიც ქართულ სამოქალაქო სამართლებრივ ნორმებს ყველაზე მეტად პასუხობს.

აუცილებელი (მინიმალური) კაუზალური კავშირი ქმედებასა და შედეგს შორის სამოქალაქო სამართალშიც, ისევე როგორც სისხლის სამართალში განისაზღვრება ეკვივალენტურობის თეორიის შესაბამისად. ის გულისხმობს condition sine qua non – პრინციპის მეშვეობით ქმედებასა და ხელყოფას შორის კავშირის გაბმას. ქმედების გარეშე გამორიცხული უნდა იყოს ზიანის დადგომა.⁴⁰⁰ ქართულ სამოქალაქო სამართლის ნორმათაგან ამ თეორიის გამართლებას წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლი, რომელიც ზიანის შერაცხვისათვის უცილობელ პირობად ადგენს „ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგის“ არსებობას. ასე რომ, კაუზალურობა ემყარება მხოლოდ ემპირიულ მოცემულობას – იმას, თუ რამ განაპირობა რეალურად კონკრეტული შედეგის დადგომა. თუმცა მხოლოდ ეს

³⁹⁸ გოცირიძე ე., მიზეზობრიობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში, 2006, გვ.136-137.

³⁹⁹ სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ., „სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა, 2016, გვ. 150-151.

⁴⁰⁰ რუსიაშვილი/ეგნატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, 2016, გვ. 203.

ფაქტობრივი ბმა ქმედებასა და ზიანს შორის არ იძლევა მისი პირდაპირი გადატანის შესაძლებლობას სამართლის ნორმატიულ სიბრტყეში. დამზიანებლის წინასწარ განუსაზღვრელი და ყოვლად გაუმართლებელი პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია ფაქტობრივი მიზეზშედეგობრიობის შემოსაზღვრა ნორმატიული შერაცხვის კრიტერიუმების საფუძველზე.⁴⁰¹ ობიექტური შერაცხვის ნორმატიული შემოსაზღვრის ინსტრუმენტს ადეკვატურობის თეორია წარმოადგენს. ამ თეორიის მიხედვით, ქმედების შედეგად სიკეთის ხელყოფა არ უნდა იყოს სრულებით არასავარაუდო ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე. სხვაგვარად რომ ვთქვათ,, ადეკვატურობის თეორია წარმოადგენს არა ვიწრო გაგებით კაუზალურობის შესახებ მოძღვრებას, არამედ ზიანის შერაცხვის კრიტერიუმს შეფასებითი მსჯელობის საფუძველზე. ეკვივალენტურობის თეორიის დარად, ასევე ადეკვატურობის კრიტერიუმიც სსკ-ის 412-ე მუხლშია გამყარებული, რომელიც ზიანის ანაზღაურების წინაპირობად მის „წინასწარ სავარაუდოობას“ მიიჩნევს.⁴⁰² საქართველოს უზენაესი სასამართლოს⁴⁰³ გადაწყვეტილებაში განმარტებულია – „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი უპირატესობას ანიჭებს უშუალო მიზეზობრივი კავშირის თეორიას. ანუ პირი მხოლოდ მაშინ აგებს პასუხს ზიანისთვის, როცა მისი ქმედება ადეკვატურ კავშირშია დამდგარ შედეგთან/ზიანთან (causa principalissime qua non). ანუ დამდგარი ზიანი დარღვეული ვალდებულების რეალური მოსალოდნელი შედეგია და მისი მიზეზობრივი კავშირი ქმედებასთან ობიექტური გადმოსახედიდან დასტურდება. სავარაოდობა სახეზეა, თუ შედეგის დაშვება შეგნებული მოვალის პერსპექტივიდან ობიექტურად შესაძლებელი იყო.“

ზემოთქმულიდან გამომდინარე, როგორც ხსენებული მიზეზობრიობის ეკვივალენტურობის და ადეკვატურობის თეორიებით, ასევე სამოქალაქო კოდექსით განმტკიცებული ნორმებით (მოცემულ შემთხვევაში სსკ 412-ე მუხლი) ზიანის შერაცხვა არ უნდა იყოს ქაოსური და ულიმიტო, რაც გაუმართლებლად დიდ, არათანაზომიერ პასუხისმგებლობის საფუძველებს ქმნის, არამედ ის უნდა იყოს იმ რისკის ტვირთის მატარებელი და შესაბამისი, რაც კონკრეტული ხელშეკრულებით იყო დათქმული და განსაზღვრული.

შესაძლოა მიზეზობრივი კავშირის სრული და განუხრელი ფორმულირების დაცვის შემთხვევაშიც კი, ანუ შედეგის მიზეზიდან გამომდინარეობის მიუხედავად, განსხვავებული შედეგი დადგეს. კერძოდ;

⁴⁰¹ looschelders, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, pp. 305.

⁴⁰² რუსიაშვილი გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ჭანტურია (რედ.), 2019, 412, ველი 6.

⁴⁰³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 8 ივნისის Nას-409-2022 გადაწყვეტილება.

მართალია, მიზეზობრიობის ბმა – არსებობა-არარსებობის დადგენა, პირდაპირი და უშუალო ნაბიჯია შემადგენლობის განსაზღვრისათვის და ქმედების მიზეზობრიობის განხილვისას უცილობლად უნდა დადგინდეს, რომ კონკრეტული მიზეზი, ქმედება უპირობოდ, გარდაუვალად წარმოშობს დამდგარ შედეგს, როცა სათუოობა გამორიცხულია და „სავარაუდოდ“ განმაპირობებელი მიზეზი ვერ იქნება განხილული როგორც ერთადერთი, აუცილებელი გზა შედეგამდე. თუმცა პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა მოვლენათა წყობა მიზეზობრივ კავშირს კი განაპირობებს, მაგ; მოვალის შეუსრულებლობა (მიზეზი) კი იწვევს ზიანს (შედეგს), მაგრამ მოცემულ შემთხვევაში, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, რომ დადგინდეს რა არის შეუსრულებლობის – ანუ მიზეზის განმაპირობებელი მიზეზი – ანუ მიზეზის მიზეზი. უფრო რომ დავაზუსტოთ, მოვალის მიერ სახელშეკრულებო შეუსრულებლობა კი ქმნის მიზეზ-შედეგობრიობის დასრულებულ სახეს, მაგრამ ვერ კრავს ზიანის შერაცხვის დასრულებულ შემადგენლობას თუკი შეუსრულებლობა მოვალის შესრულების შეუძლებლობის, ფორსმაჟორის, ან სხვა მოვალის ქმედების კონტროლს მიღმა არსებული მიზეზითაა გამოწვეული. ეს ის შემთხვევაა, როცა კონტრაქტს არ ჰქონდა ე.წ. „ხელმისაწვდომობა“ ისეთი ქმედების განხორციელებაზე, რომელიც ზიანს არ გამოიწვევდა.“⁴⁰⁴ ეს კი პასუხისმგებლობის გამორიცხვის საფუძველს ქმნის. მოცემულ შემთხვევაში, პასუხისმგებლობის შერაცხვის შემადგენლობის დასრულებული სახე რომ ჩამოყალიბდეს, მიზეზობრივ კავშირთან მიმართებაში უნდა გაირკვეს მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების ფარგლებში შესრულება „არ“ თუ „ვერ“ განხორციელდა. ანუ, უნდა დადგინდეს ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზი. ამ მიზეზის კვლევას ქმედების ბრალეულობის განსაზღვრამდე მივყავართ.

4.8.3 ბრალი

ბრალი ვალდებულების დარღვევის შემადგენლობის უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი ელემენტია. აღსანიშნავია, რომ ბრალის არსებობა, რიგ შემთხვევებში, არაა გარდაუვალი და აუცილებელი პირობა იმისათვის, რომ დაფუძნდეს ვალდებულების დარღვევის ერთიანი შემადგენლობა. ბრალის გარეშეც შესაძლებელია დადგეს პასუხისმგებლობის შერაცხვის საკითხი და რიგ, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, ბრალის არარსებობა არ უშლის ხელს, რომ ვალდებულების დარღვევის კუმულაციური ერთობა – მართლწინააღმდეგობა, მიზეზობრივი კავშირი და ზიანი, დასრულებული სახით წარმოგვიდგეს და იყოს სახელშეკრულებო სამართლებრივი

⁴⁰⁴ აზრი ციტირებულია: ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომც. „მერიდიანი“ 2014, გვ. 686.

პასუხისმგებლობის შერაცხვის კმარი საფუძველი (ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა).

აღნიშნულის მიუხედავად, სამოქალაქო სამართლებრივ სივრცეში ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის არსებობა არ უკარგავს მნიშვნელობას ბრალს, როგორც პასუხისმგებლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს, რადგან სამოქალაქო კოდექსი ძირითადად ბრალეული პასუხისმგებლობის მიმდევარია. ბრალი ზიანის ანაზღაურების კლასიკური წინაპირობაა და მისი არარსებობა თავისთავად გამორიცხავს დელიქტის არსებობას, გარდა კანონით გათვალისწინებული შეზღუდული რაოდენობის შემთხვევებისა.⁴⁰⁵ ასე, რომ ბრალი სამოქალაქო პასუხისმგებლობის ძირითად, ზოგად პრინციპად არის აღიარებული, ხოლო ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა გამონაკლის შემთხვევებს წარმოადგენს.

თანამედროვე იურიდიული მეცნიერება ბრალის პრინციპის შემოღებას რომაელ იურისტებს უმაღლის. რომაული სამართალი განამტკიცებდა ბრალის კატეგორიას, როგორც „გარკვეული გულისხმიერების განუხორციელებლობას, რაც იწვევდა უარყოფით შედეგებს“.⁴⁰⁶ „გერმანელი იურისტები კი ბრალს განიხილავდნენ, როგორც ისეთი წინდახედულებისა და სიფრთხილის დაუცველობას, რომელიც მხარეს გონივრულად მოეთხოვებოდა“.⁴⁰⁷

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განამტკიცებს ბრალს, როგორც პასუხისმგებლობის შერაცხვის უმნიშვნელოვანეს ელემენტს, რომლისთვისაც უმთავრესია სამოქალაქო ბრუნვისათვის ჩვეული ყურადღებიანობისა და გულისხმიერების, კეთილსინდისიერებისა და მზრუნველობის მოთხოვნის დაცვა, რის საფუძველსაც ქმნის სსკ 316-ე (2) მუხლი. ამ ნორმის შესაბამისად, „თავისი შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით ვალდებულება შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებას.“ თუმცა, უშუალოდ ბრალის ლეგალური დეფინიციისაგან მოქმედი სამოქალაქო კოდექსი თავს იკავებს.

ბრალის დოქტრინული ცნებიდან იკვეთება, რომ ბრალი მოიცავს მართლწინააღმდეგობას და მის შეცნობას. ბრალეულად მოქმედ პირს გააზრებული აქვს ის, რომ მისი ქმედებით ილახება სხვისი უფლება და ხელყოფას არ გააჩნია კანონიერი საფუძველი.⁴⁰⁸

⁴⁰⁵ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელმწიფო სამართალი, გამომც. „მერიდიანი“ 2014, გვ. 678.

⁴⁰⁶ ჩიტაშვილი ნ., ბრალის მნიშვნელობა სახელმწიფო სამართალი, 2009, N1, გვ. 147.

⁴⁰⁷ იქვე.

⁴⁰⁸ Кофман В.И., Соотношение вины и противоправности в гражданском праве, ж. Правоведение“, №1, 1957, 78, (<http://law.edu.ru/magazine/article 7.05.2007>) ციტ.: ქ. ქოჩაშვილი, ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, სამართლის ჟურნალი, 2009, 1, გვ. 89.

ბრალი შეიძლება გამოვლინდეს როგორც განზრახვის (dolus), ასევე გაუფრთხილებლობის (culpa) ფორმით. გერმანულ დოქტრინაზე დაყრდნობით, ქართულ ლიტერატურაში განზრახვა განმარტებულია, როგორც შედეგის ცოდნა და სურვილი მართლწინააღმდეგობის შეგნებით.⁴⁰⁹ განზრახვი ბრალის ფორმა გულისხმობს ვალდებულების დარღვევას სახელშეკრულებო ურთიერთობაში ყველა მნიშვნელოვანი გარემოების ცოდნისა და მოვალის მიერ საკუთარი ვალდებულებების გაცნობიერების პირობებში. განზრახვა მოიცავს ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის ფაქტობრივი გარემოებების, მხარეთა უფლება-მოვალეობების ცოდნას, ასევე ქმედების მართლწინააღმდეგობის გაცნობიერებას.⁴¹⁰ ვალდებულების ხასიათისა და სამოქალაქო ბრუნვის ჩვეული პირობების გათვალისწინებით მზრუნველობისა და გულისხმიერების გამოვლენის ხარისხი გაუფრთხილებელი ბრალის განმსაზღვრელი კრიტერიუმებია.⁴¹¹ განზრახვის ცნების მსგავსად, გაუფრთხილებლობის (neglegatia) ცნებაც შედგება კოგნიტური (მართლწინააღმდეგობის ცოდნა ან შეცნობა) და ვოლუნტარული (ქმედების შესაბამისი შედეგის მიღწევის სურვილი) ელემენტებისაგან. თუმცა, ბრუნვის ინტერესებიდან გამომდინარე, ეს ორივე ასპექტი ფასდება ნორმატიულად და აქცენტი კეთდება არა იმაზე, იცოდა და სურდა თუ არა მოვალეს მართლსაწინააღმდეგო სამართლებრივი შედეგის დადგომა, არამედ იმაზე, უნდა შეეცნო თუ არა მოვალეს მსგავსი შედეგის დადგომის ალბათობა და უნდა შესძლებოდა თუ არა ამ შედეგის თავიდან აცილება. შესაბამისად, მოქმედი კოდექსით, ქმედების შერაცხვა ხდება არა სუბიექტური ნიშნით, არამედ ობიექტურად, საქმის ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით. ამ მიზნით გამოიყენება ბრუნვისათვის აუცილებელი ყურადღებიანობის სტანდარტი.⁴¹² აღსანიშნავია, რომ ობიექტური კრიტერიუმის გათვალისწინებით, ბრალის შერაცხვისას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს ადამიანური შესაძლებლობები, პიროვნული თვისებები და მასთან ერთობლიობაში გარემოებები, რომლის არსებობის პირობებში დაირღვა (არ შესრულდა) სახელშეკრულებო ვალდებულებები ან/და სამართლებრივი ნორმები.

გაუფრთხილებლობა შესაძლოა იყოს მარტივი (culpa lata) და უხეში (cupa levissima). უხეში გაუფრთხილებლობა სახეზეა, როცა პირი

⁴⁰⁹ ზოიძე ბ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, 2001, გვ. 382.

⁴¹⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სასამართლოს 2023 წლის 18 იანვრის N ას-1168-2022 გადაწყვეტილება, ველი 43.

⁴¹¹ სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ., სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, 2016, გვ. 284-285.

⁴¹² ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ჭანტურია (რედ.), 2019, მუხლი 395, ველი 17.

განსაკუთრებით მაღალი ხარისხით არღვევს ბრუნვისათვის აუცილებელ ყურადღებიანობას.⁴¹³ ყველა სხვა, უფრო მსუბუქ შემთხვევაში პირის ქმედება ხასიათდება როგორც მარტივი გაუფრთხილებლობა. იქიდან გამომდინარე, რომ განზრახვისა და უხეში გაუფრთხილებლობის.

გამიჯვნა ზიანის შერაცხვისას ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობებში თითქმის შეუძლებელია (და მას არც პრაქტიკულად ენიჭება რაიმე გადაწყვეტი მნიშვნელობა), მოქმედი სამოქალაქო კოდექსი პასუხისმგებლობის პირობად განცალკევებულად, ერთადერთ კრიტერიუმად განზრახ ბრალს ნაკლებად გამოიყენებს და ის უმეტესწილად მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებისას განზრახ ბრალთან ერთად უხეშ გაუფრთხილებლობას ასახელებს.⁴¹⁴ ამით უხეში გაუფრთხილებლობა განზრახვასთან მიმართებაში ერთგვარად წინ იწევს, ვინაიდან უხეში გაუფრთხილებლობა სამოქალაქოსამართლებრივი გულისხმიერების, ყურადღებიანობის, წინდახედულებისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის საფუძვლებს ქმნის. ხოლო განზრახვა, როგორც უფრო მკაცრი სანქციის მამოტივირებელი ქმედება, თავისი იურიდიული ბუნებით, უფრო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მოცემულობას პასუხობს. თავად განზრახვის სამოქალაქოსამართლებრივი კონცეფციაც ხომ უშუალოდ სისხლისსამართლებრივი დეფინიციის ადეკვატურია, რადგან განზრახვის დეფინიციას სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა. ცივილისტურ დოქტრინასა და სამოსამართლო პრაქტიკაში გამოიყენება განზრახვის ის ცნება, რომელიც სისხლის სამართალშია შემუშავებული (განზრახვის ცნება იხ. ზემოთ.⁴¹⁵ როგორც აღინიშნა, სამოქალაქო ბრუნვის ბუნებიდან გამომდინარე, სამოქალაქო სამართალდარღვევები უმეტესწილად გაუფრთხილებლობით ხორციელდება.⁴¹⁶ ამდენად, გაუფრთხილებელი ბრალის ერთგვარი უპირატესობა განზრახვასთან მიმართებაში კერძო სამართალში ერთი მხრივ, სამოქალაქო ბრუნვის სპეციფიკიდან, ხოლო მეორე მხრივ, პასუხისმგებლობის უფრო ცივილური ბუნებიდან გამომდინარეობს.

სამოქალაქოსამართლებრივი ბრალი სისხლის სამართლისაგან იმითაც განსხვავდება, რომ სამოქალაქო სამართალში ბრალეულობის ხარისხის მიუხედავად, საქმე გვექნება განზრახვასთან, უხეშ თუ მარტივ გაუფრთხილებლობასთან, ბრალის ყველა ეს ფორმა მხოლოდ

⁴¹³ ზოიძე ბ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, 2001, გვ. 384.

⁴¹⁴ მაგ., სკ-ის 392-ე მუხლის შესაბამისად—კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებისას მოვალე მხოლოდ მაშინ არის პასუხისმგებელი თუკი შესრულება შეუძლებელი აღმოჩნდა მოვალის განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო, ასევე 719, 742, 829 და სხვ. მუხლები.

⁴¹⁵ ზოიძე ბ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, 2001, გვ. 383.

⁴¹⁶ იქვე.

პასუხისმგებლობის წარმოშობის სავალდებულო წინაპირობას ქმნის და, შესაბამისად პასუხისმგებლობის მოცულობაზე გავლენას ვერ მოახდენს. რაც შეეხება პასუხისმგებლობის მოცულობას, მას განაპირობებს არამართლზომიერი ქმედების შედეგი⁴¹⁷ - ანუ ზიანის ოდენობა და მასშტაბი.

მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო კოდექსი განზრახვასა და უხემ გაუფრთხილებლობას შორის ზიანის დაკისრებისას აუცილებელ, უპირობო ზღვარს არ ავლენს, განზრახ ბრალს მაინც ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა და იგი არ შეიძლება ყოველთვის გაიგივებული იქნას უხემ გაუფრთხილებლობასთან. კერძოდ, მართალია, სამოქალაქო კოდექსი ხელშემკვრელ მხარეებს შესაძლებლობას აძლევს ხელშეკრულებით გაითვალისწინონ ზიანის შემცირების პირობები, წინასწარ შეთანხმდნენ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისას პასუხისმგებლობის ფორმისა და მოცულების განსაზღვრაზე – რის საფუძველსაც სსკ 410-ე მუხლის დისპოზიციური ხასიათი ქმნის, მაგრამ სკ-ის 395-ე მუხლის მეორე ნაწილის იმპერატიული დათქმა ფუნქციურად მიჯნავს და კატეგორიულ ზღვარს ავლენს განზრახ და გაუფრთხილებელ ბრალს შორის, აწესებს რა პასუხისმგებლობის უპირობო, აუცილებელ შერაცხვას განზრახი ბრალის არსებობის პირობებში და დაუშვებლად მიიჩნევს ყოველგვარ წინასწარ დათქმას განზრახვასთან მიმართებაში: „დაუშვებელია მხარეთა წინასწარი შეთანხმება მოვალის მიერ განზრახი მოქმედებით ვალდებულების დარღვევისას ზიანის ანაზღაურებისაგან მისი გათავისუფლების შესახებ.“ ამდენად, სსკ- 410 მუხლი კი ქმნის პასუხისმგებლობის შემსუბუქების ან/და მისგან გათავისუფლების სამართლებრივ შესაძლებლობას გაუფრთხილებელი ბრალის არსებობისას, მაგრამ ნორმის დისპოზიციურობას იმპერატიულად ბოჭავს 395-ე მუხლი განზრახ ბრალთან მიმართებაში. აღნიშნულ ნორმათა ურთიერთმიმართება, ზიანის ანაზღაურების ნორმების სისტემური გაანალიზება ამყარებს ამ მოსაზრებას.

მეტი სიზუსტისთვის საჭიროა ზოგადად ბრალის გამო პასუხისმგებლობის პრინციპისა და განზრახი ბრალის გამო პასუხისმგებლობის პრინციპებს შორის არსებული განსხვავებების დადგენა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მხოლოდ განზრახი ბრალი ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურების ყველა შემთხვევას და გამორიცხავს გამონაკლისებს. განზრახი ბრალი სამოქალაქო პასუხისმგებლობის გარდაუვალი პრინციპია,

⁴¹⁷ სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ., სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, 2016, გვ. 293.

ხოლო ზოგადად ბრალი პასუხისმგებლობის საერთო პრინციპს ქმნის.⁴¹⁸ რომელიც თავის თავში მოიცავს პასუხისმგებლობის შემსუბუქების ან/და გამორიცხვის სამართლებრივ შესაძლებლობებს.

4.8.4 კანონისმიერი დათქმები პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 410-ე მუხლის სამართლებრივი ბაღე – ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე წინასწარ უარის თქმის თაობაზე, მოიცავს როგორც კანონით, ასევე მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებულ შემთხვევებს.

მხარეთა წინასწარი შეთანხმება გათვალისწინებულია იმ დისპოზიციურ ნორმებში, რომლებიც ქმნიან სამართლებრივ საფუძვლებს, იმპერატიულ ნორმათა დაცვის ფარგლებში, მხარეებმა ხელშეკრულებით დათქვან პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და, რიგ შემთხვევაში, გამომრიცხავი გარემოებები.

ხელშეკრულ მხარეთა შესაძლებლობაზე დისპოზიციურ ნორმათა ფარგლებში განსხვავებული შეთანხმებების შესახებ ზემოთ უკვე მრავალგზის ვისაუბრეთ. თუმცა, სსკ-ის 410 მუხლი, პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების თაობაზე მხარეთა წინასწარ დათქმასთან ერთად უშვებს კანონისმიერ შესაძლებლობას პასუხისმგებლობის შემსუბუქებასთან დაკავშირებით იმ კონკრეტულ, ზუსტ შემთხვევებში, როცა „ეს გათვალისწინებულია კანონით“. ვალდებულებით-სახელშეკრულებო სამართლებრივ ნორმებში კი მრავლადაა გაბნეული ასეთი „კანონით გათვალისწინებული“ შემთხვევები. განვიხილოთ და სამართლებრივად გაგაანალიზოთ თანმიმდევრულად:

კანონით დადგენილ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ დებულებად გვეკლინება ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნორმა, რომელიც განსაზღვრავს მოვალის პასუხისმგებლობას კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებისას (მუხლი 392-ე, „კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებისას მოვალე მხოლოდ მაშინ არის პასუხისმგებელი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის თუკი შესრულება შეუძლებელი აღმოჩნდა მოვალის განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო“).

სსკ-ის 392-ე მუხლი ადგენს გამონაკლისს 395-ე მუხლიდან და ამცირებს ვალდებულების დარღვევისათვის მოვალის პასუხისმგებლობის ფარგლებს. ემსახურება რა, ბრალის ხარისხის შემსუბუქებას, დაჰყავს პასუხისმგებლობის მასშტაბი განზრახვამდე და უხეშ გაუფრთხილებლობამდე, რითაც

⁴¹⁸ სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ., სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, 2016, გვ.118

გამორიცხავს პასუხისმგებლობას მარტივი გაუფრთხილებლობისათვის.⁴¹⁹ თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოვალის პასუხისმგებლობის შემსუბუქება მოქმედებს მხოლოდ მაშინ, თუკი კრედიტორი მიღებასავალდებულო ქმედების განხორციელებას აყოვნებს, ხოლო კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების საკითხი თუ ამოიწურება, ანუ თუ კრედიტორი მიიღებს შესრულებას, ამით 392-ე მუხლით განსაზღვრული პასუხისმგებლობის შემსუბუქების მექანიზმიც ასრულებს მოქმედებას.

პასუხისმგებლობის შემოსაზღვრის, მისი მასშტაბის შემცირების კანონით დათქმული მაგალითია სსკ-ის 616-ე მუხლი, რომელიც 392-ე მუხლის დარად, გამნათხოვრებლის პასუხისმგებლობას მხოლოდ განზრახვით და უხეში გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანისთვის საზღვრავს, ხოლო მარტივ გაუფრთხილებლობას გამორიცხავს. საგულისხმოა ისიც, რომ თხოვების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ამ მოწესრიგებაში მხარეთა წინასწარი დათქმა პასუხისმგებლობის შემსუბუქების თაობაზე აუცილებელ პირობად საერთოდ არ გვევლინება. ნორმა იმთავითვე, მხარეთა წინასწარი შეთანხმების გარეშე, გამორიცხავს პასუხისმგებლობას მარტივი გაუფრთხილებლობისათვის. ნორმის ციტირებას რომ მოვუხმოდ, „გამნათხოვრებელი პასუხს აგებს მხოლოდ განზრახვი ან უხეში გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანისათვის.“

თხოვების ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობის მსუბუქი ხასიათი განპირობებულია იმით, რომ თხოვება უსასყიდლო ხელშეკრულებაა. გამნათხოვრებელს არ აქვს ამ ხელშეკრულების მიმართ რაიმე ქონებრივი ან ფინანსური ინტერესი და გამნათხოვრებელი ხელშეკრულებას დებს მხოლოდ უანგარო მოტივით. ასეთი მოტივის სტიმულირებისათვის კანონი ითვალისწინებს გამნათხოვრებლის პასუხისმგებლობის შეზღუდვას.⁴²⁰

პასუხისმგებლობის გამორიცხვის თაობაზე სახელშეკრულებო შეთანხმების საკანონმდებლო დაშვებას ვხვდებით ნასყიდობის ხელშეკრულებაში. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 497-ე მუხლის შესაბამისად, „ხელშეკრულებით შეიძლება შეიზღუდოს ან გამოირიცხოს გამყიდველის პასუხისმგებლობა ნაკლის მქონე ნივთის გაყიდვისას.“

აღნიშნული სამართლებრივი ნორმა პირდაპირ უთითებს შესაძლებლობაზე გამყიდველმა შეიზღუდოს ან გამოირიცხოს პასუხისმგებლობა გაყიდული ნივთის ნაკლის შემთხვევაში. თუმცა ამ შესაძლებლობას

⁴¹⁹ ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ჭანტურია (რედ.), 2019, მუხლი 392, ველი 5.

⁴²⁰ Gccc.tsu.ge, ონლაინ კომენტარი, ჭეჭელაშვილი ზ., წიგნი მესამე, კერძო ნაწილი, კარი პირველი, სახელშეკრულებო სამართალი, მუხლი 616, ბოლო დამუშავება, 22 თებერვალი, 2016 წელი.

კონკრეტული სახელშეკრულებო დათქმა ქმნის. ნორმა ითვალისწინებს ნივთის შესაძლო ნაკლის გამო გამყიდველის პასუხისმგებლობის გამორიცხვას არა ყველა შემთხვევაში, არამედ მხოლოდ მაშინ, თუკი ამის შესახებ ხელშეკრულებით შეთანხმდებიან. ამასთან, პასუხისმგებლობის გამორიცხვა, რომელიც შეეხება ნივთის კონკრეტულ თვისებებს ან კონკრეტულ პასუხისმგებლობის სახეს, უნდა გავრცელდეს მხოლოდ ნივთის ამ თვისებებისა და პასუხისმგებლობის ნაწილში. ამ პირობის განვრცობა გამყიდველის ნებისმიერი ძირითადი თუ არაძირითადი სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის გამო პასუხისმგებლობაზე, ცხადია, გაუმართლებელია. არაძირითადი ვალდებულების დარღვევის საფუძველზე პასუხისმგებლობის გამორიცხვა მისაღებია მხოლოდ, თუ ამის შესახებ პირდაპირ არის მითითებული ხელშეკრულებაში და ის შეეხება ნივთის ნაკლს.⁴²¹

უნდა განიმარტოს ისიც, რომ 497-ე მუხლი გამყიდველის პასუხისმგებლობის გამორიცხვას არ აძლევს ქაოტურ ხასიათს. პირიქით, ბოჭავს და სვავს გარკვეულ ჩარჩოში, შემოაქვს რა იმპერატიული მოთხოვნა პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ შეთანხმების ბათილობის თაობაზე, შეთანხმება ბათილი იქნება, თუ გამყიდველი განზრახ დუმდა ნივთის ნაკლის შესახებ.“ ამით ის სრულად პასუხობს 395.2-ე მუხლის, როგორც ზოგადი ნორმის, მოთხოვნებს, „დაუშვებელია მხარეთა წინასწარი შეთანხმება მოვალის მიერ განზრახი მოქმედებით ვალდებულების დარღვევისას ზიანის ანაზღაურებისაგან მისი გათავისუფლების შესახებ.“ ხოლო ეს მოცემულობა ზოგად და სპეციალურ ნორმათა თანხვედრას, თანაარსებობას და ურთიერთშესაბამისობას განაპირობებს.

სსკ-ის 497-ე მუხლთან შინაარსობრივად ძალიან ახლოსაა სსკ-ის 654 მუხლი, რომელიც ნარდობის ხელშეკრულებაში მენარდის მიერ ნივთის ნაკლის განზრახ დაფარვის შედეგებს ადგენს. კერძოდ, თუ მენარდე ნაკლს განზრახ დაფარავს, მას არ შეუძლია მიუთითოს შეთანხმებაზე, რომელიც გამორიცხავს ან ზღუდავს შემკვეთის უფლებებს ნაკეთობის ნაკლის გამო.“ თუმცა, მოცემული ნორმა პირდაპირი მითითებით არ აკანონებს პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ მხარეთა შეთანხმების შესაძლებლობას (განსხვავებით 497-ე მუხლისა, სადაც პირდაპირაა მითითება მსგავსი დათქმის დაშვებაზე, „ხელშეკრულებით შეიძლება შეიზღუდოს ან გამოირიცხოს...“), მაგრამ ნორმის შინაარსიდან იკვეთება, რომ ის „ნებას რთავს“ ხელშემკვერელ მხარეებს მსგავს დათქმაზე, ვინაიდან მხოლოდ ნივთის ნაკლის განზრახ დაფარვის შემთხვევაში იმპერატიულად ბოჭავს მხარეთა შესაძლებლობას პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ შეთანხმების

⁴²¹ იქვე.

მითითებით და მოშველიებით და თუ „მენარდე ნაკლს განზრახ დაფარავს სახელშეკრულებო დათქმა ბათილია. როგორც ზემოთ იქნა განხილული, ანალოგიურ გადაწყვეტას ითვალისწინებს სსკ-ის 497-ე მუხლი – „გამყიდველის პასუხისმგებლობის გამორიცხვა, (ასევე სსკ-ის 539-ე მუხლი – „პასუხისმგებლობის გან გათავისუფლების შესახებ შეთანხმების ბათილობა“), რაც სსკ-ის 395.2 მუხლთან თანხვედრას განაპირობებს, ამასთან სსკ-ის მე-10.3-ის შესაბამისად, „უფლებათა ბოროტად გამოყენებისაგან სხვათა თავისუფლებას იცავს კანონის იმპერატიული ნორმები.“

მენარდის მიერ ნაკეთობის ნაკლის განზრახ დაფარვასთან მიმართებით ანალოგიურ დებულებებს შეიცავს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 639-ე პარაგრაფი, კერძოდ, მენარდეს არ შეუძლია მიუთითოს შეთანხმებაზე, რომლითაც შემკვეთის უფლებები ნაკლის გამო გამორიცხული ან შეზღუდულია თუკი მან ბოროტი განზრახვით დამალა ნაკლი ან იკისრა ნაკეთობის თვისებრიობის გარანტია.⁴²² იდენტური რეგულირება დადგენილი ნაკლის მქონე ნივთის გაყიდვისას (§444 - მსგავსად სსკ-ის 497 მუხლისა). კერძოდ, მხარეებს უფლება აქვთ შეზღუდონ ან გამორიცხონ მეორადი მოთხოვნის უფლების გამოყენება. ხოლო პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ დათქმა ბათილია, როგორც ნივთის ნაკლის განზრახ დაფარვის, ასევე ნივთის ხარისხზე გარანტიის წინასწარი გაცემის შემთხვევაშიც.⁴²³ ქართულ კანონმდებლობაში ნივთის ხარისხზე გარანტიის წინასწარ გაცემაზე არაფერია ნათქვამი.

საკმაოდ საინტერესოაა წარმოდგენილი პასუხისმგებლობის შეზღუდვის მექანიზმი ტურისტული მომსახურების ხელშეკრულებაში, სადაც კანონი მხარეთა მიერ პასუხისმგებლობის შეზღუდვაზე წინასწარი შეთანხმების ზუსტად განსაზღვრულ ორ შემთხვევას აფუძნებს. კერძოდ, სსკ-ის 664-ე მუხლის შესაბამისად „მოგზაურობის მომწყობს ტურისტთან შეთანხმებით შეუძლია შეზღუდოს თავისი პასუხისმგებლობა მომსახურების ღირებულების სამმაგი ოდენობით, თუ ა) ტურისტისთვის მიყენებული ზიანი არ იყო გამოწვეული განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით, ან ბ) მოგზაურობის მომწყობი ერთპიროვნულად მთლიანად არ აგებს პასუხის ტურისტის წინაშე იმ ზიანისთვის, რომელიც წარმოიშვა მოგზაურობის მომწყობის ვალდებულების შემსრულებელთაგან ერთ-ერთის ბრალის შედეგად.“

⁴²² კროპპოლერი ი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თბილისი, საიას იურიდიული ხელშეწყობის ფონდი, მთარგ. თორნიკე დარჯანია, ზურაბ ჭეჭელაშვილი, რედ.: ეთერ ჩაჩანიძე, თორნიკე დარჯანია, ლევან თოთლაძე, GIZ, 2014, გვ. 639.

⁴²³ იქვე.

ანალოგიური გადაწყვეტა აქვს გსკ-ით ტურიზმის ხელშეკრულებასთან მიმართებაში, სადაც აღნიშნულია, რომ მოგზაურობის ორგანიზატორს ტურისტთან შეთანხმებით შეუძლია შეზღუდოს თავის პასუხისმგებლობა ტურისტული მომსახურების საზღაურის სამმაგი ოდენობით იმდენად, რამდენადაც ტურისტისთვის მიყენებული ზიანი არ იყო გამოწვეული განზრახვით ან უხეში გაუფრთხილებლობით; რამდენადაც მოგზაურობის ორგანიზატორი ერთპიროვნულად აგებს პასუხს ტურისტისთვის მიყენებული იმ ზიანისთვის, რომელიც წარმოიშვა ცალკეული მომსახურების განმახორციელებელი პირის ბრალით.⁴²⁴

სსკ-ის ახალ კომენტარებში განმარტებულია, რომ ტურისტულ მომსახურებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის შეზღუდვა ისე არ უნდა გავიგოთ, რომ მოგზაურობის მომწიფობი პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას ცდილობს. ზემოაღნიშნული ფორმულირებები უმეტეს შემთხვევაში, უბრალოდ, ზედმეტად პრეტენზიული კლიენტების წინააღმდეგ პრევენციული ზომების მიღებას ემსახურებიან. და, შესაბამისად, მარტივი გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ღირებულების სამმაგი ოდენობით შეზღუდვის მიზანიც პასუხისმგებლობის რაციონალური ბალანსის შენარჩუნებაა.⁴²⁵ ხოლო თუ მოგზაურობის მომწიფობმა ტურისტისთვის ზიანის მიყენება განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით გამოიწვია, მაშინ პასუხისმგებლობის შეზღუდვის შესახებ შეთანხმება ძალას კარგავს.⁴²⁶ ამასთან, მოცემული სამართლებრივი ნორმა მიუთითებს პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფარგლებზე, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს მომსახურების ღირებულების სამმაგ ოდენობას.⁴²⁷

ხსენებული ნორმის „ბ“ პუნქტის შინაარსი უარყოფს რა მოგზაურობის მომწიფობის მიმართ ერთპიროვნულად, მთლიანად პასუხისმგებლობის შერაცხვას, ამით ერთგვარად აფუძნებს მოგზაურობის მომწიფობთან ერთად ვალდებულების შემსრულებელთა სოლიდარული პასუხისმგებლობის წარმოშობას (ვისი თანხმობაც ხელმოწერილი უნდა იყოს კონკრეტულ ხელშეკრულებაში) და, ამავდროულად უარყოფს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის §664-ის „ბ“ პუნქტზე გავრცელებას. ემსახურება რა იმ მიზანს, რომ არ მოხდეს მოგზაურის მომწიფობის მიმართ მკაცრი პასუხისმგებლობის დაკისრება (ანუ პასუხისმგებლობა სხვისი ბრალისათვის).

⁴²⁴ კროპკოლერი ი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თბილისი, საიას იურიდიული ხელშეწყობის ფონდი, მთარგ. თორნიკე დარჯანია, ზურაბ ჭეჭელაშვილი, რედ.: ეთერ ჩაჩანიძე, თორნიკე დარჯანია, ლევან თოთლაძე, GIZ, 2014, გვ. 496.

⁴²⁵ Gccc.tsu.ge, ონლაინ კომენტარი, ცერცვაძე გ., წიგნი მესამე, კერძო ნაწილი კარი პირველი, სახელშეკრულებო სამართალი, მუხლი 664,-ბოლო დამუშავება 13 აპრილი, 2016 წელი.

⁴²⁶ სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 4, 2001 წ. გვ. 307.

⁴²⁷ სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 4, 2001 წ. გვ. 307.

ვინაიდან ტურისტული პაკეტი შესაძლოა შეიცავდეს ერთმანეთისგან არსებითად განსხვავებულ მომსახურებას. შესაბამისად, არ არის გამორიცხული, თითოეულ მათგანზე პასუხისმგებელ პირს არც კი ჰქონდეს ინფორმაცია მეორის შესახებ. მაგ. ავიაკომპანია, რომელიც ტურიზმის ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს, შეიძლება საერთოდ არ ჰქონდეს კავშირი სასტუმროსთან, სადაც ტურისტი უნდა დაბინავდეს... ვალდებული პირის არაჯეროვანმა შესრულებამ უნდა გამორიცხოს მოგზაურის მომწყობის პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში.⁴²⁸

ზემოთ განხილულ ცალკეულ ხელშეკრულებათა პასუხისმგებლობის გამომრიცხავი კანონისმიერი დათქმების აბსოლუტურად საპირისპირო მოწესრიგებას გვთავაზობს გადაზიდვის ხელშეკრულება, სადაც გადამზიდვის პასუხისმგებლობა ატარებს ცალმხრივ ნორმატიულ ხასიათს. კერძოდ, სსკ-ის 669-ე მუხლის მე-3 ნაწილი დაუშვებლად მიიჩნევს მხარეთა შეთანხმებას გადამზიდველის პასუხისმგებლობის შეზღუდვის თაობაზე. ნორმის ციტირებას რომ მოვუხმოთ, „გადამზიდველის პასუხისმგებლობა არ შეიძლება გამოირიცხოს ან შეიზღუდოს ხელშეკრულებით.“ თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში, კანონი უფრო ღმობიერია და გადამზიდველს ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან „თუ ტვირთის დაკარგვა, დაზიანება ან მიტანის ვადის გადაცილება უფლებამოსილი პირის ბრალით ანდა ამავე პირის ისეთი მითითებით მოხდა, რომელზედაც გადამზიდველი პასუხს არ აგებს: აგრეთვე, თუ ტვირთის ნაკლი ისეთი გარემოებებითაა გამოწვეული, რომელთა თავიდან აცილებაც გადამზიდველს არ შეეძლო და არც მათი შედეგები შეიძლებოდა თავიდან აეცილებინა.“ (სსკ-ის 686.2 მუხლი), ხოლო 686.2 მუხლში საუბარია ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობის შესაძლო შედეგებზე.

ამ შემთხვევაში გადაზიდვის ხელშეკრულება მიჯნავს გარემოებებს. უფრო ზუსტად, გარემოებები, რომელთა არსებობისას ვალდებულების შეუსრულებლობა დარღვევად არ განიხილება, შესაძლებელია მხარეებმა წინასწარ გაითვალისწინონ ხელშეკრულებაში. ასეთი სახელშეკრულებო დათქმები ემიჯნება დათქმებს პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესახებ. პირველი კატეგორიის სახელშეკრულებო შეთანხმებები ემსახურება იმ ფაქტობრივი გარემოებების დადგენას, რომელთა წარმოშობის პირობებში ვალდებულების შეუსრულებლობა დარღვევად არ განიხილება, ხოლო მეორე სახის დათქმები გამოიყენება სახელშეკრულებო ურთიერთობის იმ ეტაპზე, როდესაც ვალდებულება დარღვეულია, მაგრამ მისი განსაზღვრა ემსახურება მხარეთა პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას უკვე დარღვეული

⁴²⁸ Gccc.tsu.ge, ონლაინ კომენტარი, ცერცვაძე გ., წიგნი მესამე, კერძო ნაწილი კარი პირველი, სახელშეკრულებო სამართალი, მუხლი 664, ბოლო დამუშავება 13 აპრილი, 2016 წელი.

ვალდებულების პირობებში.⁴²⁹ გადაზიდვის ხელშეკრულებაში კანონი ამ გარემოებებს სხვადასხვა რეგულირებას უწესებს. ანუ, გარემოებებს, რომლებიც გადამზიდველის მხრიდან დარღვევად არ განიხილება უშვებს მისი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესაძლებლობას, ხოლო ვალდებულების ნებისმიერი ფორმით დარღვევისას იმპერატიულად კრძალავს და დაუშვებლად მიიჩნევს პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებაზე წინასწარ შეთანხმებას. უფრო მეტიც, გარკვეულ საგამონაკლისო შემთხვევებში, მაგალითად, თუკი ზიანი წარმოიშვა საავიაციო ტრანსპორტით ექსპლუატაციის დროს, საჰაერო ტრანსპორტის მფლობელი არც დაუძლეველი ძალით მიყენებული ზიანისას თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან.⁴³⁰ ანუ, საბოლოო ჯამში, გადაზიდვის ხელშეკრულება საკმაოდ მომთხოვნია, მეტად მკაცრად ეპყრობა გადამზიდველს, როგორც მომეტებული საფრთხის წყაროს მატარებელს, და თავის სამართლებრივ წიაღში თითქმის გამორიცხავს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებს, თუმცა სიმკაცრის მიუხედავად, უშვებს გარკვეულ საკანონმდებლო გამონაკლისებს, რითაც ის არ ღალატობს სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის ცივილურ ბუნებას.

რაც შეეხება მიზარების სამართლებრივ მოწესრიგებას, მიზარების ხელშეკრულება, ერთი მხრივ, მსგავსად გადაზიდვის ხელშეკრულებისა, შემნახველს ათავისუფლებს არაბრალეული ქმედებისას, კერძოდ, „პასუხისმგებლობა გამორიცხულია, თუ ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის მოქმედებით, სტუმრის ან მისი თანმხლები პირის მიერ, ანდა თვით ნივთის თვისებებით (სსკ-ის მუხლი 779-ე); ხოლო, მეორეს მხრივ, შემნახველის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების მასშტაბი დაჰყავს მარტივ გაუფრთხილებლობამდე და ისიც მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევაში – ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაზე მითითებით. ანუ შეთანხმებული ვადის გადაცილების შემთხვევაში, „თუ მიზარებული ნივთის წასაღებად განსაზღვრულია ვადა, ამ ვადის დადგომის შემდეგ შემნახველი პასუხს აგებს მხოლოდ განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის შემთხვევაში“ (სსკ-ის 774-ე მუხლი). ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ მხარეთა სახელშეკრულებო შეთანხმების შესაძლებლობას მიზარების ხელშეკრულება სამართლებრივი ნორმის საფუძველზე (ნასყიდობის ან ნარდობის ხელშეკრულების მსგავსად) პირდაპირ არ ამკვიდრებს. ანუ ხელშემკვერელ მხარეებს არ უთითებს, რომ მათ შეუძლიათ დათქვან პასუხისმგებლობის შემზღუდავი და გამომრიცხავი

⁴²⁹ ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების გავლენა შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, თბილისი, 2015, გვ. 293.

⁴³⁰ სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 4, 2001, გვ. 319.

გარემოებები წინასწარ, ხელშეკრულების დადებისას. და ბოლოს, აუცილებლად უნდა შევჩერდეთ პასუხისმგებლობაზე წუნდებული პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის, რომელსაც კოდექსი, თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, შეეხება რა პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ვნების-ზიანის მიყენებას, ცალკე თავს უთმობს და განსაკუთრებულ რეგულირებას უწესებს.

ზოგადად, უხარისხო პროდუქტით მიყენებულ ზიანს კანონი მკაცრი პასუხისმგებლობით უპირისპირდება. მწარმოებელი პასუხს აგებს წუნდებული პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის მიუხედავად იმისა, რა სახის ურთიერთობა ჰქონდა დაზარალებულთან,- სახელშეკრულებო თუ არასახელშეკრულებო, იგი ძირითადად, პასუხისმგებლობის მატარებელი პირია. მაგრამ, როგორც თანამედროვე ქართული ცივილისტური დოქტრინის წარმომადგენელი თამარ ზოიძე თავის წიგნში (წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება) აღნიშნავს, „კანონი არც ისე დაუნდობელია მწარმოებლის მიმართ; კანონში საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჩამონათვალია, როდესაც მწარმოებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან. კერძოდ, სსკ-ის 1009-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადების თანახმად მწარმოებელი არ აგებს პასუხს წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის“.⁴³¹

ხსენებული სამართლებრივი ნორმა არ აკონკრეტებს ეკისრება თუ არა მწარმოებელს პასუხისმგებლობის გამორიცხვის თითოეული შემთხვევის მტკიცების ტვირთი. ამასთან, უმეტეს შემთხვევაში, სახელშეკრულებო სარჩელების შესაძლებლობები შეზღუდულია თვით ამ ხელშეკრულებით.⁴³² და ვინაიდან სსკ-ის 1012-ე მუხლის მიხედვით „წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის მტკიცების ტვირთი ეკისრება დაზარალებულს“, სწორედ დაზარალებულს უწევს მოპასუხის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების ბრალეულად შეუსრულებლობის მტკიცება, ბრალეულ პირს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში უწევს მტკიცება, თუკი ის არ თვლის თავს ზიანის მიმყენებელ პირად და აქვს საფუძველი, კერძოდ სსკ-ის 1009.1-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის გამორიცხვის რომელიმე შემთხვევის არსებობისას დაამტკიცოს თავისი არაბრალეულობა.⁴³³ ყოველ შემთხვევაში, წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის გამორიცხვის კანონისმიერ დათქმებს სამოქალაქო სამართალი საკმაოდ უხვად გვთავაზობს (სსკი-ს 1009-

⁴³¹ ზოიძე თ., წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება“, 2016, გვ.141.

⁴³² სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილით., სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, 2016, გვ. 480.

⁴³³ ზოიძე თ., წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, 2016, გვ.141.

ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადებიდან გამომდინარე „ა-ე“ პუნქტები და ამავე მუხლის მე-2, მე-3 ნაწილები), ხოლო თუ როგორ იქნება გამოყენებული ეს კანონისმიერი შესაძლებლობა მხარეთაგან, ეს დამოკიდებულია კონკრეტულ შემთხვევათა დეტალებსა და ნიუანსებზე.

დასკვნა

წარმოებულმა კვლევამ ცხადყო თუ რამდენად თავსებადია სამოქალაქო კოდექსის 410-ე მუხლის არსებობა ვალდებულებითსამართლებრივ სივრცეში. უნდა არსებობდეს თუ არა, ან რა ფორმითა და შინაარსით უნდა იყოს წარმოდგენილი აღნიშნული ნორმა. ამას აქვს უდავოდ გადამწყვეტი მნიშვნელობა როგორც თეორიული ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.

1. ფაქტი, რომ პასუხისმგებლობის შეზღუდვის, ან/და მისგან გათავისუფლების გარემოებათა პირველი ჩანასახები ჯერ კიდევ რომის სამართლებრივ წიაღში გვხვდება, ერთგვარად ადასტურებს და ხაზს უსვამს ამ გარემოებათა მაღალ სამართლებრივ მნიშვნელობას. რადგან მაშინდელი სამართლებრივი ნორმებით ხელშემკვრელ მხარეებს შეეძლოთ დაეწესებინათ არამხოლოდ პასუხისმგებლობის მასშტაბი, არამედ ბრალის ის ხარისხიც, რომელიც პასუხისმგებლობას წარმოშობდა (რა თქმა უნდა, განზრახი ბრალის გამოკლებით) ასე რომ, რომის სამართალიც კი, რომელიც თავისი განვითარების პირველ ნაბიჯებს დგამდა, უშვებდა შესაძლებლობას მხარეები ხელშეკრულების დადების ეტაპზე შეთანხმებულიყვნენ პასუხისმგებლობის მასშტაბზე, შეზღუდვის მექანიზმზე, რაც მის მაღალ სამართლებრივ მნიშვნელობას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს.

2. სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის მახასიათებელი პასუხისმგებლობის ფორმათა გრადაციის მიუხედავად- „მკაცრი“, „ბრალეული“ თუ „მსუბუქი“, ყველა შემთხვევაში, ზიანის შერაცხვის მიზანი საბოლოოდ მაინც ერთი უნდა იყოს - აღადგინოს სამართლებრივი პინის ორივე მხარე თანაბარ ნიშნულამდე.

3. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი იმთავითვე მოიცავს შესაძლებლობას მხარეთა წინასწარი დათქმით პასუხისმგებლობის შეზღუდვის რეგულირების თაობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ სახელშეკრულებო თავისუფლების არსს ეფუძნება კვლევის საგნის- სსკ-ის 410-ე მუხლის ცვლილების მოტივიც, რადგან, როგორც საკანონმდებლო ცვლილების განმარტებით ბარათშია მითითებული: „ცვლილების გატარება განპირობებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განმტკიცებული სახელშეკრულებო ურთიერთობათა თავისუფლების პრინციპით“. რასაც ეწინააღმდეგებოდა მუხლის ძველი რედაქცია ბათილად აცხადებდა რა, ხელშემკვრელ მხარეთა წინასწარ დათქმებს ურთიერთვალდებულებათა დარღვევის რეგულირების თაობაზე. რაც, თავისთავად, ხელშეკრულების თავისუფლების ფუნდამენტურ პრინციპს საფრთხეს უქმნიდა და ეჭვქვეშ აყენებდა.

საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც სსკ-ის 410-ე მუხლთან (კვლევის ძირითად საგანთან) მიმართებაში 2009 წელს განხორციელდა, სწორედ

სახელშეკრულებო თავისუფლების არსს ეფუძნება და „განპირობებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განმტკიცებული სახელშეკრულებო ურთიერთობათა თავისუფლების პრინციპით,“ გაგებულ უნდა იყოს არა როგორც მხარეთა ანარქიული შესაძლებლობა კანონის უფლებეყოფით დადონ ნებისმიერი მათთვის სასურველი ხელშეკრულება, არამედ სახელშეკრულებო თავისუფლება მოაზრებული უნდა იყოს როგორც იმპერატიული ნორმებით შემოსაზღვრული, საერთო სამართლებრივ ბადეში, ჩარჩოში არსებული შესაძლებლობა, რომელსაც დისპოზიციური ნორმები აღჭურავენ ამ საკანონმდებლო ფარგლებში ლავირების საშუალებით.

4. უფრო დახვეწილი სახე უნდა ჰქონდეს კონტროლის მექანიზმს ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში პასუხისმგებლობის შემზღუდავ და გამომრიცხავ გარემოებებთან მიმართებაში. რადგან, იმის მიუხედავად, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობებში პასუხისმგებლობის შემზღუდავ და გამომრიცხავ გარემოებათა არსებობა ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობას უფრო დახვეწილ და ცივილურ სახეს სძენს (ვინაიდან ხელშემკვრელ მხარეებს ანიჭებს შესაძლებლობას წინასწარ გათვალონ კონკრეტული ხელშეკრულების შესაძლო შედეგები, გაჭვრიტონ ჯეროვანი შესრულების შესაძლებლობა, ზიანის წარმომშობი გარემოებები, პასუხისმგებლობის საკითხები და ა.შ.), სტანდარტულ პირობებთან დაკავშირებით კანონმდებლობა უნდა იყოს უფრო მკვეთრი და მკაცრი ძლიერი კონტრაქტის პოზიციების დასაბალანსებლად სუსტი მხარის უფლებებთან და სამართლებრივ ინტერესებთან მიმართებით.

აღნიშნული ხედვა მომდინარეობს იქიდან, რომ ხელშეკრულების სტანდარტული პირობები თავის თავში იმთავითვე მოიცავს გარკვეულ შეზღუდვებს, რაც განპირობებულია იმ გარემოებით, რომ სტანდარტული პირობებით განსაზღვრული, წინასწარ ფორმულირებული ხელშეკრულების პირობები, ხელშეკრულების ერთი მხარის – შემთავაზებლის მიერ ცალმხრივად წარედგინება მეორე მხარეს, რაც, ამ უკანასკნელის უფლებრივ შეზღუდვას განაპირობებს და სუსტ სამართლებრივ პოზიციაში აყენებს. ხოლო ასეთ ძირითად დებულებებთან ერთად პასუხისმგებლობის შემზღუდავი და გამომრიცხავი გარემოებების გათვალისწინება, ნამდვილი დათქმების დროსაც კი, კიდევ უფრო მეტი „წნეხის“ ქვეშ აგდებს ისედაც სუსტი პოზიციების მქონე მხარეს. ამიტომ, მიზანშეწონილია, სრულად იქნას ბათილად ცნობილი ხელშეკრულება, თუკი მისი შესრულება განსაკუთრებული წნეხის ქვეშ აყენებს და მეტისმეტად მძიმე ტვირთია სუსტი მხარისათვის არამხოლოდ ხელშეკრულების ბათილი სტანდარტული პირობების დროს არამედ კანონის ნორმებით დადებულ ხელშეკრულებაშიც.

5. ქართული სამოქალაქო კანონმდებლობა არ მიჯნავს „დარღვევის“ და „შეუსრულებლობის“ ცნებებს. უფრო ზუსტად, „დარღვევა“ უპირობოდ აღიქმება როგორც შეუსრულებლობა, ხოლო „შეუსრულებლობა“ ყოველთვის უნდა იქნეს თუ არა მიჩნეული „დარღვევად“ - ეს ვალდებულებების პირის ქმედების ბრალეულობაზე და/ან „შესრულების შეუძლებლობის“ განმაპირობებელ გარემოებებზეა დამოკიდებული.

მიზანშეწონილია, მკვეთრად გაივლოს ზღვარი და გაიმიჯნოს სამართლებრივი ცნებები – „ვალდებულების დარღვევა“ და „ვალდებულების შეუსრულებლობა“, როგორც პასუხისმგებლობის წარმოშობა-არწამოშობის დადგენის შესაძლებლობა, რადგან, როგორც წესი, ყველა დარღვევა შეუსრულებლობასთან ასოცირდება, მაგრამ ყველა „შეუსრულებლობა“ არ შეიძლება იყოს გაიგივებული „დარღვევის“ ცნებასთან. ასეთი გამოიჯვანა გააიოლებს სასამართლო პრაქტიკაში შემამსუბუქებელ გარემოებათა არსებობისას ზიანის შერაცხვის საკითხს.

6. უშვებს რა სამოქალაქო კანონმდებლობა პასუხისმგებლობის შეზღუდვის ან მისგან შესაძლო გათავისუფლების მხარეთა წინასწარი დათქმის შესაძლებლობას, შესაბამისად, ასეთ შეთანხმებებს კეთილსინდისიერების ზოგად ჩარჩოში მოიაზრებს, მაგრამ მხარის კეთილსინდისიერების ან არაკეთილსინდისიერების განსაზღვრისას, ყოველი კონკრეტული შემთხვევის მიმართ სასამართლომ სამართლებრივად უნდა შეაფასოს კონტრაქტთა წინდახედულობა, ხელშეკრულების შესაძლო გართულების, შესრულების შესაძლო შეუძლებლობის, ასევე ზიანის მიყენების შესაძლებლობის გათვალისწინების უნარი, როგორც ხელშეკრულების დადების დროს, ასევე მისი განვითარების შემდგომ ეტაპებზე, რადგან არ აქვს იურიდიული ძალა სამართლებრივი დაცვის საშუალების – გამორიცხვის ან შეზღუდვის სახელშეკრულებო პირობას, რომელიც უსამართლოა თავისი იურიდიული ბუნებით. ამიტომ, მიზანშეწონილია კანონში მავალელები სახე ჰქონდეს იმას, რომ პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებათა წინასწარი გათვალისწინება მხარეთა მიერ კეთილსინდისიერების პრინციპის ფარგლებში განხორციელდეს. ამით ამაღლდება მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დადებისას აღნიშნულ გარემოებათა მიმართებაში.

7. პასუხისმგებლობის შეზღუდვისა და გამორიცხვის თაობაზე სახელშეკრულებო დათქმებმა მისი ნამდვილობის დასადაგენად უნდა გაიაროს ტესტი სსკ-ის 54-ე მუხლის მოთხოვნებთან. ანუ ასეთი შეთანხმებები მხოლოდ მაშინ მიიჩნევა ნამდვილად, თუკი იგი კანონთან, საჯარო წესრიგთან და ზნეობრივ ნორმებთან თანხვედრაში იქნება. ეს შემზღუდავი ფარგლები განხილულ უნდა იქნას, როგორც გარიგებისა და ხელშეკრულების ნამდვილობის დამცავი მექანიზმი და პოზიტიური ასპექტი, ვინაიდან სწორედ

ასეთი შეზღუდვები აძლევს შესაძლებლობას სამოქალაქო კოდექსის 410-ე მუხლით გათვალისწინებულ დათქმებს არ მიეცეს ანარქიული ხასიათი და „სამართლებრივად ნებადართული“ შეთანხმებები ასევე სამართლებრივ და მორალურ ჭრილს მიღმა არ დარჩეს.

რაც შეეხება ვალის პატიებას, იურიდიული შედეგების თვალსაზრისით, მას მაინც მეტი სამართლებრივი სივრცე რჩება, ვინაიდან იგი ვალდებულების წარმოშობის შემდეგ ეტაპს უკავშირდება და თავისუფლად შეუძლია შეეხოს ძირითად ვალდებულებასაც და სრულად ამოწუროს იგი. ხოლო წინასწარი დათქმით პასუხისმგებლობის შეზღუდვის მექანიზმი ვერ იმუშავებს ძირითად ვალდებულებასთან მიმართებაში, ვერ შეეხება ხელშეკრულების არსებით პირობას, რადგან ამით მნიშვნელობას დაუკარგავს ხელშეკრულების დადების არსს და წინააღმდეგობაში მოვა სახელშეკრულებო სამართლის ერთ-ერთ ძირითად - ვალდებულების დაურღვევლობის პრინციპთან - *Pacta Sunt Servanda*. ვინაიდან „ხელშეკრულება ორივე მხარისათვის შესრულებადი უნდა იყოს, როგორც მისი დადების მომენტში, ისე შემდგომ“. თუმცა, 410-ე მუხლის დახვეწილი შინაარსით წარმოდგენის შემთხვევაში, როცა ხელშემკვრელ მხარეებს ექნებათ შესაძლებლობა მეტი სიზუსტით განსაზღვრონ თავიანთი უფლება-მოვალეობები, მათ შორის პასუხისმგებლობის შეზღუდვა-გამორიცხვის თვალსაზრისით, ჯერ კიდევ ხელშეკრულების დადების ეტაპზე, უფრო მეტ შესაძლებლობას წარმოადგენს, რომ ხელშეკრულება შესრულდეს ჯეროვნად, დათქმულ დროს და არ დადგეს ვალის ვალის პატიების მექანიზმის ამოქმედების საჭიროება, რაც უფრო დახვეწილი სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობის ნიადაგს ქმნის.

ამასთან, ვალის პატიებასთან შედარებითმა კვლევამ აჩვენა, რომ მიზანშეწონილია სახელშეკრულებო ზიანის მოთხოვნაზე წინასწარ უარის თქმის შესახებ შეთანხმება იყოს ფორმალური გარიგება, რადგან ძნელია დადასტურებითი მნიშვნელობა მიანიჭო ისეთ რთულ, საკანონმდებლო მოწესრიგებისაგან განსხვავებულ წესებს, როგორცაა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე წინასწარ უარის თქმა, წერილობითი შეთანხმების არსებობის გარეშე.

8. პასუხისმგებლობის გამორიცხვის თაობაზე კანონისმიერი დათქმებით სამოქალაქო კოდექსი ხელშემკვრელ მხარეებს შესაძლებლობას აძლევს ხელშეკრულებით გაითვალისწინონ ზიანის შერაცხვის შემცირების პირობები, რის საფუძველსაც სსკ 410-ე მუხლის დისპოზიციური ხასიათი ქმნის, მაგრამ სკ-ის 395-ე მუხლის მეორე ნაწილის იმპერატიული დათქმა ფუნქციურად მიჯნავს და კატეგორიულ ზღვარს ავლებს განზრახ და გაუფრთხილებელ ბრალს შორის, აწესებს რა პასუხისმგებლობის უპირობო, აუცილებელ შერაცხვას განზრახი ბრალის არსებობის პირობებში და

დაუშვებლად მიიჩნევს ყოველგვარ წინასწარ დათქმას განზრახვასთან მიმართებაში: ანუ სსკ-ის 410 მუხლის დისპოზიციურობას იმპერატიულად ბოჭავს 395-ე მუხლი განზრახ ბრალთან დაკავშირებით. ეს კი საკმაოდ დამაბნეველ სახეს სძენს პრობლემის მოწესრიგებას. ამიტომ მიზანშეწონილია 395-ე მუხლის იმპერატიული აკრძალვა თავად 410-ე მუხლის რედაქციამ შეითავსოს და ამ ნორმის შინაარსში იყოს ასახული.

9. დასასრულს, განხორციელებული კვლევის სრულყოფილი შედეგის მისაღწევად, უნდა გაეცეს პასუხი არსებითი მნიშვნელობის მქონე შეკითხვას: – ხომ არ ქმნის საკანონმდებლო უხერხულობას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 410-ე მუხლის თანამედროვე რედაქცია და თუ ქმნის, როგორი სახით უნდა ჩამოყალიბდეს ის? ანუ რამდენად სასურველია სამოქალაქო კოდექსი იძლეოდეს ხელშემკვრელ მხარეთა წინასწარი დათქმებით პასუხისმგებლობის შეზღუდვის ან/და გამორიცხვის შესაძლებლობას?

ერთი შეხედვით, სამართლებრივი თვალსაზრისით, მართლაც ძნელად წარმოსადგენია, კანონი ხელშეკრულების დამდებ პირს წინასწარ, ხელშეკრულების დადების დროს, აძლევდეს პასუხისმგებლობისგან თავის არიდების ერთგვარ საშუალებას. ამ მიდგომით, მსგავსი ხელშეკრულებები, შესაძლოა კაბალურად, არარეალურად, განუხორციელებლად ჩაითვალოს, რადგან თუკი ხელშეკრულების დადებისთანავე მხარე აღჭურვილია კანონისმიერი უფლებამოსილებით გაითვალისწინოს და ხელშეკრულების პირობად, დათქმად დააყენოს საკუთარი პასუხისმგებლობის შემზღუდავი და გამომრიცხავი გარემოებები, მოცემული შეხედულებით, ასეთი ტიპის ხელშეკრულებებს თითქოს განუხორციელებლობის დამლას ადებს და არათანაბარ პირობებში აყენებს მეორე ხელშემკვრელ მხარეს. თანამედროვე ქართულ ცივილისტურ დოქტრინაშიც ზუსტად ამ პოზიციას იზიარებენ. მიიჩნევენ რა, რომ ასეთ შეთანხმებებსა და შეზღუდვებს შემოაქვთ ხელშეკრულებაში შეუსრულებლობის განწყობა.

სახელშეკრულებო სამართლებრივი ნორმების, ზოგადად, სამოქალაქო სამართლებრივი ნორმებისა თუ სხვადასხვა ინსტიტუტების ერთობლიობაში განხილვამ შექმნა საერთო სურათი, რომელიც განაპირობებს სსკ-ის 410-ე მუხლის კერძო სამართლებრივ სივრცეში მისი თანაარსებობის შესაძლებლობას, მაგრამ პრობლემა არა ნორმის არსებობა- არარსებობაში, არამედ მის არასწორ ფორმულირებაშია. კერძოდ, ნორმის შინაარსის ბუნდოვანება ქმნის მისი არასწორი ინტერპრეტაციის და არაერთგვაროვანი გაგების საფუძვლებს. „ვალდებულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე წინასწარ უარის თქმა დაიშვება“ – ნორმის დეფინიციის ეს ნაწილი შესაძლოა მოაზრებული იყოს ვალდებულების სრულ უარყოფად, მხარისათვის ძირითადი ვალდებულების

შეუსრულებლობის შესაძლებლობის მინიჭებად. ამასთან, ნორმის მითითება იმაზე, რომ ეს „დაშვება“ შესაძლებელია „თუ ეს გათვალისწინებულია კანონით ან მხარეთა შეთანხმებით“ მოითხოვს დაზუსტებას, თუ ვალდებულების რა ნაწილს შეიძლება შეეხოს მხარეთა შეთანხმება, ან, შეიძლება თუ არა პასუხისმგებლობის გამომრიცხავ დათქმებში მოიაზრებოდეს ძირითადი ვალდებულებაც და, ა.შ. რაც, ნორმის შინაარსს ბუნდოვან, დამაბნეველ ხასიათს სძენს და მისი არაერთგვაროვანი გაგების საფუძვლებს ქმნის. მითუმეტეს, რომ ნორმის დისპოზიციურ შესაძლებლობას, მხოლოდ განზრახ ბრალთან მიმართებაში ბოჭავს იმპერატიულად სხვა ვალდებულებითსამართლებრივი ნორმა (სსკ-ის 395.2-ე მუხლი), ხოლო 410-ე მუხლის შინაარსში მოვალის მიერ განზრახი ქმედებით ვალდებულების დარღვევისას ზიანის ანაზღაურებისაგან გათავისუფლების წინასწარ შეთანხმებაზე დაუშვებლად ცნობის შესახებ არაფერია ნათქვამი, რაც ნორმის არასრულყოფილებას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს. რაც შეეხება ფრაზას – „თუ ეს გათვალისწინებულია კანონით“ – აქ მოიაზრება ის სახელშეკრულებო სამართლებრივი სპეციალური ნორმები, რომლებიც ხელშეკრულების სპეციფიკიდან გამომდინარე, თავის თავში მოიცავს პასუხისმგებლობის შემზღუდავ და გამომრიცხავ გარემოებებს, რომლებიც ასევე საჭიროებს დაკონკრეტება-დაზუსტებას.

აქედან გამომდინარე, მივდივართ დასკვნამდე, რომ პრობლემა სწორედ რომ ნორმის ბუნდოვან ფორმულირებაშია. ამიტომ მისი დახვეწილი, სრულყოფილი შინაარსით წარმოდგენა აბსოლუტურ თანხვედრაში მოვა კოდექსის სხვა ნორმებთან, რომელიც კერძოსამართლებრივ სივრცეში მის ჰარმონიულ თანაარსებობას განაპირობებს და ნორმას შესძენს არა მხოლოდ თეორიულ (რომელიც ახლანდელ რედაქციას აქვს) ასევე პრაქტიკულ, ქმედით, გამოყენებად დანიშნულებას.

მიზანშეწონილია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 410-ე მუხლის შინაარსი ჩამოყალიბდეს იმდაგვარად, რომ ვალდებულების დარღვევის გამო პასუხისმგებლობის გამორიცხვა ან/და შეზღუდვა გათვალისწინებულ იქნას კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. ხოლო შეთანხმებები, რომლებიც პასუხისმგებლობის გამორიცხვას შეეხება, უნდა იყოს ზუსტად განმარტებული და მიეთითოს თუ კონკრეტულად შესრულების რომელ ნაწილს მოიცავს. ამასთან, ნორმაში პირდაპირ უნდა მიეთითოს, რომ დაუშვებლად იქნას მიჩნეული ვალდებულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე წინასწარ უარის თქმა, თუ ეს შეეხება ძირითად ვალდებულებას – არსებით პირობას, ან/და ქმედების ხარისხი კვალიფიცირდება განზრახი ბრალით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შემოთავაზებულია რეკომენდაცია სსკ-ის 410-ე მუხლი რედაქტირდეს შემდეგი შინაარსით:

მუხლი 410 ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე წინასწარ უარის თქმა

1. ვალდებულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე წინასწარ უარის თქმა დასაშვებია:
 - ა) კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში;
 - ბ) მხარეთა შეთანხმებით.
2. შეთანხმება, ვალდებულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე წინასწარ უარის თქმის თაობაზე შეთანხმებაში უნდა მიეთითოს თუ შესრულების რომელ ნაწილს შეეხება მხარეთა დათქმა პასუხისმგებლობის შემზღუდავ ან გამომრიცხავ გარემოებათა შესახებ.
3. დაუშვებელია ვალდებულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე წინასწარ უარის თქმა, თუ ეს შეეხება ძირითად ვალდებულებას – არსებით პირობას, ან/და მოვალის ქმედების ხარისხი კვალიფიცირდება განზრახი ბრალით.
4. პასუხისმგებლობის გამომრიცხავ და შემზღუდავ გარემოებათა შესახებ ყველა შეთანხმება უნდა განხორციელდეს კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების პრინციპის დაცვით.
5. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე წინასწარ უარის თქმა მოითხოვს წერილობით ფორმას.

ვფიქრობთ, ასეთი შინაარსით სსკ-ის 410-ე მუხლის ფორმულირება თანხვედრაში იქნება როგორც სახელშეკრულებო სამართლებრივ ნორმებში გაბნეულ პასუხისმგებლობის შემზღუდავ და გამომრიცხავ გარემოებებთან, ასევე მისი უფრო სრულყოფილი, დახვეწილი სახით წარმოდგენა სამოქალაქო სამართლებრივ სივრცეში ნორმის ჰარმონიულ თანაარსებობას განაპირობებს. ამასთან, ნორმა არ დაკარგავს ცივილურ სახეს და მისი დისპოზიციური ხასიათი მისცემს ხელშეკმკვრელ მხარეებს იმპერატიულ ნორმათა ბოჭვის ფარგლებში ლავირების შესაძლებლობას. ასევე 410-ე მუხლი არ დარჩება თეორიულ დონეზე, და მას მიეცემა პრაქტიკაში გამოყენებადობის ქმედითი დანიშნულება, ვინაიდან თეორია განსაზღვრავს პრაქტიკას, ხოლო პრაქტიკა იძლევა თეორიის დახვეწის საშუალებას.

ბიბლიოგრაფია

ნორმატიული მასალა

1. საქართველოს კონსტიტუცია, 24.08.1995
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 26.06.1997
3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი,
4. უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი
<https://matsne.gov.ge/document/view/32830?publication=110>
5. განმარტებითი ბარათი
<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/82082>

ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა

1. Gccc.tsu.ge, ონლაინ კომენტარი, ჭეჭელაშვილი ზ., წიგნი მესამე, კერძო ნაწილი, კარი პირველი, სახელმეკრულებო სამართალი, მუხლი 616, ბოლო დამუშავება, 22 თებერვალი, 2016 წელი.
https://www.press.tsu.edu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/tamar_lakerbaia.pdf
2. ბალიშვილი ე., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, ჭანტურია ლ., (რედ.), 2019.
3. ბეგიაშვილი ნ., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, შედარებით-სამართლებრივი ანალიზი, სამართლის ჟურნალი „სარჩევი“ N1, 2011.
4. ბიოლინგი ჰ., ლუტრინგჰაუსი ჰ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, ბრემენი-თბილისი 2004-2009.
5. გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, თსუ, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, 2012.
6. გარიშვილი მ., ხოფერია მ., რომის სამართალი, 2013.
7. გელაშვილი ი., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, ჭანტურია ლ., (რედ.), 2019.
8. გოცირიძე ე., მიზეზობრიობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში, 2006.
9. დუნდუა მ., დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელმეკრულებო პასუხისმგებლობის თანაფარდობა, სამართლის ჟურნალი N1, 2009.
10. ევროპის სახელმეკრულებო სამართლის პრინციპები, თარგმანი–ეროსი ბზეკალავას, თამარ ჭალიძის, არჩილ ცერცვამისა და დიმიტრი გეგენავას რედაქციით, 2004.
11. ევროპული სახელმეკრულებო პრინციპები - ე. ბზეკალავას, თ. ჭალიძის, ა. ცერცვამის, დ. გეგენავას რედაქციით, თბილისი, 2014.

- 12 ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010.
- 13 ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, ჭანტურია ლ., (რედ.), 2019.
- 14 ზაალიშვილი ვ., სტანდარტული პირობების ცალკეული პრობლემური საკითხები- შეთანხმების თავისუფლება და მისი ფარგლები, სამართლის ჟურნალი N1, 2017.
- 15 ზოიძე ბ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, 2001.
- 16 ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბილისი, 2005.
- 17 ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სისტემა; ჟურ. ქართული სამართლის მიმოხილვა, 1998
- 18 ზოიძე თ., წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, 2016.
- 19 ზუბიტაშვილი ნ., პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისათვის საზოგადოების გადახდისუუნარობის დროს - გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად; 2016.
- 20 თოდუა მ., ვილემსი ჰ., ვალდებულები სამართალი, საია, 2006.
- 21 თოთლაძე ლ., გაბრიჩიძე გ., თუმანიშვილი გ., ტურავა პ., ჩაჩანიძე ე., 2012, განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, GIZ,IRZ; 2012.
- 22 იოსელიანი ა., კეთილსინდისიერების პრინციპი სახლშეკრულებო სამართალში (შედარებითსამართლებრივი გამოკვლევა, ჟურ. ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2007.
- 23 კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009.
- 24 კვანტალიანი ნ., პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვისპერსონალის სამოქალაქოსამართლებრივი საფუძვლები 2014.
- 25 კობახიძე ი., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, კონსტისუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის ცენტრი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) 2013.
- 26 კროპჭოლერი ი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თბილისი, საიას იურიდიული ხელშეწყობის ფონდი, მთარგ. თორნიკე დარჯანია, ზურაბ ჭეჭელაშვილი, რედ.: ეთერ ჩაჩანიძე, თორნიკე დარჯანია, ლევან თოთლაძე, GIZ,2014.
- 27 კუბლაშვილი / იზორია / კორკელია / ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა მერიდიანი, 2005.

- 28 ლაკერბაია თ., ხელშეკრულების უარყოფის უფლება, ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, 2016.
- 29 ლილუაშვილი თ., სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, მე-2 გამოცემა, 2005.
- 30 მესხიშვილი ქ., კერძო სამართლის აქტუალური საკითხები- თეორია და სასამართლო პრაქტიკა“, ტომი 1, 2020.
- 31 ნადარეიშვილი გ., რომის სამოქალაქო სამართალი, 2007.
- 32 ნაჭყებია ა., სამოქალაქო ნორმების განმატრეგები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში, 2002-2013.
- 33 ნიემანი ა., „ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბილისი, 1978.
- 34 როდინაძე კ., რომის კერძო სამართალი, პირველი გამოცემა, „შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ბათუმი 2009.
- 35 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002.
- 36 რუსიაშვილი გ., დარჯანია თ., მაისურაძე დ., ზოგადი ვალდებულებითი სამართალი (კაზუსების კრებული) 2020.
- 37 რუსიაშვილი გ./ბათლიძე გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, ჭანტურია ლ., (რედ.), 2019.
- 38 რუსიაშვილი/ეგნატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, 2016.
- 39 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, 2001.
- 40 სვანაძე გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, ჭანტურია ლ., (რედ.), 2019.
- 41 სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ., სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, 2016.
- 42 ტაბატაძე თ., სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის შეზღუდვა ტურიზმის ხელშეკრულებაში, აკადემიური მაცნე , 2015, N4.
- 43 ტურავა მ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, კონსტისუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის ცენტრი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება(GIZ) 2013.
- 44 ქარდავა ე., მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტების შედარებითსამართლებრივი მიმოხილვა ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მაგალითზე, ჟურ., ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოშვება, თბილისი, 2007.

- 45 ქოჩაშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, სამართლის ჟურნალი, 2004. N1.
- 46 ჩაჩავა ს., მოთხოვნების დ მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, 2010.
- 47 ჩიკვაშვილი შ., პასუხისმგებლობა მორალური ზიანისათვის, თბილისი, 2003.
- 48 ჩიტაშვილი ნ., ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის, სამართლის ჟურნალი N1, 2009.
- 49 ჩხაიძე ს., ზიანის ცნება უსაფუძვლო გამდიდრების სამართალში (მოკლე ანალიზი), ჟურ. მართლმსაჯულება და კანონი, N2 (41), 2014.
- 50 ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი მ-2, 2001.
- 51 ძლიერიშვილი ზ., ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011.
- 52 ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომც. „მერიდიანი“ 2014, გვ. 83.
- 53 ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომც. „მერიდიანი“ 2014.
- 54 ჭანტურია ლ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 1, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, ჭანტურია ლ., (რედ.), 2017, 91, ველი 3.
- 55 ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011.
- 56 ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 1997.
12. ხეცურიანი ჯ., სამოქალაქო სამართლის ფუნქციები, 1995.
- 57 ხუნაშვილი ნ., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, 2016.
- 58 ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად 2016.
- 59 ჰაგენლოხი უ., მტკიცების ტვირთი გერმანულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში. GIZ, 2018.
- 60 ჰარტკამპი ა., ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის თარგმანები, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2010.

ქართულენოვანი სასამართლო გადაწყვეტილებანი

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სასამართლოს 2023 წლის 18 იანვრის N ას-1168-2022 გადაწყვეტილება, ველი 43.
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 8 ივნისის Nას-409-2022 გადაწყვეტილება.
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 18 თებერვლის N ას-1232-2021 გადაწყვეტილება.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 14 ივლისის N-ას-464-2021წლის გადაწყვეტილება.
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 24 დეკემბრის Nას - 1114 -2020 გადაწყვეტილება.
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 7 ოქტომბრის Nას-470-2020 გადაწყვეტილება.
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 16 სექტემბრის N ას-230-2020 წლის გადაწყვეტილება.
8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 26 ივნისის N ას-645-2019 გადაწყვეტილება.
9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 8 მაისი N ას- 1351-2019 გადაწყვეტილება.
10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 6 აპრილის Nას-1166-2-19 გადაწყვეტილება.
11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 25 ნოემბრის N ას-1880-2018 გადაწყვეტილება.
12. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 23 სექტემბრის N1448 გადაწყვეტილება საქმეზე ზაზა პეტიძე, ნიკოლოზ ბერიაშვილი და შალვა ონიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.
13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 30 სექტემბრის N ას-1054-2019 გადაწყვეტილება.
14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 30 სექტემბრის Nას - 1027-2019 გადაწყვეტილება.
15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს Nას-33-33-2018 გადაწყვეტილება.
16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 5 ივლისის N ას - 726-2019 გადაწყვეტილება.
17. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 28 ივნისის Nას-586-2019 გადაწყვეტილება.
18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 29 მარტის N ას -1215-2018 გადაწყვეტილება, 202-ე ველი.
19. საქართველოს უზენაესი სასამართლის 2019 წლის 22 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-1298-2018.
20. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 12 დეკემბრის Nას-1064-2018 გადაწყვეტილება.
21. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 3 აპრილის N ას 1475-1395- 2017 განჩინება.
22. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 24 იანვრის Nას-931-871-2017 გადაწყვეტილება.
23. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 29 სექტემბრის N ას 437-409-2017 გადაწყვეტილება.
24. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის Nას-251-239-2017 გადაწყვეტილება.

25. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 24 მარტის №ას-130-122-2017 გადაწყვეტილება.
26. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 24 თებერვლის №ას-862-828-2016 გადაწყვეტილება.
27. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 4 ნოემბრის N 760-728-2016 წლის გადაწყვეტილება.
28. თბილისის სააპელაციო სასამართლო 2015 წლის 30 ნოემბრის N2ბ/7137-14 გადაწყვეტილება.
29. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 18 ნოემბრის №ას-549-521-2015 გადაწყვეტილება.
30. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 4 ნოემბრის №ას-528-501-2015 გადაწყვეტილება.
31. საქართველოს უზენაესი სასამართლის 2011 წლის 31 ოქტომბრის Nას-1153-1173 გადაწყვეტილება.
32. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 06 ივლისის N ას-7-6/2010 გადაწყვეტილება.
33. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 5 ივლისის Nას-418-319-2010 გადაწყვეტილება.
34. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-7-362-07.
35. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტების საქმეთა პალატის 2005 წლის 5 დეკემბრის Nას-772-1045-05 გადაწყვეტილება.
36. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 13 აპრილის N33-406-05 გადაწყვეტილება.
37. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 15 მაისის N3კ-1422-2 გადაწყვეტილება.
38. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 13 მარტის N ას-504 201 გადაწყვეტილება.

უცხოენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა:

1. < <http://Lawreview.vermont Law.edu/files/2012/02/antoniolli.pdf>>,
2. Anaconda-Iran, Inc. v. The Government of the Islamic Republic of Iran, et al., Award No. ITL 65-167-3 of 10.12.1986 at 41-43, 13 Iran-U.S. C.T.R. 199, 211-12, Y.B. Com. Arb. 1988, 319; Mobil Oil Iran Inc. v. Islamic Republic of Iran, Award No. 311-74/76/81/150-3 of 14.07.1987 at para,117.
3. Antonioli L., Consumer Law as an Instance of the Law of Diversity, Vermont Law Review, Vol., 30:855, 2006.
4. Beale H., Hartkamp A.,(eds), cases, materials end teqst on Contraqt law, Oregon, Hart PubliSing Oxsford end Portland, 2002,1
5. Benecke, Gesetzesumgehung im Zivilrecht, 2004, S. 205
6. BGH Urteil vom 24.11.1976-VIII ZR 137/75 (Stuttgart), NJW, 1977, S. 380 f.; Schmidt-Salzer, Verbraucherschutz Produktafrung. Unternehmensverant-wortung. NJW, 1994. S.1306.

7. Brunner Ch., Force Majeur and Hardship under General Contract Principles, The Netherlands, Kluwer Law International BV-2009.
8. Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Nonperformance in International Arbitration, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009.
9. Burton S.J., Contract Law: Selected Source Materials, Uniform Commercial Code, West Publishing Co., St. Paul, Minn., 1995, 156.
10. Chen-Wishart M., Contract Law, 2nd ed., Oxford University Press, 2008, 283; McKendrick E., Chitty on Contracts, The Law of Contracts, Vol.1, General Principles, Chapter 24, Discharge by Frustration, London, 1999, 24-001
11. Cherednychenko O.O., The Constitutionalization of contract law: Something New Under the Sun?, Electronic Journal of Comparative Law, Vol., 8.1 (March 2004), <http://www.ejcl.org/81/art81-3.PDF>
12. Council Directive 93/13/EEC of 5 April 1993 on unfair terms in consumer contracts.O.J.L 95, 21.04.1993.
13. Eckl.Ch., Treu und Glauben imspanischen Vertragrecht, Mohr Siebeck, Tübingen, 2007.
14. Fibrosa Spolka Akcyjna v Fairbairn Lawson Combe Barbour Ltd, [1943] AC 32 (HL).
15. Goldman A.J., Sigismond W.D., Business Law and Practices, 8th ed., South-Western College/West, 2010, 217; Pizer L.K., Smith M.R. (eds in Chief), Southerington T., Review of the Convention on Contracts for the International Sale of Goods (CISG) 2002-2003, Kluwer Law International, The Hague, London, New York, 2004.
16. Hesselink, Good Faith, Towards a European Civil Code,2.ed.. The Hague/London/Boston, Kluwer Law International,1998.
17. Kuoni, Haftungsbegrenzung im sweizerischen deutschen und englischen Recht paras.2015.
18. Lando O, Beale H, principles of European Contract Law, part I,and II. KluWer Law International, The Austin/Boston/Chicago/ New York/The Netherlands; 2000.
19. Lohs M.M., Grenzen der Vertragsfreiheit im polnischen Zivilrecht, Verlag Peter Lang, Frankfurt am Main, 2000.
20. looschelders, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011.
21. Meyer L., Non-performance and Remedies under international contract law Principles and Indian Contract Law, Hamburg, Peter Lang GmbH-2010.
22. Paulst J. L., Upp R. D., Business Law Text, 3rd Edition, St. Paul, Minn., West Publishing CO., California, 1979.
23. Principles of International Commercial Contracts (UNIDROIT), Rom, 1994, Uniform Law Rewiew, 2004.
24. Rombach J., Allgemeine Geschäftsbedingungen Bei Freien Dienstverträgen: Rechtsanwalts-, Steuerberater- Und Wirtschaftsprüferverträge, Arzt- Und Krankenhausbehandlungsverträge, Unterrichtsverträge, Verlag Heymann, Köln [u.a.]1997.
25. Schluter, in muko BGB §397.
26. Towards a European Civil Code, ed. by Hartkamp/ Hesselink/ Hondius/ Perron/ Vranken, Nijmegen, Dodrecht, Boston, London, 1994.
27. *utz*, Babylonian Partnership,4j. Econ. Hist.& Bus 552, 1931.

28. Zerress, Principals of the German Law on Standard Terms of Contract, https://jurawelt.com/sunrise/media/mediafiles/14586/German_Standard_Terms_of_Contract_Thomas_Zerres.pdf
29. Zveigert K., Kotz H., Introduction to Comparative Law, Volume 2 – The Institutions of Private Law, 2nd Revised ed., Translated from German by weir T., Oxford, Glarendon Press, 1987.
30. Ансон В., Договорное право, М., 1984.
31. Варкалло В., Об ответственности по гражданскому праву, М., 1978.
32. Гражданское и торговое право Европейского Союза (основные институты): Учеб. пособие под. общ. Ред. В.В. Безбаха, В.Ф. Поньки, К. М. Беликовой, М., 2010.
33. Гражданское право (Т-1) 2-е изд. Под Ред. Суханова Е. А., М., 2003.
34. Гражданское право, учебник, под редакцией А. П. Сергеева и Ю.К.Толстого, часть 2, М., 1998.
35. Зоидзе В., Договорная и внедоговорная ответственность в механизме гражданского-правового регулирования, Т., 1988.
36. Иофе О. С., Обязательственное право, М., 1975.
37. Комаров А.С., Ответственность в коммерческом обороте, М., 1999.
38. Кофман В.И., Соотношение вины и противоправности в гражданском праве, ж. `Правоведение“, №1, 1957, 78, (<http://law.edu.ru/magazine/article/7.05.2007>)
39. Ллойд Д., 2002, Идея Права, Перевод с английского, М. А. Юмашева, Ю. А. Юмашев, М. Югона, Москва, 2002.
40. Римское частное право под ред. И.Б. Новицкого и И.С. Перетерского, М., 1996.
41. Самонд и Вильямс, Основы договорного права, М., 1955.

**უცხო ქვეყნის ნორმატიული დოკუმენტი, უნიფიცირებული და
სარეკომენდაციო სამართლებრივი აქტები**

1. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, 2010 წლის 1 მარტის მდგ., ქართულ ენაზე, გერმანულიდან თარგ. ზურაბ ჭეჭელაშვილმა.
2. ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები (Principles of European Contract Law), ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი-თარგ., ე. ბზეკალავას, თ. ჭალიძის, ა. ცერცვაძისა და დ. გეგენავას საერთო რედ., 2014.
3. საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ გაეროს კონვენცია, ვენა 1980.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4992306?publication=0>
4. შვეიცარიის 1911 წლის ვალდებულებითი კანონი (ძალაშია 1912 წლის 1 იანვრიდან), ცვლილებებით 2012 წლის 1 მარტის მდგომარეობით.
5. International Institute for the Unification of Private Law, <https://www.unidroit.org/instruments/commercial-contracts/unidroit-principles-2016/>